

მარინა სეხნიაშვილი, ნანა კობახიძე
ლაურა ჯიმშელეევიშვილი

ბიოლოგია



მასწავლებლის ნივნი



ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პი-რობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პი-როვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონიერი და ფიზიკურ უნარ-ჩვეულებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

- ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გაზრება;
- ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;
- გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;
- დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;
- ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვოს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;
- ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;
- ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;
- თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

მარინა სეხნიაშვილი
ნანა კობახიძე
ლაურა ჯიმშელეიშვილი

ბიოლოგია

VII კლასი

მასწავლებლის ნიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2019 წელს



მარინა სეხნიაშვილი, ნანა კობახიძე, ლაურა ჯიმშელეიშვილი

ბიოლოგია

VII კლასი, მასწავლებლის წიგნი

რედაქტორი
ნელი ელიზბარაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ელენე ვარამაშვილი

© გამომცემლობა „კლიო“, 2019

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019

© მარინა სეხნიაშვილი, ნანა კობახიძე, ლაურა ჯიმშელეიშვილი, 2019

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-481-48-2

პირველი გამოცემა (2019)



შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ., №181-2,
თბილისი, 0112

ტელ.: (+995 32) 234 04 30

E-mail: book@klio.ge; www.klio.ge





შპს გამომცემლობა „მერიდიანი“
ალ. ყაზბეგის №47, თბილისი
ტელ.: (+995 32) 239 15 22

E-mail: meridiani777@gmail.com

სარჩევი

მასწავლებლის წიგნის კონცეპტუალური რუკა	4
მოსწავლის წიგნის კონცეპტუალური რუკა.....	4
VII კლასის სტანდარტი.....	5
VII კლასის წლიური პროგრამა.....	8
მიზნებისა და შინაარსის რუკა.....	14
ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები	
კონსტრუქტივიზმის ძირითადი პრინციპები	27
აქტიური სწავლების მიღები და მეთოდები	
კვლევაზე დაფუძნებული სწავლება.....	27
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება.....	39
პროექტზე დაფუძნებული სწავლება	41
ვირტუალური ლაბორატორია.....	46
გრაფიკული ორგანიზატორი.....	47
განმავითარებელი შეფასება და მისი ინსტრუმენტები	50
თემების ზოგადი მომოხილვა	
თემა - 1 უჯრედი	54
თემა - 2 მიკროორგანიზმები	67
თემა - 3 მცენარეები	88
თემა - 4 სოკოები	122
თემა - 5 ცხოველები.....	132
დამატებითი მასალა გარდატეხის ასაკთან დაკავშირებით	164
გამოყენებული ლიტერატურა	168



გილოგზია

მე-7 კლასის სფანდარტი

შესავალი

საბაზო საფეხურის ბიოლოგიის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდიკური ორიენტირები;
- დ) შეფასება.

საგნი „ბიოლოგიის“ სწავლა-სწავლება გულისხმობს ცოცხალი სისტემების (უჯრედიდან ეკო-სისტემის ჩათვლით) შესწავლას, გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების მნიშვნელობის გააზრებას. სასწავლო კურსის განმავლობაში მოსწავლე გაეცნობა ორგანიზმის სხვადასხვა ჯგუფს, აგრეთვე ზოგიერთ ევოლუციურ, ეკოლოგიურ და გენეტიკურ კანონზომიერებას.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას მოვლენების არსის გაგებაში, ახალი ცოდნის შექმნასა და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში დაეხმარება.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

ბიოლოგიის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს გაუჩნდეს ინტერესი ცოცხალი სამყაროს შესწავლის მიმართ;
- მოსწავლემ შეძლოს ბიოლოგიური კანონზომიერებების გაანალიზება;
- მოსწავლემ შეძლოს ორგანიზმში და გარემოში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების ურთიერთდაკავშირება;
- მოსწავლეს გამოუმუშავდეს კვლევითი უნარ-ჩვევები;
- მოსწავლეს ჩამოყალიბდეს გარე სამყაროს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება;
- მოსწავლემ გაანალიზოს ჯანმრთელობის და ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა;
- მოსწავლეს შესძინოს დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

ამ მიზნებზე მუშაობით ბიოლოგია თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს ბიოლოგიაში საბაზო საფეხურის ბოლოს.

ეს შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

- **ცოცხალი სამყარო** – გულისხმობს ბიოლოგიის ძირითადი კონცეფციებისა და კანონზომიერებების გააზრებას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისათვის საერთო ცნებებზე (ნივთიერება და მატერია, სტრუქტურა და ფუნქცია, ენერგია და ენერგიის გარდაქმნა, სისტემები და ურთიერთქმედებები, მდგრადობა და ცვლილებები) წარმოდგენების ჩამოყალიბებას; გარემოს დაცვისა და მდგრადი

განვითარების მნიშვნელობის მიმართ დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას; ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მისი დაცვის მნიშვნელობის გაცნობიერებას;

- **მეცნიერული კვლევა-ძიება** – გულისხმობს მოსწავლის ჩართვას მარტივი ექსპერიმენტების, ცდების დაგემოვასა და განხორციელებაში; კვლევითი უნარების (დაკვირვება, მონაცემების გაანალიზება/წარდგენა, არგუმენტირებული მსჯელობა, დასკვნების გამოტანა) განვითარებას;

- მეცნიერება და ტექნოლოგიები** – გულისხმობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოყენებითი ასპექტების აღქმას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების გავლენის გაცნობიერებას საზოგადოებასა და გარემოზე; მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენების შეფასებას; გააზრებას, რომ მეცნიერული შეხედულებები და მოსაზრებები ვითარდება და შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალ-დებულო ცნებების, თემებისა და საგნობრივი საკითხების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები **სავალდებულო თემების** სახითაა წარმოდგენილი.

თითოეულ თემას ახლავს საკითხები და შეფასების ინდიკატორები. საკითხები აკონკრეტებს თემას, შეფასების ინდიკატორები კი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს კონკრეტულ თემაში (თითოეულ ინდიკატორთან მითითებულია მასთან დაკავშირებული შედეგის / შედეგების ინდექსი).

ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძლვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., ბიოლ. საბ. 1.:

„ბიოლ.“ – მიუთითებს საგანს „ბიოლოგია“;

„საბ.“ – მიუთითებს საბაზო საფეხურს

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ბიოლოგიის სტანდარტის შედეგები (VII კლასი)

შედეგების ინდექსები	მიმართულება: ცოცხალი სამყარო მოსწავლემ უნდა შეძლოს:	ცნებები
ბიოლ. საბ. 1	ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე მყოფი ცოცხალი სისტემის სტრუქტურა, ფუნქცია სტრუქტურისა და ფუნქციის დახასიათება;	სტრუქტურა, ფუნქცია
ბიოლ. საბ. 2	ორგანიზმების საერთო სასიცოცხლო თვისებების დახასიათება და მათში ცოცხალი სისტემა მიმდინარე ენერგიისა და ნივთიერებების გარდაქმნებზე არგუმენტირებული მსჯელობა;	სასიცოცხლო თვისება
ბიოლ. საბ. 3	ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მისი ცვლილების მნიშვნელობის გააზრება;	ბიომრავალ-ფეროვნება
ბიოლ. საბ. 4	ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება და მისი დაცვა.	სისტემატიკური ჯგუფი, შეგუებულობა;
	მიმართულება: მეცნიერული კვლევა-ძიება მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ბიოლ. საბ. 5	ბიოლოგიური ოპიექტების/პროცესის შესწავლის მიზნით კვლევის დაგეგმვა;	მდგრადობა, ჯანმრთელობა
ბიოლ. საბ. 6	ბიოლოგიური ოპიექტების/პროცესების კვლევისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება;	დაავადება
ბიოლ. საბ. 7	თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა ფორმით კვლევა ჩაწერა და ორგანიზება; მონაცემების ორგანიზებისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;	მეცნიერება და ტექნოლოგია

ბიოლ. საბ. 8	მონაცემების გაანალიზება და არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა;	მდგრადი განვითარება.
ბიოლ. საბ. 9	მოდელების შექმნა და გამოყენება ცოცხალი სისტემების სტრუქტურისა და პიოლოგიური პროცესების საჩვენებლად;	
ბიოლ. საბ. 10	კვლევის ჩატარებისას უსაფრთხოების წესების დაცვა.	
	მიმართულება: მეცნიერება და ტექნოლოგიები მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ბიოლ. საბ. 11	საბუნებისმტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების შეფასება მდგრადი განვითარების პრინციპების;	
ბიოლ. საბ. 12	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების ყოველდღიურობასთან დაკავშირება;	
ბიოლ. საბ. 13	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სხვადასხვა პროფესიასთან დაკავშირება.	

თემებისა და ცნებების დამაკავშირებელი ცხრილი

სავალდებულო თემები:	ცნებები
მიკროორგანიზმები	სტრუქტურა, ფუნქცია ნივთიერება, ენერგია, რეგულაცია
სოკოები	ცოცხალი სისტემა უჯრედი, ორგანო, ორგანოთა სისტემა, ორგანიზმი, ეკოსისტემა
მცენარეები	სასიცოცხლო თვისება კვება, სუნთქვა, გამრავლება, გამოყოფა, გალიზიანებადობა, ზრდა-განვითარება, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა; პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, ფიზიკური აქტივობა, მავნე ჩვევა;
ცხოველები	კვლევა კვლევის მეთოდი (ცდა, ექსპერიმენტი, გამოკითხვა, ინტერვიუ); დაგეგმვა-განხორციელება (საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა, პროცედურა, უსაფრთხოება, რესურსი, ცვლადი, მონაცემი, მონაცემთა ორგანიზება, მონაცემთა ანალიზი, დასკვნა, მოდელი);
სასიცოცხლო ციკლი	მეცნიერება და ტექნოლოგია ალმოჩენა, თეორია, კანონი მდგრადი განვითარება.

თემების, საკითხებისა და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელი ცხრილები

თითოეულ ცხრილში მოცემულია თემის დასახელება, თემის შესაბამისი საკითხები, რომლებიც აზუსტებს თემას. შეფასების ინდიკატორებში ნაჩვენებია, თუ როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში.

ბიოლოგია

მე-7 კლასი

ნლიური პროგრამა

სასწავლო ოქმა

სასწავლო ოქმა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.

საგნობრივი საკითხები

ნლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს.

საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

თემატური საკვანძო შეკითხვები

თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი კითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქცია:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძლებლივობის გამოყენების განვითარება;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ) ის მიზნის როლს.

აქტივობები

მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მიზნები, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

თემები კლასების მიხედვით	საათების სავარაუდო რაოდენობა	სარეზერვო ფრონტი
VII კლასი		
მიკროორგანიზმები	8 საათი	3 საათი
სოკოები	6 საათი	3 საათი
მცენარეები	14 საათი	5 საათი
ცხოველები	16 საათი	5 საათი
სასიცოცხლო ციკლი	6 საათი	4 საათი

თემები VII კლასისათვის

1. მიკროორგანიზმები
2. სოკოები
3. მცენარეები
4. ცხოველები
5. სასიცოცხლო ციკლი

თემა: მიკროორგანიზმები	საათების სავარაუდო რაოდენობა: 8 (+3)
საკითხთა მინიმუმი:	
1. ვირუსები;	
2. პროკარიოტები;	
3. ერთუჯრედიანი ეუკარიოტები;	
4. მიკროორგანიზმების მნიშვნელობა ადამიანისა და ბუნებისათვის.	
თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:	
ნივთიერება, სტრუქტურა, ფუნქცია, ცოცხალი სისტემა, სასიცოცხლო თვისება, ბიომრავალფეროვნება, სისტემატიკური ჯგუფი, შეგუებულობა, მდგრადობა; კვლევის მეთოდი, კვლევა; ჯანმრთელობა, დაავადება, აღმოჩენა, მდგრადი განვითარება.	
საკანძო შეკითხვები:	
<ul style="list-style-type: none"> • როგორ ავიცილოთ თავიდან ბაქტერიული და ვირუსული დაავადებები? • რა დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობა აქვს ვირუსებს/ბაქტერიებს ადამიანისთვის? • რა მოხდება, თუ მიკროორგანიზმები აღარ იარსებენ? 	
აქტივობები	
იდეები კომპლექსური დავალებებისთვის	
შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
<ul style="list-style-type: none"> • კვლევის საფუძველზე მიკროორგანიზმების აგებულების და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით შედარება (ბიოლ. საბ. სტ. 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 9, 10); • ვირუსული და ბაქტერიული დაავადებების ერთმანეთისაგან განსხვავება; დაავადებების პრევენციის (ჰიგიენა, ვაქცინაცია) შესახებ მსჯელობა (ბიოლ. საბ. სტ. 8, 11, 12); • ბუნებასა და ადამიანისათვის ბაქტერიების მნიშვნელობის დასაბუთება (ბიოლ. საბ. სტ. 4, 10, 11, 12); • მიკროორგანიზმებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, კვების ტექნოლოგია, ვირუსოლოგია, ბაქტერიოლოგია, პარაზიტოლოგია, მიკრობიოლოგია) (ბიოლ. საბ. სტ. 11, 12, 13). 	

მკვიდრი წარმოდგენები:

- ორგანიზმი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მრავალი უჯრედისგან;
- უჯრედის ძირითადი კომპონენტებია: უჯრედის კედელი, პლაზმური მემბრანა, ციტოპლაზმა, ბირთვი, ვაკუოლი, ქლოროპლასტი, მიტოქონდრია;
- უჯრედის შემადგენლობაში შედის ორგანული და არაორგანული ნივთიერებები;
- ზოგიერთი ორგანიზმის დანახვა და შესწავლა მხოლოდ გამადიდებელი ხელსაწყოთი – მიკროსკოპითაა შესაძლებელი;
- მიკროორგანიზმების ჯგუფები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან (მაგ., არაუჯრედული ფორმა, პროკატიოტი, ეუკარიოტი);
- მიკროორგანიზმებმა შეიძლება ინფექციური დაავადებები გამოიწვიონ;
- ვირუსით გამოწვეული დაავადებებისგან განსხვავებით, ბაქტერიული დაავადებების მკურნალობა ანტიბიოტიკებითაა შესაძლებელი;
- ზოგიერთი მიკროორგანიზმი (მაგ., ნაწლავის ბაქტერია, რძემუავა ბაქტერია) სასარგებლოა ადამიანისათვის, მათ ასევე მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ბუნებაში (მაგ., ნიადაგის ბაქტერიები).

თემა: სოკოები

საათების სავარაუდო რაოდენობა: 6 (+3)

საკითხები:

1. ერთუჯრედიანი სოკოები;
2. მრავალუჯრედიანი სოკოები;
3. სოკოვანი დაავადებები, პრევენცია;
4. სოკოების მნიშვნელობა ადამიანისა და ბუნებისათვის.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

ნივთიერება, სტრუქტურა, ფუნქცია, ცოცხალი სისტემა, სასიცოცხლო თვისება, ბიომრავალ-ფეროვნება, სისტემატიკური ჯგუფი, შეგუბულობა, მდგრადობა; კვლევის მეთოდი, კვლევა; ჯანმრთელობა, დაავადება, ალმოჩენა, ტექნოლოგია, მდგრადი განვითარება.

საკვანძო შეკითხვები:

- რატომ გამოყენება მეცნიერებმა სოკოები დამოუკიდებელ ჯგუფად?
- რატომ უნდა ვიცოდეთ სოკოების გამრავლების ხერხები?
- რა მნიშვნელობა აქვთ სოკოებს ბუნებაში, ადამიანისთვის?
- როგორ ავიცილოთ თავიდან სოკოვანი დაავადებები?

აქტივობები

იდეები კომპლექსური დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლეგუნდა შეძლოს:

- ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი სოკოების დახასიათება აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით; (ბიოლ. საბ. 1,2,3);
- მსჯელობა სოკოს აგებულებაზე, რაც განასხვავებს მათ მცენარეებისა და ცხოველებისაგან (ბიოლ. საბ. 1,2,3,4,5,6,7,8,9,10);
- მსჯელობა სხვადასხვა სოკოს მნიშვნელობაზე ადამიანისათვის (პენიცილიუმი, ანტიბიოტიკის ალმოჩენა, სოკოვანი დაავადება) (ბიოლ. საბ. 4,10,11,12);
- სოკოებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროს-თან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, კვების ტექნოლოგია, მიკრობიოლოგია) (ბიოლ. საბ. 11,12,13).

მკვიდრი წარმოდგენები

- სოკოები გვხვდება ყველგან: ნიადაგში, წყალში, პროდუქტებში, ადამიანისა და ცხოველების სხეულზე და სხვ.;
- სოკო იკვებება, როგორც ცხოველი – მზა ორგანული ნივთიერებებით;
- არსებობს ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი სოკოები;
- სოკოები მრავლდებიან სხეულის დაყოფით და სპორებით;
- ადამიანი სოკოებს იყენებს მედიცინაში, საკვები პროდუქტის დამზადებაში;
- ბუნებაში სოკოები შლიან ყოველივე ორგანულს და მონაწილეობენ ნაყოფიერი ნიადაგის წარმოქმნაში;
- ზოგიერთმა სოკომ შეიძლება გამოიწვიოს მცენარის, ცხოველისა და ადამიანის დაავადება.

თემა: მცენარეები

საათების სავარაუდო რაოდენობა: 14 (+5)

საკითხები:

1. მცენარეთა სისტემატიკური ჯგუფების დახასიათება;
2. ფოტოსინთეზის პროცესი და მისი მნიშვნელობა;
3. მცენარეების მნიშვნელობა ადამიანისა და ბუნებისათვის.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

ნივთიერება, ენერგია, სტრუქტურა, ფუნქცია, რეგულაცია, ცოცხალი სისტემა, სასიცოცხლო თვისება, ბიომრავალფეროვნება, სისტემატიკური ჯგუფი, შეგუებულობა; კვლევის მეთოდი, კვლევა; ჯანმრთელობა, დაავადება, აღმოჩენა, ტექნოლოგია, მდგრადი განვითარება.

საკვანძო შეკითხვები:

- რატომ მიიჩნევა, რომ ყველა ორგანიზმის არსებობა ფოტოსინთეზის პროცესზეა დამოკიდებული?
- როგორ იკვებებიან / სუნთქვავენ მნიშვნელობის მცენარეები?
- რატომ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ მრავლდებიან მცენარეები?
- რა როლს ასრულებს მცენარეები ადამიანის ცხოვრებაში?
- როგორ უნდა მქონდეს უსაფრთხო ურთიერთობა მცენარეებთან?

აქტივობები

იდეები კომპლექსური დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- კვლევის საფუძველზე მცენარეთა სხვადასხვა სისტემატიკური ჯგუფის (წყალმცენარეები, გვიმრები, ხავსები, შიშველთესლოვანი, ფარულთესლოვანი) განსხვავება აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით; გარემოსთან მათი შეგუებულობების მაგალითების მოყვანა (**ბიოლ. საპ. 1, 2, 3, 5, 6, 9, 10**);

- ფოტოსინთეზის პროცესის აღწერა; კვლევის საფუძველზე მსჯელობა იმ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ მცენარის ზრდა-განვითარებასა და ფოტოსინთეზის ინტენსივობაზე (**ბიოლ. საპ. 1, 2, 3, 5, 6, 9, 10**);

- მცენარეული საფარველის და ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელობის დასაბუთება (IUCN კატეგორიები საქართველოს „ნითელი ნუსხა“, ენდემური, რელიექტური, ინვაზიური სახეობები) და ადამიანისთვის მცენარეებთან (ალერგენები, შხამიანი მცენარეები) ურთიერთობის რისკებზე მსჯელობა (**ბიოლ. საპაზო. 4, 10, 11, 12**);

- მცენარეებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, ფარმაკოლოგია) (**ბიოლ. საპ. 11, 12, 13**).

მკვიდრი წარმოდგენები:

- მცენარეთა ჯგუფები (წყალმცენარეები, ხავსები, გვიმრები, შიშველთესლოვნები, ფარულთესლოვნები) განსხვავდებიან აგებულებითა და ძირითადი სასიცოცხლო თვისებებით;
- მცენარეები, ისევე როგორც სხვა ცოცხალი ორგანიზმები, შეგუებული არიან მათ ბუნებრივ საარსებო გარემოს;
- მწვანე მცენარეებში მიმდინარეობს ფოტოსინთეზის პროცესი, რაც ცოცხალ სამყაროს უანგბა-დითა და საკვებით უზრუნველყოფს;
- მცენარეთა ბიომრავალფეროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვ.) და ეკოსისტემის მდგრადობის შენარჩუნებისათვის;
- ფოტოსინთეზის პროცესის აღმოჩენამ დიდი როლი ითამაშა მცენარეების მნიშვნელობის გააზრებაში;
- მცენარეებთან ურთიერთობის დროს უნდა დავიცვათ ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესები.

თემა: ცხოველები

საათების სავარაუდო რაოდენობა: 16 (+5)

საკითხები:

1. ცხოველთა სისტემატიკური ჯგუფების დახასიათება;
2. ცხოველთა მნიშვნელობა ადამიანისა და ბუნებისათვის.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

ნივთიერება, ენერგია, სტრუქტურა, ფუნქცია, რეგულაცია, ცოცხალი სისტემა, სასიცოცხლო თვისება, ბიომრავალფეროვნება, სისტემატიკური ჯგუფი; შეგუებულობა, მდგრადობა; კვლევის მეთოდი, კვლევა; ჯანმრთელობა, დაავადება, აღმოჩენა, ტექნოლოგია, მდგრადი განვითარება.

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ განვასხვავოთ ფეხსახსრიანების სხვადასხვა ჯგუფი ერთმანეთისაგან?
- რა მნიშვნელობა აქვთ მწერებს ბუნებაში?
- რა მსგავსება-განსხვავებაა ხერხემლიანების სხვადასხვა ჯგუფს შორის?
- რა როლს ასრულებენ ცხოველები ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში?
- რატომ უნდა დავიცვა ცხოველებთან ურთიერთობის დროს ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესები?

აქტივობები

იდეები კომპლექსური დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ჩატარებული კვლევის (შედარებით-ანატომიური, ლუპით დაკვირვება, ან ქცევის კვლევა) საფუძველზე ცხოველთა სხვადასხვა სისტემატიკური ჯგუფის (ნაწლავლრუანები, ჭიები, მოლუსკები, ფეხსახსრიანები, თევზები, ამფიბიები, ქვენარმავლები, ფრინველები, ძუძუმწოვრები) ერთმანეთისგან განსხვავება აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების (მაგ., უსქესო, სქესობრივი გამრავლება, სუნთქვა, გაღიზიანებადობა) მიხედვით (**პიოლ. საბ. 1, 2, 3, 5, 6, 9, 10**);
- ცხოველთა ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელობის დასაბუთება (IUCN კატეგორიები საქართველოს „წითელი ნუსხა“, ენდემური, რელიქტური, ინვაზიური სახეობები) და ადამიანის-თვის ცხოველებთან ურთიერთობის რისკებზე მსჯელობა (**პიოლ. საბ. 4, 10, 11, 12**);
- ჩატარებული კვლევის საფუძველზე ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფის საარსებო გარემოსთან შეგუებულობების შესახებ მსჯელობა (**პიოლ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9**);
- ცხოველებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა) (**პიოლ. საბ. 11, 12, 13**).

მკვიდრი წარმოდგენები:

- როგორც ხერხემლიანი (თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები და ძუძუმწოვრები), ასევე უხერხემლო (მაგ., მოლუსკები, ჭიები, ფეხსახსრიანები) ცხოველები განსხვავდებიან აგე-ბულებისა და ცხოველემედების პროცესებით;
- ცხოველებს ახასიათებთ როგორც უსქესო, ასევე სქესობრივი გამრავლება;
- ცხოველთა ყველა ჯგუფს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის და ეკო-სისტემის მდგრადობისათვის;
- ცხოველებთან ურთიერთობის დროს უნდა დავიცვათ ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესები.

თემა: სასიცოცხლო ციკლი

საათების სავარაუდო რაოდენობა: 6 (+4)

საკითხები:

1. მცენარეთა სასიცოცხლო ციკლი;
2. ცხოველთა სასიცოცხლო ციკლი;
3. ადამიანის სასიცოცხლო ციკლი.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

ნივთიერება, ენერგია, სტრუქტურა, ფუნქცია, რეგულაცია, ცოცხალი სისტემა, სასიცოცხლო თვისება, ბიომრავალფეროვნება, სისტემატიკური ჯგუფი, შეგუებულობა, მდგრადობა; კვლევის მეთოდი, კვლევა; აღმოჩენა, ჯანმრთელობა, დაავადება, ტექნოლოგია, მდგრადი განვითარება.

საკვანძო შეკითხვები:

- რა განსხვავება პირდაპირ და არაპირდაპირ გარდაქმნებს შორის?
- რა მნიშვნელობა აქვს არაპირდაპირ განვითარებას ორგანიზმების გარემოსთან შეგუებისთვის?
- რა თავისებურებები ახასიათებს ადამიანის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიას?
- როგორ შეიძლება თავიდან ავირიდოთ ან შევამციროთ „გარდატეხის“ ასაკისთვის დამახასიათებელი ცვლილებებით გამოწვეული რისკები?

აქტივობები

იდეები კომპლექსური დავალებებისთვის

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- კვლევის საფუძველზე მცენარის ზრდა-განვითარებაზე, მის სასიცოცხლო ციკლზე მსჯელობა და ცხოველებში პირდაპირი და არაპირდაპირი განვითარების განსხვავება (**ბიოლ. საბ. 1, 2, 3, 5, 6, 9, 10**);
- არგმენტირებულად მსჯელობა ორგანიზმებისათვის განვითარების სტადიების მონაცვლეობის ბიოლოგიურ მნიშვნელობაზე (**ბიოლ. საბ. 1, 2, 3, 5, 6, 9, 10**);
- კვლევის (გამოკითხვა, ან ინტერვიუ ფსიქოლოგთან) საფუძველზე გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელ ცვლილებებსა და შესაძლო რისკებზე მსჯელობა, კვლევის ეთიკის დაცვა (**ბიოლ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9**);
- ორგანიზმების სასიცოცხლო ციკლის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, ფსიქოლოგია) (**ბიოლ. საბ. 11, 12, 13**).

მკვიდრი წარმოდგენები:

- სასიცოცხლო ციკლი ორგანიზმის განვითარების სტადიების/ფაზების ერთობლივია;
- მცენარეების სხვადასხვა ჯგუფს განსხვავებული სასიცოცხლო ციკლი აქვს;
- ცხოველების სასიცოცხლო ციკლი შეიძლება მიმდინარეობდეს პირდაპირი და არაპირდაპირი გარდაქმნის გზით;
- ადამიანის სასიცოცხლო ციკლის ერთ-ერთი სტადიისათვის (ე.წ. გარდატეხის ასაკი) დამახასიათებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები/თავისებურებები.

მიზნებისა და შინაარსის რუკა

თემა	საკვანძო კითხვა / კითხვები	საკვანძო შეკითხვასთან დაკავშირებული ცნება/ ცნებები	საკვანძო შეკითხვასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენა	შეფასების ინდიკატორი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:
უჯრედი 1.1. უჯრედი -ორგანიზმის საშენი მასალა 1.2. გამა-დიდებელი ხელსაწყოები 1.3. მიკრო-პრეპარატის მომზადება და განხილვა 1.4. უჯრედის ძირითადი სტრუქტურები 1.5. უჯრედის ფორმის მრავალ-ფეროვნება	რა არის ორგანიზმების აგებულების სტრუქტურული ერთეული? რა სტრუქტურები გააჩნია მცენარეულ და ცხოველურ უჯრედებს?	სტრუქტურა – უჯრედი; მრავალფეროვნება – ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი ორგანიზმები; აღმოჩენა – გამადიდებელი ხელსაწყოების გამოგონება და უჯრედის აღმოჩენა.	ორგანიზმი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მრავალი უჯრედისგან.	უჯრედზე მსჯელობა, როგორც ორგანიზმების სტრუქტურულ ერთეულზე; მსჯელობა უჯრედის აღმოჩენის მნიშვნელობაზე; ერთმანეთისგან ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი ორგანიზმების გარჩევა.
		სტრუქტურა – უჯრედის კედელი, პლაზმური მემბრანა, ციტოპლაზმა, ბირთვი, ვაკუოლო, ქლო-როპლასტი, მიტოქონდრია; ფუნქცია – უჯრედის სტრუქტურების ფუნქციები; ცოცხალი სისტემა – უჯრედი, როგორც ცოცხალი სისტემა; სასიცოცხლო თვისება – კვება: ავტოტროფი და ჰეტეროტროფი უჯრედები; შეგუებულობა – უჯრედების აგებულებისა და ფორმის შესაბამისობა მათ შესასრულებელ ფუნქციებთან.	უჯრედის ძირითადი კომპონენტებია: უჯრედის კედელი, პლაზმური მემბრანა, ციტოპლაზმა, ბირთვი, ვაკუოლო, ქლო-როპლასტი, მიტოქონდრია.	უჯრედის სტრუქტურებისა და მათი ფუნქციების დასახელება; ილუსტრაციის, მიკროპრეპარატის მიხედვით მცენარეული და ცხოველური უჯრედების ამოცნობა და მათი შედარება სტრუქტურული აგებულების მიხედვით; დასაბუთება, რომ უჯრედი მოჭმედებს, როგორც ერთი მთლიანი ცოცხალი სისტემა; უჯრედების ფორმისა და აგებულების მრავალფეროვნების დაკავშირება მათ შესასრულებელ ფუნქციასთან.
	რა ნივთიერებებისგან შედგება უჯრედი?	ნივთიერება – ორგანული და არაორგანული ნივთიერებები.	უჯრედის შემადგენლობაში შედის ორგანული და არაორგანული ნივთიერებები.	უჯრედის შემადგენლი ირგანული და არაორგანული ნივთიერებების დასახელება.

	<p>რა როლი შეასრულა ბიოლოგიისა და მედიცინის განვითარებაში გამადიდებელი ხელ-საწყოების აღმოჩენაში?</p>	<p>კვლევის მეთოდი – უჯრედის მიკროსკოპული კვლევის მეთოდი;</p> <p>კვლევა – უჯრედის მიკროსკოპული კვლევა;</p> <p>დაავადება – სხვადასხვა დაავადების მიკროსკოპული კვლევა უჯრედულ დონეზე;</p> <p>ტექნოლოგია – გამა-დიდებელი ხელსაწყოების საინჟინრო ტექნოლოგია.</p>	<p>ზოგიერთი ორგანიზმის დანახვა და შესწავლა შეიძლება მხოლოდ გამადიდებელი ხელსაწყოთი – მიკროსკოპითაა შესაძლებელი.</p>	<p>გამადიდებელი ხელსაწყოების გამოგონების მნიშვნელობაზე მსჯელობა; მიკროსკოპის სამუშაოდ მომზადება და ოპიექტის კვლევა; მიკროპრეპარატის მომზადება და მისი მიკროსკოპით განხილვა; მიკროსკოპი დანახულის მიხედვით ნახატების გაკეთება.</p>
<p>მიკროორგანიზმები</p> <p>2.1. მიკრო-ორგანიზმები. ვირუსები</p> <p>2.2. ბაქტერიები</p> <p>2.3. ეუკარიოტი მიკრო-ორგანიზმები. ერთუჯრედიანი სოკოები</p> <p>2.4. წყალმცენარეები და უმარტივესები</p> <p>2.5. მიკროორგანიზმების როლი ბუნებაში</p> <p>2.6. დაავადებების გამომწვევი მიკროორგანიზმები</p> <p>2.7. ბაქტერიული დაავადებები</p> <p>2.8. ეუკარიოტი მიკროორგანიზმებით გამოწვეული დაავადებები</p> <p>2.9. მავნე მიკროორგანიზმების გავრცელების აღკვეთა</p>	<p>როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისგან მიკრო-ორგანიზმები აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით?</p>	<p>სტრუქტურა – ვირუსის, ბაქტერიისა და ეუკარიოტი მიკროორგანიზმების სტრუქტურები, მათ-შორის, მამოძრავებელი სტრუქტურები – შოლტები, წამნამები;</p> <p>ფუნქცია – უჯრედის სტრუქტურების ფუნქციები;</p> <p>ნივთიერება – მემკვიდრეობითი ნივთიერება;</p> <p>სასიცოცხლო თვისება – კვება (ავტოტროფული, პარაზიტული, საპროფიტული), სუნთქვა, გამოყოფა, მოძრაობა, გალიზანებადობა, გამრავლება;</p> <p>მრავალფეროვნება – არაუჯრედული ფორმა, პროკარიოტი, ეუკარიოტი;</p> <p>შეგუებულობა – მიკროორგანიზმების შეგუება საარსებო გარემოსთან;</p> <p>კვლევის მეთოდი – მიკროორგანიზმების მიკროსკოპული კვლევისა და კულტივირების მეთოდები;</p> <p>კვლევა – მიკროორგანიზმების მიკროსკოპული კვლევა, მიკროორგანიზმების სასიცოცხლო თვისებებზე გარემო ფაქტორების გავლენის კვლევა;</p>	<p>მიკროორგანიზმების ჯგუფები ერთმანეთისგან განსხვავდებიან (მაგ., არაუჯრედული ფორმა, პროკარიოტი, ეუკარიოტი);</p>	<p>კვლევის საფუძველზე მიკრო-ორგანიზმების აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით შედარება</p>

	<p>რა დაავადებებს იწვევენ მიკროორგანიზმები?</p>	<p>ალმოჩენა – ვირუსებისა და ბაქტერიების აღმოჩენა.</p> <p>დაავადება – მიკროორგანიზმებით გამოწვეული დაავადებები; პარაზიტი, მასპინძელი, ინფექცია, ეპიდემია;</p> <p>ნივთიერება – შხამიანი/ტოქსიური ნივთიერება</p>	<p>მიკროორგანიზმებმა შეიძლება ინფექციური დაავადებები გამოიწვიონ</p>	<p>ვირუსული და ბაქტერიული, სოკოვანი დაავადებების ერთმანეთისგან განსხვავავება</p>
	<p>როგორ ავიცილოთ თავიდან ბაქტერიული, ვირუსული და ეუკარიოტი მიკროორგანიზმებით გამოწვეული დაავადებები?</p>	<p>ნივთიერება – ანტიბიოტიკი;</p> <p>ალმოჩენა – პენიცილინის აღმოჩენა;</p> <p>ჯანმრთელობა – სანიტარულ-ჰიგიენური წესები, ვაქცინა, ვაქცინაცია;</p> <p>კვლევის მეთოდი – სოციალური კვლევა;</p> <p>კვლევა – კვლევა ადამიანების ვაქცინაციისადმი დამოკიდებულების შესახებ;</p> <p>ტექნოლოგია – ფარმაკოლოგია.</p>	<p>ვირუსით გამოწვეული დაავადებებისგან განსხვავებით, ბაქტერიული დაავადებების მკურნალობა ანტიბიოტიკებითაა შესაძლებელი</p>	<p>დაავადებების პრევენციის (ჰიგიენა, ვაქცინაცია) შესახებ მსჯელობა</p>
	<p>რა დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობა აქვს ვირუსებს/ბაქტერიებს ადამიანისთვის?</p> <p>რა მოხდება, თუ მიკროორგანიზმები ალარიარსებებენ?</p>	<p>ჯანმრთელობა – ვირუსოლოგია, ბაქტერიოლოგია, პარაზიტოლოგია;</p> <p>ტექნოლოგია – კვების ტექნოლოგია;</p> <p>მდგრადი განვითარება – სასარგებლო მიკროორგანიზმების გამრავლების ხელშეწყობა.</p>	<p>ზოგიერთი მიკროორგანიზმი (მაგ., ნაწლავის ბაქტერია, რძეზუავა ბაქტერია)</p> <p>სასარგებლოა ადამიანისთვის, მათ ასევე მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ბუნებაში (მაგ., ნიადაგის ბაქტერიები).</p>	<p>ბუნებასა და ადამიანისთვის ბაქტერიების მნიშვნელობის დასაბუთება; მიკროორგანიზმებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვა-დასხვა პროფესიასთან / საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, კვების ტექნოლოგია, ვირუსოლოგია, ბაქტერიულოგია, პარაზიტოლოგია, მიკრობიოლოგია).</p>

მცენარეები	რა განსხვავება და მსგავსებაა მცენარეთა სხვადასხვა ჯგუფის აგებულებასა და სასიცოცხლო თვისებებში?	სისტემატიკური ჯგუფები – ბაქტერიები, ერთუჯრედიანი ეუკარიოტი ორგანიზმები (პროტოკოლურისტები), სოკობი, მცენარეები, ცხოველები; სტრუქტურა – მცენარეული უჯრედის სტრუქტურები, მცენარეების სტრუქტურა: ფოთოლი, ღერო, რიზოიდი, ფესვი, ყვავილი, ნაყოფი, თესლი; ფუნქცია – მცენარის ორგანოების ფუნქციები	მცენარეთა ჯგუფები (წყალმცენარეები, ხავსები, გვიმრები, შიშველ-თესლოვნები, ფარულთესლოვნები) განსხვავდება აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით	
3.1. ცოცხალი ორგანიზმების კლასიფიკაცია	რა განსხვავება და მსგავსებაა მცენარეთა სხვადასხვა სისტემატიკური ჯგუფები – ბაქტერიები, ერთუჯრედიანი ეუკარიოტი ორგანიზმები (პროტოკოლურისტები), სოკობი, მცენარეები, ცხოველები; სტრუქტურა – მცენარეული უჯრედის სტრუქტურები, მცენარეების სტრუქტურა: ფოთოლი, ღერო, რიზოიდი, ფესვი, ყვავილი, ნაყოფი, თესლი; ფუნქცია – მცენარის ორგანოების ფუნქციები	ნივთიერება – ცელულოზა, სახამებელი, გლუკოზა, წყალი, ნახშირორჟანგი, უანგბადი;	ნივთიერება – ცელულოზა, სახამებელი, გლუკოზა, წყალი, ნახშირორჟანგი, უანგბადი;	
3.2. მცენარეების თავისებურებანი		სისტემა – მცენარე, როგორც ცოცხალი სისტემა;	სისტემა – მცენარე, როგორც ცოცხალი სისტემა;	
3.3. მცენარეების კვება. ფოთოსინთეზი		სასიცოცხლო თვისება – კვება, სუნთქვა, ზრდა-განვითარება, გამრავლება, მოძრაობა;	სასიცოცხლო თვისება – კვება, სუნთქვა, ზრდა-განვითარება, გამრავლება, მოძრაობა;	
3.4. ფოთოსინთეზის პროცესის კვლევა		კვლევის მეთოდი – დაკვირვება;	კვლევის მეთოდი – დაკვირვება;	
3.5. მცენარის სუნთქვის თავისებურებანი		კვლევა – მცენარეების აგებულების კვლევა;	კვლევა – მცენარეების აგებულების კვლევა;	
3.6. ნივთიერებათა ტრანსპორტი მცენარეებში				
3.7. ყვავილოვანი მცენარეების გამრავლება				
3.8. ყვავილოვანი მცენარეების სასიცოცხლო ციკლი				
3.9. მცენარეების უსქესო გამრავლება				
3.10. შიშველთესლოვანი მცენარეები				
3.11. ხავსები				
3.12. ხავსების სასიცოცხლო ციკლი. ხავსების მნიშვნელობა				
3.13. გვიმრები				
3.14. მცენარეების მნიშვნელობა				
3.15. მცენარეთა ბიომრავალფეროვნება და მისი დაცვა	რაში გამოხატება მცენარეთა სხვადასხვა სისტემატიკური ჯგუფის გარემოსთან შეგუებულობა?	შეგუებულობა – მცენარეების აგებულებისა და სასიცოცხლო პროცესის გარემოსთან შეგუებულობა.	მცენარეები, ისევე, როგორც სხვა ცოცხალი ორგანიზმები, შეგუებულნი არიან მათ ბუნებრივ საარსებო გარემოს.	მცენარეთა სხვადასხვა სისტემატიკური ჯგუფის (ხავსები, გვიმრები, შიშველთესლოვნები, ფარულთესლოვნები) გარემოსთან შეგუებულობის მაგალითების მოყვანა.

<p>როგორ იკვებებიან და სუნთქა- ვენ მწვანე მცენარეები?</p> <p>რატომ მიიჩნევა, რომ ყველა ორგანიზმის არსებობა ფო- ტოსინთეზის პროცესზეა დამოკიდებუ- ლი?</p>	<p>სტრუქტურა – ფოთო- ლი, ქლოროპლასტი, ბაგეები;</p> <p>ფუნქცია – ფოთლის, ქლოროპლასტის, ბაგეების ფუნქცია ფო- ტოსინთეზში;</p> <p>სასიცოცხლო თვისება – კვება (ფოტოსინთეზი) – ფოტოავტოტროფუ- ლი), სუნთქვა;</p> <p>კვლევის მეთოდი – ექსპერიმენტული;</p> <p>ნივთიერება – ქლორო- ფილი, ფოტოსინთეზის საწყისი ნივთიერებე- ბი და პროდუქტები: ნყალი, ნახშირორჟანგი, უანგბადი, გლუკოზა, სახამებელი;</p> <p>ენერგია – სინათლის ენერგია, სუნთქვის პროცესში გამოთავი- სუფლებული ენერგია;</p> <p>კვლევა – ფოტოსინ- თეზის პირობების კვ- ლევა, ფოტოსინთეზის ინტენსივობის კვლევა გარემო ფაქტორებზე დამოკიდებულებით;</p> <p>აღმოჩენა – ვან ჰელმონტის, ჯოზეფ პრისტლის, იან ინჟენე- რუზის ექსპერიმენტები და აღმოჩენები, ფოტო- სინთეზის აღმოჩენა.</p>	<p>მწვანე მცენარეებში მიმდინარეობს ფოტოსინთეზის პროცესი, რაც ცოცხალ სამ- ყაროს უანგბადი- თა და საკვებით უზრუნველყოფს; ფოტოსინთ- ეზის პროცესის აღმოჩენამ დიდი როლი ითამა- შა მცენარეების მნიშვნელობის გააზრებაში</p>	<p>ფოტოსინთეზის პროცესის აღწერა; კვლევის საფუძ- ველზე მსჯელობა იმ ფაქტორებზე, რომლებიც მოქ- მედებენ მცენარის ზრდა-განვი- თარებასა და ფოტოსინთეზის ინტენსივობაზე.</p>
<p>რა როლს ასრულებს მცენარეები ადამიანის საქმიანობაში?</p>	<p>ბიომრავალფეროვნება – ხავსები, გვიმრები, შიშველთესლოვნები, ფარულთესლოვნები, ენდემური, რელიეფუ- რი, ინტროდუცირე- ბული და ინვაზიური სახეობები;</p> <p>ტექნოლოგია – კვების მრეწველო- ბა, ფარმაკოლოგია, მსუბუქი მრეწველო- ბა, კოსმეტოლოგია, ქიმიური მრეწველობა, მშენებლობა;</p>	<p>მცენარეთა ბიომრავალ- ფეროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის (მრეწველობა, სოფლის მეურ- ნეობა და სხვ.) და ეკოსისტემის მდგრადობის შე- ნარჩუნებისთვის.</p>	<p>მცენარეული საფარველის და ბიომრავალ- ფეროვნების დაცვის მნიშვნე- ლობის დასაბუ- თება.</p>

		<p>კვლევის მეთოდი – საველე კვლევა; კვლევა – საცხოვრებელ რეგიონში მცენარეთა ბიომრავალფეროვნების კვლევა; ნივთიერება – ფიტონციდები, C ვიტამინი;</p> <p>ჯანმრთელობა – მცენარეების როლი ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებაში;</p> <p>მდგრადი განვითარება – მცენარეთა ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებები.</p>		
	როგორ უნდა მქონდეს უსაფრთხო ურთიერთობა მცენარეებთან?	<p>ნივთიერება – ალერგენები, შსამიანი ნივთიერება;</p> <p>ჯანმრთელობა – შსამიან მცენარეებთან უსაფრთხო ურთიერთობა; ჰიგიენის წესები.</p>	მცენარეებთან ურთიერთობის დროს უნდა დავიცვათ ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესები	ადამიანისათვის მცენარეებთან ურთიერთობის რისკებზე მსჯელობა
	რაში გამოიხატება მცენარეთა სხვადასხვა ჯგუფის სასიცოცხლო ციკლის თავისება?	<p>სტრუქტურა – სპორანგიუმი, სპორა, სასქესო უჯრედები (გამეტები), ზიგოტა, ყვავილი, თესლი;</p> <p>სასიცოცხლო თვისება – გამრავლება (უსქესო და სქესობრივი), ზრდა-განვითარება;</p> <p>კვლევის მეთოდი – დაკვირვება, ექსპერიმენტული კვლევა;</p> <p>კვლევა – მცენარეების ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი პირობების ექსპერიმენტული კვლევა, დაკვირვება სასიცოცხლო ციკლზე.</p>	<p>სასიცოცხლო ციკლი ორგანიზმების განვითარების სტადიების / ფაზების ერთობლიობაა</p> <p>მცენარეების სხვადასხვა ჯგუფს განსხვავებული სასიცოცხლო ციკლი აქვს.</p>	კვლევის საფუძველზე მცენარის ზრდა-განვითარებაზე, მის სასიცოცხლო ციკლზე მსჯელობა.

	<p>რატომ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ მრავლდებიან მცენარეები?</p>	<p>მდგრადი განვითარება – მცენარეების გამ- რავლებაზე ზრუნვა; გარემოს დაცვა – მცენარეების როლი გარემოს გაფანსაღე- ბაში;</p> <p>სოფლის მეურნეო- ბა – კულტურული მცენარეების გამრავ- ლება და პროდუქტი- ულობის გაზრდა;</p> <p>ტექნოლოგია – სე- ლექციის ეფექტურო- ბის გაზრდა ახალი ჯიშების გამოყვანის თვალსაზრისით.</p>	<p>მცენარეთა სასი- ცოცხლო ციკლის ცოდნა აუცილე- ბელია მცენარეთა ბიომრავალ- ფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობაში კულტურული მცენარეების მოსავლიანობის გაზრდისათვის.</p>	<p>მცენარეების სასი- ცოცხლო ციკლის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავ- შირება სხვადასხვა პროფესიასთან / საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა).</p>
<p>სოკოები 4.1. სოკოები. ქუდიანი სოკოები 4.2. სოკოების მრავალ- ფეროვნება 4.3. სოკოების მნიშვნელობა</p>	<p>რატომ გამოყვეს მეცნიერებმა სოკოები და- მოუკიდებელ ჯგუფად?</p>	<p>სტრუქტურა – სოკოს უჯრედის სტრუქ- ტურები: უჯრედის კედელი, პლაზმური მემბრანა, ვაკუოლი, ციტოპლაზმა, ბირთვი, მიტოქონდრია;</p> <p>ნივთიერება – ქიტინი, გლიკოგენი;</p> <p>სისტემა – სოკო, როგორც ცოცხალი სისტემა;</p> <p>სასიცოცხლო თვისებე- ბი – კვება: ჰეტერო- ტროფული (საპროფი- ტული, პარაზიტული, სიმბიოზური); ზრდა-განვითარება.</p>	<p>სოკო იკვებება, როგორც ცხოვე- ლი – მზა ორგან- ული ნივთიერე- ბებით.</p>	<p>მსჯელობა სოკოს აგებულებაზე, რაც განასხვავებს მათ მცენარეებისა და ცხოველებისაგან</p>

	სად გვხვდება სოკოები?	შეგუძლობა – საცხოვრებელ გარემოსთან შეგუება	სოკოები გვხვდება ყველგან: ნიადაგში, წყალში, პროდუქტებში, ადამიანისა და ცხოველის სხეულზე და სხვ.	მსჯელობა სოკოების საცხოვრებელი ადგილის შესახებ.
	როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისგან აგებულებითა და სასიცოცხლო თვისებებით ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი სოკოები?	სტრუქტურა – ჰიფები, მიცელიუმი, ფეხი, ქუდი, ნაყოფსხეული; ფუნქცია – სოკოს სხეულის სტრუქტურების ფუნქციები სასიცოცხლო თვისებები – კვება, გამრავლება, ზრდა, მოძრაობა; ბიომრავალფეროვნება – საფუარი სოკოები, ქუდიანი სოკოები, აბედა სოკოები, ობის სოკოები.	არსებობს ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი სოკოების დახასიათება აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით.	
	რატომ უნდა ვიცოდეთ სოკოების გამრავლების ხერხები?	სტრუქტურა – სპორა, მიცელიუმი; სასიცოცხლო თვისება – გამრავლება; ბიომრავალფეროვნება – სოკოების მრავალფეროვნების დაცვა, მცენარეების დაცვა პარაზიტი სოკოებისგან; ჯანმრთელობა – ადამიანის პარაზიტი სოკოების გამრავლების შეზღუდვა.	სოკოები მრავლდებიან სხეულის დაყოფით და სპორებით.	მსჯელობა სოკოების გამრავლების საშუალებებზე და მისი ცოდნის მნიშვნელობაზე.

	<p>რა მნიშვნელობა აქვს სოკონებს ადამიანისთვის?</p>	<p>ნივთიერება – ანტიბიოტიკები;</p> <p>ტექნოლოგია – კვების ტექნოლოგია, ფარმაკოლოგია.</p>	<p>ადამიანი სოკონებს იყენებს მედიცინაში, საკვები პროდუქტების დამზადებაში.</p>	<p>მსჯელობა სხვადასხვა სოკონების მნიშვნელობაზე ადამიანისათვის.</p>
	<p>რა მნიშვნელობა აქვს სოკონებს ბუნებაში?</p>	<p>სასიცოცხლო თვისება – საპროფიტული კვება.</p>	<p>ბუნებაში სოკონები შლიან ყოველივე ორგანულს და მონაწილეობენ ნაყოფიერი ნიადაგის წარმოქმნაში.</p>	<p>მსჯელობა სოკონების მნიშვნელობაზე ბუნებაში.</p>
	<p>როგორ ავიცილოთ თავიდან სოკოვანი დაავადებები?</p>	<p>ნივთიერება – შხამიანი ნივთიერება;</p> <p>დაავადება – პარაზიტი სოკონებით გამოწვეული ინფექციური დაავადებები, შხამიანი სოკოთი მოწამვლა;</p> <p>ჯანმრთელობა – ჰიგიენის წესები, სოკონებთან უსაფრთხო ურთიერთობის წესები.</p>	<p>ზოგიერთმა სოკომ შეიძლება გამოიწვიოს მცენარის, ცხოველისა და ადამიანის დაავადება.</p>	<p>მსჯელობა მცენარის, ცხოველისა და ადამიანის სოკოვან დაავადებებსა და მისი თავიდან აცილების საშუალებებზე.</p>
<p>ცხოველები</p> <p>5.1. ცხოველთა სამეფო. ცხოველთა კლასიფიკაცია</p> <p>5.2. თევზის გარეგანი აგებულება.</p> <p>ჩონჩხი</p> <p>5.3. თევზების შინაგანი აგებულება</p> <p>5.4. თევზების სასიცოცხლო ციკლი. მნიშვნელობა და დაცვა</p> <p>5.5. ამფიბიები. ამფიბიების გარეგანი და შინაგანი აგებულება</p> <p>5.6. ამფიბიების სასიცოცხლო ციკლი.</p>	<p>რა განსხვავება და მსგავსებაა ხერხემლიანების სხვადასხვა ჯგუფს შორის?</p> <p>როგორ განვასხვავოთ ფეხსახსრიანების სხვადასხვა ჯგუფი ერთმანეთისგან?</p>	<p>სტრუქტურა – ხერხემლი, საჭმლის მომნელებელი, სისხლის მიმოქცევის, სასუნთქი, გამრავლების, გამომყოფი, ნერვული სისტემების ორგანოები, გრძნობათა ორგანოები, კიდურები, ფეხსახსრიანებში სხეულის ნაწილები (თავი, მკერდი, მუცელი) და ა.შ.</p> <p>ფუნქცია – ცხოველის ორგანოების ფუნქციები;</p>	<p>როგორც ხერხემლიანები (თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები, ძუძუმწოვრები), ასევე უხერხემლო (მაგ., მოლუსკები, ჭიები, ფეხსახსრიანები) ცხოველები განსხვავდებიან აგებულებისა და ცხოველქმედების პროცესებით.</p>	<p>ჩატარებული კვლევის (შედარებით-ანატომიური, ლუპით დაკვირვება, ან ქცევის კვლევა) საფუძველზე ცხოველთა სხვადასხვა სისტემატიკური ჯგუფის ერთმანეთისგან განსხვავება აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების (მაგ., უსქესო, სქესობრივი გამრავლება, სუნთქვა, გაღიზიანებადობა) მიხედვით.</p>

<p>მნიშვნელობა და დაცვა</p> <p>5.7. ქვეწარმავ- ლები</p> <p>5.8. ქვე- წარმავლების სასიცოცხლო ციკლი. მნიშ- ვნელობა და დაცვა</p> <p>5.9. ფრინ- ველები</p> <p>5.10. ფრ- ინველების სასიცოცხლო ციკლი</p> <p>5.11. ფრ- ინველების ბიომრავალ- ფეროვნება, მნიშვნელობა და დაცვა</p> <p>5.12. ძუძუმ- წოვრები</p> <p>5.13. ძუძუმ- წოვრების სასიცოცხლო ციკლი</p> <p>5.14. ადამიანის სასიცოცხლო ციკლი</p> <p>5.15. ძუძუმ- წოვრების ბიომრავალ- ფეროვნება და მისი დაცვა</p> <p>5.16. უხერხ- ემლოები. ნაწ- ლავლუიანები</p> <p>5.17. ჭიები</p> <p>5.18. რგოლო- ვანი ჭიები</p> <p>5.19. მოლუსკები</p> <p>5.20. ფეხ- სახსრიანები.</p> <p>მწერები</p> <p>5.21. ობობასნაირები და კობოს- ნაირები</p> <p>5.22. ფეხსახს- რიანთა მნიშვნ- ელობა.</p>	<p>ნივთიერება – ორგან- ული და არაორგან- ული ნივთიერებები (მაგ., სამარაგო ნახ- შირწყალი გლიკოგენი, შხამიანი ნივთიერება);</p> <p>სისტემა – ცხოველი, როგორც ცოცხალი სისტემა;</p> <p>სასიცოცხლო თვისებე- ბი – კვება (ჰეტერო- ტროფული: საპროფი- ტული, პარაზიტული), სუნთქვა, გამოყოფა, მოძრაობა, ზრდა-გან- ვითარება, გაღიზიანე- ბადობა;</p> <p>შეგუებულობა – ცხო- ველების შეგუებუ- ლობა საცხოვრებელ გარემოსთან;</p> <p>კვლევის მეთოდი – დაკვირვება, ექსპერი- მენტული;</p> <p>კვლევა – გარემო ფაქტორებზე ჭი- აყელას ქცევებზე და- კვირვება; აკვარიუმის თევზების სუნთქვის სიხშირის დამოკი- დებულება წყლის ტემ- პერატურაზე, წყალში ჟანგბადის რაოდენო- ბაზე.</p>	<p>გამრავლების რა ფორმე- ბია დამახა- სიათებელი ცხოველებისთ- ვის?</p>	<p>სასიცოცხლო თვისებე- ბი – გამრავლება: უს- ქესო და სქესობრივი, შინაგანი განაყოფი- ერება და გარეგანი განაყოფიერება;</p>	<p>ცხოველებს ახასი- ათებთ როგორც უსქესო, ასევე სქესობრივი გამ- რავლება.</p>	<p>ცხოველთა სხვა- დასხვა სისტე- მატიკური ჯგუფის ერთმანეთისგან განსხვავება გამ- რავლების თავისე- ბურების მიხედვით.</p>
--	---	--	--	---	---

		<p>სტრუქტურა – სათესლე, საკვერ- ცხე, სპერმატოზოი- დი, კვერცხუჯრედი, ზიგოტა, ჩანასახი, კვერცხი, საშვილოსნო;</p> <p>შეგუებულობა – გამრავლების თავ- ისებურების შეგუება საცხოვრებელ გარე- მოსთან;</p> <p>კვლევის მეთოდი – დაკვირვება;</p> <p>კვლევა – ფრინველის კვერცხის აგებულების კვლევა.</p>	
რა მნიშვნ- ელობა აქვს არაპირდაპირ განვითარებას ორგანიზმის გარემოსთან შეგუებისთვის?	<p>სასიცოცხლო თვისე- ბები – ზრდა-განვი- თარება: პირდაპირი და არაპირდაპირი განვითარება;</p> <p>შეგუებულობა – ლარ- ვისა და ზრდასრული ფორმების განსხ- ვავებულ საცხოვრებ- ელ გარემოსა და საკვებთან შეგუება;</p> <p>კვლევის მეთოდი – დაკვირვება;</p> <p>კვლევა – თავკომ- ბალას განვითარებაზე დაკვირვება აკვარი- უმში.</p>	<p>ცხოველების სასიცოცხლო ციკლი შეიძლება მიმდინარეობდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი გარდაქმნის გზით.</p>	<p>ცხოველებში პირდაპირი და არაპირდაპირი განვითარების განსხვავება;</p> <p>არგუმენტირებული მსჯელობა ორ- განიზმებისათვის განვითარების სტა- დიების მონაცვლე- ობის ბიოლოგიურ მნიშვნელობაზე;</p> <p>ორგანიზმების სა- სიცოცხლო ციკლის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავ- შირება სხვადასხვა სხვადასხვა პრო- ფესიასთან /საქმი- ანობის სფეროსთან ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა).</p>

<p>რა თავისე- ბურებები ახასიათებს ადამიანის სასიცოცხლო ციკლის სხვა- დასხვა სტა- დიას?</p> <p>როგორ შეი- ძლება თავიდან ავირიდოთ ან შევამციროთ „გარდატეხის“ ასაკისთვის და- მახასიათებელი ცვლილებებით გამოწვეული რისკები?</p>	<p>სასიცოცხლო თვისება – ზრდა-განვითარება; ჯანმრთელობა – გარდატეხის ასაკთან დაკავშირებული რისკების შემცირება / თავიდან აცილება – საჭიროების შემთხ- ვევაში კონსულტაცია დერმატოლოგთან, ფსიქოლოგთან, სე- ქსოლოგთან;</p> <p>კვლევის მეთოდი – სოციალური კვლევა (გამოკითხვა), ინტერ- ვიუ;</p> <p>კვლევა – გამოკითხვა, ინტერვიუ ფსიქოლოგ- თან.</p>	<p>ადამიანის სასი- ცოცხლო ციკლის ერთ-ერთი სტადი- ისთვის (ე.წ. გარ- დატეხის ასაკი) დამახასიათებლია მნიშვნელოვანი ცვლილებები.</p>	<p>არგუმენტირე- ბული მსჯელობა ადამიანისათვის განვითარების სტა- დიების მონაცვლე- ობის პიოლოგიურ მნიშვნელობაზე;</p> <p>კვლევის (გამოკ- ითხვა, ან ინტერ- ვიუ ფსიქოლოგ- თან) საფუძველზე გარდატეხის ასაკი- სათვის დამახასი- ათებელ ცვლილე- ბებსა და შესაძლო რისკებზე მსჯელო- ბა, კვლევის ეთიკის დაცვა;</p> <p>ადამიანის სასი- ცოცხლო ციკლის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავ- შირება სხვადასხ- ვა სხვადასხვა პროფესიასთან (ჯანმრთელობის დაცვა, მედიცინა, ფსიქოლოგია).</p>
<p>რა როლს ასრულებენ ცხოველები ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში?</p>	<p>ბიომრავალფეროვნე- ბა – უხერხემლო და ხერხემლიანი ცხო- ველები, ენდემური, ინტროდუცირებული და ინვაზიური სახ- ეობები; ბიომრავალ- ფეროვნებისა დაცვა; მდგრადი განვითარება – ცხოველთა ბიომ- რავალფეროვნების დაცვის ღონისძიებები;</p> <p>ტექნოლოგია – კვების ტექნოლო- გია, ფარმაკოლოგია, ბიონიკა (ცხოველთა აგებულებისა და</p>	<p>ცხოველთა ყველა ჯგუფს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის და ეკოსისტემის მდგრადობისთვის.</p>	<p>ცხოველთა ბიომ- რავალფეროვნების დაცვის მნიშვნე- ლობის დასაბუთე- ბა.</p>

		<p>სხეულის ფორმის გამოყენება საინჟინ- რო ტექნოლოგიაში), მრეწველობა, სოფლის მეურნეობის დარგები; დაავადება – პარაზიტი ჭიებით გამოწვეუ- ლი დაავადებები მცენარეებში, ცხ- ოველებსა და ადამი- ანში;</p> <p>კვლევის მეთოდი – საველე კვლევა;</p> <p>კვლევა – ფრინ- ველების, უხერხემლო ცხოველების ბიომ- რავალფეროვნების კვლევა.</p>		
	<p>რატომ უნდა დავიცვა ცხო- ველებთან ურთიერთო- ბის დროს ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესები?</p>	<p>დაავადება – პარაზიტი ჭიებით გამოწვეუ- ლი დაავადებები ადამიანში, შხამიანი ცხოველების შხამით მოწამვლა;</p> <p>ჯანმრთელობა – ჰი- გიენური წესების დაც- ვა, უსაფრთხო ქცევის წესების დაცვა შხამიან ცხოველებთან.</p>	<p>ცხოველებთან ურთიერთობის დროს უნდა და- ვიცვათ ჰიგიენისა და უსაფრთხოე- ბის წესები.</p>	<p>ადამიანისთვის ცხ- ოველებთან ურთ- იერთობის რისკებ- სა და პრევენციულ ღონისძიებებზე მსჯელობა.</p>

ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები

კონსტრუქტივიზმის ძირითადი პრინციპები

მოსწავლის წიგნი აგებულია კონსტრუქტივიზმის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით. თანამედროვე ზოგადი განათლების მთავარი გამოწვევა და მიზანი არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დანერგვა. ეს იმას ნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს კონსტრუქტივისტული თეორიის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით. კონსტრუქტივიზმის ძირითადი პრინციპებია:

- **სწავლა აქტიური პროცესია –** სწავლა მაშინ არის ეფექტური, როდესაც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში, როდესაც მოსწავლეს ვთვავაზობთ სწავლის ისეთ მეთოდებსა და აქტივობებს, რომლის შესრულების პროცესში თვითონ აღმოაჩენს რაღაც კანონზომიერებებს, დაადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და ა.შ.
- **ახალი ცოდნა და გამოცდილება სოციალური გზით აიგდა –** სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის დროს მოსწავლეები იძენენ ისეთ ცოდნას, რომლის შექმნას ისინი დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ; როდესაც თანატოლებთან ჯგუფში მუშაობენ და ეცნობიან ახალ ინფორმაციას, ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს, ეცნობიან განსხვავებულ შეხედულებებს, კამათობენ, რაც მათ მასალის უკეთ გაგებაში ეხმარება.
- **გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, გამოცდილება და დამოკიდებულება –** ამ შემთხვევაში მოსწავლეები ახალ ინფორმაციას ადვილად იგებენ, ადვილად იძენენ ახალ ცოდნას და უნარებს; მასწავლებელმა ის რისკიც უნდა გაითვალისწინოს, რომ განსახილველი საკითხის მიმართ არსებულმა ცოდნამ, დამოკიდებულებამ შეიძლება ხელი შეუშალოს ახალი ინფორმაციის აღქმასა და მიღებაში.
- **გულისხმობს სასწავლო საკითხების ძირითადი პრინციპების წვდომასა და გააზრებას –** შეთავაზებულია აქტივობები, რომელიც მოსწავლეს ეხმარება ძირითადი ცნებებისა და წარმოდგენების გააზრება-გაცნობიერებაში.
- **მასწავლებელი არის პროცესის „ფასილიტატორი“ –** მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს აქტიური სწავლების აქტივობებს, ასწავლის გზებს, აძლევს ინსტრუქციას, ამ გზის გავლა კი მოსწავლეს დამოკიდებლად უწევს.

სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ როლს უზრუნველყოფს სწავლების ისეთი მიდგომები, როგორიცაა კვლევაზე, პრობლემაზე და პროექტზე დაფუძნებული სწავლება. აღნიშნული სტრატეგიები ანვითარებს მაღალ საზროვნო უნარებს.

აქტიური სწავლების მიზანები და მეთოდები

კვლევაზე დაფუძნებული სწავლება

ბიოლოგიის სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსწავლეებში სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების განვითარება. ამიტომ ამ საგნის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, უპირველეს ყოვლისა, კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას გულისხმობს. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იმეორებს რეალურ მეცნიერულ სამუშაოს და გადააქვს მისი ძირითადი პრინციპები საკლასო სივრცეში.

კვლევა გულისხმობს საკვლევი შეკითხვის დასმას და მათზე პასუხის გაცემას დაკვირვების, ცდის, ექსპერიმენტის მეშვეობით, კითხვარებისა და ინტერვიუების საშუალებით ჩატარებული კვლევებით (სოციალური კვლევა).

1. სამეცნიერო მეთოდი

ზემოთ დასახელებული კვლევის ფორმებიდან კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მთავარ საშუალებას წარმოადგენს ცდა/ექსპერიმენტი – **სამეცნიერო მეთოდი**. სამეცნიერო მეთოდი მოითხოვს თანმიმდევრულად შემდეგი ნაბიჯების გადადგმას:

- **საკვლევი კითხვის დასმა** – სამეცნიერო მეთოდი იწყება საკვლევი შეკითხვის დასმით დაკვირვების ობიექტის შესახებ. საკვლევი კითხვა ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელი იყოს მონაცემების (თვისობრივი, რაოდენობრივი) შეგროვება და გაანალიზება;
- **საკვლევი კითხვის შესახებ ინფორმაციის დამუშავება** – საკითხის შესახებ არსებული ინფორმაციის შესწავლა კონკრეტულ სამეცნიერო სტატიის ან სხვა წყაროს საშუალებით;
- **ჰამოყალიბება** – გონივრული ვარაუდი იმის შესახებ, თუ რა შედეგი შეიძლება დადგეს ექსპერიმენტული კვლევის შედეგად;
- **ექსპერიმენტის დაგეგმვა** – ცვლადებისა (დამოკიდებული, დამოუკიდებელი და კონტროლირებადი) და ესპერიმენტისათვის საჭირო მასალის განსაზღვრა, პროცედურის ეტაპების დაგეგმვა;
- **ექსპერიმენტის ჩატარება და მონაცემების შეგროვება** – მონაცემების აღრიცხვის ფორმა დამოკიდებულია დაკვირვების ობიექტზე: შესაძლებელია ფოტო – მასალის, ვიდეო-მასალის, ნახატების, დაკვირვების დღიურის წარმოებით, უფრო ხშირად კი ექსპერიმენტის მონაცემების ჩასაწერად მონაცემთა ცხრილს იყენებენ. მონაცემთა ცხრილში დამოუკიდებელი ცვლადი ცხრილის მარცხენა სვეტში იწერება. ხოლო დამოკიდებული – მარჯვენაში (იხ. მონაცემთა ცხრილის ნიმუში ქვემოთ);

მონაცემთა ცხრილი: ქლორელას უჯრედების რაოდენობის ცვლილება ტემპერატურაზე დამოკიდებულებით	
ტემპერატურა	ქლორელას უჯრედების რაოდენობა
20°C	10
30°C	70
40°C	150
50°C	150

ცხრილში აღრიცხული მონაცემები უჩვენებს, რომ ტემპერატურა ამ ექსპერიმენტში დამოუკიდებელი ცვლადია (იგი ცხრილის მარცხენა მხარესაა ჩაწერილი), ხოლო ქლორელას უჯრედების რაოდენობა დამოკიდებული ცვლადია (ცხრილის მარჯვენა მხარესაა ჩაწერილი).

- **მონაცემების ანალიზი და დასკვნა** – ექსპერიმენტის შედეგების მეცნიერული ახსნა – ექსპერიმენტის დასრულდების შემდეგ საჭიროა მონაცემების გაანალიზება, რათა დადგინდეს მცდარია თუ არა ჰაპოთეზა. ამ მიზნით სასურველია მონაცემების ვიზუალურად ადვილად და ეფექტურად აღქმადი სახით წარმოდგენა; ცვლადებს შორის დამოკიდებულების აღწერას აადგილებს მონაცემების გრაფიკის სახით წარმოდგენა, რადგან მასზე უფრო ნათლად ჩანს ორ ცვლადს (დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადს შორის) დამოკიდებულება; გრაფიკის X ღრებზე დატანილია დამოუკიდებელი ცვლადი, ხოლო Y ღრებზე – დამოკიდებული ცვლადი; საბოლოოდ, ესპერიმენტის შედეგები გამოიყენება, როგორც მტკიცებულებები დასკვნის გასაკეთებლად. დასკვნა ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ პასუხობდეს საკვლევ შეკითხვას და ეთანხმებოდეს ან უარყოფდეს წამოყენებულ ჰაპოთეზას.
- **მიღებული შედეგებისა და დასკვნების გაზიარება** – იმისთვის, რომ სამეცნიერო პროცესი დასრულებულად ჩაითვალის, აუცილებელია მიღებული შედეგების შესახებ საბოლოო ინფორმაციის წარდგენა ანგარიშის ან სადემონსტრაციო პოსტერის საშუალებით.

სამეცნიერო მეთოდის ლექსიკონი

სამეცნიერო მეთოდი – ნაბიჯთა წყება, რომელთაც მოსწავლეები გამოიყენებენ, რათა საკვლევ შეკითხვას გასცენ დასაბუთებული პასუხი.

მონაცემები – ფაქტორივი ინფორმაცია, რომელიც ექვემდებარება ანალიზს და ორგანიზებულია ლოგიკური მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის.

ანომალური მონაცემი (არტეფაქტი) – მონაცემი, რომელიც ეწინააღმდეგება სხვა მონაცემების მიერ დადგენილ კანონზომიერებას ან შეუსაბამოა მასთან.

მონაცემთა ცხრილი – მონაცემთა ორგანიზების ფორმა მწკრივებად და სვეტებად.

მონაცემთა ანალიზი (ინტერპრეტაცია) – ექსპერიმენტის მიმდინარეობისას შეგროვილი მონაცემებისაგან საერთო აზრის გამოტანა. კანონზომიერებების, ტენდენციების, ურთიერთმიმართებების დადგენა.

ჰიპოთეზა – ერთგვარი პროგნოზი, თუ რა ზეგავლენას მოახდენს დამოუკიდებელი ცვლადი დამოკიდებულ ცვლადზე.

პროცედურა – ეტაპებად განერილი ინსტრუქცია კვლევის ჩასატარებლად და მონაცემების მისაღებად.

დასკვნა – აჯამებს ექსპერიმენტის მნიშვნელოვან ნაწილებს და წარმოადგენს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს მიღებული მონაცემები, დამოკიდებულებები, კანონზომიერებები.

ცვლადი – ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც შესაძლოა შეიცვალოს ექსპერიმენტის ჩატარებისას და გავლენა მოახდინოს კვლევის ობიექტზე, შესაბამისად, შედეგზე.

დამოკიდებული ცვლადი – ცვლადი, რომელიც რეაგირებს დამოუკიდებული ცვლადის ზემოქმედებაზე და რომლის ცვლილებასაც აკვირდებიან (თვისობრივი) და ზომავენ (რაოდენობრივი) ექსპერიმენტის მიმდინარეობისას.

დამოუკიდებელი (მანიპულირებადი) ცვლადი – ცვლადი, რომელსაც ექსპერიმენტატორი ცვლის შეგნებულად, რათა შეისწავლოს როგორ აისახება ეს ცვლილება დამოკიდებულ ცვლადზე.

კონტროლირებადი ცვლადი – მუდმივი ცვლადის სახეს ხვაობა, რომელიც ექსპერიმენტის ნაწილია. ექსპერიმენტის შედეგების სანდოობისათვის მნიშვნელოვანია, რომ ექსპერიმენტატორმა შეინარჩუნოს ის უცვლელად.

საკონტროლო ჯგუფი (კონტროლი) – კვლევის ობიექტი (მოვლენა, პროცესი, ორგანიზმი, ფიზიკური საგანი), ან ობიექტების ჯგუფი, რომლებზეც არ მანიპულირებენ დამოუკიდებელი ცვლადით;

საცდელი ჯგუფი (ნიმუში) – კვლევის ობიექტი, ან ობიექტების ჯგუფი, რომელზეც ახდენენ სპეციალურ ზემოქმედებას (მაგ., მანიპულირებენ დამოუკიდებელი ცვლადით).

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავების სხვა საშუალებებიც არსებობს (დაკვირვება, სოციალური კვლევა, საველე კვლევა). მიუხედავად იმისა, თუ რომელ მათგანს შეარჩევს მასწავლებელი, კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას აქვს ხუთი ძირითადი თვისება, რომელიც გამოიყენება ყველა შემთხვევაში:

1. კვლევითი პროცესი იწყება საკვლევი კითხვის დასმით
2. კვლევის დაგეგმვა;
3. კვლევის განხორციელება და მონაცემების შეგროვება-აღრიცხვა;
4. საკვლევ კითხვაზე პასუხი გაცემა/დასკვნის ჩამოყალიბება შეგროვებული მონაცემების/მტკ-კიცებულებების ანალიზის გზით;
5. კვლევის შედეგების გაზიარება.

თუ სასწავლო პროცესი სისტემატურად მიმდინარეობს კვლევაზე დაფუძნებული სწავლების რეზიმში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. ამიტომ

ჩვენს მოსწავლის წიგნში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ისეთ აქტივობებს, რომელიც ორიენტირებულია კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებაზე. მაგალითად, შესავალში (გვ. 7-8) დაწვრილებით არის განხილული სამეცნიერო მეთოდის ნაბიჯები კონკრეტული მაგალითებით, დანართებში (დანართი 1 და 2) მოცემულია კვლევითი სამუშაოს ანგარიშის ნიმუშები (გვ. 194-195).

შეთავაზებულია როგორც დაგეგმილი სამეცნიერო კვლევები (გვ 16 – „სხვადასხვა ორგანიზმის უჯრედის აგებულების კვლევა“, 33 – „რძემუავა ბაქტერიების აქტივობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე“, 35 – „საფუარი სოკოს გამრავლების პირობების კვლევა“, 44 – „მოსახლეობის ვაქცინაციისადმი დამოკიდებულების კვლევა“, 64 – „მცენარის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობების კვლევა“, 112 – „ობის სოკოს განვითარების პირობების კვლევა“, 137 – „დაკვირვება თავკომბალას განვითარებაზე“, 180 – საველე კვლევა „უხერხემლო ცხოველების ბიომრავალფეროვნების კვლევა“ და ა.შ.), ისე მოსწავლეებს ევალებათ, თვითონ დაგეგმონ კვლევა (გვ. 35 – „საფუარი სოკოს გამრავლების ინტენსივობის დამოკიდებულება საკვებზე“, 73 – „იან ინჰენხაუზის ექსპერიმენტის დაგეგმვა“, 75 – „დაკვირვება მცენარეში ნივთიერებათა ტრანსპორტირებაზე“, 137 – „ნეალმცენარეების მნიშვნელობის კვლევა თავკომბალას განვითარებისთვის“ და ა.შ.).

2. სამეცნიერო პრაქტიკები

რეალურად, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, განსაკუთრებით კი სამეცნიერო მეთოდი, მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთ მთაგარ სირთულედ ითვლება ის გარემოება, რომ სამეცნიერო მეთოდით წინასწარ განსაზღვრული ნაბიჯების განხორციელება ერთ საგაკვეთილო პერიოდში წარმოუდგენლად რთულია, ხოლო გაკვეთილების დაწყვილების საშუალება კი ყოველთვის და ყველგან ხელმისაწვდომი არ არის. გარდა ამისა, ხშირად ბიოლოგიური ექსპერიმენტის მონაცემების შეგროვებას, შედეგის მიღებას ხანგრძლივი დრო სჭირდება (მაგალითად, ექსპერიმენტი თესლის გაღივების, ანდა აღმონაცენის განვითარების პირობების კვლევა).

სამეცნიერო პრაქტიკები წარმოადგენს საბუნებისმეტყველო საგნების, მათ შორის, ბიოლოგიის სწავლების ისეთ გზას, რომელშიც კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ჩაშლილია ცალკეულ, ერთ-მანეთისაგან დამოუკიდებელ პროცესებად, თითოეული ამ პროცესის/პრაქტიკის განხორციელება და შედეგის მიღწევა შესაძლებელია სხვა პრაქტიკისგან დამოუკიდებლად, სამეცნიერო მეთოდისათვის დამახასიათებელი ქრონოლოგიის გათვალისწინების გარეშე, როგორც ერთ, ასევე ერთზე მეტ გაკვეთილში. სამეცნიერო პრაქტიკების გამოყენება აძლევს მასწავლებელს მეტ თავისუფლებას, რადგან მას შეუძლია დაანანილოს შესასწავლი თემა ცალკეულ ნაწილებად და მოარგოს თითოეული ნაწილი ცალკეულ პრაქტიკას, ან პრაქტიკებს.

სამეცნიერო პრაქტიკები იძლევა კვლევის ცალკეული ეტაპის დამოუკიდებლად შესწავლის, გავარჯიშების საშუალებას. ისე, რომ თითოეული პრაქტიკის გამოყენება აღარ არის შეზღუდული დროში და შესაძლებელია დამუშავდეს ერთ ან მეტ საგაკვეთილო პერიოდში. თითოეული პრაქტიკის შერჩევისას მასწავლებელს შეუძლია გაითვალისწინოს სასწავლო მიზნები, მოსწავლეთა საჭიროები, არსებული რესურსები თუ სხვა ფაქტორები. ერთი და იგივე პრაქტიკა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ერთმანეთისაგან განსხვავებული თემების შესწავლის დროს და პირიქით, ერთი საკითხის დამუშავებისას ასევე შესაძლებელია სხვადასხვა პრაქტიკის კომბინირება ერთმანეთთან. და ბოლოს, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მასწავლებელმა იცოდეს: როდესაც ის გეგმავს სასწავლო პროცესს სამეცნიერო პრაქტიკების გამოყენებით, მან იცის, რომ ახორციელებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს.

ქვემოთ მოცემულია რვა სამეცნიერო პრაქტიკის ფარგლებში მოსწავლის მიერ განხორციელებული ქმედებები:

საკვლევი შეკითხვის დასმა – სვამს საკვლევ კითხვებს საკუთარ გამოცდილებაზე დაფუძნებით, მოვლენებზე, პროცესებზე, მოდელებზე მიზანმიმართული დაკვირვებიდან გამომდინარე, მისთვის

საინტერესო მოვლენების/საკითხების შესწავლის მიზნით, ან დაკვირვების/ცდის ჩატარებისას მოულოდნელი შედეგის გამო; აფასებს, რა საჭირო ინფორმაცია აქვს უკვე პასუხის მისაღებად და კიდევ რა დამატებითი მონაცემები სჭირდება ამისათვის; გამოთქვამს ვარაუდს, ანუ მოსალოდნელ პასუხს საკვლევ შეკითხვაზე.

მოდელების შექმნა და გამოყენება – მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა სახის მოდელს განსაზღვრული საკითხის, მოვლენის, პროცესის სადემონსტრაციოდ, ასახსნელად, დასასაბუთებლად, ვარაუდის მხარდასაჭერად. მოდელი შეიძლება იყოს ფიზიკური (მაგ., მულაჟი, მაკეტი, ანალოგი), კოგნიტურ-ვიზუალური (სქემა, დიაგრამა, ცხრილი); იყენებს, ქმნის და ხვენს მოდელებს, რათა უჩვენოს და ახსნას არადაკვირვებადი ობიექტები, მოვლენები, პროცესები (მაგ., უჯრედის მოდელი).

კვლევის დაგეგმვა და ჩატარება – მოსწავლეები გეგმვენ და ატარებენ კვლევას (მაგ., დაკვირვებას, ექსპერიმენტს) სხვადასხვა გარემოში (მაგ., სკოლის ლაბორატორია, ბუნებრივი გარემო, სახლი, სკოლის ეზო), განსაზღვრავენ აღჭურვილობასა და სხვა საჭირო რესურსებს, წინასწარ აღწერენ კვლევის ეტაპებსა და პროცედურებს, აგროვებენ და აღრიცხავენ მონაცემებს.

მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია – წარმოადგენს არსებულ მონაცემებს ცხრილების, გრაფიკების, სხვა ვიზუალური საშუალებების გამოყენებით;

აკეთებს სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილი მონაცემების (მაგ., ცხრილები, გრაფიკები, დიაგრამები, სიმულაციები) ინტერპრეტაციას, განსაზღვრავს რაოდენობრივ თანაფარდობებს, ამოიცნობს კანონზომიერებებსა და ტენდენციებს, გამოაქვს სანდო და არგუმენტირებული დასკვნა.

მათემატიკური აპარატისა და ისტ (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გამოყენება – მოსწავლეები იყენებენ მათემატიკურ აპარატს (მაგ., განტოლებები, ფორმულები, პროპორციები, ფუნქციები) და პროცედურებს (მაგ., გამოთვლა, შედარება), როგორც ინსტრუმენტებს მონაცემების ანალიზისა და წარმოდგენისათვის. მათი გამოყენებით მოსწავლეები ადგენენ რაოდენობრივ კავშირებსა და კანონზომიერებებს, ქმნიან და იყენებენ კომპიუტერულ პროგრამებს/სიმულაციებს მონაცემების წარმოდგენისათვის, ანალიზისათვის, პროცესის/მოვლენის მოდელირებისათვის.

მოვლენებისა და პროცესების ახსნა – მოსწავლეები კონკრეტულ შემთხვევას, ყოფით სიტუაციას, თუ ექსპერიმენტის შედეგად მიღებულ მონაცემებს უსადაგებენ შესაბამის მეცნიერულ თეორიებსა და შეხედულებებს. ისინი წარმოადგენს განსაზილევლი მოვლენის/პროცესის „მეცნიერული ახსნას“, რომელიც ემყარება ერთი მხრივ, მოსწავლის მიერ მოპოვებულ ობიექტურ მონაცემებს, ხოლო მეორე მხრივ, არსებულ მეცნიერულ თეორიებსა და მიღებულ შეხედულებებს. ამგვარად, მოვლენის/პროცესის „მეცნიერულ ახსნას“ აქვს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ლოგიკური მსჯელობის სახე.

არგუმენტირებული მსჯელობა – მოსწავლეებს მოჰყავთ არგუმენტები თავიანთი შეხედულებების დასაცად, ამათუები მოსაზრების ძლიერი და სუსტი მხარის დასადგენად, დასმულ კითხვაზე საუკეთესო პასუხის/ახსნის მოსახებნად. ისინი აყალიბებენ არგუმენტებს სარწმუნო მტკიცებულებების სახით – ობიექტურ მონაცემებზე დაფუძნებით, შემდეგ კი იყენებენ მათ დისკუსიის, დებატების, უბრალოდ, მოსაზრებების გაზიარების დროს. განსხვავებული, ან ახალი მტკიცებულებების გაცნობის შედეგად, მათ, შესაძლოა, გადააფასონ და შეცვალონ საკუთარი შეხედულებები.

ინფორმაციის მოპოვება, შეფასება და გაზიარება – მოსწავლეები ახორციელებენ სამეცნიერო ხასიათის ტექსტიდან, სტატიიდან, ინტერნეტიდან, ვიდეოლექციიდან, დაკვირვების შედეგებიდან და სხვ. ინფორმაციის მოძიებას, შერჩევას, დამუშავებას, გაერთიანებას. ისინი ახდენენ მოძიებული ინფორმაციის ორგანიზებას ცხრილების, დიაგრამების, გრაფიკების, ნახატებისა და სხვა სახით (Excel და PowerPoint), აფასებენ ინფორმაციის სანდობას, მისი საჭიროებისამებრ გამოყენებას და მიღებული პროდუქტის გაზიარებას ზეპირი, წერითი ან სხვა ფორმით. ამ გზით ისინი იღებენ ცოდნას და უზიარებენ თავიანთ იდეებს, შედეგებს, „აღმოჩენებს“ სხვებს.


მოსწავლის წიგნში რვავე სამეცნიერო პრაქტიკის შესაბამისი აქტივობებია წარმოდგენილი. გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს.

საკვლევი შეკითხვის დასმა


გვ. 47. – რა არის ჯონ სნოუს კვლევის საკვლევი კითხვა?

სავარაუდო პასუხი: რა გზით ვრცელდება ადამიანებში ქოლერა?

გვ. 56. 3. ბოლო წლებში იმატა ადამიანების გრიპით დაავადების შემთხვევებმა. მოსწავლე და-ინტერესდა ამ პრობლემით. მან შეაგროვა მონაცემები და მის მიხედვით ააგო გრაფიკი. დააკვირდი გრაფიკს და განსაზღვრე, რა იყო მოსწავლის კვლევის მიზანი, ანუ საკვლევი კითხვა?



სავარაუდო პასუხი: როგორ არის გრიპით დაავადებულთა რაოდენობა დამოკიდებული ასაკზე?




გვ. 69. 3. ჩამოაყალიბე საკვლევი კითხვა ამ ექსპერიმენტისთვის.

სავარაუდო პასუხი: როგორ არის ფოტოსინთეზის სიჩქარე/ინტენსივობა დამოკიდებული განათებაზე/განათების ინტენსივობაზე?

გვ. 73 – მოსწავლეს ევალება დასვას საკვლევი კითხვა იან ინჰენერზის ექსპერიმენტისთვის.

სავარაუდო პასუხი: მცენარის მიერ ჰაერის „გამოსწორება“ დამოკიდებულია თუ არა სინათლეზე?

გვ. 162.



სავარაუდო პასუხი: რა პრობლემები ჰქონდათ გარდატების ასაკში და როგორ გაუმკლავდნენ მას?

მოდელების შექმნა და გამოყენება

- გვ. 10 – უჯრედის მოდელის შექმნა უჯრედის სტრუქტურული აგებულების შესწავლის მიზნით.
- გვ. 12. – ლუპის მოდელის შექმნა გამადიდებელი ხელსაწყოების მნიშვნელოვანი ნაწილის – ლინზის ფუნქციის გარკვევის მიზნით.
- გვ. 25 – უჯრედის მოდელის შექმნა რეალურ უჯრედთან შედარების მიზნით.
- გვ. 46 – მიკროორგანიზმების კულტივირების სქემატური მოდელის მიხედვით პროცესის აღწერა.
- გვ. 79, 86, 90, 93 და ა.შ. სქემატური მოდელების მიხედვით ორგანიზმების სასიცოცხლო ციკლების აღწერა, სხვადასხვა სახეობის ორგანიზმის სასიცოცხლო ციკლის ეტაპების შედარება.
- გვ. 114 – პენიცილინის მიღების სქემატური მოდელის მიხედვით პროცესის აღწერა.
- გვ. 191 – ჭიანჭველების ფერმის შექმნა მათ ქცევაზე დასაკვირვებლად.

კვლევის დაგეგმვა და ჩატრება

შესაბამისი მაგალითები უკვე განვიხილეთ ზემოთ (გვ. 30).

მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია


გვ. 17. მოსწავლე აანალიზებს სურათზე (1.4.2) მოცემულ მონაცემებს და წარმოადგენს ცხრილის სახით.

გვ. 25. აანალიზებს ცხრილში მოცემულ მონაცემებს, იყენებს მას, როგორც მტკიცებულებებს და აყალიბებს დასკვნას.

გვ. 55-56. მოსწავლეებს ევალებათ გრაფიკებზე მოცემული ინფორმაციის ანალიზი და ინტერპრეტაცია. სასურველია მასწავლებელმა აუხსნას მოსწავლეებს და გამოიყენოს **სტრატეგია „ამოცანი და ახსენი“**. გრაფიკებზე, დიაგრამებზე, მონაცემთა ცხრილებზე მუშობისას თავდაპირველად მოსწავლე ამოცნობს ამა თუ იმ სახის ინფორმაციას: ძირითად მახასიათებლებს, ცვლილებებს, განსხვავებებს, რასაც ჩაინიშნავს: „მე ვხედავ, რომ... „შემდეგ ეტაპზე მოსწავლემ უნდა ახსნას მის მიერ ჩანიშნული თითოეული დაკვირვება ახალი კომენტარით: „ეს ნიშნავს, რომ ...“.

გვ. 56. 2. საფუარ სოკოს ზრდიან ჭურჭელში, რომელშიც გლუკოზის ხსნარია მოთავსებული. საფუარის უჯრედების რაოდენობას ყოველ 20 წუთში ითვლიან. დააკვირდი გრაფიკს, აღწერე: როგორ იცვლება უჯრედების რაოდენობა მე-60 და 120-ე წუთებსა და 120-ე და მე-200 წუთებს შორის; ახსენი საფუარი სოკოს უჯრედების რაოდენობის ცვლილების მიზეზები.

საფუარის უჯრედების რაოდენობა (მილიონი)



2. მე ვხედავ, რომ:

- დიაგრამაზე მოცემულია ერთი გრაფიკული მრუდი, რომელიც ასახავს საფუარი სოკოს უჯრედების რაოდენობის ცვლილებას ყოველ 20 წუთში;
- მე-60 და 120 წუთებს შორის მკვეთრად აღმავალი ფორმა აქვს მრუდს;
- 120-ე და მე-200 წუთებს შორის მრუდს სწორხაზოვანი ფორმა აქვს.

ეს იმას ნიშნავს, რომ:

- მე-60 და 120 წუთებს შორის მკვეთრად გაიზარდა საფუარი სოკოს რაოდენობა;
- 120-ე და მე-200 წუთებს შორის კი სოკოს რაოდენობა აღარ იზრდება;

ასეთი ცვლილების მიზეზი არის ის, რომ დასაწყისში საფუარ სოკოს საკმარისი რაოდენობის საკვები აქვს გლუკოზის სახით, ხოლო 120-ე წუთის შემდეგ საფუარი სოკოს უჯრედების გამრავლების გამო ხსნარში გამოილევა გლუკოზა.

გვ. 103 – გრაფიკებზე წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ფოტოსინთეზის ინტენსივობის დამოკიდებულების ახსნა გარემო ფაქტორებზე (განათების ინტენსივობა, ნახშირორჟანგის რაოდენობა, ტემპერატურის ინტენსივობა).

მათემატიკური აპარატისა და ისტ (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გამოყენება



გვ. 33. 4. თუ 10 ბაქტერია მოათავსეს ხელსაყრელ პირობებში და ისინი ყოველ 20 წუთში მრავლდებიან, რამდენი ბაქტერია იქნება 5 წლის შემდეგ?

გვ. 44. „მოსახლეობის ვაქცინაციისადმი დამოკიდებულების კვლევა“ – მოსწავლეებს ევალება შეგროვებული მონაცემები წარმოადგინონ პროგრამა Excel – ის პროგრამის გამოყენებით შექმნილი სვეტოვანი დიაგრამის სახით.

გვ. 67. „ვან ჰელმონტის ექსპერიმენტის ანალიზი“ – ნიადაგისა და მცენარის მასის ცვლილების განსაზღვრა მიღებული მონაცემების გამოყენება, როგორც მტკიცებულება.



გვ. 80. 6 – მოსწავლეებს ევალება ყვავილოვან მცენარეებში თესლის გავრცელების შესახებ მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგინონ PowerPoint – ის პროგრამაში მომზადებული პრეზენტაციის სახით.

გვ. 103-104. მოსწავლე ახდენს მათემატიკურ გამოანგარიშებას და მიღებულ მონაცემებს იყენებს კანონზომიერების დასადგენად და მოვლენის ასახსნელად.

გვ. 117. მონაცემების განსჯა 1. მოსწავლეებს ევალებათ დავალებაში მოცემული მონაცემების წარმოდგენა Excel – ის პროგრამის გამოყენებით სვეტოვანი ან წრიული დიაგრამის სახით.

მოვლენებისა და პროცესების ახსნა

გვ. 71. „მცენარის სუნთქვის თავისებურებების კვლევა“ – მოსწავლე სურათზე წარმოდგენილი ექსპერიმენტის მოდელის მიხედვით ხსნის სუთქავს თუ არა მცენარე.

სავარაუდო პასუხი: ცნობილა, რომ ნახშირორჟანგი კირიან წყალს ამღვრევს. მოდელზე ჩანს, რომ ერთი დღე-ლამის განმავლობაში მცენარის ბნელ კარადაში მოთავსების შემდეგ (სიბნელეში ფოტო-სინთეზი არ მიმდინარეობს და შესაბამისად, გარემოდან მცენარე ვერ შთანთქავდა ნახშირორჟანგს და ზარხულის ქვეშ უანგბადი ვერ დაგროვდებოდა) ჭიქაში კირიანი წყალი აიმღვრა. ეს იმას ნიშნავს, რომ მცენარე სუნთქვავს და სუნთქვის დროს გარემოში გამოყოფს ნახშირორჟანგს.

გვ. 73. „ჯოზეფ პრისტლის ექსპერიმენტის ანალიზი“ – სურათზე წარმოდგენილი ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით მოსწავლე ხსნის პროცესებს, კავშირს წვასა და ფოტოსინთეზს შორის, სუნთქვასა და ფოტოსინთეზს შორის.

სავარაუდო პასუხები:

ექსპერიმენტი 1

1. ჰაერში არის წვისთვის აუცილებელი ჟანგბადი.
2. სანთლის წვის შედეგად ჰაერს „აფუჭებს“ წვის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგი, რომელიც წვას ხელს უშლის და ამიტომ ჩაქრა სანთელი.
3. ზარბუფის ქვეშ მცირდება ჟანგბადი, რადგან წვისთვის აუცილებელია იგი და დაგროვდა ნახშირორჟანგი.
4. ზარბუფის ქვეშ პიტრის მოთავსებამ გამოაკეთა“ ჰაერი, რადგან ფოტოსინთეზის პროცესში გარემოდან ხდება ნახშირორჟანგის შთანთება და ჟანგბადის გამოყოფა, ჟანგბადი კი სანთლის წვას ხელს უწყობს.

ექსპერიმენტი 2

- 1.ექსპერიმენტი ეტაპები: 1) პრისტლიმ ზარბუფის ქვეშ მოათავსა თაგვი და ანთებული სანთელი;
- 2) ზარბუფის ქვეშ მოათავსა ანთებული სანთელი, თაგვი და ქოთანი პიტრით.
2. ექსპერიმენტის პიტრიზე სანთელი ჩაქრა და თაგვიც მოკვდა, რადგან როგორც წვის, ისე სუნთქვის პროცესის შედეგად ზარბუფის ქვეშ გამოილია ჟანგბადი და დაგროვდა ნახშირორჟანგი. დ ეტაპზე, პიტრის მოთავსების შემდეგ მცენარეში მიმდინარე ფოტოსინთეზის პროცესში მოხდა გარემოდან სუნთქვისა და წვის პროცესებში გამოყოფილი ნახშირორჟანგის შთანთება და ჟანგბადის გამოყოფა, რომელიც აუცილებელია წვისა და სუნთქვისთვის.
3. თაგვმა სუნთქვისთვის გამოიყენა მცენარის მიერ ფოტოსინთეზის პროცესში გამოყოფილი ჟანგბადი და კარგად გრძნობს თავს.

არგუმენტირებული მსჯელობა

„მეცნიერული ახსნის“ ანუ მონაცემებზე დაფუძნებული მსჯელობის უნარის განვითარებას მოსწავლებისთვის დიდი ღირებულება გააჩნია (და არამარტო საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას). შესაბამისად, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას ხაზი უნდა გაესვას, რომ მსჯელობა ამათუმიმ მოვლენის/პროცესის შესახებ მხოლოდ მაშინ არის სანდო, თუ ემყარება კონკრეტულ მონაცემებს, ფაქტებსა და არგუმენტებს. მოსწავლებში ამ უნარის განვითარებისთვის ეფექტურია „მმ“ სტრატეგიის გამოყენება: მტკიცება – მტკიცებულებები – მსჯელობა.


მტკიცება – რაიმე საკითხის შესახებ გაეთხოვთ დასკვნა; საკვლევ კითხვაზე ან პრობლემის გადაჭრის შედეგად მიღებული პასუხი; დაკვირვების ან ცდის შედეგი; მოსაზრება, რომელსაც იცავენ დისკუსიის / დებატების დროს; ნებისმიერი დებულება, რომელიც მიუთითებს ამა თუ იმ კანონზომიერებაზე (მაგ., ცვლადებს შორის დამოკიდებულებაზე, პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე).

მტკიცებულებები – რაოდენობრივი და/ან თვისებრივი მონაცემები, რომლებიც ასაბუთებენ მტკიცებას; ის, რაც ნამდვილად მიღებული შეხედულებაა, ჭეშმარიტებაა (აქსიომაა); ნებისმიერი სანდო ინფორმაცია, რომელიც გაამყარებს მტკიცებას.

მსჯელობა – მტკიცებასა და მტკიცებულებებს შორის კავშირის ახსნა (თუ რატომ ასაბუთებს კონკრეტული მტკიცებულება მტკიცებას); მონაცემების ინტერპრეტაცია; ცნობილი და მიღებული სამეცნიერო პრიციპების მოყვანა, რომელიც ხსნის მტკიცებულებას.

გთავაზაოთ მმ-სტრატეგიის საკლასო სივრცეში გამოყენების კონკრეტულ მაგალითებს ჩვენი მოსწავლის წიგნიდან:

გვ. 67. „ვან ჰელმონტის ექსპერიმენტის ანალიზი“.



დავალება 3:

ამ მონაცემების საფუძველზე ვან ჰელმონტმა გააკეთა დასკვნა, რომ მცენარის მთელი მასაა იქმნება წყლისგან და არა ნიადაგისგან. გამოიყენე მოდელზე აღნერილი ექსპერიმენტის ეტაპები, შედეგები და შენ მიერ წარმოებული გამოთვლები, შენი ცოდნა ფოტოსინთეზის საწყისი ნივთიერებების შესახებ, როგორც მტკიცებულებები და ლოგიკური მსჯელობით დაასაბუთე ან უარყავი ვან ჰელმონტის დასკვნა.

სავარაუდო პასუხი: მტკიცება – მცენარის მთელი მასა იქმნება წყლისგან და არა ნიადაგისგან.
მტკიცებულებები – 5 წლის განმავლობაში მეცნიერი ჯუჯა ხეს მხოლოდ რწყავდა, 5 წლის შემდეგ ხის მასა გაიზარდა 74,4 კგ-ით (76,6 კგ – 2,2 კგ), ნიადაგის მასა კი შემცირდა მხოლოდ 0,057 კგ-ით (90,5 კგ – 90,443 კგ). **მსჯელობა** – ნაწილობრივ ვეთანხმები ვან ჰელმონტის მტკიცებას, რომ მცენარის მთელი მასა იქმნება წყლისგან, რადგან 5 წლის განმავლობაში ნიადაგის მასა შემცირდა მხოლოდ 0,057 კგ-ით, ხოლო მცენარის მასა გაიზარდა 74,4 კგ-ით მაშინ, როდესაც მეცნიერი მცენარეს მხოლოდ რწყავდა. სრულად იმიტომ არ ვეთანხმები, რომ მცენარე ფოტოსინთეზის პროცესში ორგანული ნივთიერებების წარმოსაქმნელად იყენებს ატმოსფეროდან შთანთქმულ ნახშირორჟანგსაც.

მასწავლებელმა აუცილებელად უნდა განუმარტოს მოსწავლეებს, რომ ზოგიერთი ორგანული ნივთიერებების წარმოსაქმნელად საჭიროა მინერალური მარილებიც, რომელსაც მცენარე ნიადაგიდან წყალთან ერთად შთანთქავს. ექსპერიმენტის მიხედვით ნიადაგის მასის მცირედი შემცირება (57 გრამი) სწორედ ამ მინერალებზე მოდის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ წყალი, რითაც მცენარე ირწყვებოდა, ალბათ, მინერალურ მარილებსაც შეიცავდა და მცენარე ამ გზითაც იღებდა საჭირო მარილებს.

მას სტრატეგიის შებრუნებულად გამოყენებაც შეიძლება: ექსპერიმენტის მონაცემები გამოიყენონ, როგორც მტკიცებულება და მსჯელობით ჩამოაყალიბონ მტკიცება.

გვ. 70.




ფოტოსინეზისთვის აუცილებელი პიროვნების კვლევა


ქოთნის მცენარის ორი ფოთოლი მოათავსეს
ჰერმელულად დაზურულ პოლიეთოლენის პარკში



⑤ ფოთოლი მიმაგრებულია
მცენარეზე



ფოთოლის არე, რომელზეც
იოდმა ეფექტურ მოახდინა



⑥ ჭრელი ფოთოლი



არე, რომელზეც იოდმა
ეფექტურ მოახდინა



სავარაუდო შესაძლებელია ასეთი პასუხების მიღება:

ექსპერიმენტი ა და ბ – მტკიცებულებები: ა ექსპერიმენტის შემთხვევაში ფოთოლი მოთავსებული იყო იმ პარკში, რომელშიც ჩასხმული ხსნარი გარემოდან შთანთქავს ნახშირორჟანგს, იოდმა ფოთოლის შეფერილობა ვერ შეცვალა, ბ ექსპერიმენტის შემთხვევაში ფოთოლი მოთავსებული იყო იმ პარკში, რომელშიც ჩასხმული ხსნარი გარემოში გამოყოფს ნახშირორჟანგს, ფოთოლი იოდის მოქმედებით გალურჯდა. **მსჯელობა:** ა ექსპერიმენტში, რომელშიც ფოთოლი მოთავსებული იყო ისეთ გარემოში, სადაც ნახშირორჟანგი არ იყო (ხსნარი 1-მა შთანთქა), ფოთოლს იოდმა შეფერილობა ვერ შეუცვალა, ეს იმას ნიშნავს, რომ მასში სახამებელი არ წარმოქმნილა; ხოლო ბ ექსპერიმენტში ფოთოლი მოთავსებული იყო ისეთ გარემოში, სადაც ნახშირორჟანგი იყო (ხსნარი 2-მა გამოყო) და იოდის ზემოქმედებით ფოთოლი გალურჯდა, ე.ი. ამ ფოთოლში სახამებელი წარმოქმნილა. **მტკიცება:** ფოტოსინთეზის პროცესის წარმართვისთვის აუცილებელია გარემოში ნახშირორჟანგის არსებობა.

ექსპერიმენტი გ – მტკიცებულებები: ფოთლის ნაწილზე/არეზე, რომელიც შავი ფერის ქაღალდით იყო დაფარული, იოდმა ზემოქმედება ვერ მოახდინა, ანუ ფერი ვერ შეუცვალა, ხოლო ფოთლის არე, რომელიც შავი ქაღალდით დაფარულ არ იყო დაფარული, იოდმა ზემოქმედება მოახდინა, ე.ი. გაალურჯა. **მსჯელობა:** ფოთლის შავი ქაღალდით დაფარულ არეს (რომელზედაც სინათლე არ ხვდებოდა), იოდმა ფერი ვერ შეუცვალა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ადგილას სახამებელი არ წარმოქმნილა; ფოთლის შავი ქაღალდისგან თავისუფალ არეს (რომელზედაც სინათლე ხვდებოდა), იოდმა ფერი შეუცვალა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ადგილას სახამებელი წარმოქმნილა. **მტკიცება:** ფოტოსინთეზის პროცესის წარმართვისთვის აუცილებელია განათება.

ექსპერიმენტი დ – მტკიცებულებები: ფოთლის ყვითელი ფერის ნაწილზე/არეზე იოდმა ზემოქმედება ვერ მოახდინა, ანუ ფერი ვერ შეუცვალა, ხოლო ფოთლის მწვანე ფერის არეზე იოდმა ზემოქმედება მოახდინა, ე.ი. გაალურჯა. **მსჯელობა:** ფოთლის არეში, რომელსაც იოდმა ფერი ვერ შეუცვალა, სახამებელი არ წარმოქმნილა, ხოლო ფოთლის იმ არეში, რომელიც იოდმა გაალურჯა, სახამებელი წარმოქმნილა. ფოთოლს მწვანე შეფერილობას აძლევს ქლოროფილი, ხოლო ფოთლის

ყვითელი არე ქლოროფილს არ შეიცავს. **მტკიცება:** ფოტოსინთეზის პროცესისთვის აუცილებელია ქლოროფილი.

ინფორმაციის მოპოვება, შეფასება და გაზიარება

გვ. 36-38. მოსწავლეები ინფორმაციას მოიპოვებენ სახელმძღვანელოს პარაგრაფის (2.4.) სამეცნიერო ტექსტიდან, აფასებენ, ქმნიან პოსტერებს და აზიარებენ აუდიტორიის წინაშე: მასწავლებელი კლასს მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით ყოფს ექვსს ჯგუფად ან ექვსს წყვილად, შემთხვევითობის პრინციპით უნანილებს მათ პარაგრაფში განხილულ თითო მიკროორგანიზმის (ქლოროფილი, ქლამიდომონადა, სპიროგირა, მწვანე ევგლენა, ჩვეულებრივი ამება, ქალამანა), ურიგებს ფლოპჩარტებსა და მარკერებს. დავალება: წაიკითხონ პარაგრაფის ტექსტი, გამოიყენონ მიკროორგანიზმების შესახებ ილუსტრაციებზე (გვ. 36 და გვ. 37) მოცემული ინფორმაცია, გააკეთონ მიკროორგანიზმის შესახებ მოკლე დახასიათება, ფლოპჩარტებზე დახატონ და გაუკეთონ წარწერები უჯრედის სტრუქტურებს; სამუშაოს დასრულების შემდეგ გააკეთონ პრეზენტაციები.

მოსწავლეებში ინფორმაციის მოპოვების, შეფასებისა და გაზიარების უნარების განვითარების ეფექტური სტრატეგიაა **ვებ-ძიება.** ვებ-ძიების აქტივობა სხვადასხვა სტრუქტურით შეიძლება აიგოს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვარიანტის მიხედვით, ის ექვსი თანმიმდევრული კომპონენტისაგან შედგება:

- **შესავალი – ალძრავს ინტერესს და აძლევს მოსწავლეს მიმართულებას ძიებაში;** ამ ნაწილში მასწავლებელი მოკლედ აღწერს აქტივობის სცენარს: რით იწყება და სრულდება ვებ-ძიება, კონკრეტულად რას გააკეთებენ მოსწავლეები, ინდივიდუალურად იმუშავებენ თუ ჯგუფურად, რა როლი ექნება მინიჭებული თითოეულს ჯგუფურად მუშაობის შემთხვევაში. რა არის ვებ-ძიების მთავარი კითხვა, რომლის გარშემოც უნდა წარიმართოს ძიება;
- **დავალება – აღწერს აქტივობის საბოლოო პროდუქტს;** ამ ნაწილში მასწავლებელი დეტალურად აღწერს აქტივობის საბოლოო პროდუქტს ან შედეგს, აღწერს მის ფორმატს, მოცულობას, შინაარსობრივ სპეციფიკას;
- **პროცესი – აღწერს სტრატეგიებს, რომელიც უნდა გამოიყენოს მოსწავლემ დავალების შესასრულებლად;** ამ ნაწილში მასწავლებელი აღწერს მოსწავლეების კონკრეტულ ქმედებებს, როლებს, რომლებიც უნდა გაინანილონ მოსწავლეებმა (არაუმეტეს ოთხისა) ჯგუფური დავალების დროს; აძლევს მათ რჩევებს, მაგალითად, იმის შესახებ, თუ რომელი გრაფიკული ორგანიზატორი უნდა გამოიყენონ – დიაგრამა, სქემა, სურათი, წახატი, ცნების რუკა თუ ცხრილი;
- **რესურსები – სთავაზობს მოსწავლეებს ვებ-გვერდებს დავალების შესასრულებლად;** ამ ნაწილში მასწავლებელი ინფორმაციის მოსაძიებლად მიუთითებს კონკრეტულ ბმულებს, რომლებიც თავად მოძებნა თემასთან დაკავშირებული სიტყვის მეშვეობით და შეარჩია თავისი მოსწავლეების ასაკისა და შესაძლებლობების მიხედვით, ასევე მათი მოტივირების აუცილებლობის გათვალისწინებითაც;
- **შეფასება – ზომავს შესრულებული აქტივობის/სამუშაოს შედეგებს;** ამ ნაწილში მასწავლებელი ქმნის და განათავსებს რუბრიკას, რომლითაც შეაფასებს მოსწავლის წვლილს აქტივობის შესრულებაში;
- **დასკვნა – აჯამებს აქტივობას და უბიძგებს მოსწავლეს, გააკეთოს რეფლექსია მუშაობის პროცესზე და მის შედეგზე;**
- **მასწავლებელს შეუძლია ატვირთოს ზემოთ ჩამოთვლილი მასალები შესაბამის სივრცეში (მაგ., ბლოგზე), გაუგზავნოს ისინი მოსწავლეს ელექტრონულად, ან გადასცეს ნაბეჭდი სახით.**

ვებ-ძიების საკლასო სივრცეში გამოყენების კონკრეტული მაგალითი:

გვ. 97. ? 6. მოიძიე ინფორმაცია საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების შესახებ.

- **შესავალი** – საქართველოში ოდითგანვე იყენებდნენ მცენარეებს სამკურნალო მიზნით (კოლხი მედეას და მისი ოჯახის მაგალითი, გვ. 96). სამკურნალო მცენარეებს იყენებენ ხალხურ მედიცინასა და ფარმაკოლოგიაში; ფარმაკოლოგები სამკურნალო მცენარეებიდან ამზადებენ სპეციალურ ფორმასა და შეფუთვაში სამკურნალო პრეპარატებს; ასევე, ხელოვნურად ქმნიან სამკურნალო მცენარის ბუნებრივი ნივთიერების სტრუქტურის მსგავსს ნივთიერებას.
- **დავალება** – იმუშავებთ 4-წევრიან ჯგუფში, თქვენ გევალებათ მოიძიოთ ინტერნეტში ინფორმაცია სამკურნალო მცენარეების შესახებ და წარმოადგინოთ სლაიდ-შოუს ან პოსტერების სახით. ამისათვის დრო გაქვთ 10 დღე.

შეარჩიეთ 4 სამკურნალო მცენარე თქვენი სურვილის მიხედვით და მოამზადეთ პრეზენტაცია პოსტერის ან ელექტრონული სახით შემდეგი გეგმით: 1) თითოეული მცენარის ზოგადი აღწერილობა; 2) გავრცელების არეალი; 3) სამკურნალო თვისებები. საპრეზენტაციო მასალაზე უნდა იყოს წარმოდგენილი თქვენს მიერ შერჩეული მცენარეების ფოტოები.

- **პროცესი** – ჯგუფის წევრებმა გაინანილეთ სამუშაო: 1) თითოეული მცენარის ზოგადი აღწერილობა; 2) გავრცელების არეალი; 3) სამკურნალო თვისებები; 4) საპრეზენტაციო მასალის მომზადება. ანდა ამ სახით გაინანილეთ ფუნქციები: ჯგუფის თითოეული წევრი ამუშავებს ინფორმაციას თითო სამკურნალო მცენარის შესახებ, ხოლო ყველა ამზადებს საპრეზენტაციო მასალას (პოსტერი ან ელექტრონული მასალა).
 - **რესურსი** – კონკრეტული ბმულების შეთავაზება:
- <http://herba.ge/medicinal-herbs-tt> <http://yvavilebismovla.ge/yvavilebi/484-samkurnalo-mcenareebi.html>
- http://www.ice.ge/new/samkurnalo/samkurnalo_fs.html
- **შეფასება** – შეფასების სქემა:

შეფასების კრიტერიუმი	წარმოდგენილია სრულყოფილად (3)	წარმოდგენილია არასრულად (2)	არაა წარმოდგენილი (1)
მცენარის ზოგადი აღწერილობა	მცენარის აღწერილობა სრულყოფილია და მეცნიერულად გამართული	მცენარის აღწერილობა არასრულყოფილია და / ან მეცნიერული უზუსტობები შეინიშნება	მცენარის აღწერილობა ზერელია ან არ არის წარმოდგენილი
მცენარის გავრცელების არეალი	წარმოდგენილია მცენარის გავრცელების არეალი	დაშვებულია მცირე უზუსტობა	არ არის წარმოდგენილი
მცენარის სამკურნალო თვისებები	სრულყოფილად არის აღწერილი მცენარის სამკურნალო თვისებები	არასრულყოფილად არის აღწერილი მცენარის სამკურნალო თვისებები	არ არის სამკურნალო თვისებების აღწერილობა

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს აუთენტური, რეალური პრობლემების გადაწყვეტაზე დაფუძნებულ სწავლებას. როდესაც მასწავლებელი გეგმავს პრობლემაზე ორიენტირებულ გაკვეთილს, ერთ-ერთი, რაც მან უნდა გაითვალისწინოს, არის შემდეგი: პრობლემის გადასაჭრელად მოსწავლეს არ უნდა ჰქონდეს ნაცნობი სტრატეგია (ის ცოდნა და უნარ-ჩვევები), რომელსაც

ის პირდაპირ გამოიყენებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლება დაყენებული საკითხი ან სიტუაცია პრობლემურად. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემის შინაარსი არ უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლის მიერ სკოლაში ან რეალურ ცხოვრებაში მიღებულ გამოცდილებას, ან ასაკით განპირობებულ კოგნიტურ შესაძლებლობებს. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების იდეა უნდა გამომდინარებდეს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტიდან.

პრობლემურ ამოცანაზე მუშაობის პროცესში მოსწავლე პრობლემის გადაჭრის შემდეგ ეტაპებს გაივლის:

1. **პრობლემის დასმა/განსაზღვრა** – მოსწავლეების მიერ პრობლემის გააზრება და პრობლემის ფორმულირება. მოსწავლეები ეცნობიან დავალების შინაარსს და მასზე დაყრდნობით განმარტავენ პრობლემის არსას, აკეთებენ პრობლემის ფორმულირებას. მათ უნდა შეძლონ იმის აღნერა, თუ რის გადაწყვეტას, რაზე პასუხის გაცემას, რის აღმოჩენას თუ მიცემას ითხოვს დავალება.

2. **საჭირო ინფორმაციის მოპილიზება** – პრობლემის შესახებ არსებული ინფორმაციისა და რესურსების მოძიება, ორგანიზება. მოსწავლეები ჩამოთვლიან ან ჩამოწერენ, რა არის ცნობილი მათვის მოცემული პრობლემის გარშემო; ცალკე ჩამოწერენ იმ კითხვების ან საკითხების სიას, რომელზე პასუხებიც მათ ჯერ არ იციან, მაგრამ აუცილებლად სჭირდებათ პრობლემის გადასჭრელად, ანუ კიდევ „რისი ცოდნაა საჭირო?“.

3. **ალტერნატიული გზების ძიება** – პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზების შესახებ მსჯელობა. მოსწავლეები თვისუფლად, ყოველგვარი ერიტიკის გარეშე გამოთქვამენ იდეებს, მათ შორის, მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებულ ორიგინალურ, მოულოდნელ და არასტერეოტიპულ იდეებსაც.

4. **გადაჭრის ოპტიმალური გზის შერჩევა** – პრობლემის გადაჭრის განხილული გზებიდან ერთ-ერთის შერჩევა გამოსაცდელად. მოსწავლეები განსაზღვრავენ პრობლემის გადაჭრის თითოეულ სტრატეგიასთან დაკავშირებულ რისკებს, შეარჩევენ უფრო რეალურ და მისაღებ სტრატეგიას/გზას, ასაბუთებენ თავიანთ არჩევანს. პრობლემის გადაჭრის დემონსტრირება – შერჩეული გზის გამოყენებით პრობლემის გადაჭრის ჩვენება ან პრობლემის გადაჭრის შესახებ გამოტანილი დასკვნის წარმოდგენა. მოსწავლეები გამოცდიან პრობლემის გადაჭრის შერჩეულ სტრატეგიას/გზას (საჭიროების შემთხვევაში დაუბრუნდებიან შესაბამის ეტაპს და იქიდან ხელახლა იწყებენ პრობლემის გადაჭრის ციკლის გავლას), მოამზადებენ ანგარიშს და მოახდენენ პრობლემის გადაჭრის დემონსტრირებას, ან წარმოდგენ დასკვნას პრობლემის გადაჭრის შესახებ.

რატომ უნდა დავნერგოთ პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება? პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ტიპის გაკვეთილების ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ასეთი მიდგომა:

- განსაკუთრებით ზრდის მოსწავლის მოტივაციას. მოსწავლე ჩართულია აქტიურ სწავლაში, მუშაობს რეალური, ხშირად ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაზე, რის შედეგადაც სწავლა მისთვის ხდება უფრო საინტერესო და სახალისო; ზრდის მის პასუხისმგებლობას სწავლისადმი.
- მოსწავლეებში ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას. პრობლემის გადაჭრაზე ფიქრის დროს მოსწავლე კრიტიკულად აფასებს, თუ რა იცის, რა უნარ-ჩვევები აქვს და რა სჭირდება პრობლემის გადასაჭრელად, ამყარებს მიმართებას რამდენიმე ცნებას შორის, გამოაქვს დასკვნები და ა.შ.
- ავითარებს შემოქმედებით აზროვნებას. პრობლემის გადაჭრაზე მუშაობის დროს მოსწავლეს შეიძლება მოუხდეს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა შესაძლებლობის (გზის) მოფიქრება, პრობლემის გადაჭრის რამდენიმე პასუხის პოვნა, ან ახალი (ორიგინალური) გზის ძიება და ა.შ.
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება განაპირობებს შესასწავლი საკითხის უკეთ გაგებას, რადგან იგი ორიენტირებულია მოსწავლეებში პირობისეული, ანუ ფუნქციური ცოდნის შეძენაზე.

გთავაზობთ პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების საკლასო სივრცეში გამოყენების კონკრეტულ მაგალითებს ჩვენი მოსწავლის წიგნიდან. ამ მიზნით წიგნში, ძირითადად, პრობლემა წარმოდგენილია სიტუაციური ამოცანების სახით (გვ. 41. ?9, 52. ?5, 54 – დავალებები კრიტიკული აზროვნებისთვის, გვ. 102. დავალება 3 კრიტიკული აზროვნებისთვის და ა. შ.)

გვ. 41.  მე-9 დავალებაში მოცემული სიტუაციური ამოცანა პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებაზე გათვლილი: აიღეს ერთი ჯიშის ლობიოს თესლის გარკვეული რაოდენობა და დათესეს გვერდიგვერდ მდებარე მიწის ორ ნაკვეთზე. ლობიოს თესლების ნახევარი წინასწარ დაამუშავეს შხამქიმიკატებით (რომ თესლის გაღივებისათვის ხელი არ შეეშალა ზოგიერთ მიკროორგანიზმს) და დათესეს პირველ ნაკვეთზე, ხოლო თესლების მეორე ნახევარი დათესეს წინასწარ შხამქიმიკატებით დამუშავებულ მეორე ნაკვეთზე. როგორ ფიქრობ, რომელ ნაკვეთზე მიიღებდნენ უფრო დიდ მოსავალს – პირველზე თუ მეორეზე? ახსენი შენი პასუხი.

1. პირველ რიგში უნდა განისაზღვროს ამ სიტუაციურ ამოცანაში წარმოდგენილი პრობლემა: მოსწავლემ უნდა უპასუხოს კითხვას: რომელ ნაკვეთზე მიიღებდნენ უფრო დიდ მოსავალს – პირველზე თუ მეორეზე?

2. ამისთვის უნდა გააქტიურონ ის ცოდნა, რაც დაკავშირებულია პარკოსან მცენარეებთან და მიკროორგანიზმებთან. თუ ამას ვერ ახერხეს, მასწავლებელი ეხმარება შესაბამისი კითხვების დასმით: პარკოსანი მცენარეების ფესვებზე რომელი ბაქტერიები სახლდება და რა მნიშვნელობა აქვთ მათ მცენარისთვის? შხამ-ქიმიკატები როგორ იმოქმედებს მიკროორგანიზმებზე? სად გაანადგურებს შხამ-ქიმიკატი მიკროორგანიზმებს – უშუალოდ დათესვამდე თესლების დამუშავებისას? თუ მიწის ნაკვეთს დაამუშავებენ შხამ-ქიმიკატებით?

3. ამის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან ვარაუდი, რომელ ნაკვეთზე მიიღებენ დიდ მოსავალს და დაასაბუთონ.

4. **პასუხი და სავარაუდო მსჯელობა:** უფრო დიდ მოსავალს მიიღებენ პირველ ნაკვეთზე, რადგან შხამ-ქიმიკატი თესლზე ანადგურებს მხოლოდ მასზე არსებულ მიკროორგანიზმებს, ხოლო მეორე ნაკვეთი შხამ-ქიმიკატებით წინასწარ დამუშავების გამო, მიწაში განადგურდება სასარგებლო ბაქტერიებიც, მათშორის, კოურის ბაქტერიებიც, რომელიც ლობიოს ფესვებზე სახლდება და მცენარეს დამატებით აწვდის აზოტოვან მარილებს.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება

პროექტზე დაფუძნებული სწავლება დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. ტერმინი „სასწავლო პროექტი“ ხშირად გვხვდება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და პედაგოგიურ ლიტერატურაში. **სასწავლო პროექტის** თემა და მიზანი აუცილებლად უნდა იყოს კავშირში და ხელს უწყობდეს საგანში/საგნებში ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ძალზე ეფექტური და მრავალფუნქციური მეთოდია, რომელიც მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორცილებასა და ეფექტურ თანამშრომლობას გულისხმობს. პროექტის მეთოდით სწავლა შეიძლება განვმარტოთ, როგორც გარკვეული მიზნით განხორციელებული საკლასო ან გუნდურ აქტივობათა ერთობლიობა – კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, ცოდნის ტრანსფერის, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას.

პროექტზე მუშაობა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. პროექტის ამოსავალი საკითხის/პრობლემის იდენტიფიცირება და ანალიზი;
2. საჭირო ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;
3. პროექტის დაგეგმვა და შესაბამის ფორმატში გაწერა. პროექტის შეფასების სქემის შექმნა;
4. პროექტის აქტივობების განხორციელება;
5. პროექტის საბოლოო პროდუქტის წარდგენა;
6. პროექტის შეფასება.

პროექტი შეიძლება იყოს სოციალური, თუ თემის არჩევა განისაზღვრება აღმზრდელობითი მიზნით. იგი მიმართულია სოციალური გარემოს გაუმჯობესების, კონკრეტულ სოციუმში რეალური სოციალური სფიროებების შესწავლისა და სოციალური სიტუაციის გაუმჯობესებისაკენ, არსებულ პრობლემათა პრევენციისაკენ, რისი საბოლოო მიზანიც სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაა. თუმცა ისიცაა შესაძლებელი, რომ პროექტი უკავშირდებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს და ამავე დროს მიმართული იყოს სოციალური სიტუაციის გაუმჯობესებისაკენ, არსებულ პრობლემათა პრევენციისაკენ. ასეთ შემთხვევაში პროექტი მაინც სასწავლო პროექტად ჩაითვლება. სწორედ ასეთი ტიპის პროექტის მაგალითს შემოგთავაზებთ – გვ. 52. დაგალება: ჯგუფის წევრებთან ერთად შეარჩიე ინფექციური დაავადება, რომელიც ბოლო წლებში პრობლემური იყო ჩვენი ქვეყნისთვის, დაწერე და განახორციელე პროექტი: „ინფექციური დაავადების გავრცელების გზები და პრევენციული ღონისძიებები“.

კავშირი საგნობრივ სტანდარტთან: ვირუსული და ბაქტერიული დაავადებების ერთმანეთისაგან განსხვავება; დაავადებების პრევენციის (ჰიგიენა, ვაქცინაცია) შესახებ მსჯელობა (ბიოლ. საბ. სტ. 8, 11, 12); მიკროორგანიზმებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა) (ბიოლ. საბ. სტ. 11, 12, 13).

პროექტის სასწავლო მიზანი: მოსწავლე იკვლევს ინფექციური დაავადებების გავრცელების გზებს, მსჯელობს დაავადებების პრევენციის (ჰიგიენა, ვაქცინაცია) შესახებ და მიკროორგანიზმებზე მიღებულ ცოდნას აკავშირებს ჯანმრთელობის დაცვასთან.

პროექტის ეტაპები	
პროექტის სახელწოდება	... ინფექციური დაავადების გავრცელების გზები და პრევენციული ღონისძიებები
პრობლემის ანალიზი/რატომ გადაწყვიტე ამ საკითხზე პროექტის განხორციელება?	ბოლო წლებში ეს დაავადება (შერჩეული ინფექციოური დაავადების დასახელება) ფართოდ გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში და ზოგჯერ მძიმე შედეგებიც მოყვა. ერთ-ერთი მიზანი შეიძლება იყოს ის, რომ ადამიანებმა არ იციან ამ ინფექციის გავრცელების გზები და პრევენციული ღონისძიებები
პროექტის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • ... დაავადების გამომწვევი მიზეზები, გავრცელებისა და პრევენციის გზების შესახებ თეორიული მასალის შესწავლა • საზოგადოების ინფორმირება ამ დაავადების გავრცელების გზებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ
სამიზნე ჯგუფი (განხორციელებული პროექტით ვინ მიიღებს სარგებლობას)	სკოლისა და მიკრორაიონის საზოგადოება

პროექტის ამოცანები	<ol style="list-style-type: none"> დაავადების გავრცელებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ სკოლისა და მიკრორაიონის საზოგადოების ინფორმირებულობის კვლევა ამ დაავადების გავრცელებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება და საზოგადოებაში გავრცელება 						
აქტივობები	<ul style="list-style-type: none"> კითხვარების მომზადება სკოლის საზოგადოებისა და მიკრორაიონის მოსახლეობის გამოკითხვისთვის (შენიშვნა: კითხვარისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ შესაძლებელი იყოს ინფორმაციის მოგროვება, თუ რა იციან ამ დაავადების გავრცელების გზებისა და პრევენციის შესახებ; ასევე, აქვთ თუ არა ჩატარებული აცრები, საჭიროდ თვლიან თუ არა აცრების გაკეთებას და რატომ?) რესპონდენტების შერჩევა და გამიკითხვის ჩატარება; მოპოვებული ინფორმაციის აღრიცხვა, ანალიზი და დასკვნის გამოტანა; ინტერნეტის საშუალებით (შენიშვნა: მასნავლებლის მითითებულ სანდო საიტზე) სტატისტიკური მონაცემების მოპოვება კვეყანაში ამ დაავადების შემთხვევების შესახებ; დაავადების სიმპტომების, გავრცელების გზებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება სამეცნიერო ლიტერატურიდან (შენიშვნა: მასნავლებლის მითითებული); შერჩეული ინფექციური დაავადების გავრცელების გზებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება; პროექტის პრეზენტაცია სკოლისა და თემის საზოგადოების წინაშე, მომზადებული ბუკლეტების დარიგება. 						
საჭირო რესურსები	კომიტეტერი, პროექტორი, თაბახის ფურცლები, სამეცნიერო ლიტერატურა, ადამიანური რესურსები – რესპონდენტები (გამოკითხვაში მონაწილე ადამიანები).						
სამოქმედო გეგმა	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <thead> <tr> <th style="text-align: center; padding: 5px;">აქტივობა</th> <th style="text-align: center; padding: 5px;">აქტივობისათვის საჭირო დრო</th> <th style="text-align: center; padding: 5px;">პასუხისმგებელი პირი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td style="text-align: center; padding: 5px;"></td> <td style="text-align: center; padding: 5px;"></td> <td style="text-align: center; padding: 5px;"></td> </tr> </tbody> </table>	აქტივობა	აქტივობისათვის საჭირო დრო	პასუხისმგებელი პირი			
აქტივობა	აქტივობისათვის საჭირო დრო	პასუხისმგებელი პირი					

პროექტი: აბრეშუმის ჭია და მეაბრეშუმეობა.

კავშირი საგნობრივ სტანდარტთან: ცხოველებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა) (**ბიოლ. საბ. 11, 12, 13**). ორგანიზმების სასიცოცხლო ციკლის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, ფსიქოლოგია) (**ბიოლ. საბ. 11, 12, 13**).

პროექტის სასნავლო მიზანი: მოსნავლები იკვლევენ მეაბრეშუმეობის ისტორიას, ეცნობიან აბრეშუმის ჭიის მოვლის წესებს, სკოლის პირობებში აშენებენ აბრეშუმის ჭიას, აკვირდებიან მის სასიცოცხლო ციკლს და აგროვებენ მონაცემებს; აბრეშუმის ჭიის სასიცოცხლო ციკლის თავისებურებას აკავშირებენ სოფლის მეურნეობასა და მსუბუქი მრეწველობის დარგთან – მეაბრეშუმეობასთან.

სასწავლო პროექტის ეტაპები	ეტაპების აღწერა
პროექტის სახელნოდება	აპრეშუმის ჭია და მეაპრეშუმეობა
პრობლემის ანალიზი / იდენტიფიცირება და/ან საკითხის დაყენება	აპრეშუმის ქსოვილი აპრეშუმის ჭიის პარკისაგან კეთდება და ასეთ ქსოვილს საუკეთესო თვისებები აქვს. ბოლო წლებში საქართველოში შემცირდა აპრეშუმის წარმოება, რადგან მოსახლეობის სულ უფრო მცირე რიცხვი მისდევს მეაპრეშუმეობას. შესაძლებელია შედარებით ახალი თაობისთვის სულაც არ არის ცნობილი აპრეშუმის ჭიის მოვლის წესები და მისი ეკონომიკური სარგებლიანობა.
პროექტის მიზანი	სკოლის საზოგადოებისა და თემის ინფორმირება აპრეშუმის ჭიის მოვლის პირობებისა და მისი სარგებლიანობის შესახებ
მოსალოდნელი შედეგები	მოსწავლეები უშუალო დაკვირვებით უკეთესად შეისწავლიან სრული მეტამორფოზის მწერის სასიცოცხლო ციკლს; გაუწევენ მეაპრეშუმეობის დარგს პოპულარიზაციას.
სამიზნე ჯგუფი	სკოლის საზოგადოება და თემი
პროექტის ამოცანები	<ol style="list-style-type: none"> 1. მეაპრეშუმეობის განვითარების ისტორიის შესწავლა; 2. აპრეშუმის ჭიის მოშენების პირობებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ თეორიული მასალის მოძიება; 3. აპრეშუმის ჭიის პრაქტიკული მოშენება; 4. საქმიანობის შედეგების ბუკლეტებში ასახვა და მისი გავრცელება საზოგადოებაში.
აქტივობები/ლონისძიებები	<ol style="list-style-type: none"> 1. მეაპრეშუმეობის დარგის განვითარების ისტორიის შესწავალა; 2. სამეცნიერო თეორიული მასალის გაცნობა აპრეშუმის ჭიის მოვლის შესახებ; 3. ვიზიტი აპრეშუმის მუზეუმში; 4. დარგის სპეციალისტთა და გამოცდილ მეაპრეშუმესთან დაკავშირება; 5. აპრეშუმის ჭიის კვერცხების/გრუნის შეძენა; 6. აპრეშუმის ჭიისათვის თაროებით სპეციალური ოთახის მოწყობა; აპრეშუმის ჭიის გამოსაკვებად თუთის ფოთლების მოძიება; 7. მორიგეობის განრიგის შექმნა; 8. მონაცემების აღრიცხვა: რამდენი ფოთოლი სჭირდება საკვებად ერთ ჭიას, რამდენ ხანში იწყებს დაჭუპრებას, რამდენი პარკი მიღება ერთი პეპლის თაობისაგან; 9. სურათებისა და ვიდეოს გადაეღება, რომელიც ასახავს აპრეშუმის ჭიის განვითარების ეტაპებს და მოსწავლეების საქმიანობას; 10. ბუკლეტების დამზადება, რომელშიც ასახული იქნება აპრეშუმის ჭიის სასიცოცხლო ციკლზე დაკვირვების შედეგები და მოსწავლეების მუშაობა; 11. განხორციელებული პროექტის პრეზენტაცია და მოწვეულ სტუმრებს შორის ბუკლეტების გავრცელება.
პროექტის პროდუქტ(ებ)ი	<ol style="list-style-type: none"> 1. მიღებული აპრეშუმის ჭიის პარკი. 2. ფოტო და ვიდეო-მასალები. 3. ბუკლეტები

საჭირო რესურსები	თაროების მასალა, გრენი, თაბახის ფურცლები, ვიდეოაპარატები, კომპიუტერი																																																																		
ბიუჯეტი	<table border="1"> <thead> <tr> <th>№</th><th>ხარჯის დასახელება</th><th>ერთეულის ფასი</th><th>რაოდენობა</th><th>საჭირო თანხა</th></tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td><td>თაროების მასალა</td><td></td><td>2 ფირფიტა</td><td></td></tr> <tr> <td>2</td><td>გრენი</td><td></td><td></td><td></td></tr> <tr> <td>3</td><td>ბეჭდვის ხარჯები</td><td></td><td></td><td></td></tr> <tr> <td>4</td><td>თაბახის ფურცლები</td><td></td><td>1 შეკვრა</td><td></td></tr> <tr> <td>5</td><td>მუზეუმში ვიზიტის ხარჯები</td><td></td><td>2 გზა</td><td></td></tr> <tr> <td></td><td>სულ</td><td></td><td></td><td></td></tr> </tbody> </table>	№	ხარჯის დასახელება	ერთეულის ფასი	რაოდენობა	საჭირო თანხა	1	თაროების მასალა		2 ფირფიტა		2	გრენი				3	ბეჭდვის ხარჯები				4	თაბახის ფურცლები		1 შეკვრა		5	მუზეუმში ვიზიტის ხარჯები		2 გზა			სულ																																		
№	ხარჯის დასახელება	ერთეულის ფასი	რაოდენობა	საჭირო თანხა																																																															
1	თაროების მასალა		2 ფირფიტა																																																																
2	გრენი																																																																		
3	ბეჭდვის ხარჯები																																																																		
4	თაბახის ფურცლები		1 შეკვრა																																																																
5	მუზეუმში ვიზიტის ხარჯები		2 გზა																																																																
	სულ																																																																		
თითოეული აქტივობის განხორციელებისათვის საჭირო ვადისა და აქტივობების თანმიმდევრობის განსაზღვრა, რომ დასახული მიზანი მაქსიმალურად ხარისხიანდ და მცირე დროში იყოს მიღწეული. თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის არჩევა.																																																																			
სამოქმედო გეგმა	<table border="1"> <thead> <tr> <th>№</th><th>აქტივობები</th><th>თემერვალი</th><th>მარტი</th><th>აპრილი</th><th>პასუხი</th></tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td><td>საჭირო ინფორმაციის მოძიება და დამუშავება</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr> <tr> <td>2</td><td>მუზეუმში ვიზიტი</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr> <tr> <td>3</td><td>დარგის სპეციალისტებთან კონსულტაცია</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr> <tr> <td>4</td><td>ოთახის მოწყობა</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr> <tr> <td>5</td><td>კვლევის განხორციელება</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr> <tr> <td>6</td><td>მონაცემთა დამუშავება ბუკლეტისთვის</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr> <tr> <td>7</td><td>მზადება ანგარიშისთვის</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr> <tr> <td>8</td><td>საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr> <tr> <td>9</td><td>საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება სკოლასა და თემში</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr> <tr> <td>10</td><td>ანგარიშის წარდგენა და სტუმრების მოწყვევა</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr> </tbody> </table>	№	აქტივობები	თემერვალი	მარტი	აპრილი	პასუხი	1	საჭირო ინფორმაციის მოძიება და დამუშავება					2	მუზეუმში ვიზიტი					3	დარგის სპეციალისტებთან კონსულტაცია					4	ოთახის მოწყობა					5	კვლევის განხორციელება					6	მონაცემთა დამუშავება ბუკლეტისთვის					7	მზადება ანგარიშისთვის					8	საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება					9	საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება სკოლასა და თემში					10	ანგარიშის წარდგენა და სტუმრების მოწყვევა				
№	აქტივობები	თემერვალი	მარტი	აპრილი	პასუხი																																																														
1	საჭირო ინფორმაციის მოძიება და დამუშავება																																																																		
2	მუზეუმში ვიზიტი																																																																		
3	დარგის სპეციალისტებთან კონსულტაცია																																																																		
4	ოთახის მოწყობა																																																																		
5	კვლევის განხორციელება																																																																		
6	მონაცემთა დამუშავება ბუკლეტისთვის																																																																		
7	მზადება ანგარიშისთვის																																																																		
8	საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება																																																																		
9	საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება სკოლასა და თემში																																																																		
10	ანგარიშის წარდგენა და სტუმრების მოწყვევა																																																																		

ვირტუალური ლაბორატორიები

ვირტუალური ლაბორატორიები კომპიუტერის ეკრანზე მიმდინარე პროცესებია, რომლებიც ასახავთ რეალურ ექსპერიმენტებს; წარმოადგენს სამეცნიერო ლაბორატორის ანალოგიას ვირტუალურ სივრცეში. ვირტუალური ლაბორატორია სრულად იძლევა ექსპერიმენტების ჩატარების საშუალებას, თუმცა – ვირტუალურ სივრცეში. აյს, ისევე, როგორც რეალობაში, საჭიროა საკვლევი კითხვისა და ჰიპოთეზის ფორმულირება, ცვლადების განსაზღვრა, მონაცემების აღრიცხვა და ანალიზი. ამ ტიპის ვირტუალური ლაბორატორიები კარგი გზაა რეალური ექსპერიმენტების ჩასანაცვლებლად, რომლებიც უფრო რთული დასაორგანიზებელია საკლასო სიტუაციაში, უფრო ძვირია და ბევრ რესურსსა და დროს საჭიროებს.

ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს უწყობს მოსწავლის მიერ ახალი ცოდნის აგებას საინტერესო და სახალისო გარემოში, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და სწორად გამოყენების შემთხვევაში – მიღწეულ შედეგებსაც, მოსწავლეს აძლევს ერთი და იგივე ნაბიჯის რამდენიმეჯერ გამოირჩისა და უკეთესი შედეგის მიღწევის საშუალებას. ვირტუალური ლაბორატორიების საშუალებით შესაძლებელია დისტანციური სწავლებაც.

მოსწავლის დავალების ნიმუში ვირტუალურ ლაბორატორიაში

მასწავლებლის წიგნს ახლავს ჩვენ მიერ მომზადებული ელექტრონული რესურსები, მათ შორის ვირტუალური ლაბორატორია „პრისტლის ცდა“, რომელსაც ჩვენს ბლოგზე იხილავთ: <https://biologisticswigni.blogspot.com/>

საკვლევი კითხვა: რა კავშირია წვასა და ფოტოსინთეზს შორის? რა კავშირია სუნთქვასა და ფოტოსინთეზს შორის?

სასწავლო მიზნები: მოსწავლე –

- აღწერს ექსპერიმენტის შედეგებს და აფიქსირებს;
- ადგენს კავშირს წვასა და ფოტოსინთეზს შორის;
- ადგენს კავშირს სუნთქვასა და ფოტოსინთეზს შორის.

მოსწავლები ვირტუალურ ლაბორატორიაში მუშაობენ ინსტრუქციის მიხედვით და ავსებენ სამუშაო ფურცელს.

სამუშაო ფურცელი		
ექსპერიმენტის პირობები (მინის ზარბუფის ქვეშ მოქცეული)	ექსპერიმენტის შედეგი	ექსპერიმენტის შედეგების მიზეზების ახსნა
ანთებული სანთელი		
ანთებული სანთელი + მცენარე		
ცხოველი + სანთელი		
ცხოველი + სანთელი + მცენარე		

ესპერიმენტის შედეგებიდან გამომდინარე, უპასუხე შეკითხვებს:


1. რა როლს ასრულებენ მცენარეები ბუნებაში?
2. რა როლს ასრულებენ მცენარეები ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში?

გრაფიკული ორგანიზატორი

განათლების ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებმა გარკვეული თემა/საგანი აღიქვან, როგორც ერთი მთლიანობა მის შემადგენლ კომპონენტებს შორის ლოგიკური კავშირების, მათ შორის მსგავსება – განსხვავების დადგენის/აღმოჩენის შედეგად. კლასში მუშაობისას, როგორც წესი, გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ვიზუალური ინსტრუმენტი (ნახატი, ფოტო, ვიდეო-მასალა, სივრცული მოდელები და სხვ.) ან **გრაფიკული ორგანიზატორი**. გრაფიკული ორგანიზატორი ნიშნავს, რომ ინფორმაციის, ცნებების, მონაცემების ორგანიზება ხდება სხვადასხვა ტიპის სქემებში. **საკლასო მეცანიერებისას გრაფიკული ორგანიზატორის გამოყენებას შესაძლოა სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვა ქონდეს:** არსებული, წინარე ცოდნის გამოვლენა/გააქტიურება, წაკითხულის სწორი მიმართულებით გააზრება, ახალი ინფორმაციის შემოწმება/შეჯამება, შეფასება.

გრაფიკული ორგანიზატორის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს **კონცეპტუალური/ცნებების რუკა**. კონცეპტუალური რუკა არის დიაგრამა, რომელიც აჩვენებს კავშირს სხვადასხვა კონცეფციას, ტერმინს, პროცესსა და ა.შ. შორის. ის არის ცოდნის ორგანიზებისა და წარმოდგენის გრაფიკული საშუალება. ამგვარი ინსტრუმენტების გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს, რათა მათ შეძლონ ინფორმაციის ძირითადი იდეების/ცნებების დაკავშირება ადრე შეძლონ ცოდნასთან, ახალ ცნებებს შორის ურთიერთკავშირების დადგენა და ასევე, სხვადასხვა თემაში გამოყენებული ცნებების ერთმანეთთან დაკავშირება. კონცეპტუალური რუკების მეთოდი საკმაოდ მოქნილი ინსტრუმენტია, რომლის გამოყენება და ადაპტირება შესაძლებელია მოსწავლეთა თითქმის ყველა ტიპის ჯგუფში.

ტრადიციული კონცეპტუალური/ცნების რუკის ფორმატის ამსახველი მაგალითი მოცემულია სურათ 1-ზე. აღნიშნულ მაგალითში კონცეფციები/ცნებები ჩანსტრუქტირებულია ტექსტის ჩარჩოებში (text boxes) და ერთმანეთთან დაკავშირებულია ისრებით. ყველაზე უფრო ფართო/ზოგადი ცნებები მოთავსებულია რუკის თავში, ხოლო მათდამი დაქვემდებარებული ცნებები კი განლაგებულია რუკის ქვედა ნაწილის მიმართულებით. სადაც კი შესაძლებელია, ცნებებთან მინერილია კონკრეტული მაგალითები. შესაძლოა თითოეულ ცნება/კონცეფცია რუკაზე ისრებით დაკავშირებული იყოს სხვა ცნებების ნებისმიერ რაოდენობასთან. ქვემოთ მოცემული ცნების რუკა შედგენილია იმგვარად, რომ ნათლად ჩანს აქ აღნერილი ცნებებისა და იდეების იერარქიული ბუნება.




„რა რაოდენობის ცნების (ტექსტის) ჩარჩო შეგვიძლია გამოვიყენოთ?“ არ არსებობს კონკრეტული სწორი პასუხი ამ კითხვაზე, თუმცა რუკის შემდგენელმა არ უნდა გამოიყენოს ისეთი რაოდენობის ტექსტური ჩარჩოები, რომ რუკის ალექსა ძნელი გახდეს. თუ ცნების რუკა 20-ზე მეტ „ცნების“ ჩარჩოს მოიცავს, ამ შემთხვევაში ალბათ უკეთესია, რომ მისგან ორი ცალკეული ცნების რუკა მომზადდეს.


მოსწავლის წიგნში მოცემულია ნახევრად შევსებული ცნების რუკები და მოსწავლეებს ევალება მათი დასრულება. ასეთი სქემების გამოყენება შეიძლება მოსწავლეთა შეფასების მიზნით თემის დასრულების შემდეგ. ქვემოთ მოცემულია ამ სქემების მაგალითები:

გვ. 105-106

3. დაასრულე სქემა – მცენარეთა კლასიფიკაცია:



3. შეავსე სქემა:



გრაფიკულ ორგანიზაციორს შეიძლება ჰქონდეს ცხრილის სახე. ბიოლოგიაში ასეთი სქემების გა-
მოყენება კარგია ცოცხალი სისტემის შემადგენელი სტრუქტურების დახასიათებისთვის, მათთვის
დამახასიათებელი ნიშნების იდენტიფიცირებისთვის; ასევე, სხვადასხვა ცოცხალი სისტემის შედარე-
ბისთვის, მათ შორის კავშირის დადგენისთვის.

გთავაზობთ ჩვენი მოსწავლის წიგნიდან რამდენიმე მაგალითს:

გვ. 105. თემის შეჯამებისთვის:

1. შეავსე ქვემოთ მოცემული სქემა, ცხრილში მონიშვნები გააკეთე „კი“ და „არა“-ს გამოყენებით:

მცენარეთა ჯგუფი	აგებულება			საარსებო გარემო			წყლის მონაწ-ილეობა გან-აყოფიერებაში
	ღერო	ფოთოლი	ფესვი	წყალი	ტენიანი გარემო	ხმელეთი	
ხავსები	✗	✗	✗	✗	✗	✗	✗
გვიმრები	✗	✗	✗	✗	✗	✗	✗
შიშველთესლოვნები	✗	✗	✗	✗	✗	✗	✗
ფარულთესლოვნები	✗	✗	✗	✗	✗	✗	✗

გვ. 108. გაკვეთილის ძირითად ნაწილში მოსწავლეთა აქტიური ჩართვისთვის: მოსწავლეებს ევა-
ლება სოკოების მსგავსების დადგენა მცენარეებთან და ცხოველებთან სურათ 4.1.1-ზე და პარაგრაფ
4.1-ს ტექსტში მოცემული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

სოკოების მსგავსება	
მცენარეებთან	ცხოველებთან
✗	✗

იმისათვის, რომ გრაფიკული ორგანიზაციორის გამოყენებამ მაქსიმალური სარგებელი მოუტანოს
მოსწავლეს, ალბათ გონივრული იქნება, რომ ეს აქტივობა კარგად იყოს ინტეგრირებული სხვა ტიპის
საკლასო აქტივობებთან.

განმავითარებელი შეფასება და მისი ინსტრუმენტები

განმავითარებელი შეფასება გამოიყენება კონკრეტული თემის/საკითხის შესწავლისას. მისი მიზანია დაადგინოს, თუ რამდენად კარგად გაიგო/გაიაზრა მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი. ეს მასწავლებელს ეხმარება სწორად დაგეგმოს სწავლება და მიაღწიოს სასწავლო მიზნებს. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, წინსვლასა და განვითარებას. მოსწავლეთა მიერ კონკრეტული საკითხის გაგება / გააზრების შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.

შეფასების განხორციელებამდე მასწავლებელმა ზუსტად უნდა განსაზღვროს:

1. რა უნდა შეფასდეს? ამისთვის მასწავლებელს კარგად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული სასწავლო მიზანი საგნის სტანდარტიდან გამომდინარე რაც, მასწავლებელს საშუალებას აძლევს, შეაფასოს ზუსტად ის, რის სწავლებასაც გეგმავს.

2. რა ჩაითვლება მიზნის მიღწევის მაჩვენებლად? მასწავლებელმა, სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, უნდა განსაზღვროს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეაფასებს მოსწავლეებს და დაადგენს, თუ რა დონეზე მიაღწია მიზანს თითოეულმა მათგანმა.

3. როგორ მოხდება შეფასება? მოსწავლეთა შესაფასებლად შეიძლება სხვადასხვა განმავითარებელი ინსტრუმენტის გამოყენება, რასაც ქვემოთ განვიხილავთ.

4. როგორ მოხდება შეფასების შედეგების გამოყენება? განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით მიღებულ ინფორმაციას მასწავლებელი აანალიზებს, თუ რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა შესასწავლი მასალა, რა სირთულეებს აწყდებიან ისინი სწავლის პროცესში, რა გამოსდით კარგად, რა არის მათი ინტერესების სფერო და, ზოგადად, რამდენად ეფექტურია სასწავლო პროცესი. ყოველივე ეს მასწავლებელს სწავლების სწორად დაგეგმვაში ეხმარება.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

დაკვირვება. სწავლების დროს მოსწავლეებზე დაკვირვება მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს, რადგან ეს მოსწავლეების კარგად გაცნობის ძალიან ეფექტური საშუალებაა. დამოუკიდებელი ან ჯგუფური მუშაობისას მასწავლებელი მუდმივად უნდა მოძრაობდეს საკლასო ოთახში, აკვირდებოდეს მოსწავლეებს და აკეთებდეს აუცილებელ მოკლე ჩანაწერებს. დაკვირვების ერთ-ერთი პრაქტიკული საშუალებაა პატარა დაფაზე ან ფურცელზე მოსწავლეთა სიის ჩამონერა და განმავითრებელი შეფასების მიზნით მათი გვარების გასწვრივ შესაბამისი კომენტარების გაკეთება. კომენტარები შეიძლება ასახავდეს, თუ როგორი მოსწავლეა უფრო მეტად ან ნაკლებად ჩართული მუშაობაში, ვინ პასუხობს კითხვებს, ვის უჭირს პასუხის მოძებნა, ვინ ამჟღავნებს ლიდერის უნარებს, ვინ პასიურობს და სხვ.

უკუკავშირი. ზეპირი და წერილობითი სახით წარმოდგენილი უკუკავშირი განმავითარებელი შეფასების მინიჭებულოვანი ინსტრუმენტია. ჩვეულებრივ, მოსწავლეს უკუკავშირი მასწავლებელი ან-ვდის, თუმცა, მისი მიღება თანაკლასელებისგანაც შესაძლებელია. უკუკავშირი ეფექტურია, თუ ის: 1) აღწერს, რა გამოსდის მოსწავლეს კარგად და ამით ახდენს მოსწავლის მიღწევების პოზიტიურ განმტკიცებას; 2) კონსტრუქციულად მოუთითებს, რისი გაუმჯობესება სტირდება მოსწავლეს და ამით წაახალისებს მას, აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე; 3) განუმარტავს, როგორ უნდა გააუმჯობესოს მოსწავლემ ის, რაც ამას საჭიროებს და ამით უადვილებს სასწავლო მიზნების მიღწევას.

შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები. შესასვლელ და გასასვლელ ბილეთებში მოცემულია მასწავლებლის მიერ სასწავლო მასალასთან დაკავშირებით მომზადებული ერთი ან რამდენიმე მოკლე კითხვა ან დავალება, რომელთა შესრულებაც 5-10 წუთს მოითხოვს.

შესასვლელი ბილეთების მიზანია, გაკვეთილის დასაწყისში:

1. ინფორმაციის მოპოვება მოსწავლეთა: წინარე ცოდნის; ინტერესების; მანამდე არსებული დამოკიდებულებების შესახებ.

2. მიღებული ინფორმაციის გამოყენება გაკვეთილში ცვლილებების შესატანად.

გასასვლელი ბილეთების გამოყენებით მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა, გაკვეთილის ბოლოს: 1) მიიღოს შემდეგი ინფორმაცია: მოსწავლეთა მიერ საკითხის გაგება-გააზრების შესახებ; მოსწავლეთა ინტერესების, ღირებულებების, დამოკიდებულებების შესახებ; სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებით მოსწავლეთა მოსაზრებებისა და შეხედულებების შესახებ.

2) მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს მომდევნო გაკვეთილის დასაგეგმად მოსწავლეთა საჭიროებებისა თუ ინტერესების გათვალისწინებით. შესასვლელი და გასასვლელი ბილეთების საშუალებით მასწავლებელი ქალიან მოკლე დროში მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებს მოსწავლეებისგან. გარდა ამისა, ამ ინსტრუმენტის ხშირი გამოყენება ერთგვარ რუტინას უდებს საფუძველს – მოსწავლეებმა იციან, როგორ შეიძლება დაინტერესოს და დასრულდეს გაკვეთილი. შესასვლელი ბილეთი ეხმარება მასწავლებელს, გაკვეთილის დაწყების პირველივე წუთებიდან მიმართოს მოსწავლეთა ყურადღება შესასწავლ საკითხზე და შექმნას ეფექტური სასწავლო გარემო. ხოლო გასასვლელი ბილეთების შევსების მოლოდინი ხელს უწყობს მოსწავლეთა ყურადღების შენარჩუნებას გაკვეთილის ბოლომდე. საკლასო რუტინის არსებობა კლასისა და დროის მართვის მნიშვნელო


სწრაფი წერითი სამუშაო. მაგალითად, **სწრაფი ჩანაწერი** ძირითადი იდეის გადმოცემის, მთავარი ტერმინების ჩამონათვალის შექმნის, ნასწავლის პრაქტიკასთან დაკავშირების და სხვა მიზნით. მაგალითად, მასწავლებლის დავალება: შექმნით ტერმინების ჩამონათვალი ინფექციური დაავადებების დასახასიათებლად და მოკლედ განმარტეთ ეს ტერმინები. **ერთინადადებიანი შეჯამება,** მაგალითად, გამოკვეთეთ პროკარიოტისა და ეუკარიოტის უჯრედების განსხვავება. **დაუსრულებელი წინადედებები,** მაგალითად, ყველა ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურული ერთეულია...; უჯრედში მიმდინარე პროცესებს აკონტროლებს... პროკარიოტის უჯრედს ეუკარიოტისგან განსხვავებით არ გააჩნია...

გამოკითხვა – კითხვების დასმა. მასწავლებლები ხშირად სვამენ კითხვებს გაკვეთილზე იმისათვის, რომ შეაფასონ მოსწავლეების მიერ საკითხის ათვისებისა და გაგება-გააზრების დონე. კითხვების დასმა განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია და მისი სწორად გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. რაც უფრო მაღალი სააზროვნო უნარების ჩართვას მოითხოვს დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, მით უფრო ეფექტიანია სწავლება. მაღალი სააზროვნო დონის კითხვების ჩამოყალიბებაში კი მასწავლებელს ყველას-თვის კარგად ცნობილი ბლუმის ტაქსონომია დაეხმარება. **როდის გამოვიყენოთ?** კითხვების დასმა შესაძლებელია: საკითხის შესწავლამდე, წინარე ცოდნის შეფასების მიზნით; საკითხის შესწავლის პროცესში, როდესაც მასწავლებელს სურს შეფასოს, რამდენად სწორად იაზრებენ შესასწავლ მასალას მოსწავლები; საკითხის შესწავლის დასრულების შემდეგაც, როდესაც მასწავლებელს სურს დარწმუნდეს მოსწავლეთა მიერ გამოტანილი დასკვნების რელევანტურობაში. **როგორ გამოვიყენოთ?** თავისთავად ცხადია, რომ კითხვებზე გაცემული პასუხების მიხედვით მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა საჭიროებებს, რის შემდეგაც მან შესაბამისად უნდა დაგეგმოს სწავლება. კითხვები გაკვეთილზე ხშირად ყოველგვარი წინასწარ დაგეგმვის გარეშე ისმება, თუმცა, ზოგჯერ გაკვეთილის მიზნის მისაღწევად აუცილებელია, რომ მასწავლებელმა წინასწარ შეიმუშაოს სხვადასხვა სააზროვნო დონეზე გათვლილი კითხვები და დაგეგმოს ამ კითხვების დასმის თანამიმდევრობაც. მაგალითად, რა არის ფოტოსინთეზი? (**ცოდნა**). ახსენი, რატომ მიმდინარეობს ფოტოსინთეზი მხოლოდ სინათლეზე? (**გაგება**). რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ფოტოსინთეზის სხვა ორგანიზმებისთვის? (**გამოყენება**). რა განსხვავებაა ფოტოსინთეზისა და სუნთქვას შორის? (**ანალიზი**). დაგეგმე ექსპერიმენტი, ჩატარება და დაადგინე, რა მნიშვნელობა აქვს ფოტოსინთეზის მიმდინარეობისთვის განათებას (**სინთეზი**). რა მოხდება, თუ დედამიწაზე შეწყვეტენ არსებობას მცენარეები? შენი მოსაზრების დასასაბუთებლად მოიყვანე არგუმენტები (**შეჯასება**).

გამოსაძახებელი ჩხირები. ხშირად ისე ხდება, რომ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს მუდმივად ერთი და იგივე მოსწავლეები პასუხობენ, სხვები კი პასიურობენ. მოსწავლეთა შემთხვევითი

შერჩევისა და მათი გაკვეთილში ჩართვის მიზნით, მასწავლებელმა შეიძლება მიმართოს „გამოსაძახებელი ჩხირების“ ტექნიკას. მასწავლებელი წინასწარ წერს მოსწავლეთა სახელებსა და გვარებს სპეციალურ ჩხირებზე, მოათავსებს მათ მცირე ზომის ყუთში ან ჭიქაში, შემდეგ კი იღებს ერთ-ერთს. კითხვაზე პასუხის გაცემა უწევს იმ მოსწავლეს, რომლის სახელიც წერია ჩხირზე. აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ერთხელ შერჩეული ჩხირი კვლავ დააბრუნოს შეკვრაში, რითაც მოსწავლეს აგებინებს, რომ მას კიდევ შეიძლება დაუსვან კითხვა. გამოსაძახებელი ჩხირების გამოყენებით მასწავლებელი ინარჩუნებს მოსწავლეთა ყურადღებას, ხოლო მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში (გამოყენების მაგალითი იხ. მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილ გაკვეთილის გეგმებში).

თუ მასწავლებელს სურს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობისას შეაფასოს, რამდენად კარგად გაიგეს და გაიაზრეს მოსწავლეებმა სასწავლო საკითხი ან დასმული კითხვა, მას შეუძლია გამოიყენოს სწრაფი შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა „**ცერები მაღლა/დაბლა**“ ან „**შუქნიშანი**“.



ცერების მაღლა აწევით მოსწავლეებს შეუძლიათ გააგებინონ მასწავლებელს, რომ მათთვის ყველაფერი ნათელია, ხოლო დაბლა დაწევით, პირიქით – იხ, რომ მათთვის საკითხი გაუგებარია. თუ მათ კითხვა აქვთ მასწავლებელთან, ან მისგან დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებათ, მაშინ მათ ცერა თითები გვერდით უნდა გადახარონ.

შუქნიშანის ბარათების გამოყენება – შესაძლო კითხვები: ეთანხმები თუ არა მოსაზრებას? გასაგებია თუ არა ინსტრუქცია? დაასრულე თუ არა დავალება? წითელი ბარათი – „არ ვეთახმები“ ან „ვერ გავიგე“ ან „არა, მჭირდება დახმარება“; ყვითელი ბარათი – „ყყოფმანობა“ ან „მგონი გავიგე“ ან „ჯერ არ დამისრულებია“; მწვანე ბარათი – „ვეთახმები“ ან „გავიგე“ ან „მზად ვარ“. (ცერებისა და შუქნიშანის ბარათების გამოყენების კონკრეტული მაგალითები იხ. მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილ გაკვეთილის გეგმებში).

„ქვიზი“. „ქვიზი“ და ტესტი ერთმანეთისგან კითხვების რაოდენობით განსხვავდება. „ქვიზი“ შეიძლება შედგებოდეს დახსრულებით 8-10 კითხვისგან, რომლებიც უკავშირდება შესასწავლი მასალის ერთ რომელიმე ქვეთავს ან, თუნდაც, კონკრეტული გაკვეთილის თემას. სწორედ აქედან გამომდინარე, „ქვიზი“ გვაძლევს საშუალებას, სწრაფად შევაფასოთ მოსწავლეთა მიერ საკითხის გაგება-გააზრების დონე და მათ დაუყოვნებლივ მივაწოდოთ უკუკავშირი. ეს კი „ქვიზს“ განმავითარებელი შეფასების კარგ ინსტრუმენტად აქცევს. ტესტი შედგება შედარებით დიდი რაოდენობის კითხვებისაგან (20-დან 50-მდე კითხვა), რომლებიც შეიძლება ფარავდეს რამდენიმე თავის, მთელი სემესტრის ან წლის განმავლობაში ნასწავლი მასალის შინაარსს. ამიტომ, ტესტი, როგორც წესი, ემსახურება განმსაზღვრელ შეფასებას და მასში მიღებული ქულა აისახება მოსწავლის საპოლოო შეფასებაზე. „ქვიზის“ გამოყენება შესაძლებელია როგორც ახალი თემის შესწავლის დაწყების წინ, მოსწავლეთა წინარე ცოდნის შეფასების მიზნით, ისე თემის შესწავლის პროცესში, საკითხის გაგება-გააზრების ხარისხის სწრაფად შეფასების მიზნით. „ქვიზი“ შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსწავლეტა თვითშეფასებისთვის ან ურთიერთშეფასებისთვის, თუ მასწავლებელი აცნობს კლასს „ქვიზის“ პასუხებს. **თვითშეფასება** და **ურთიერთშეფასება** კი განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია.

ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე. ეს მოსწავლის თვითშეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია. მის გამოყენების ინსტრუქციას არ ავლნერთ, რადგან იგი მასწავლებლებისთვის კარგად ნაცნობია.

გრაფიკული ორგანიზაციონები, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი (მასწავლებლის წიგნი, გვ. X).

შეფასების რუბრიკა. რუბრიკა არის მოსწავლის მუშაობის შესაფასებელი კრიტერიუმების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს მოსწავლის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის დონის აღნერას თითოეული კრიტერიუმის მიხედვით. შეფასების რუბრიკას აქვს ცხრილის სახე, რომლის ვერტიკალურ სვეტებში იწერება სასწავლო მიზნიდან გამომდინარე შეფასების კრიტერიუმები, ხოლო პორიზონტალურ გრაგებში მიღწევის დონეები და თითოეული მიღწევის დონის აღნერილობა. რეკომენდაცია: აღნერილობის დაწყება ჯობია მიღწევის მაღალი დონიდან, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის ნამუშევარის, პასუხის სასურველ შედეგს. შეფასების რუბრიკის სხვადასხვა ფორმა არსებობს (ანალიტიკური, პოლისტური, ზოგადი, კონკრეტული). განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვან ინსტ რუმენტს წარმოადგენს შეფასების ანალიტიკური რუბრიკა, რადგან იგი მასწავლებელს ეხმარება მიიღოს **ზუსტი ინფორმაცია მოსწავლის ნამუშევრის შესახებ** და მისცეს მას ასევე ზუსტი და დეტალური უკუკავშირი. მოსწავლისთვის ანალიტიკური რუბრიკა არის დეტალური გზამკვლევი იმისათვის, თუ რა მოლოდინები აქვს მასწავლებელს შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით. ამიტომ არის აუცილებელი რუბრიკის გაცნობა/შეთანხმება მოსწავლეებთან.

შეფასების ანალიტიკური რუბრიკის მაგალითი:


შეფასების კრიტერიუმი	მიღწევის დონეები			
	4	3	2	1
მზა მიკრო-პრეპარატებზე მიკროორგანიზმების ამოცნობის უნარი	ყოველთვის სწორად ამოიცნობს მზა მიკროპრეპარატებზე მიკროორგანიზმს, სწორად ასახელებს მიკროორგანიზმის სტრუქტურას, რომელიც დაეხმარა მის ამოცნობაში	ძირითადად სწორად ამოიცნობს მზა მიკროპრეპარატებზე მიკროორგანიზმს, უშვებს უმნიშვნელო ხარვეზს მიკროორგანიზმის სტრუქტურის დასახელებაში, რომელიც დაეხმარა მის ამოცნობაში	მზა მიკროპრეპარატებზე ამოიცნობს ზოგიერთ მიკროორგანიზმს, უჭირს მიკროორგანიზმის სტრუქტურის დასახელება, რომელიც დაეხმარა მის ამოცნობაში	უმეტესად ვერ ამოიცნობს მზა მიკროპრეპარატებზე მიკროორგანიზმს, და /ან ვერ ასახელებს მიკროორგანიზმის სტრუქტურას, რომელიც დაეხმარა მის ამოცნობაში
მიკროსკოპით დანახული მიკროორგანიზმის დახატვის უნარი	ქმნის მიკროორგანიზმის ადექვატურ ნახატს	ქმნის მიკროორგანიზმის ნახატს მცირე უზუსტობით	ნახატი ნაკლე ებად შეესაბმება რეალურს	ნახატი არ შეესაბამება მიკროსკოპით დანახულს

როგორ გამოვიყენოთ იგივე რუბრიკა განმსაზღვრელი შეფასების მიზნით? მარტივი გზა განმსაზღვრელ შეფასებაზე გადასაყვანად არის გადამყვანი ცხრილის შექმნა. მაგალითად, მოცე-მულ შემთხვევაში საჭიროა დაშვება იმისა, რომ მაქსიმალური 8 ქულა შეესაბამება განმსაზღვრელი შეფასების 10 ქულას, 7 ქულა 9 ქულას და ა.შ.

დაგროვებული ქულები	1	2	3	4	5	6	7	8
განმსაზღვრელი შეფასება	1	3	4	5	6	8	9	10

თემაბის გოგაფი მიმოხილვა

თემა 1 – უჯრედი



თემატური ერთეულის დაგეგმვა

თემა: უჯრედი	დათმობილი საათების რაოდენობა: 5 (+2)		
სტანდარტის შედეგები: ბიოლ. საპ. 1, 2, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 13			
სასწავლო მიზნები/შედეგები			
<p>ძირითადი ცნებები:</p> <p>ნივთიერება – უჯრედის შემადგენლი ორგანული (ნახშირწყალი, ცილა, ცხიმი, სახამებელი, გლოკოგენი) და არაორგანული ნივთიერებები (წყალი, ნახშირწყალუნგი, ჟანგბადი, მინერალური მარილები), მემკვიდრეობითი ნივთიერება;</p> <p>სტრუქტურა – უჯრედის სტრუქტურები: პლაზმური მემბრანა, უჯრედის კედელი, ბირთვი, ციტოპლაზმა, მიტოქონდრია, ვაკუოლი, ქლოროპლასტი; ორგანიზმის ორგანიზაციული სტრუქტურები, ანუ ორგანიზმის ორგანიზაციული დონეები;</p> <p>ცოცხალი სისტემა – უჯრედი, ორგანიზმი, როგორც ცოცხალი სისტემა;</p> <p>სასიცოცხლო თვისება – კვება: ავტოტროფული და ჰეტეროტროფული კვების ტიპი;</p> <p>მრავალფეროვნება – ერთუჯრედიანი და მრავაუჯრედიანი ორგანიზმები;</p> <p>შეგუებულობა – უჯრედების აგებულებისა და ფორმის შეგუება მათ შესასრულებელ ფუნქციებთან დაკავშირებით;</p> <p>კვლევის მეთოდი – უჯრედის მიკროსკოპული კვლევის მეთოდი;</p> <p>კვლევა – უჯრედის მიკროსკოპული კვლევა;</p> <p>აღმოჩენა – გამადიდებელი ხელსაწყოების გამოგონება და უჯრედის აღმოჩენა;</p> <p>დაავადება – სხვადასხვა დაავადების მიკროსკოპული კვლევა უჯრედულ დონეზე.</p>	<p>საკვანძო შეკითხვები:</p> <p>რატომ ითვლება უჯრედი ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურულ-ფუნქციურ ერთეულად?</p> <p>როგორ უკავშირდება უჯრედის ფორმა შესასრულებელ ფუნქციას? მოიყვანე შესაბამისი მაგალითი.</p> <p>დაასაბუთე, რომ უჯრედი მოქმედებს, როგორც ერთი მთლიანი სისტემა.</p> <p>რა სტრუქტურები აქვთ საერთო მცენარეულ და ცხოველურ უჯრედებს?</p> <p>რომელი სტრუქტურები აქვთ განსხვავებული მცენარეულ და ცხოველურ უჯრედებს?</p> <p>დაასახელე მრავალუჯრედიანი ორგანიზმების ორგანიზაციული დონეები.</p> <p>დაასაბუთე, რომ ორგანიზმი მოქმედებს, როგორც ერთი მთლიანი სისტემა.</p>	<p>უნარები:</p> <p>ქმნის უჯრედის მოდელს და იყენებს უჯრედის აგებულების სადემონსტრაციოდ.</p> <p>ამოიცნობს და ახასიათებს უჯრედის რამდენიმე სტრუქტურას: ბირთვს, მიტოქონდრიას, ქლოროპლასტს, უჯრედის კედელს, ციტოპლაზმას.</p> <p>ხსნის, თუ როგორ უკავშირდება უჯრედის შესასრულებელი ფუნქცია მის ფორმას.</p> <p>იყენებს მიკროსკოპს მუდმივი პრეპარატების დასათვალიერებლად, დასაკვირვებლად.</p> <p>ამზადებს დროებით მიკროპრეპარატს, ათვალიერებს მიკროსკოპში, აღწერს და დანახულს იხატავს რვეულში.</p> <p>ერთმანეთთან ადარებს მცენარეულ და ცხოველურ უჯრედებს</p> <p>ახდენს მონაცემების ინტერპრეტაციას</p> <p>აანალიზებს ვიზუალურ მასალაზე მოცემულ ინფორმაციას</p> <p>ავსებს შეთავაზებულ კონცეპტუალურ რუქებს</p>	<p>მეცნიერება და ტექნოლოგიები:</p> <p>გამადიდებელი ხელსაწყოები და მათი განვითარება-სრულყოფა.</p> <p>უჯრედის აღმოჩენის და კვლევის ისტორიები.</p> <p>ბიოლოგიის ახალი დარგის – ციტოლოგიის განვითარება.</p> <p>ციტოლოგიის დარგის განვითარების გავლენა მედიცინაზე</p>

<p>მკვიდრი წარმოდგენები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცოცხალი ორგანიზმები შედგებიან უჯრედებისგან; ორგანიზმი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მრავალი უჯრედისგან და შესაბამისად, არსებობენ ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი ორგანიზმები; • უჯრედის ძირითადი კომპონენტებია: უჯრედის კედელი, პლაზმური მემბრანა, ციტოპლაზმა, ბირთვი, ვაკუოლო, ქლოროპლასტი, მიტოქონდრია. • მიუხედავად იმისა, რომ უჯრედი ცალკეული სტრუქტურებისგან შედგება, ფუნქციონირებს, როგორც ერთი მთლიანი სისტემა; • სხვადასხვა ორგანიზმის უჯრედებს აქვთ როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული სტრუქტურები. • უჯრედი შედგება არაორგანული და ორგანული ნივთიერებებისგან; • უჯრედების აგებულების თავისებურება განსაზღვრავს მის ფუნქციებს 			
--	--	--	--

სწავლა-სწავლების მტკიცებულებები შეფასებისთვის
<p>შექმნილი უჯრედის მოდელები; შექმნილი დროებითი მიკროპრეპარატები; კვლევის ანგარიში (კვლევა: სხვადასხვა ორგანიზმის უჯრედის აგებულების კვლევა); მიკროსკოპით განხილული მიკროპრეპარატების მიხედვით შექმნილი ნახატები უჯრედის სტრუქტურებზე გაკეთებული წარწერებით; შევსებული გრაფიკული ორგანიზატორი (ცნებების რუკა, ცხრილები); შესრულებული ტესტური დავალებები.</p>
სასწავლო გეგმა
<p>გაკვეთილი 1. უჯრედი – ორგანიზმის საშენი მასალა გაკვეთილი 2. გამადიდებელი ხელსაწყობი გაკვეთილი 3. მიკროპრეპარატის მომზადება გაკვეთილი 4. უჯრედის ძირითადი სტრუქტურები გაკვეთილი 5. უჯრედების ფორმების მრავალფეროვნება და ორგანიზმის ორგანიზაციული დონეები გაკვეთილი 6. შემაჯამებელი გაკვეთილი „უჯრედი“</p>

თემის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტით გათვალისწინებული თემიდან – მიკროორგანიზმები – დამოუკიდებელ თემად გამოვიტანეთ უჯრედი, რადგან თუ მოსწავლეს არ შევუქმნით ზოგად წარმოდგენას უჯრედზე, მის ზოგიერთ სტრუქტურაზე, ერთუჯრედიან და მრავალუჯრედიან ორგანიზმებზე, ისე გაუჭირდება სხვადასხვა მიკროორგანიზმის შედარება, მათ შორის მსგავსება-განსხვავების აღმოჩენა. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია ამ თემაში მოსწავლე გაეცნოს უჯრედის კვლევის მეთოდებს, გამადიდებელი ხე-

ლსაწყოების აგებულებისა და გამოყენების წესებს, გამოუმუშავდეს მიკროპრეპარატის მომზადებისა და მისი მიკროსკოპით განხილვის, მოდელის შექმნისა და გამოყენების უნარ-ჩვევები.

თემა მოსწავლის სახელმძღვანელოში მოიცავს 5 პარაგრაფს (გვ 10-21), დამატებით გათვალისწინებულია 2 სარეზერვო საათი, რომელიც მასწავლებელმა თავისი შეხედულებისა და კლასის საჭიროებიდან გამომდინარე უნდა გამოიყენოს.

ამ თემის ფარგლებში მუშაობა ხდება მოსწავლეებში სტანდარტით განსაზღვრული შემდეგი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე:

- ორგანიზმი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მრავალი უჯრედისგან;
- უჯრედის ძირითადი კომპონენტებია: უჯრედის კედელი, პლაზმური მემბრანა, ციტოპლაზმა, ბირთვი, ვაკუოლი, ქლოროპლასტი, მიტოქონდრია;
- უჯრედის შემადგენლობაში შედის ორგანული და არაორგანული ნივთიერებები;
- ზოგიერთი ორგანიზმის დანახვა და შესწავლა მხოლოდ გამადიდებელი ხელსაწყოთი -მიკროსკოპითაა შესაძლებელი.

ზოგადი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი აქტივობები უწყობს ხელს მოსწავლეებში ზემოთ მითითებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.

მკვიდრი წარმოდგენა: ორგანიზმი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მრავალი უჯრედისგან – ამ წარმოდგენის ჩამოყალიბებაში ხელს უწყობს მოსწავლის წიგნში მოცემულ ილუსტრაციებსა (1.1.1, 1.1.2, 1.3.2, 1.4.1-სა და 1.4.3) და შესაბამის დავალებებზე თანმიმდევრული მუშაობა.

მკვიდრი წარმოდგენა: უჯრედის ძირითადი კომპონენტებია: უჯრედის კედელი, პლაზმური მემბრანა, ციტოპლაზმა, ბირთვი, ვაკუოლი, ქლოროპლასტი, მიტოქონდრია – ამ წარმოდგენის ჩამოყალიბებაში ხელს უწყობს მოსწავლის წიგნში მოცემულ ისეთ აქტივობებზე თანმიმდევრული მუშაობა, როგორიცაა კვლევითი სამუშაოები (უჯრედის მოდელის შექმნა, მიკროპრეპარატის განხილვა მიკროსკოპით, სხვადასხვა ორგანიზმის უჯრედების აგებულების კვლევა), ილუსტრაციაზე (1.4.2) მოცემული ინფორმაციის ანალიზი და მონაცემების ცხრილში ორგანიზება, შემაჯამებელი დავალებები (ტესტური დავალებები, დავალება 4 კრიტიკული აზროვნებისთვის, ვიზუალური მასალის ინტერპრეტაცია 1 და 3, სქემის შედგენა, უჯრედის მოდელის შექმნა და გამოყენება).

მკვიდრი წარმოდგენა: უჯრედის შემადგენლობაში შედის ორგანული და არაორგანული ნივთიერებები – მხოლოდ იწყება ამ თემაში წარმოდგენის შექმნა ტექსტში მოცემული ინფორმაციითა (გვ. 11 და 18) და გვ 11-ზე დასმული კითხვით: რა ნივთიერებებისგან შედგება უჯრედი?

მკვიდრი წარმოდგენა: ზოგიერთი ორგანიზმის დანახვა და შესწავლა მხოლოდ გამადიდებელი ხელსაწყოთი – მიკროსკოპითაა შესაძლებელი – ამ წარმოდგენის ჩამოყალიბებაში ხელს უწყობს მოსწავლის წიგნში მოცემულ ისეთ აქტივობებზე თანმიმდევრული მუშაობა, როგორიცაა პრაქტიკული სამუშაოები (ლუპის მოდელის შექმნა, მიკროსკოპის აგებულების გაცნობა და სამუშაოდ მომზადება, მიკროპრეპარატის მომზადება), კვლევითი სამუშაოები (მიკროპრეპარატის განხილვა მიკროსკოპით, სხვადასხვა ორგანიზმის უჯრედის აგებულების კვლევა).

რეკომენდაციები თითოეულ პარაგრაფის შინაარსა და მის კლასში რეალიზაციაზე

ყველა თემაში პარაგრაფები ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს აქვს საშუალება მხოლოდ სახელმძღვანელოს გამოყენებითაც კი დაგეგმოს და ჩაატაროს მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილი, ანუ მოსწავლე აქტიურად ჩართოს გაკვეთილის ყველა ფაზაში. ყველა პარაგრაფი იწყება სამოტივაციო კითხვით ან აქტივობით. ეს აქტივობა ზოგჯერ არის პრაქტიკული სამუშაო. ანუ ჯერ ატარებს მოსწავლე მინი-კვლევას და მიღებული შედეგების გაანალიზებით აკეთებს “ალმოჩენებს”, ადგენს კანონზომიერებებს და ანდა უბრალოდ ინტერესს აღვიძებს შესასწავლი საკითხისადმი. გაკვეთილის ძირითად ნაწილში ჩასართავად სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია ილუსტრაციებზე, სქემებზე, ტექსტებზე მუშაობა.

1.1. უჯრედი – ორგანიზმის საშენი მასალა

მოსწავლეთა მოტივაციისთვის – უჯრედის მიმართ ინტერესის გამოსაწვევად კარგი იქნება, რომ დავაკვირვოთ ისინი სურათზე და მივცეთ მათ საშუალება გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, თუ რა შეიძლება იყოს საზამთროს რბილობზე შემჩნეული მარცვლება.

გაკვეთილის ძირითადი ნაწილი – შემდეგ მასწავლებელი ამცნობს მოსწავლეებს, რომ უჯრედი არის ყველა ცოცხალი ორგანიზმის საშენი მასალა და რომ მისი აღმოჩენა გამადიდებელი ხელსაწყოების გამოგონებასთან არის დაკავშირებული. ამის შემდეგ, სანამ მის სტრუქტურებზე ისაუპრესს, ჯობია მოსწავლეებმა შექმნან უჯრედის მარტივი მოდელი. ამ მიზნით მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა დაყოს მცირე ჯგუფებად და მათ დაურიგოს მოდელის შექმნისათვის აუცილებელი მასალა. წინასწარ მასწავლებელმა უნდა მოამზადოს ერთჯერად ჭიქებში ყელატინისგან უელე, რომელიც ჭიქის 1/4-ს დაფარავს. საჭიროა მასწავლებელმა შეამოწმოს, მოსწავლეებისთვის რამდენად გასაგებია ინსტრუქცია (ამ მიზნით შეუძლია გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა „ცერა თითები“, „შუქნიშანი“) და საჭიროების შემთხვევაში, მისცეს დამატებითი მითითებები; თვალყური ადევნოს მოსწავლეების მუშაობას. მოდელის შექმნას და მოდელის გაანალიზებისათვის საჭირო კითხვებზე პასუხის მოსამზადებლად, დაახლობით, 15 წთ შეიძლება დაეთმოს. მოდელის შექმნის დასრულების შემდეგ კი, შემთხვევითობის პრინციპის დაცვით (შეიძლება გამოსაძახებელი ჩხირების გამოყენება), თითო ჯგუფი თითო კითხვას პასუხობს, საჭიროების შემთხვევაში სხვა ჯგუფსაც შეუძლია კითხვაზე თავისი ვერსიის/მოსაზრების გამოთქმა. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, სამუშაო რვეულში ჩაინიშნონ უჯრედის ის სტრუქტურები, რომელიც თავითი მოდელის მიხედვით ნახეს.

მოდელის შექმნის მთავარი მიზანია, მოსწავლეებმა აღიქვანი, რომ უჯრედი არის ორგანიზმის აგებულების სტრუქტურული ერთეული, მაგრამ თვით უჯრედიც შედგება ცალკეული სტრუქტურისგან, რასაც მიკროსტრუქტურას უნდოებენ.

სასურველია, მასწავლებელმა დამოუკიდებლად ამუშაოს მოსწავლეები რუბრიკის – მეცნიერება პრაქტიკაში – ტექსტზე წინასწარ მიცემულ კითხვებზე პასუხის გასაცემად: 1) ვინ აღმოაჩინა პირველად უჯრედი და 2) რა გავლენა მოახდინა უჯრედის აღმოჩენამ პიოლოგისა და მედიცინის განვითარებაზე.

ამ გაკვეთილის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზანი გახდავთ ის, რომ მოსწავლეებმა მიიღონ ინფორმაცია ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი ორგანიზმების არსებობის შესახებ. ამაში თქვენ დაგეხმარებათ სახელმძღვანელოში მოცემული სურათები – 1.1.1 და 1.1.2.

ასევე, ელემენტარული წარმოდგენა უნდა მივცეთ უჯრედის შემადგენელ არაორგანულ და ორგანულ ნივთიერებებზე, რომ ამ ნივთიერებების გარდაქმნაზე დამოკიდებული უჯრედის ფუნქციირება.

1.2. გამადიდებელი ხელსაწყოები

გამოწვევის ფაზაში კითხვას – რა სტრუქტურებისგან შედგება გამადიდებელი ხელსაწყოები? – იყენებს გონიერივი იერიშის წარმართვისათვის.

იმისთვის, რომ მოსწავლეებს ელემენტარული წარმოდგენა შეექმნათ, თუ რას წარმოადგენს გამადიდებელი ხელსაწყოების მთავარი სტრუქტურა – ლინზა, მათ უნდა შექმნან ლუპის მარტივი მოდელი. ამისთვის მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს მცირე ჯგუფებად და ურიგებს საჭირო მასალას (შეახსენებს მინის ხელსაწყოებთან მუშაობის უსაფრთხო წესებს), ავალებს გაეცნონ სახელმძღვანელოში მოცემულ (გვ. 12) მოდელის შექმნის პროცედურას და შექმნან იგი.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ როგორ შეიცვალა ტექსტის ასოების სიდიდე წყლის წვეთიდან დაკვირვების შემთხვევაში. შემდეგ უუბნება, რომ ლინზასაც წყლის წვეთის ფორმა აქვს და რომ გამადიდებელი ხელსაწყოების ძირითადი ნაწილი არის ლინზები.

გაკვეთილის ძირითადი ნაწილი – შემდეგ მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს სინათლის მიკროსკოპებს, თუ არ არის ამის საშუალება, თვითონ ახდენს მიკროსკოპის დემონსტრირებას, უარესს შემთხვევაში ამუშაოს სახელმძღვანელოში მოცემულ მიკროსკოპის სურათსა და მასზე მოცემულ ინფორმაციაზე. მოსწავლეებს ევალებათ, რვეულში გადაიტანონ ცხრილი (?) და შეავსონ: მიკროსკოპის თითოეული ნაწილი და მისი დანიშნულება.

სასურველია, მასწავლებელმა დამოუკიდებლად ამუშაოს მოსწავლეები რუბრიკის – **მეცნიერება პრაქტიკაში** – ტექსტზე წინასწარ მიცემულ კითხვებზე პასუხის გასაცემად: 1) ვინ შექმნა პირველი მიკროსკოპი და რას წარმოადგენდა იგი? 2) როდის გამოიგონეს ელექტრონული მიკროსკოპი? 3) ობიექტს რამდენჯერ ადიდებენ თანამედროვე მიკროსკოპები? 4) რაში იყენებენ დღეს მიკროსკოპებს? მოსწავლეებისგან პასუხებს მოისმენს შემთხვევითობის პრინციპის გამოყენებით. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი მოსწავლეებისგან მოისმენს ასეთ კითხვაზეც პასუხს: რომელიმე თქვენგანისათვის თუ ჩაუტარებიათ სამედიცინო გამოკვლევები მიკროსკოპის საშუალებით და რა სახის? სავარაუდოდ, მათ უნდა თქვან, რომ გაუკეთებიათ სისხლის მიკროსკოპული გამოკვლევა. ამ შეკითხვით უფრო ნათლად გაიაზრებენ მიკროსკოპის გამოგონების პრაქტიკულ მნიშვნელობას.

რეკომენდაციები პრაქტიკული სამუშაოს – მიკროსკოპის სამუშაოდ მომზადება (გვ. 13) : მასწავლებელი ჯგუფებში ანანილებს საჭირო მასალას და მოსწავლეებს ავალებს, მუშაობის დაწყებამდე გაეცნონ სამუშაოს პროცედურას/შესრულების ინსტრუქციას. 1-2 მოსწავლისგან ისმენს სამუშაოს შესრულების თანმიმდევრობას და ამის შემდეგ იწყებენ მუშაობას. მასწავლებელი აკვირდება მათ მუშაობას და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება. გასათვალისწინებელია, რომ დასაწყისში მათ გაუჭირდებათ მიკროსკოპის განათება, დიდ ობიექტივზე გამოსახულების ფოკუსირება. მასწავლებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ ჯგუფის ყველა წევრმა შეძლოს მიკროსკოპის განათება, მცირედან დიდ გადიდებაზე გადაყვანა და გამოსახულების ფოკუსირება.

დასასრულს მასწავლებელი ჯგუფებისგან ისმენს მათ მიერ შემუშავებულ მიკროსკოპთან მუშაობის წესებს, რასაც მასწავლებელი აფიქსირებს ფლიპჩარტზე (საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ფორმულირებაში კორექტირება ან ამატებს).

მიკროსკოპის უსაფრთხოდ გამოყენების სავარაუდო წესები:

- მიკროსკოპი უნდა აიღო ორი ხელით, მაგიდაზე დებთ ფრთხილად, რათა არ დააზიანო;
- ნათურიანი მიკროსკოპი ფრთხილად უნდა ჩართო დენში;
- სარკიანი მიკროსკოპის გამოყენების შემთხვევაში, ეცადე, არ გატეხო სარკე და არ გაიჭრა ხელი;
- მიკროსკოპის ფოკუსირებისას ტუბუსი აუცილებლად უნდა აიწიოს ზემოთ, რათა არ დაზიანდეს პრეპარატი და ობიექტის ლინზა;
- მიკროსკოპთან მუშაობა სისუფთავის დაცვას მოითხოვს: მიკროსკოპთან მუშაობის წინ საჭიროა ხელების საპნით დაბანვა, რათა საკვლევ ობიექტზე არ დარჩეს ჭუჭყიანი ხელის კვალი, რომელიც მკვეთრი გამოსახულების აღქმას ხელს შეუშლის;
- მიკროსკოპი ხმარების შემდეგ, მტვრისაგან დაცვის მიზნით, უნდა მოათავსო სპეციალურ ყუთში ან ჩამოაცვა ცელოფანის პარკი და შეინახო კარადაში.

შემდეგი გაკვეთილისათვის მოტივაციის შექმნის მიზნით, მასწავლებელი ეუბნება, რომ შემდეგ გაკვეთილზე ისინი ისწავლიან მიკროპრეპარატის მომზადების წესებს, მოამზადებენ მიკროპრეპარატებს და განიხილავენ მიკროსკოპით.

1.3. მიკროპრეპარატის მომზადება და განხილვა

მოსწავლეებისგან კითხვაზე – რა არის მიკროპრეპარატი, განუმარტავს მათ მიკროპრეპარატის არსა, ახდენს მიკროპრეპარატის მომზადებისთვის საჭირო ხელსაწყოების დემონსტრირებას და იყენებს სახელმძღვანელოს სურათსაც (1.3.1, გვ. 14).

კარგი იქნება, თუ ჯერ მასწავლებელი მოახდენს ხახვის კანის მიკროპრეპარატის შექმნის დემონსტრირებას (ინსტრუქციის მოდელირება) და სთხოვოს 1-2 მოსწავლეს, აღწეროს მიკროპრეპარატის მომზადების პროცედურა. შემდეგ კი დაყოს მოსწავლები ჯგუფებად, დაურიგოს ჯგუფებს საჭირო მასალა და სახელმძღვანელოში მითითებული პროცედურის დაცვით შექმნან ხახვის კანის მიკროპრეპარატი. აუცილებლად უნა შეახსენოს მინის ხელსაწყოებთან უსაფრთხო ქცევის წესები.

მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლებს მიკროპრეპარატის მომზადების ზოგიერთი ეტაპის დაცვის საჭიროება. მაგალითად,

• სასაგნე მინა და საფარი მინა გამოყენებამდე უნდა გაიწმინდოს რბილი ქსოვილით, რათა მათ მოაშოროს მტვერი და სხვა ნაწილაკები, რბილი ქსოვილი, რათა მინა არ გაიჩინოს ანდა ხელი მინაზე არ გაიჭრას;

• სასაგნე და საფარი მინები უნდა დაიკავოს გვერდებზე ხელის მოკიდებით, რომ მათზე არ დარჩეს თითის ანაბეჭდები;

• საფარი მინის დაფარების წესი: მისი ჯერ ერთი ნაპირის შეხება წყალთან, მერე ნელ-ნელა დაშვება მისი სასაგნე მინაში ისე, რომ წყალმა თანდათან შეავსოს სივრცე სასაგნე და საფარ მინებს შორის და არ მოხვდეს ჰაერის ბუშტუკები, რაც საკვლევი ობიექტის სტრუქტურების აღქმას გააძნელებს;

• საჭიროა ზედმეტი წყლის დაშრობა ფილტრის საშუალებით, წინააღმდეგ შემთხვევაში საფარი მინა შეიძლება ასრიალდეს და ობიექტის დათვალიერება ვერ მოხერხდეს.

შემდეგ მასწავლებელმა, შეხსენების მიზნით, მოსწავლებისგან უნდა მოისმინოს, თუ უჯრედის რა სტრუქტურები ნახეს თავიანთ შექმნილ უჯრედის მოდელში და დასვას კითხვა: როგორ ფიქრობთ, თქვენს მიერ მომზადებულ ხახვის კანის პრეპარატის მიკროსკოპით განხილვისას უჯრედის რა სტრუქტურებს დაინახავთ?

ამის შემდეგ ჯგუფები ასრულებენ პრაქტიკულ-ლაბორატორიულ სამუშაოს: მიკროპრეპარატის განხილვა მიკროსკოპით (გვ. 15). შესაძლებელია, ჯგუფებმა მიკროსკოპით დანახული უჯრედი დახატონ ფლიპჩარტზე, გაუკეთონ წარწერები და გამოფინონ. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, დაათვალიერონ ერთმანეთის ნამუშევარი. ჩატარებული სამუშაოს ანალიზისთვის განკუთვნილ კითხვებზე (მონაცემების ანალიზი და დასკვნა: 1. დაასახელე მიკროსკოპით განხილული მცენარეული უჯრედის ძირითადი სტრუქტურები. 2. უჯრედის რომელი სტრუქტურა ჩანს ყველაზე კარგად ხახვის ბოლქვის კანის უჯრედების მიკროპრეპარატში? 3. გაიხსენე შენ მიერ შექმნილი უჯრედის მოდელი. მიკროპრეპარატში, მოდელისგან განსხვავებით, უჯრედის რა სტრუქტურა აღმოაჩინე?) ჯგუფები თითოს პასუხობენ შემთხვევითობის პრინციპით. სხვა ჯგუფი ამატებს ან გამოთქვამს განსხვავებულ მოსაზრებას.

1.4. უჯრედის ძირითადი სტრუქტურები

გაკვეთილის მთავარი მიზანი არის ის, რომ მოსწავლეები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ სხვადასხვა ორგანიზმის უჯრედებს ახასიათებს საერთო სტრუქტურებიც და განსხვავებულიც, რომ ერთი ორგანიზმის სხვადასხვა ორგანოს უჯრედიც არ არის იდენტური.

ამ გაკვეთილს, სავარაუდოდ ორი საგაკვეთილო საათი უნდა დაეთმოს, რადგან კვლევის ჩატარებას და ანგარიშის დაწერას ერთი გაკვეთილი არ ეყოფა. ისიც შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს ანგარიშის დაწერა საშინაო დავალებად მისცეს, რომელსაც შემდეგ გაკვეთილზე წარმოადგენენ.

გაკვეთილის გამოწვევის ფაზაში მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება: ხახვის კანის უჯრედებში მიკროსკოპით რა სტრუქტურები დაინახეს? პასუხების მოსმენის შემდეგ სვამს კითხვას: როგორ ფიქრობთ, სხვადასხვა ორგანიზმის უჯრედებს ზუსტად ერთნაირი აგებულება აქვთ? ეს არის საკვლევი კითხვა პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოს: სხვადასხვა ორგანიზმის უჯრედის აგებულების კვლევა (გვ. 16).

გაკვეთილის ძირითადი ნაწილი – მოსწავლეებისგან ისმენს ჰქონებას საკვლევ კითხვაზე. შემდეგ კი ჯგუფებს ურიგებს პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალას. მოსწავლეები ეცნობიან სამუშაოს პროცედურას (მოსწავლის წიგნი გვ. 16) და იწყებენ მუშაობას. მასწავლებელმა უნდა შეახსენოს მიკროპრეპარატის მომზადებისა და მიკროსკოპთან უსაფრთხო მუშაობის წესები (თუ სკოლას აქვს ლაბორატორია, კარგი იქნება, თუ ეს წესები გამოკრული იქნება ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას).

მოსწავლეები ჯგუფებში მუშაობენ, მაგრამ ჩატარებული კვლევითი სამუშაოს შესახებ ანგარიშს ინდივიდუალურად წერენ (იხ. ანგარიშის ნიმუში მოსწავლის წიგნში, დანართი 1).

ამ შემთხვევაში ანგარიშის შეფასების კრიტერიუმები იქნება: ვარაუდის ფორმულირება, პროცედურის აღწერა, მონაცემების წარმოდგენა და ანალიზი, დასკვნის ფორმულირება. მასწავლებელი წინასწარ შეიმუშავებს შეფასების სქემას/რუბრიკას, რომელსაც აცნობს მოსწავლეებს.

შეფასების კრიტერიუმი	4 ქულა	3 ქულა	2 ქულა	1 ქულა	შეფასე- ბის ქულა
ვარაუდის ფორმული- რება	გამოთქმუ- ლი ვარაუდის შინაარსი შეესა- ბამება საკვლევ კითხვას, შემონ- მებადია და/ან ეფუძნება წინარე გამოკვლევებს	გამოთქმული ვარაუდი არ შეე- საბამება სრუ- ლად საკვლევ კითხვას ან ნაკლებად შემონმებადია	გამოთქმული ვარაუდი არ შეე- საბამება სრუ- ლად საკვლევ კითხვასთან	ვარაუდი არ არის მოცემული, ან სრულ აცდე- ნაშია საკვლევ კითხვასთან	
პროცე- დურის აღწერა	მოცემულია პროცედურის თითოეული ეტაპის მკაფიო და დეტალური აღწერა	მოცემულია პროცედურის აღწერა. შეინიშ- ნება მეტი დეტალიზაციის/ სიცხადის საჭ- იროება	პროცედურის ზოგიერთი ნაბი- ჯის აღწერა არ არის მოცემული, ან აღწერა ბუნ- დოვანია	პროცედურის ცალეკეული ნა- ბიჯები არ არის გამოყოფილი, ან არის ძალიან ბუნდოვანი და გაუგებარი	
მონაცემების წარმოდგენა და ანალიზი	გაკეთებული უჯრედების ნახატები შეესაბამება მიკროსკოპ- ში დანახულს, უჯრედის სტრუქტურებზე სწორადაა გა- კეთებული წარ- ნერები, ანალიზი სწორია და შეეს- აბამება დასმულ კითხვებს	გაკეთებული უჯრედების ნა- ხატები, ძირითა- დად, შეესაბამება მიკროსკოპში დანახულს, უჯრედის სტრუქტურებ- ზე გაკეთებული წარნერებზე უმნიშვნელო ხარვეზი შეინიშ- ნება, ანალიზი სწორია და შეეს- აბამება დასმულ კითხვებს	გაკეთებულ უჯრედების ნახატებსა და წარნერებზე შეინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზი; ანალიზი არას- წორია	ნახატების აღქმა ძნელია, მასზე გაკეთებული წარნერები არ არის ან არასწო- რია	

დასკვნის ფორმული- რება	დასკვნები ითვალისწინებს მიღებულ მონაცემებს, დასკვნები მთლიანად შეეს- აბამება საკვლევ კითხვას, გამარ- თულია	დასკვნები ითვალისწინებს მიღებულ მო- ნაცემებსა და დასკვნები შეეს- აბამება საკვლევ კითხვას თუმცა მსჯელობაში უმნიშვნელო ხარვეზებია	დასკვნაში ნაკლებადაა გათ- ვალისწინებუ- ლი მიღებული მონაცემები, დასკვნები ნა- კლებად შეესა- ბამება საკვლევ კითხვას მსჯე- ლობა ბუნდო- ვანია	დასკვნები არ ითვალისწინებს მიღებულ მო- ნაცემებს, არ შეესაბამება საკვლევ კითხვას	
---------------------------------------	---	--	--	--	--

სავარაუდო პასუხები – „მონაცემების ანალიზი და დასკვნა“:

1. უჯრედის კედელი, პლაზმური მემბრანა, ციტოპლაზმა, ბირთვი, ვაკუოლი;
2. ელოდეას უჯრედები მწვანეა, რადგან მასში ქლოროპლასტებია;
3. პლაზმური მემბრანა, ციტოპლაზმა, ბირთვი;
4. არა, მათ აქვთ განსხვავებული სტრუქტურებიც;
5. უჯრედის კედელი, ხახვის კანის უჯრედებს, ელოდეას ფოთლის უჯრედებისგან განსხვავებით, არ აქვს ქლოროპლასტები, ხოლო პირის ღრუს ლორწოვანი გარსის უჯრედებს, მცენარეული უჯრე-დებისგან განსხვავებით, არ აქვს უჯრედის კედელი, ვაკუოლი და ქლოროპლასტები. ყველა უჯრე-დისთვის საერთოა პლაზმური მემბრანა, ციტოპლაზმა და ბირთვი;
6. სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმის უჯრედებს ზუსტად ერთნაირი მიკროსკოპული აგებულება არ აქვს.

პრაქტიკული სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ სურათზე და მასზე მოცემული ინფორმაციის განალიზების საფუძველზე რვეულში გადააქვთ და ავსებენ ? 1-ში მოცემულ ცხრილს (გვ. 17). მასწავლებელი მოსწავლეებისგან მოსმენილი პასუხების მიხედვით ავსებს დაფაზე/ფლიპჩარტზე წინასწარ გამზადებულ ანალოგიურ ცხრილს, რომლის მიხედვითაც, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეები აკეთებენ თავიანთ ნამუშევარში შესწორებას.

მასწავლებელი მოსწავლეებს ინდივიდუალურად ამუშავებს სახელმძღვანელოს ტექსტზე (გვ. 18), რომლის გაცნობის შემდეგ პასუხი უნდა გასცენ კითხვებს – 2,3,4. (რასაკვირველია მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან ამ კითხვების შინაარსს). მოსწავლეები კითხვებზე მოკლე პასუხებს ინიშნავენ სამუშაო რვეულებში. მასწავლებელი ისმენს მოსწავლეებისგან პასუხებს.

1.5. უჯრედის ფორმის მრავალფეროვნება

გაკვეთილის უმთავრესი მიზანია, რომ მოსწავლეებმა გამოიტანონ დასკვნა: უჯრედის ფორმა და აგებულება შეესაბამება მათ ფუნქციებს, რომ მრავალუჯრედიან ორგანიზმებში აგებულებითა და ფუნქციით მსგავსი უჯრედები ქსოვილებს ქმნიან, გაერკვნენ ორგანიზმის ორგანიზაციულ დონეებში, რომ მრავალუჯრედიანი ორგანიზმის ერთ უჯრედს დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია.

გამოწვევის ფაზა – შესასწავლი თემისადმი იტერესის გამოწვევას ემსახურება გვ. 19-ზე მოცემული ერთი ორგანიზმის სხვადასხვა უჯრედის სურათების განხილვას და მცირე დისკუსიის გამართვას, თუ რითა ეს მრავალფეროვნება გამოწვეული. მოსწავლეების პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი ატარებს მინი-ლექციას უჯრედის ფუნქციისა და მისი ფუნქციის შესაბამისობის შესახებ, შემოაქვს ქსოვილისა და ორგანოს განმარტება და აკეთებს დასკვნას, რომ მრავალუჯრედიან ორგანიზმებში უჯრედები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არ მუშაობს.

აქ კარგია, მოსწავლეებს გავახსენოთ, თუ რა სასიცოცხლო თვისებები ახასიათებს ცოცხალ ორგანიზმებს, რომ ერთუჯრედიან ორგანიზმებში ერთი უჯრედი ასრულებს ყველა სასიცოცხლო ფუნქციას.

გაკვეთილის ძირითადი ნაწილი – მასწავლებელი დაფას ან ფლიპჩარტს ყოფს სამ ნაწილად, თოთოეულ ნაწილს აწერს ადამიანი, ცხოველი, მცენარე და მოსწავლეებს ავალებს, წინა კლასებში ნასწავლის საფუძველზე, ჩამოთვალონ ადამიანის, ცხოველების, მცენარეების ორგანოები, მასწავლებელი მათ პასუხებს აფიქსირებს შესაბამისს ადგილზე. შემდეგ მოსწავლე ჩამოთვლილ ორგანოებს აჯგუფებს შესრულებული ფუნქციების მიხედვით თავიანთ რევულებში, ასახელებს სხვადასხვა ორგანოს შეთანხმებული მოქმედების მაგალითებს და მსჯელობენ შეთანხმებული მუშაობის მნიშვნელობის შესახებ (გვ. 19. 1,2,3).

მასწავლებელი სურ. 1.5.1-ის გამოყენებით ხსნის მრავალუჯრედიანი ორგანიზმის ორგანიზაციულ დონეებს ადამიანის მაგალითზე.

გაკვეთილის შემაჯამებელი ნაწილი – ამის შემდეგ მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ სურ. 1.5.2-ზე და პასუხობენ გვ. 21-ზე მოცემულ კითხვებზე (5, 6, 7, 8).

მე-8 კითხვაზე პასუხის მოსმენის შემდეგ მასწავლებელი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ მიუხედავდ იმისა, რომ ორგანიზმი შედგება ცალკეული ორგანიზაციული დონეებისგან, იგი ფუნქციონირებს, როგორც ერთი მთლიანი სისტემა.

საშინაო დავალებად ეძლევათ 9.10 და 11.

პასუხები კითხვებსა და სავარჯიშოებზე:

§1.1.

1. უჯრედი თავისივე შექმნილი მიკროსკოპით პირველად აღმოაჩინა რობერტ ჰუკმა, მან შეამჩნია, რომ ხის ქერქი პატარა განყოფილებებისგან – “უჯრედებისგან” შედგებოდა, თუმცა ეს ხის კორპის მკვდარი უჯრედები იყო და მან მხოლოდ უჯრედის კედლები დაინახა.

2. ორგანიზმი, რომელიც მხოლოდ ერთი უჯრედისგან შედგება, ერთუჯრედიანი ანუ მიკროორგანიზმი ეწოდება.

3. უჯრედი შედგება არაორგანული (წყალი, ნახშირორუანგი, ჟანგბადი, მინერალური მარილები) და ორგანული (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები) ნივთიერებებისგან.

§1.2.

1. (იხ. მოსწ. წიგნი, გვ. 12, სურ. 1.3.1)
2. მიკროსკოპის საერთო გადიდება = $X60 \cdot X40 = X2400$
3. ობიექტივის გადიდება = $300 / 10 = X30$

§1.3.

1. ზოგიერთი ობიექტის მიკროსკოპით დათვალიერებისთვის აუცილებელია მისი წინასწარი მომზადება, რასაც მიკროპრეპარატი ეწოდება. მიკროპრეპარატი შედგება სასაგნე და საფარი მინებისგან, სასაგნე მინაზე მოთავსებული კვლევის ობიექტისგან.

2. (იხ. მოსწ. წიგნი, გვ. 14, რუბრიკა – „პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაო“).
3. უსაფრთხოება ლანცეტის, სასაგნე და საფარი მინების გამოყენების დროს.

§1.4.

1.

სტრუქტურა	მცენარეული უჯრედი	ცხოველური უჯრედი
პლაზმური მემბრანა	+	+
ქლოროპლასტი	+	-
ციტოპლაზა	+	+
უჯრედის კედელი	+	-
ბირთვი	+	+
სახამებლის მარცვლები	+	-
გლიკოგენის მარცვლები	-	+
დიდი ზომის ვალუოლი	+	-
მიტოქონდრია	+	+

2. რადგან ბირთვში მოთავსებულია მემკვიდრეობითი ნივთიერება, რომელიც არეგულირებს უჯრედში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებს.

3. ავტოფროფია ელოდეას ფოთლის უჯრედები, რადგან მასში მოთავსებულია ქლოროპლასტები, რომელშიც ფოტოსინთეზი მიმდინარეობს, ხოლო ჰეტეროფროფი უჯრედებია ხახვის კანისა და ცხოველური უჯრედები, რადგან ეს უჯრედები ქლოროპლასტებს არ შეიცავს.

4. ცხოველური უჯრედები, დაახლოებით, ერთნაირი ზომისაა, შესაბამისად, ცხოველების სხეულის ზომებში განსხვავება დაკავშირებულია უჯრედების რაოდენობასთან.

§ 1.5.

5. მცენარეული ქსოვილების მაგალითები: მაფოტოსინთეზებელი, გამტარი, მფარავი ქსოვილები.

6. მაფოტოსინთეზებელი ქსოვილის ფუნქციაა ფოტოსინთეზი, რადგან მისი უჯრედები ქლოროპლასტებს შეიცავს.

7. გამტარ ქსოვილს ქმნის წაგრძელებული ფორმის უჯრედები.

8. ბუსუსები შეიწოვენ ნიადაგიდან წყალსა და მასში გახსნილ მინერალურ მარილებს, მისი დაზიანებით წყდება ეს პროცესი და მცენარე კვდება.

9. ერთუჯრედიანი ორგანიზმებისთვის არ არის დამახასიათებელი ქსოვილური, ორგანული, ორგანოთა სისტემური დონეები.

10.

სახელმძღვანელო	ორგანიზმი
ტექსტი	ორგანოთა სისტემა
წინადადება	ორგანო
სიტყვები	ქსოვილი
ასოები	უჯრედი

11. ნერვული უჯრედი, ნერვული ქსოვილი, თავის ტვინი, ნერვული სისტემა, ორგანიზმი.

თემა 1-ის შეჯამება – პასუხები

ტესტური დავალებები

	1	2	3	4	5
ა					
ბ		x			x
გ	x		x	x	
დ					

6. ა. უჯრედებისგან ბ. პლაზმური მემბრანით გ. ბირთვი
 დ. 1. უჯრედის კედელი 2. ქლოროპლასტი 3. დიდი ზომის ვაკუოლი
 7. ა. ქსოვილს ბ. ორგანოს გ. ორგანოთა სისტემას

დავალებები კრიტიკული აზროვნებისთვის:

- არა, რადგან მცენარის ყველა ორგანოს უჯრედი არ შეიცავს ქლოროპლასტებს, მაგალითად, ფესვებს უჯრედები.
- უჯრედი ვეღარ მიიღებს სასიცოცხლო პროცესებისათვის საჭირო ენერგიას.
- ფესვთა სისტემის დაზიანებით შეფერხდება ნიადაგიდან წყლისა და მასში გახსნილი მინერალური მარილების შეწოვა.
- ვაწარმოებდი უჯრედის მიკროსკოპულ გამოკვლევას და ყურადღებას მივაქცევდი მასში უჯრედის კედლის, ვაკუოლის და ქლოროპლასტების არსებობას.

ვიზუალური მასალის განსჯა


- 1 – პლაზმური მემბრანა
- 2 – ციტოპლაზმა
- 3 – ბირთვი
- 4 – მიტოქონდრია. უჯრედზე წარმოდგენილია ცხოველური უჯრედი.
2. კუნთოვანი უჯრედი, კუნთოვანი ქსოვილი, კუჭი, საჭმლის მომნელებელი სისიტემა. ყოველი ზემდგომი ორგანიზაციული დონე მოიცავს ქვედა დონეებს. მაგალითად, ქსოვილს უჯრედები ქმნის, ორგანოს – ქსოვილები, ხოლო ორგანოთა სისიტემას – ორგანოები.
3. სიცოცხლეს განაგრძობს უჯრედის ა ნახევარი, რადგან ამ ნაწილშია მოთავსებული ბირთვი, რომელთანაც არის დაკავშირებული უჯრედის ფუნქციონირება.

მონაცემების განსჯა

ანალიზი: გამოკვლეული ყველა ხის ფოთლების უჯრედებში, ზაფხულთან შედარებით, შემოდგომაზე ქლოროპლასტების რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება.

დასკვნა: ფოთოლში მიმდინარე ფოტოსინთეზის სიჩქარე დამოკიდებულია ქლოროპლასტების რადგენობაზეც. რადგან შემოდგომაზე შეგროვებულ ფოთლებში ქლოროპლასტების რაოდენობა არის შემცირებული, ფოტოსინთეზი უფრო სწრაფად მიმდინარეობს ზაფხულში.

სქემის შედგენა




მოდელის შექმნა და გამოყენება

მონაცემების ანალიზი და დასკვნა:

1. პლასტმასის კონტეინერის კედლები უჯრედის კედელს წარმოადგენს.
2. უჯრედის კედელი მცენარეული უჯრედისთვის არის დამახასიათებელი, იგი უჯრედს უნარჩუნებს ფორმას, ასრულებს დამცველობით ფუნქციას.
3. პოლიეთილენის პაკეტის კედლები უჯრედის პლაზმურ მემბრანას შეესაბამება, იგი ნაკლებად უნარჩუნებს უჯრედს ფორმას.

თემა 2 – მიკროონგანიზმები



თემატური ერთეულის დაგეგმვა

თემა: მიკროორგანიზმები	დათმობილი საათების რაოდენობა: 9 (+3)					
სტანდარტის შედეგები: ბოლ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13						
სასწავლო მიზნები/შედეგები						
ძირითადი ცნებები: ნივთიერება – მემკვიდრეობითი ნივთიერება, შხამიანი/ტოქსიური ნივთიერება, ანტიბიოტიკი სტრუქტურა – ვირუსის, ბაქტერიის, ეუკარიოტული მიკროორგანიზმების უჯრედის სტრუქტურები, მათ შორის მამოძრავებელი სტრუქტურები: შოლტი, წამნამები ცოცხალი სისტემა – მიკროორგანიზმი, როგორც ცოცხალი სისტემა სასიცოცხლო თვისება – ერთი უჯრედი ასრულებს ყველა სასიცოცხლო ფუნქციას: კვება (ავტოტროფული, პარაზიტული, საპროფიტული), სუნთქვა, გამოყოფა, მოძრაობა, გაღიზიანებადბა, გამრავლება მრავალფეროვნება – არაუჯრედული (ვირუსები) და უჯრედული, პროკარიოტული და ეუკარიოტული ფორმის მიკროორგანიზმები შეგუებულობა – მიკროორგანიზმების აგებულებისა და ცხოველმოქმედების თავისებურების ურთიერთშეგუებულობა; მიკროორგანიზმების შეგუება საარსებო გარემოსთან კვლევის მეთოდი – მიკროორგანიზმის მიკროსკოპული კვლევისა და კულტივირების მეთოდები კვლევა – მიკროორგანიზმის მიკროსკოპული კვლევა; მიკროორგანიზმების აქტივობის ინტენსივობაზე გარემო ფაქტორების გავლენის კვლევა, სოციალური კვლევა აღმოჩენა – ვირუსების, ბაქტერიების, ანტიბიოტიკ პენიცილინის აღმოჩენა დაავადება – მიკროორგანიზმებით გამოწვეული დაავადებები; პარაზიტი, მასპინძელი, ინფექცია, ეპიდემია ჯამრთელობა – სან-ჰიგიენური ნესების დაცვა, აცრები მდგრადი განვითარება – სასარგებლო მიკროორგანიზმების გამრავლების ხელშეწყობა.	საკვანძო შეკითხვები: რატომ თვლიან ვირუსებს ცოცხალსა და არაცოცხალს შორის გარდამავალ ფორმად? რატომ არის ყველა ვირუსი პარაზიტი? რა მნიშვნელობა აქვს ბაქტერიოფაგებს მედიცინაში? რა საერთო და განმასხვავებელი სტრუქტურები აქვთ პროკარიოტულ და ეუკარიოტულ მიკროორგანიზმებს რა დადებით და უარყოფით როლს ასრულებენ მიკროორგანიზმები ადამიანის ყოფა-ცხოვრებასა და ბუნებაში? როგორ დავიცვათ თავი დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმებისგან? რატომ უნდა ვიცოდეთ მიკროორგანიზმების გამრავლებისათვის საჭირო პირობები?	უნარები: ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა მიკროორგანიზმის აგებულებას და წარმოადგენს კოგნიტური სქემების სახით; ქმნის სხვადასხვა მიკოორგანიზმის მოდელს და იყენებს მას მიკროორგანიზმის აგებულების სადემონსტრაციოდ; მიკროპრეპარატებზე ამოიცნობს მიკროორგანიზმებს; სვამს საკვლევ კითხვას და გეგმავს ექსპერიმენტს მიკროორგანიზმის აქტივობისათვის საჭირო პირობების საკვლევად. მსჯელობს მიკროორგანიზმების დადებით და უარყოფით როლზე ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში; მსჯელობს მიკროორგანიზმებით გამოწვეული დაავადებების პრევენციული ღონისძიებების შესახებ;	მეცნიერება და ტექნოლოგიები: ვირუსების აღმოჩენა და მიკრობიოლოგიის დარგის – ვირუსოლოგიის განვითარება; მიკროორგანიზმებით გამოწვეული სასოფლო-სამეურნეო მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანის ინფექციური დაავადებები მიკროორგანიზმების როლი კვების მრეწველობაში, მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში; საპროფიტი მიკროორგანიზმები და ნეტლის გამწმენდი ტექნოლოგია; ვაქცინების შექმნა და ვაქცინაცია.			

<p>მკვიდრი წარმოდგენები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიკროორგანიზმების და-ნახვა და შესწავლა მხოლოდ მიკროსკოპითაა შესაძლებელი; • მიკროორგანიზმებს შორის არის არაუჯრედული ფორმები (ფირუსები) და უჯრედული ფორმებიც; • უჯრედულ ფორმებს შორის არის პროკარიოტები (ბაქტერიები) და ეუკარიოტები (ცროუჯრე-დიანი სოკოები, წყალმცენარეები და უმარტივესები); • მიკროორგანიზმები ერთ-მანეთისგან განსხვავდებიან არამარტო აგებულებით, არამედ ცხოველმოქმედების თავისებუ-რებებითაც; • ბევრი მიკროორგანიზმი ადამიანისა და ბუნებისათვის სასარგებლოა. მაგალითად, ადამიანისათვის სასარგებლოა რძემჟავა, ძმარმჟავა ბაქტერიები (მათ კვების ტექნოლოგიაში იყენებენ) და ნაწლავის ჩხირის ბაქტერიები, ვირუსებიდან ბაქტერიოფაგები. ბუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აზოტბაქტერიები და ნიადაგის სხვა ბაქტერიები; • ზოგიერთი მიკროორგანიზმი იწვევს ინფექციურ დაავადებას; • ანტიბიოტიკებით მხოლოდ ზოგიერთი ბაქტერიული დაავადების მკურნალობა შეიძლება. 	<p>რა მოხდება, თუ ბუნებაში მიკრო-ორგანიზმები აღარ იარსებებენ?</p>	<p>წერს და ახორციელებს პროექტს: „ინფექციური დაავადების გავრცელების გზები და პრევენციული ორნისძიებები“.</p>	
--	---	--	--

სწავლა-სწავლების მტკიცებულებები შეფასებისთვის	
<p>წარმოდგენილი კვლევის ანგარიშები (რძემუავა ბაქტერიების აქტივობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე, საფუარი სოკოების გამრავლების ინტენსივობის დამოკიდებულება ტემპერატურასა და საკვებზე, მიკროორგანიზმების აგებულების კვლევა მზა მიკროპარატების გამოყენებით, გამოკითხვით ჩატარებული კვლევა: „ვაქცინაციის მიმართ მოსახლეობის/მოსწავლების დამოკიდებულების კვლევა“), ჩამოყალიბებული საკვლევი კითხვა და კვლევის გეგმა; ჯონ სნოუს კვლევის ანალიზი;</p> <p>პისტერებზე წარმოდგენილი მიკროორგანიზმების აგებულება; ჰიგიენური წესების ჩამონათვალი, რომლის დაცვაც აუცილებელია არასასურველი მიკროორგანიზმებისაგან თავის დასაცავად; განხორციელებული პროექტის (ინფექციური დაავადების გავრცელების გზები და პრევენციული ღონისძიებები) ანგარიში; ნივთიერებათა ბუნებრივი მიმოქცევის მოდელის მიხედვით აღწერს მიკროორგანიზმების როლს ბუნებაში; მსჯელობს მიკროორგანიზმების როლზე მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მედიცინაში;</p> <p>შევსებული გრაფიკული ორგანიზატორი, რომელიც ასახავს სხვადასხვა მიკროორგანიზმს შორის მსგავსებასა და განსხვავებას, მიკროორგანიზმების შესახებ შესნავლილ ცნებებს შორის დამოკიდებულებასა და კავშირებს (მაგალითად, უჯრედული და არაუჯრედული, პროკარიოტული და ეუკარიოტული), კლასიფიკაციას.</p>	<p>შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • კვლევის საფუძველზე მიკროორგანიზმების აგებულების და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით შედარება ბიოლ. საბ. სტ. 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 9, 10); • ვირუსული და ბაქტერიული დაავადებების ერთმანეთისაგან განსხვავება; დაავადებების პრევენციის (ჰიგიენა, ვაქცინაცია) შესახებ მსჯელობა (ბიოლ. საბ. სტ. 8, 11, 12); • ბუნებასა და ადამიანისათვის ბაქტერიუმის მნიშვნელობის დასაბუთება (ბიოლ. საბ. სტ. 4, 10, 11, 12); • მიკროორგანიზმებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, კვების ტექნოლოგია, ვირუსოლოგია, ბაქტერიოლოგია, პარაზიტოლოგია, მიკრობიოლოგია) (ბიოლ. საბ. სტ. 11, 12, 13).
სასწავლო გეგმა	
<p>გაკვეთილი 1. მიკროორგანიზმები. ვირუსები</p> <p>გაკვეთილი 2. ბაქტერიები</p> <p>გაკვეთილი 3. ეუკარიოტული მიკროორგანიზმები. ერთუჯრედიანი სოკოები</p> <p>გაკვეთილი 4. წყალმცენარეები და უმარტივესები</p> <p>გაკვეთილი 5. მიკროორგანიზმების როლი ბუნებაში</p> <p>გაკვეთილი 6. დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმები</p> <p>გაკვეთილი 7. ბაქტერიული დაავადებები</p> <p>გაკვეთილი 8. ეუკარიოტული მიკროორგანიზმებით გამოწვეული ინფექციური დაავადებები</p> <p>გაკვეთილი 9. მავნე მიკროორგანიზმების გავრცელების აღკვეთა</p> <p>გაკვეთილი 10. შემაჯამებელი გაკვეთილი „მიკროორგანიზმები“</p>	

თემის მოკლე მიმოხილვა

თემა მოსწავლის სახელმძღვანელოში მოიცავს 9 პარაგრაფს (გვ 28-52), დამატებით გათვალისწინებულია 3 სარეზისტრო საათი, რომელიც მასწავლებელმა თავისი შეხედულებისა და კლასის საჭიროებიდან გამომდინარე უნდა გამოიყენოს.

ამ თემის ფარგლებში მუშაობა ხდება მოსწავლეებში სტანდარტით განსაზღვრული შემდეგი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე:

- მიკროორგანიზმების ჯგუფები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან (მაგ., არაუჯრედული ფორმა, პროკარიოტი, ეუკარიოტი);
- მიკროორგანიზმებმა შეიძლება ინფექციური დაავადებები გამოიწვიონ;
- ვირუსით გამოწვეული დაავადებებისგან განსხვავებით, ბაქტერიული დაავადებების მკურნალობა ანტიბიოტიკებითაა შესაძლებელი;
- ზოგიერთი მიკროორგანიზმი (მაგ., ნაწლავის ბაქტერია, რძემუავა ბაქტერია) სასარგებლოა ადამიანისათვის, მათ ასევე მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ბუნებაში (მაგ., ნიადაგის ბაქტერიები).

საკვანძო შეკითხვები და კომპლექსური დავალებები

თემა: მიკროორგანიზმები	
საკვანძო კითხვა	კომპლექსური დავალებები
როგორ ავიცილოთ თავიდან ბაქტერიული და ვირუსული დაავადებები.	<p>მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია: გაეცანი ცხრილში (გვ. 51) მოცემულ ინფორმაციას და უპასუხე კითხვებს: ა) ინფექციური დაავადებების გავრცელების რა გზები არსებობს? მოიყვანე შესაბამისი მაგალითები. ბ) დაასახელე არასასურველი მიკროორგანიზმებისგან თავის დაცვის საშუალებები. ახსენი, შენ მიერ დასახელებული საშუალება როგორ დაგვიცავს მიკროორგანიზმებისგან. (პრეზენტაციების საფუძველზე მასწავლებელი/ მოსწავლე ფლიპჩარტზე წერს დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმებისგან დაცვის ღონისძიებების ჩამონათვალს).</p> <p>სოციალური კვლევა: „მოსახლეობის ვაქცინიციისადმი დამოკიდებულების კვლევა“; საკვლევი კითხვა: რა სახის აცრები აქვს ჩატარებული მიკრობაზე მოსახლეობას ან სკოლის / კლასის მოსწავლეებს და როგორია აცრილთა რაოდენობა თითოეული ინფექციური დაავადების მიხედვით?</p> <p>სიტუაციურ ამოცანაზე მუშაობა: (გვ. 52, დავალება 5): მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ ჩუტყვავილას გავრცელების გზებისა და მისგან თავდაცვის ჰიგიენურ წესებზე.</p> <p>სასწავლო პროექტი: „ინფექციური დაავადებების გავრცელების გზები და პრევენციული ღონისძიებები“ (გვ. 52, პროექტის შესახებ მითითებები — დანართი №4, გვ. 196).</p>
რა დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობა აქვს ვირუსებს / ბაქტერიებს ადამიანისთვის?	<p>სქემატურ მოდელზე მუშაობა: „ბაქტერიოფაგის გამრავლება“ – გაეცანი რუბრიკაში (გვ. 29) – „მეცნიერება პრაქტიკაში“ – მოცემულ ინფორმაციას და უპასუხე კითხვებს: 1) ახსენი, რატომ კვდება ბაქტერიოფაგით დაავადებული ბაქტერია; 2). რაში იყენებენ მეცნიერების ბაქტერიოფაგებს? 3) რა სასიცოცხლო თვისება გამოავლინა ბაქტერიოფაგმა?</p> <p>სქემატურ მოდელზე მუშაობა: რუბრიკაში (გვ. 32) – „მეცნიერება პრაქტიკაში“ – მოცემული პროდუქტების წარმოების სქემების გამოყენებით შეავსე ცხრილი (საწყისი მასალა, ბაქტერია, განსაკუთრებული პირობები, მიღებული საკვები პროდუქტი).</p> <p>ექსპერიმენტული კვლევა: რძემუავა ბაქტერიების აქტივობის დამოკიდებულება გარემო პირობებზე (გვ. 33).</p> <p>სქემატურ მოდელზე მუშაობა: რუბიკაში (გვ. 35) – „მეცნიერება პრაქტიკაში“ – მოცემული ინფორმაციის მიხედვით აღნერე პურის წარმოების პროცესი.</p> <p>ექსპერიმენტული კვლევა: საფუარი სოკოს გამრავლების პირობების კვლევა (გვ. 35).</p> <p>კვლევის ანალიზი: ჯონ სნოუს კვლევის ანალიზი (გვ. 47).</p> <p>სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობა: (გვ. 54, დავალება 2 და 3): 2. წარმოიდგინე, რომ ბაქტერიოფაგის რაღაც ახალი სახეობა კლავს ყველა ბაქტერიას დედამიწაზე. 1) რითია ეს ფაქტი კარგი ადამიანისთვის, ან რითია ცუდი? 2) რამდენად შეძლებს ადამიანი ბაქტერიების გარეშე (ცხოვრებას)? შენი პასუხები დაასაბუთე. 3) ანტიბიოტიკების მიღება ხანგრძლივად არ შეიძლება. მისი ხანგრძლივად მოხმარების შემდეგ ავადმყოფს შეიძლება დაერღვეს კუჭ-ნაწლავის ნორმალური მოქმედება. ახსენი, რატომ?</p>

<p>რა მოხდება, თუ მიკრო-ორგანიზმები აღარ იარსებენ?</p>	<p>ვიზუალურ მასალაზე (სურათებზე) მოცემული ინფორმაციის ანალიზი და განსჯა: ყოველზლიურად კვდება და ცვივა მცე ნარეთა მიწისზედა ნაწილების დიდი მასა, რაც ტყის ქმნის. რატომ არ იზრდება უსასრულოდ ამ საფენის მასა? გვ. 39). პროცესს დააკვირდი სურათს, რა ასახავს? რომელი ორგანიზმები მონაწილეობენ ამ პროცესში და რა მნიშვნელობა აქვს მას ბუნებაში? (გვ. 55).</p> <p>სქემატურ მოდელზე მუშაობა: ნივთიერებათა ბუნებრივი მიმოქცევა (გვ. 41, დავალება 8) – სურათი 2.5.6-ის მიხედვით: ა. დაასახელე ორგანიზმები, რომლებიც ასრულებენ მწარმოებლის, მომხმარებლისა და დამშლელის როლს; ბ. აღნერე ნივთიერებათა მოძრაობის მიმართულება და ამ პროცესში მიკროორგანიზმების როლი; გ. რა მოხდება ბუნებაში, თუ აღარ იქნებიან დამშლელი მიკროორგანიზმები?</p> <p>სიტუაციურ ამოცანაზე მუშაობა: (გვ. 41, დავალება 9) აიდეს ერთი ჯიშის ლობიოს თესლის გარკვეული რაოდენობა და დათესეს გვერდიგვერდ მდებარე მიწის ორ ნაკვეთზე. ლობიოს თესლების ნახევარი წინასწარ დაამუშავეს შხამქიმიკატებით (რომ თესლის გაღივებისათვის ხელი არ შეეშალა ზოგიერთ მიკროორგანიზმს) და დათესეს პირველ ნაკვეთზე, ხოლო თესლების მეორე ნახევარი დათესეს წინასწარ შხამქიმიკატებით დამუშავებულ მეორე ნაკვეთზე. როგორ ფიქრობ, რომელ ნაკვეთზე მიიღებდნენ უფრო დიდ მოსავალს – პირველზე თუ მეორეზე? ახსენი შენი პასუხი.</p> <p>პრაქტიკული მუშაობა: დაამზადე კომპოსტი – შეაგროვე შენი ოჯახის საკვების ნარჩენები, ეზოში ჩამონაცვენი ფოთლები, მოათავსე ყუთში და დაამზადე კომპოსტი.</p>
---	--

რეკომენდაციები თითოეულ პარაგრაფის შინაარსა და მის კლასში რეალიზაციაზე

2.1. მიკროორგანიზმები. ვირუსები

მოსწავლეებმა პირველი თემიდან უკვე იციან, რომ ერთუჯრედიანებს მკროორგანიზმებსაც უწოდებენ. ამიტომ მასწავლებელი წინარე ცოდნის გაქტიურების მიზნით სვამს კითხვას, თუ რა არის მიკროორგანიზმი. მოტივაციის გამოსაწვევად უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა სურათი, რომელიც ასახავს სხვადასხვა მიკროორგანიზმს (გვ. 28). სვამს კითხვას, თუ რომელი მიკროორგანიზმებია სურათზე და რომელია მათ შორის ყველაზე მცირე ზომის.

გაკვეთილის ძირითადი ნაწილის ინტერაქტიურად წარმართვას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას ემსახურება სახელმძღვანელოში მოცემული სურათები 2.1.1 და 2.1.2. ამ აქტივობით თვით მოსწავლეები „აღმოაჩენენ“, რომ ბაქტერიებს ბირთვი არ აქვთ. სურათ 2.1.1 მოსწავლეები შეიძლება ამუშავოს მასწავლებელმა წყვილებში ასეთი დავალებით: შეადარონ სურათზე წარმოდგენილი ბაქტერიისა და ცხოველური უჯრედის აგებულება ერთმანეთს, დაადგინონ მათ შორის საერთო და განსხვავებული. მასწავლებელი პარალელურად დაფაზე ან ფლიპჩარტზე ხაზავს სქემას, რომელსაც ავსებს მოსწავლეების პასუხების მიხედვით. შევსებული სქემა მოსწავლეებს გადააქვთ სამუშაო რვეულებში:

ბაქტერიის უჯრედი	საერთო	ცხოველური უჯრედი
უჯრედის კედელი	პლაზმური მემბრანა ციტოპლაზმა მემკვიდრეობითი ნივთიერება	ბირთვი

ამ აქტივობის ანალზის დროს მოსწავლეების ყურადღება უნდა მიაციოს იმაზე, თუ სადაა განთავსებული მემკვიდრეობითი ნივთიერება ბაქტერიაში და სად – ცხოველურ უჯრედში. მასწავლებელს შემოაქვს ახალი სამეცნიერო ტერმინები პროკარიოტი და ეუკარიოტი, რასაც დაფაზე წერს და მოსწავლეებიც ინიშნავენ ამ ტერმინებს და მათ განმარტებებს.

სურათ 2.1.2-ს კი იყენებს ვირუსის აგებულების თავისებურების გასაცნობად. მოსწავლეები აკ-ვირდებიან სურათზე წარმოდგენილი ვირუსისა და ბაქტერიის აგებულებას (გვ. 29) და ავსებენ ცხრილს ?1 (გვ. 30). შემთხვევითობის პრინციპით მასწავლებელი 4 მოსწავლისგან ისმენს ცხრილის თითოეულ პუნქტზე პასუხს.

პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: ვირუსს მიკროორგანიზმთა როგორ ფორმას მიაკუთვნებთ – უჯრედულს თუ არაუჯრედულს და რატომ?

მოსწავლეები უნდა მიიყვანოს იმ დასკვნამე, რომ ვირუსები მიკროორგანიზმების არაუჯრედული ფორმაა, რომ მათ გამრავლება არ შეუძლიათ სხვა ორგანიზმის უჯრედის გარეშე და ამიტომ ყველა ვირუსი პარაზიტია.

მასწავლებელი მოსწავლეებს ამუშავებს ჯგუფში რუბრიკაში – „მეცნიერება პაქტიკაში“ – მოცემულ ტექსტსა და სქემაზე. მათ ევალებათ აღნერონ ბაქტერიოფაგის გამრავლების ციკლი გასცენ პასუხი კითხვებზე (გვ. 30): 1) სქემის მიხედვით ახსენი, რატომ კვდება ბაქტერიოფაგით დაავადებული ბაქტერია; 2) რაში იყენებენ მეცნიერები ბაქტერიოფაგებს? 3) რა სასიცოცხლო თვისება გამოავლინა ბაქტერიოფაგმა?

2.2. ბაქტერიები

მასწავლებელი სვამს წინარე ცოდნის გამააქტიურებელ კითხვებს: რას ნიშნავს პროკარიოტული და რას ეუკარიოტული ორგანიზმი? რატომ მიაკუთვნებენ ბაქტერიებს პროკარიოტულ ორგანიზმებს?

შემდეგ ეუბნება მოსწავლეებს, რომ იმის გასარკვევად, თუ პროკარიოტული უჯრედი ბირთვის გარდა კიდევ რით განსხვავდება ეუკარიოტული უჯრედისგან, შეადარე ერთმანეთს სურათ 2.2.1-ზე მოცემული მცენარეული უჯრედისა და ბაქტერიის აგებულება და შეავსეთ ცხრილი (გვ. 31, ?1).

მასწავლებელი საუბრობს ბაქტერიების გავრცელებასა და მათი ფორმის მრავალფეროვნებაზე.

იმისთვის, რომ პასუხი გაეცეს კითხვას: ბაქტერიებისთვის კვების როგორი ტიპია დამახასითებელი, მოსწავლეებს ევალებათ პარაგრაფის ტექსტის შესაბამისი მონაკვეთის წაკითხვა (გვ. 32). კითხვისთვის განკუთვნილი დროის ამონურვის შემდეგ, მასწავლებელი ისმენს მათ პასუხებს.

შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან რუბრიკაში – მეცნიერება პაქტიკაში – მოცემულ ტექსტსა და სქემებს, რათა კითხვას – რაში იყენებს ადამიანი ბაქტერიებს – გასცენ პასუხი და შეავსონ სქემა (გვ. 33, ?2).

იმისათვია, რომ მასწავლებელმა შეაფასოს, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ახალი მასალა, ამუშავებს ? -ის დავალებებზე (გვ. 33, 3-6).

საშინაო დავალება: აძლევს კვლევას, როგორ არის რძემუავა ბაქტერიების აქტივობა დამოკიდებული ტემპერატურაზე? ევალებათ ჩატარებული კვლევის ანგარიშის დაწერა და წარმოდგენა. რასაც ვირველია, მოსწავლეებს ევალებათ განსაზღვრონ ამ ექსპერიმენტისთვის დამოუკიდებელი, დამოკიდებული და კონტროლირებადი ცვლადები.

2.3. ეუკარიოტული მიკროორგანიზმები. ერთუჯრედიანი სოკოები

მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში ისმენს მოსწავლეებისგან, თუ რა იციან პურის ცხობაში გამოყენებული საფუარის შესახებ. შემდეგ მინი-ლექციით აცნობს მათ ინფორმაციას ერთუჯრედიანი სოკოების შესახებ, მათ შორის საფუარ სოკოს განიხილავს, როგორც ეუკარიოტულ მიკროორგანიზმს.

აქტივობა/აქტივობები გაკვეთილის ძირითად ფაზაში მოსწავლეთა აქტიური ჩართვისთვის:

1. პროკარიოტული და ეუკარიოტული მიკროორგანიზმების შედარების მიზნით მოსწავლეები ჯგუფებში მუშაობენ ? 1 და 2 დავალებაზე. შექმნილ სქემებს წარმოადგენენ ფლიპჩარტებზე. მოსწავლეები ათვალიერებენ ერთმანეთის ნამუშებვარს, აკეთებენ ინტერაქტიურ პრეზენტაციებს.

აღნიშნული აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეებში ილუსტრაციებზე მოცემული ინფორმაციის ანა-ლიზისა და სქემებში მონაცემების ორგანიზების უნარის განვითარებას.

ლაბორატორიული სამუშაო:

 **საფუარი სოკოს გამრავლების პილების პლანი**

საკვლევი კითხვა: რა გავლენას აზდენს ტემპერატურა საფუარი სოკოს გამრავლების ინტენ-სივობაზე? გამოთქვა ჰპპოზიტი:

განსაზღვრე დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები:

საჭირო მასალა: სინათლის მიკროსკოპი, სასაწერე და საფარი მინები, პიპეტი, ჭიქები თბილი და ყინულიანი წყლით, ფილტრის ქაღლდი, საფუარი, შაქარი, ერთჯერადი ჩაის კოვზი და ჭიქები.

პროცედურა:

- თითო ჩაის კოვზი საფუარი და შაქარი ჩაყარე ირ ერთჯერად ჭიქაში;
- ერთ ჭიქაში ჩაასხი 50 მლ თბილი წყალი, ხოლო მეორე ჭიქაში – იმავე რაოდენობის ყინუ-ლიანი წყალი;
- 10 წუთის შემდეგ ორივე ჭიქიდან მოამზადე მიკროპრეპარატი და განიხილე მიკროსკოპით;
- დახატე მიკროსკოპით დანახული საფუარის უჯრედები რვეულში;
- მიღებული შედეგები შეადარე ერთმანეთს და ახსენი განსხვავების მიზეზი;

დაგეგმე ექსპერიმენტი, რითაც დაადგინ, თუ რა გავლენას ახდენს საკვების რაოდენობა (შაქრის რაოდენობა) საფუარის გამრავლების ინტენსივობაზე.

ყურადღება მისაქცევია, რომ მოსწავლეებს ევალებათ ექსპერიმენტის დაგეგმვა, რითაც გამოი-კვლევენ საფუარი სოკოს გამრავლების ინტენსივობას საკვების (შაქრის) რაოდენობაზე დამოკ-იდებულებით. რასაკვირველია, ექსპერიმენტის დაგეგმვა გულისხმობს ცვლადების განსაზღვრასაც. თუ გაკვეთილის დრო არ იძლევა დაგეგმილი ექსპერიმენტის პრეზენტაციის საშუალებას, მაშინ მას-ნავლებელი მას საშინაო დავალებად აძლევს. ამ შემთხვევაში, მართალია არ ვითხოვთ მოსწავლისგან ექსპერიმენტის ჩატრებას, მაგრამ ასეთი აქტივობა მაინც უწყობს ხელს მათში კვლევითი უნარების განვითარებას.

2.4. წყალმცენარეები და უმარტივესები

გაკვეთილის გამოწვევის ფაზაში მასწავლებელს მოსწავლეებში წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით შეუძლია გამოიყენოს კითხვები –  1 და 2: 1) რა ძირითადი ნიშნით განსხვავდებიან ეუ-კარიოტი მიკროორგანიზმები პროკარიოტი მიკროორგანიზმებისგან? რომელს აქვს უფრო რთული აგებულება? რატომ თვლი ასე? 2) რა აქვთ საერთო ეუკარიოტულ და პოროკარიოტ ორგანიზმებს? შემდეგ კი შეიძლება დასვას კითხვა: რა იცი წყალმცენარეების შესახებ?

აქტივობა/აქტივობების გაკვეთილის ძირითად ფაზაში მოსწავლეების აქტიური ჩართვისთვის: მას-ნავლებელი კლასს მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით ყოფს ექვსს ჯგუფად ან ექვსს წყვილად, შემთხვევითობის პრინციპით უნანილებს მათ პარაგრაფში განხილულ თითო მიკროორგა-ნიზმს (ქლოროფილი, ქლამიდომონადა, სპიროგირა, მწვანე ევგლენა, ჩვეულებრივი ამება, ქალამანა), ურიგებს ფლიპჩარტებსა და მარკერებს. დავალება: წარაგრაფის ტექსტი, გამოიყენონ მიკროორგანიზმების შესახებ ილუსტრაციებზე (გვ. 36 და გვ. 37) მოცემული ინფორმაცია, გააკეთონ მიკროორგანიზმის შესახებ მოკლე დახასიათება, ფლიპჩარტებზე დახატონ და გაუკეთონ წარწერები უჯრედის სტრუქტურებს; სამუშაოს დასრულების შემდეგ გააკეთონ პრეზენტაციები.

აღწერილი აქტივობა შეესაბამება **სამეცნიერო პრაქტიკას** – ინფორმაციის მოპოვება, შეფასება და გაზიარება, რადგან მოსწავლეები დამოუკიდებლად მოიპოვებენ სათანადო ინფორმაციას პარაგრაფ-ში მოცემული სამეცნიერო ტექსტიდან, მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით ქმნიან ნახატებს და უზიარებენ კლასს.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეაფასოს, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ახალი მასალა, ამუშავებს  -ის დავალებებზე (გვ. 38, 3-8).

2.5. მიკროორგანიზმების როლი ბუნებაში

გაკვეთილის გამოწვევის ფაზაში მასწავლებელს მოსწავლეებში საკითხისადმი ინტერესის აღძვრა-ში დაეხმარება ილუსტრაცია და მასთან დაკავშირებული კითხვა (გვ. 39), ხოლო წინა კლასებში მიღებული ცოდნის გასაქტიურებლად ? -ის კითხვები: 1. ორგანიზმთა რომელ ჯგუფს უწოდებენ მწარმებლებს? რატომ? 2. ორგანიზმთა რომელ ჯგუფს უწოდებენ მომხმარებლებს? დაასახელე მაგალითები.

აქტივობა/აქტივობების გაკვეთილის ძირითად ფაზაში მოსწავლეების აქტიური ჩართვისთვის სასურველია მასწავლებელმა მოსწავლეები ამუშაოს სურათ 2.5.1-ის ნივთიერებათა ბუნებრივი მიმოქცევის სქემაზე: ? 4. სქემის მიხედვით აღწერე მიკროორგანიზმების როლი.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეაფასოს, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ახალი მასალა, ამუშავებს ? -ის დავალებებზე (გვ. 41, ? 5-9). განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ მე-9 დავალებაში მოცემულ სიტუაციურ ამოცანაზე, რომელიც პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებაზეა გათვლილი.

პასუხი და სავარაუდო მსჯელობა: უფრო დიდ მოსავალს მიიღებენ პირველ ნაკვეთზე, რადგან შხამ-ქიმიკატი თესლზე ანადგურებს მხოლოდ მასზე არსებულ მიკროორგანიზმებს, ხოლო მეორე ნაკვეთი შხამ-ქიმიკატებით წინასწარ დამუშავების გამო, მიწაში განადგურდება სასარგებლო ბაქტერიებიც, მათშორის, კოურის ბაქტერიებიც, რომელიც ლობიოს ფესვებზე სახლდება და მცენარეს დამატებით აწვდის აზოტოვან მარილებს.

2.6. დაავადებების გამოწვევი მიკროორგანიზმები

გაკვეთილის გამოწვევის ფაზაში მასწავლებელს მოსწავლეებში საკითხისადმი ინტერესის აღძვრა-სა და წინარე ცოდნის გააქტიურებაში დაეხმარება გონებრივი იერიშის ჩატარება კითხვის დასმით – როგორ დაავადებას უწოდებენ ინფექციურს?

აქტივობა/აქტივობები გაკვეთილის ძირითად ფაზაში მოსწავლეების აქტიური ჩართვისთვის სასურველია მასწავლებელმა მოსწავლეები ამუშაოს 4-კაციან ჯგუფებში მცირე ჯიგსოუს გამოყენებით: მოსწავლეებს სთხოვს, გაითვალონ 1-4-ზე, შემთხვევითობის პრინციპით უნანილებს ვირუსულ ინფექციურ დაავადებებს (ნითელა, ჩუტყვავილა, გრიპი, ცოფი) და ავალებს: თითოეულმა წაიკითხოს ცხრილში (გვ. 43) მოცემული ინფორმაცია იმ დაავადებაზე, რომელიც მას წილად ერგო, შემდეგ კი ერთმანეთს გაუზიარონ დამუშავებული ინფორმაცია – დაავადების სიმპტომები, გავრცელების გზა, დაავადებისგან დაცვა და კონტროლი.

ამ პარაგრაფში ძალიან მნიშვნელოვანია **სოციალური კვლევის დაგეგმვა**. ჯობია კვლევა ჯგუფმა აწარმოოს: შეიძლება ერთმა ჯგუფმა გამოიკვლიოს მიკრორაონის მოსახლეობა, მეორემ – სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეები, მესამემ დაწყებითი კლასების მოსწავლეები, რისთვისაც შეიძლება მიმართოს სკოლის ექიმს მონაცემების ასაღებად, მეოთხემ კი – საკუთარი კლასის მოსწავლეებში ჩაატაროს გამოკითხვა. სასურველია, მასწავლებელი დაეხმაროს ჯგუფის ლიდერს ჯგუფის წევრებს შორის დავალების განაწილებაში. საგარაუდოდ, ამ კვლევის განხორციელებისთვის 7-10 დღე იქნება საჭირო.

იმისათვია, რომ მასწავლებელმა შეაფასოს, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ახალი მასალა, ამუშავებს ? -ის დავალებებზე (გვ. 44, ? 1-4).

2.7. ბაქტერიული დაავადებები

გაკვეთილის გამოწვევის ფაზაში მასწავლებელს მოსწავლეებში საკითხისადმი ინტერესის აღძვრა-სა და წინარე ცოდნის გააქტიურებაში დაეხმარება გონებრივი იერიშის ჩატარება კითხვის – ბაქტერიებით გამოწვეული რომელი ინფექციური დაავადებებია შენთვის ცნობილი? – დასმით.

აქტივობა/აქტივობი გაკვეთილის ძირითად ფაზაში მოსწავლეების აქტიური ჩართვისთვის –

1. შეიძლება მასწავლებელმა კვლავ მცირე ჯიგსოუ გამოიყენოს ან ინდივიდუალურად იმუშაოს მოსწავლემ და გაეცნოს ცხრილში მოცემულ ინფორმაციას (გვ. 45) და შემდეგ პასუხობენ კითხვებს (გვ. 47, 1-4).

2. ? 5: გაეცანი რუბრიკას – „მეცნიერება პრაქტიკაში“ – და აღწერე მეცნიერების როლი ბაქტერიული დაავადებების კვლევაში.

3. ჯონ სნოუს კვლევის ანალიზი. სასურველია, ამ დავალებაზე იმუშაონ ჯგუფში. ამ აქტივობის შესრულებით მოსწავლეებს უმუშავდება მონაცემების ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი. **სავარაუდო პასუხები კითხვებზე:** ჯონ სნოუს კვლევის საკვლევი კითხვა – როგორ/რა გზით ვრცელდება მოსახლეობაში ქოლერა? ჰიპოთეზა: ქოლერა წყლით ვრცელდება. ჰიპოთეზის საფუძველი: დაავადებულ ადამიანებს ჯანმრთელი ადამიანებისგან განსხვავებული წყალმომარაგება ჰქონდა. ჰიპოთეზის შემოწმება: 1854 წელს ლონდონის ერთ-ერთ უბანში, ათი დღის განმავლობაში, თითქმის 500 ადამიანი გარდაიცვალა. ამ უბანში ხალხი წყალს ქუჩის ტუმბოებიდან იღებდა. სნოუმ სიკვდილის შემთხვევები და ტუმბოების ადგილმდებარეობები რუკაზე დაიტანა. იგი მიხვდა, რომ ქოლერის გავრცელება ამ უბანის ტუმბოს უკავშირდებოდა. მან ტუმბოს სახელური მოაძრო და ხალხმა სხვა სასმელი წყლის გამოყენება დაიწყო. ფაქტი, რასაც მისი თეორია ეყრდნობოდა: სხვა სასმელი წყლის გამოყენების შემდეგ ქოლერით ალარ ხდებოდნენ ავად. ეს ფაქტი დადასტურება იყო მისი ჰიპოთეზის სისწორისა, რომ ქოლერა დაბინძურებული წყლით ვრცელდებოდა.

იმისათვია, რომ მასწავლებელმა შეაფასოს, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ახალი მასალა, ამუშავებს ? -ის დავალებებზე (გვ. 47, 6 – 7).

საშინაო დავალება: ?8: მშობლებთან დაადგინე, რომელი ინფექციური დაავადება გაქვს გადატანილი და რა სიმპტომებით მიმდინარეობდა იგი.

2.8. ეუკარიოტული მიკრორგანიზმებით გამოწვეული ინფექციური დაავადებები

გაკვეთილის გამოწვევის ფაზაში მასწავლებელს მოსწავლეებში საკითხისადმი ინტერესის გამოწვევასა და წინარე ცოდნის გააქტიურებაში დაეხმარება კითხვის დასმა: რა იცით სოკოვანი დაავადებების შესახებ?

აქტივობა/აქტივობები გაკვეთილის ძირითად ფაზაში მოსწავლეების აქტიური ჩართვისთვის –

1. სახელმძღვანელოში მოცემულ ცხრილზე (გვ. 48) მოსწავლეთა ინდივიდუალური მუშაობა და კითხვაზე პასუხის მომზადება: ? 1 – დაასახელე ადამიანში გავრცელებული სოკოვანი დაავადებები. აღწერე, როგორ შეიძლება თავის დაცვა სოკოვანი დაავადებებისგან.

2. რუბრიკაში – „მეცნიერება და პრაქტიკაში“ – მოცემულ ტექსტზე წყვილებში მუშაობა და კითხვებზე პასუხის გაცემა: 2. დაასახელე საშუალებები, რასაც ფერმერები იყენებენ კარტოფილის სოკოვანი დაავადებების საწინააღმდეგოდ. მათავარ რომელმა ხერხმა შეიძლება შეუქმნას საშიშროება ადამიანის ჯანმრთელობას? რატომ ფიქრობ ასე? 3. ახსენი კარტოფილის სოკოვან დაავადებებთან ბრძოლის 2-5 საშუალების დაცვის აუცილებლობა.

ორივე კითხვაზე მუშაობა მოსწავლეებში ავითარებს არგუმენტირებული მსჯელობის უნარს.

3. სურათ 2.8.2-ზე მოცემულ სქემაზე მუშაობა და კითხვებზე პასუხის მომზადება: 5. მოცემული სქემის მიხედვით (სურ. 2.8.2) აღწერე დაავადება, მაღარის განვითარება და მისი გავრცელების გზა. 6. რატომ ებრძვიან დასახლებულ პუნქტებში ბუზებსა და კოლოებს?

საშინაო დავალება: ? 4. მოიძევ ინფორმაცია ვაზის სოკოვანი დაავადებისა და მასთან ბრძოლის ხერხების შესახებ. წარმოადგინე ჰიპოთეზის ან სლაიდ-შოუს სახით.

2.9. მავნე მიკროორგანიზმების გავრცელების აღკვეთა

გაკვეთილის გამოწვევის ფაზაში მასწავლებელს მოსწავლეებში საკითხისადმი ინტერესის გამოწვევაში დაეხმარება კითხვები: როგორ დავიცვათ თავი არასასურველი მიკროორგანიზმებისგან? რატომ ვინახავთ საკვებ პროდუქტებს მაცივარში?

ამავე მიზნისთვის შეიძლება ჩატარებული მეცნიერული კვლევის შედეგების ანალიზი (გვ. 50). ამ აქტივობაზე მუშაობა მნიშვნელოვანია კიდევ იმიტომ, რომ მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ საკვლევი კითხვა მოცემული ექსპერიმენტისთვის.

აქტივობა/აქტივობები გაკვეთილის ძირითად ფაზაში მოსწავლეების აქტიური ჩართვისთვის –

1. ? 1: გაეცანი ცხრილში (გვ. 51) მოცემულ ინფორმაციას და უპასუხე კითხვებს: ა) ინფექციური დაავადებების გავრცელების რა გზები არსებობს? მოიყვენე შესაბამისი მაგალითები. ბ) დაასახელე არასასურველი მიკროორგანიზმებისგან თავის დაცვის საშუალებები. ახსენი, შენ მიერ დაასახელებული საშუალება როგორ დავიცავს მიკროორგანიზმებისგან. 2. დაასაბუთე მიკროორგანიზმების გამრავლების პირობების ცოდნის აუცილებლობა.

იმისათვის, რომ **მასწავლებელმა შეაფასოს, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ახალი მასალა, ამუშავებს ? -ის დავალებებზე** (გვ. 52, ? 3 – 5).

ამ აქტივობებიდან ძალიან მნიშვნელოვანია მე-5 დავალებაში მოცემული **სიტუაციური ამოცანა:** ექიმმა 14 წლის გიგოს ჩუტყვავილას დიაგნოზი დაუსვა. მან აუხსნა გიგოს, რომ ჩუტყვავილა ინფექციური დაავადებაა. ამ ავადმყოფობის გადატანის შემდეგ ეს ავადმყოფობა ადამიანებს აღარ ემართებათ. გიგოს ავადმყოფობისას დედა და ბებია უვლიდა. მათ უკვირდათ, რომ გიგოს ჩუტყვავილა დაემართა, რადგან, მათი აზრით, ეს დაავადება მხოლოდ ჩვილ ბავშვებს ემართებოდათ. ჩიგო დაინტერესდა და გაარკვია, რომ არც დედას (35 წლის) და არც ბებიას (58 წლის) ეს ინფექციური დაავადება არ ჰქონდათ გადატანილი. იგი შეწუხდა, მაგრამ უფროსებმა დაამშვიდეს: „ჩუტყვავილა ზრდასრულებს არ ემართებათ“. ამ ინფორმაციის დასაზუსტებლად გიგომ ინტერნეტში ინფორმაცია მოიძია: ჩუტყვავილათი დაავადების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რომელიც ცხრილშია წარმოდგენილი:

ინფექციური დაავადება	დაავადებულთა საერთო რაოდენობა	1 წლამ-დე	1-4 წლის	5-14 წლის	15-19 წლის	20-29 წლის	30-59 წლის	+60 წლის
ჩუტყვავილა	3375	143	663	2244	180	104	39	2

ა) ცხრილში არსებული მონაცემების საფუძველზე დაადგინე, ჩუტყვავილასთან დაკავშირებით სწორი მოსაზრება ჰქონდათ თუ არა გიგოს ოჯახის წევრებს?

ბ) გიგოს არ უნდოდა, რომ მისი ოჯახის წევრები ავად გამხდარიყვნენ. მან უფროსებისთვის დაწერა რჩევები, თუ როგორ უნდა აეცილებინათ თავიდან ეს ინფექციური დაავადება. ჩამოაყალიბე მინიმუმ სამი რჩევა, რომელიც მას შეიძლება მიეცა ოჯახის წევრებისთვის.

ეს აქტივობა **პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებაზეა** გათვლილი. სიტუაციური ამოცანის მიხედვით მოსწავლეებმა უნდა გადაჭრან პრობლემა: ა) სწორი მოსაზრება ჰქონდათ თუ არა გიგოს ოჯახის წევრებს და ბ) რჩევების ჩამოყალიბება ჩუტყვავილათი დაავადების პრევენციის მიზნით.

სავარაუდო პასუხები: ა) გიგოს ოჯახის წევრებს არასწორი მოსაზრება ჰქონდათ ჩუტყვავილას გავრცელებასთან დაკავშირებით, რადგან გიგოს მიერ მოძიებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 30-59 წლის ასაკში არის ჩუტყვავილათი დაავადების 39 შემთხვევა. რადგან გიგოს დედა 35 წლისაა, ბებია კი 58 წლის, შესაძლებელია მათაც გადაედოს გიგოსგან ჩუტყვავილა. ბ) ავადმყოფთან ურთიერთობის დროს გამოიყენონ სამედიცინო პირბადე; ხელით უშუალო კონტაქტის შემდეგ კარგად დაიბანონ ხელები; არ გამოიყენონ ავადმყოფის ჭურჭელი.

საშინაო დავალება: პროექტის – „ინფექციური დაავადების გავრცელების გზები და პრევენციული ღონისძიებები“. მოსწავლეები ეცნობიან დანართ 4-ში მოცემულ პროექტის ნიმუშს. საჭიროების შემთხვევაში სვამენ კითხვებს. მასწავლებელი კლასს ყოფს 4 ჯგუფად, აცნობს მოსწავლეებს ინფექციური დაავადებების ჩამონათვალს: გრიპი, წითელა, ჩუტყვავილა, ტუბერკულიოზი. ჯგუფებს აძლევს ინფექციური დაავადებების ჩამონათვალიდან რომელიმეს არჩევის საშუალებას. თუ აღმოჩნდა, რომ ყველა დაავადების განაწილება ვერ მოხდა ჯგუფებში, მაშინ თვითონ ანაწილებს შემთხვევითობის პრინციპით (ერთნაირ ჰატარა ფურცლებზე აწერს ინფექციური დაავადების სახელწოდებას, ყრის ყუთში და თითოეული ჯგუფის წარმომადგენელი იღებს ყუთიდან ერთ რომელიმე ფურცელს). ირჩევენ ჯგუფის ლიდერს, რომელსაც მასწავლებელი ეხმარება ჯგუფის წევრებს შორის დავალებების განაწილებაში. პროექტის განხორციელებისთვის ეძლევათ ორი კვირა, პროექტის განხორციების შემდეგ უნდა წარმოადგინონ ანგარიში ინდივიდუალურად.

დანართი 4 – პროექტის ძირითადი ეტაპები

პროექტის ეტაპები	
პროექტის სახელწოდება	... ინფექციური დაავადების გავრცელების გზები და პრევენციული ღონისძიებები
პრობლემის ანალიზ/რატომ გადაწყვიტე ამ საკითხზე პროექტის განხორციელება?	ბოლო წლებში ეს დაავადება (შენს მიერ შერჩეული ინფექციოური დაავადების დასახელება) ფართოდ გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში და ზოგჯერ მძიმე შედეგებიც მოყვა. ვფიქრობ, ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ადამიანებმა არ იციან ამ ინფექციის გავრცელების გზები და პრევენციული ღონისძიებები პრობლემის ანალიზი/რატომ გადაწყვიტე ამ საკითხზე პროექტის განხორციელება?
პროექტის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> ... დაავადების გამომწვევი მიზეზები, გავრცელებისა და პრევენციის გზების შესახებ თეორიული მასალის შესწავლა საზოგადოების ინფორმირება ამ დაავადების გავრცელების გზებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ
სამიზნე ჯგუფი (განხორციელებული პროექტით ვინ მიიღებს სარგებლობას)	სკოლისა და მიკრორაიონის საზოგადოება
პროექტის ამოცანები	<ol style="list-style-type: none"> ამ დაავადების გავრცელებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ სკოლისა და მიკრორაიონის საზოგადოების ინფორმირებულობის კვლევა ამ დაავადების გავრცელებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება და საზოგადოებაში გავრცელება
აქტივობები	<ul style="list-style-type: none"> კითხვარების მომზადება სკოლის საზოგადოებისა და მიკრორაიონის მოსახლეობის გამოკითხვისთვის (შენიშვნა: კითხვარი ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ შესაძლებელი იყოს ინფორმაციის მოგროვება, თუ რა იციან ამ დაავადების გავრცელების გზებისა და პრევენციის შესახებ; ასევე, აქვთ თუ არა ჩატარებული აცრები, საჭიროდ თვლიან თუ არა აცრების გაკეთებას და რატომ?) რესპიონსურების შერჩევა და გამიკითხვის ჩატარება; მოპოვებული ინფორმაციის აღრიცხვა, ანალიზი და დასკვნის გამოტანა;

აქტივობები	<ul style="list-style-type: none"> • ინტერნეტის საშუალებით (შენიშვნა: მასწავლებლის მითითებულ სანდო საიტზე) სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ქვეყანაში ამ დაავადების შემთხვევების შესახებ; • დაავადების სიმპტომების, გავრცელების გზებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება სამეცნიერო ლიტერატურიდან (შენიშვნა: მასწავლებლის მითითებული); • შერჩეული ინფექციური დაავადების შესახებ საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება; • პროექტის პრეზენტაცია სკოლისა და თემის საზოგადოების წინაშე, მომზადებული ბუკლეტების დარიგება. 						
საჭირო რესურსები	კომპიუტერი, პროექტორი, თაბაზის ფურცლები, სამეცნიერო ლიტერატურა, ადამიანური რესურსები – რესპონდენტები (გამოკითხვაში მონაწილე ადამიანები).						
სამოქმედო გეგმა	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <thead> <tr> <th style="text-align: center; background-color: #cccccc;">აქტივობა</th> <th style="text-align: center; background-color: #cccccc;">აქტივობისათვის საჭირო დრო</th> <th style="text-align: center; background-color: #cccccc;">პასუხისმგებელი პირი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td style="height: 40px;"></td><td style="height: 40px;"></td><td style="height: 40px;"></td></tr> </tbody> </table>	აქტივობა	აქტივობისათვის საჭირო დრო	პასუხისმგებელი პირი			
აქტივობა	აქტივობისათვის საჭირო დრო	პასუხისმგებელი პირი					

პასუხები დავალებებზე:

§2.1.

1. (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, ნივთიერება, სისტემატიკური ჯგუფი).

ვირუსისა და ბაქტერიის აგებულების შედარება		
	ვირუსი	ბაქტერია
უჯრედის კედელი	არ გააჩნია (შემოსაზღვრულია ცილოვანი გარსით)	გააჩნია
უჯრედის მემბრანა	არ გააჩნია	გააჩნია
ციტოპლაზმა	არ გააჩნია	გააჩნია
მემკვიდრეობითი ნივთიერება	გააჩნია	გააჩნია

2. რადგან მათ არ აქვთ უჯრედული აგებულება, მაგრამ გააჩნიათ საკუთარი მემკვიდრეობითი ნივთიერება და გამრავლების უნარი მასპინძელ უჯრედში.

3.

არაუჯრედული ფორმა	პროკარიოტი	ეუკარიოტი
ვირუსები	ბაქტერიები	სოკოები, მცენარეები, ადამიანი, ცხოველები

4. უჯრედული და ორგანიზმული.

5. 1) ბაქტერიოფაგი შლის ბაქტერიის მემკვიდრეობით ნივთიერებას და მის რესურსებს იყენებს საკუთარი ასლების წარმოსაქმნელად;
- 2) მათ იყენებენ ბაქტერიული დაავადებების სამკურნალოდ;
- 3) გამრავლების უნარი.

§2.2.

1.

მცენარეული უჯრედი	საერთო	ბაქტერიის უჯრედი
ბირთვი მიტოქონდრია ქლოროპლასტი ვაკუოლი	უჯრედის კედელი პლაზმური მემბრანა ციტოპლაზმა მემკვიდრეობითი ნივთიერება	კაფსულა შოლტი ნამნამები

2.

საწყისი მასალა	ბაქტერია	განსაკუთრებული პირობები	მიღებული საკვები პროდუქტი
ეთილის სპირტის შემცველი ღვინო რძე	ძმარმჟავა რძემჟავა	ჟანგბადი 90°C	ძმარი იოგურტი

3. ბაქტერიების გავრცელებას უზრუნველყოფს მათი კვების განსხვავებული ტიპი და ხელსაყრელ პირობებში სწრაფი გამრავლების უნარი.

4. 2 628 000 ბაქტერია.

5.

უჯრედი	უჯრედის კედელი	პლაზმური მემბრანა	ბირთვი	ქლორო- პლასტი	მიტოქონ- დრია	მემკვიდრეობი- თი ნივთიერება	ციტოპლა- ზმა
ბაქტერიული	+	+	-	-	-	+	+
მცენარეული	+	+	+	+	+	+	+
ცხოველური	-	+	+	-	+	+	+

6. რადგან მაღალ ტემპერატურაზე დაიხოცოს რძეში ბაქტერიები.

§2.3.

1.

სოკოს უჯრედი	საერთო	ბაქტერიის უჯრედი
ბირთვი მიტოქონდრია ვაკუოლი	უჯრედის კედელი პლაზმური მემბრანა ციტოპლაზმა მემკვიდრეობითი ნივთიერება	კაფსულა შოლტი ნამნამები

2. სოკოს უჯრედს ბაქტერიისგან განსხვავებით, გააჩნია ბირთვი, მიტოქონდრია, ვაკუოლი.

3. 1) ზელენ საფუარიან ცომს 2) ცომს ათავსებენ, დაახლოებით, 28°C-ზე გასაფუებლად; 3) გაფუებული ცომი გადააქვთ ფორმებში და აცხობენ 180°C-ზე.

§ 2.4.

1. მიკრობანიზმების გადააგილების საშუალებებია: შოლტი, ნამნამები და ცრუ ფეხები.

2. (პასუხი იხ. რუბრიკაში – „მეცნიერება პრაქტიკაში“, გვ. 37).

3. ეუკარიოტ მიკრობანიზმებს, პროკარიოტისგან განსხვავებით აქვთ: ბირთვი, მიტოქონდრია, ქლოროპლასტი (წყალმცენარეებში), საჭმლის მომნელებელი და გამომყოფი ვაკუოლები (უმარტივესებში); უფრო რთული აგებულება აქვთ ეუკარიოტებს, რადგან მათი უჯრედი უფრო ბევრი

მიკროსტრუქტურისგან შედგება და უფრო მოწესრიგებულად მიმდინარეობს სასიცოცხლო პროცესები. ორივეს აგებულების მიხედვით გააჩნია პლაზმური მემბრანა, ციტოპლაზმა და მემკვიდრეობითი ნივთიერება და რაც მთავარია, ორივეში ვლინდება ყველა სასიცოცხლო თვისება.

4. საპროფიტები მზა საკვებ ორგანულ ნივთიერებებს ორგანიზმების მკვდარი ნარჩენებისგან იღებს, ხოლო პარაზიტი – მასპინძელი ორგანიზმიდან.

5. ავტოტროფი ეუკარიოტი მიკროორგანიზმებია: ქლორელა, ქლამიდომონადა, სპიროგირა, რადგან მათ ქლოროპლასტი გააჩნიათ და მათში ფოტოსინთეზი მიმდინარეობს; ხოლო ჰეტეროტროფები – ამება და ქალამანა, მათ ქლოროპლასტი არ გააჩნიათ და გარემოდან მზა საკვებ ორგანულ ნივთიერებებს ითვისებენ.

6. მწვანე ევგლენას ახასიათებს მიქსოტროფული კვება, რადგან გააჩნია ქლოროპლასტები და სინათლეზე ფოტოსინთეზს აწარმოებენ, ხოლო ლამე, გარემოდან მზა საკვებ ნივთიერებებს ითვისებს.

7. მწვანე ევგლენას მათგან განსხვავებით, არ გააჩნია უჯრედის კედელი და უჯრედში აქვს მრავალი ქლოროპლასტი.

§2.5

1. მწარმოებლები არიან ის ორგანიზმები, რომელთაც შეუძლიათ არაორგანული ნივთიერებებიდან ორგანული საკვები ნივთიერებების შექმნა, ესენი არიან ძირითადად ფოტოავტოტროფები – მცენარეები და ციანობაქტერიები.

2. მომხმარებლები არიან ჰეტეროტროფები და ნანილობრივ მიქსოტროფები, რომლებიც მზა საკვებ ნივთიერებებს საჭიროებენ. ესენი არიან ცხოველები, სოკოები და ბაქტერიები (ციანო ბაქტერიების გარდა).

3. დამშლელები – სოკოები და ბაქტერიები საპროფიტები არიან, ახასიათებთ საპროფიტული კვება (კვება მკვდარი ორგანული ნარჩენებით).

4. მცენარეები გარემოდან შთანთქავენ არაორგანულ ნივთიერებებს, რომლიდანაც ფოტოსინთეზის პროცესში ქმნიან ორგანულ ნივთიერებებს, ამ ორგანულ ნივთიერებებს საკვებად მოიხმარს სხვა ორგანიზმები (მომხმარებლები) – მცენარეჭამია ცხოველებში უშუალოდ მცენარიდან გადადის მათ ორგანიზმში ეს ნივთიერებები, ხოლო მტაცებელი ცხოველებში – მცენარეჭამია ცხოველებიდან; ცხოველებისა და მცენარეების სხვადასხვა ნარჩენებს არაორგანულ ნივთიერებამდე შლიან საპროფიტი ბაქტერიები და სოკოები; დამშლელების მიერ ნარმოქმნილ არაორგანულ ნივთიერებებს კვლავ მცენარეები იყენებენ.

5. მიკროორგანიზმების როლი ბუნებაში მრავალმხრივია: ფოტოავტოტროფი მიკროორგანიზმები ქმნიან საკვებს სინათლის ენერგიის ხარჯზე და მრავალი ცხოველის საკვებს წარმოადგენენ, ატმოსფეროდან შთანთქავენ ნახშირორჟანგს და გამოყოფენ უანგბადს. საპროფიტები მკვდარი ორგანული ნარჩენების მინერალიზაციას ახდენენ და ამდიდრებენ ნიადაგს, ასუფთავებენ გარემოს.

6. საპროფიტი ანუ დამშლელი მიკროორგანიზმების, როლი განუზომლად დიდია ნივთიერებათა წრებრუნვაში. ისინი ორგანული ნარჩენებისგან ათავისუფლებენ დედამინას და ნიადაგს მინერალებით ამდიდრებენ.

7. ფოთლების დაწვა არ არის კარგი. უმჯობესია ისინი დამშლელებმა დაშალონ და ნიადაგი მინერალებით გაამდიდრონ. გარდა ამისა, წვის დროს ატმოსფეროში მავნე ნივთიერებები გამოიყოფა.

8. ა) მწარმოებელია მცენარე, მომხმარებლები არიან ციყვი (მცენარისმჭამელი) და კვერნა (მტაცებელი), ხოლო საპროფიტი მიკროორგანიზმები – დამშლელებია.

ბ) ორგანული საკვები ნივთიერებები მცენარედან ხვდება ციყვში, ციყვიდან – მტაცებელ ცხოველში (კვერნაში), მცენარეებისა და ცხოველების ნარჩენებში არსებულ ორგანულ ნივთიერებებს შლიან დამშლელი მიკროორგანიზმები, საიდანაც არაორგანული ნივთიერებები ხვდება მცენარეში,

რომელიც ფოტოსინთეზის პროცესში გარდაქმნის ორგანულ ნივთიერებებად; გ) ნებისმიერი რგოლის ამოვარდნის შემთხვევაში დაირღვევა ნივთიერებათა ბუნებრივი მიმოქცევა.

§2.6

1. სასრგებლოა კვების მრეწველობაში გამოყენებული მიკროორგანიზმები: რძემჟავა ბაქტერიები, ძმარმჟავა ბაქტერიები, საფუარი სოკონები. საზიანოა დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმები, საპროფიტმა მიკროორგანიზმებმა შეიძლება საჭმელი გააფუჭოს.

2. ვაქცინაციით ორგანიზმში შეყავთ დაავადების დასუსტებული გამომწვევები, ან მათი შხამიანი ნივთიერებები. ორგანიზმში საპასუხოდ ისეთი ნივთიერებები გამომუშავდება, რომელიც მომავალში იცავს ამ დაავადებისგან.

3. იხ. ცხრილი გვ. 43.

4. ვირუსული დაავადებების გავრცელების სხვა და სხვა გზები არსებობს, მაგალითად, ჰაერ-წვეთოვანი, ავადმყოფთან უშუალო კონტაქტი, მისი ჭურჭლითა და პირადი მოხმარების საგნებით სარგებლობა, დაავადებულ ცხოველთან კონტაქტი და სხვა.

5. აცრები, დაავადებულ ადამიანთან მტკიდრო კონტაქტისგან თავის შეკავება, პირადი ჰიგიენის დაცვა, უცხო ცხოველებთან ურთიერთობისგან თავის შეკავება და დაკენის, დაკანვრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ექიმისთვის მიმართვა.

§2.7

1. იხ. ცხრილი გვ. 45. ქოლერა, ყივანახველა, დიფტერია, ტუბერკულოზი, ბოტულიზმი, ტეტანუსი.

2. ტუბერკულოზით დაავადებული ძროხის რძის მოხმარება. (დამატებითი ინფორმაცია: „შავი ჭირი“ ბაქტერიული დაავადება იყო, რომელსაც ვირთხები ავრცელებდნენ. ციმბირის წყლული (ჯილები) ბაქტერიული დაავადებაა, რომელიც დაავადებული შინაური პირუტყვისგან გადაედება ადამიანს. ინფექციურ დაავადებას, რომელიც ცხოველიდან ადამიანზე (ან პირიქით) ვრცელდება, ზოონოზი ეწოდება).

3. თბილი და ტენიანი გარემო.

4. თუ გვეცოდინება ბაქტერიის გამრავლებისა და გავრცელების პირობები, შეგვეძლება მათი გავრცელების რეგულირება და შეზღუდვა.

5. მეცნიერების როლი ბაქტერიული დაავადებების კვლევაში განუზომლად დიდია. სანამ მეცნიერები აღმოჩენდნენ და შეისწავლიდნენ დაავადებების გამომწვევ მიზეზებს და მისი გავრცელების გზებს, ათასობით ადამიანი იხოცებოდა, იცლებოდა სოფლები და ქალაქები. მარტო „შავ ჭირს“ შუა საუკუნეებში, რომელიც ევროპაში გემებიდან შემოსულმა დაავადებულმა ვირთაგვებმა და მათმა პარაზიტმა რწყილებმა გაავრცელეს, ევროპის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ემსხვერპლა. თვით მეფეების სასახლეებიც არ იყო ამ მხრივ დაცული. ხოლო ტუბერკულოზით გასული საუკუნის პირველ ნახევარში უამრავი ადამიანი გარდაიცვალა. ამიტომ, ფასდაუდებელია ლუი პასტერის, რობერტ კოხის, ჯონ სნოუს, ალექსანდრ ფლემინგის შრომა და ლევანლი მიკრობების შესწავლასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. მიკრობებთან მუშაობისას ყველაზე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ნორმების დაცვა, რათა არ მოხდეს საშიში მიკრობების გავრცელება.

6. მიკრობების კულტივირებით შესაძლებელია დაავადების გამომწვევის დიაგნოსტიკისა, სხვა-დასხვა მედიკამენტების მიმართ მათი გამძლეობის (რეზისტენტობის) განსაზღვრა, დაკვირვებების წარმოება, ახალი სასარგებლო მიკროორგანიზმების ჯგუფების/შტამების გამოყვანა და სხვა.

7. პეტრის თასზე მზადდება სტერილური საკვები არე (სტერილურიზაციის პირობების დაცვა), ალზე გასტერილებული ლითონის მარყუჟით მდინარიდან ვიღებთ მასალას (წყლის წვეთი) და შეგვაქვს საკვებ არეში ძალიან სწრაფად. პეტრის თასი იხურება და წებოვანი ლენტით იწებება. მიმდინარეობს ინკუბაცია თერმოსტატში, იზრდება კულტურა, რის შემდეგაც ხდება მისი მიკროსკოპული კვლევა.

§2.8

1. ადამიანებში გავრცელებული სოკოვანი დაავადებებია რძიანა, ათლეტის ფეხი, ფრჩხილის მიკოზი. თავდაცვის საშუალებაა პირადი ჰიგიენის დაცვა. არ ისარგებლოთ სხვისი პირადი ნივთებით: პირსახოცით, სანოლით, ფეხსაცმელით. აუზების საშხაპეებში არ იყოთ ფეხშიშველი, კარგად გაიმშრალეთ ფეხები საშხაპიდან გამოსვლის შემდეგ, რადგან სოკოს გამრავლებისთვის აუცილებლად ესაჭიროება ტენიანი გარემო.

2. ფერმერები კარტოფილის მავნებლის წინააღმდეგ ნათესებში შხამ-ქიმიკატებს მოიხმარენ, რომელიც ადამიანებისთვის უსაფრთხო არ არის. გარდა ამისა, დაავადებისადმი შეუვალი კარტოფილის ჯიშებიც საეჭვოა და ხშირად მოსახლეობაში მისი გამოყენება-არ გამოყენება კამათის, ხოლო მეცნიერებისთვის – კვლევის საგანია.

3. სოკოს ცხოველქმედებისა და გავრცელებისთვის აუცილებელი პირობაა ტენიანი და თბილი გარემო. ამიტომ კარტოფილი ასეთ გარემოში ვერ მოიდის, ის სოკოვანი დაავადებით ავადდება. კარტოფილის მორწყვას ცხელი დღის განმავლობაში ერიდებიან, რადგან ეს სოკოს გამრავლებისთვის საუკეთესო პირობაა. მოსავლის აღებამდე ერთი თვით ადეც მორწყვა მხოლოდ ზიანს მოიტანს. ეს არა მარტო სოკოვანი დაავადებისა, არამედ ლპობის ბაქტერიების გამრავლებისთვისაც საუკეთესო პირობებს შექმნის და მოსავალი დაიკარგება. ასევე აუცილებელია დაავადებული კარტოფილის გამოტანა მინის ნაკვეთიდან და განადგურება, რადგან ის ინფექციის გავრცელების წყაროა.

4. ვაზის სოკოვანი დაავადებებიდან აღსანიშნავია ჭრაქი, ნაცარი, ყურძნის ნაცრისფერი სიდამბლე, ყურძნის შავი სიდამბლე, ყურძნის თეთრი სიდამბლე, ვაზის შავი ლაქიანობა, ფუზაროზი და სხვა. ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია შემდეგ ვებ-გვერდებზე:

https://drive.google.com/file/d/0B3By27k_VyD8R0tNMWkyRVd3UnM/view

http://srca.gov.ge/files/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99B%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

5. (სურ. 2.8.2) მოცემულია მალარიის გავრცელების გზა. შესაძლებელია კოლოდან ნერწყვთან ერთად მალარიის პლაზმოდიუმი მოხვდეს ჯანმრთელ ადამიანის სისხლში და დაინფიცირდეს. პარაზიტი სისხლით ალწებს ლვიძლში, სადაც სწრაფად მრავლდება და შემდეგ სისხლში გადადიან. როდესაც კოლო უკბენს დაავადებულ ადამიანს, ადამიანის სისხლთან ერთად მასში ალწებს პარაზიტებიც, კოლომ შეიძლება სხვა ადამიანი დაავადოს.

(დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის): ეს პარაზიტი თავისი განვითარებისთვის ორ მასპინძელს საჭიროებს. ადამიანი შუალედური მასპინძელია და მასში პლაზმოდიუმის უსქესო გამრავლება მიმდინარეობს, ხოლო კოლო ანოფელესის მდედრი საბოლოო მასპინძელია და მასში პლაზმოდიუმის სქესობრივი გამრავლება ხდება. ინფექციის წყაროა მალარიით დასწროვნებული ადამიანი, რომელსაც კბენს კოლო ანოფელესის მდედრი და მის სანერწყვე ჯირკვალში ხვდება პლაზმოიდები. ისინი აქ, კოლოს სანერწყვე ჯირკვალში, სპოროზოიტებად გარდაიქმნებიან. ასეთი კოლოს ნაკბენიდან ადამიანის სისხლში ხვდებიან სპოროზოიტები, რომლებიც იჭრებიან ლვიძლში, მრავლდებიან, აზიანებენ ლვიძლის უჯრედებს (სკდება უჯრედები), გამოდიან, ხვდებიან სისხლში, იჭრებიან ერითროციტებში და მათაც შლიან. ერითროციტებიდან მათი გამოსვლა და ახალ ერითროციტებში შეჭრა გარკვეულ ციკლს მოიცავს – საქართველოში გვხვდებოდა სამდლიური ციკლის პლაზმოდიუმი. ამ დროს ადამიანებს ძლიერი შემცივნება და შემდეგ ტემპერატურის ძლიერი მატება (39° - 41°) აღენიშნებათ. ასეთი ადამიანის სისხლის ამონოვის შემდეგ კოლო ინფიცირდება და დაავადების სხვა ადამიანზე გადამტანი ხდება. ე.ო. ადამიანი და კოლო ერთმანეთს აინფიცირებენ).

6. ბუზები და კოლოები ინფექციის გამომწვევი პარაზიტების გადამტანები არიან და დასახლებულ პუნქტებში მათთან ბრძოლა აუცილებელია.

§2.9

1. а) ინფექციური დაავადებების გავრცელების სხვადასხვა გზა არსებობს: ჰაერწვეთოვანი (გრი-პი, წითელა, წითურა, ჩუტყვავილა, ტუბერკულოზი), კონტაქტური, შეხებით (სოკოვანი დაავადებები, მაგ, ათლეტის ფეხი), დაბინძურებული საკვებით (სალმონელოზი, ბოტულიზმი), დაბინძურებული წყლით (ქოლერა, დიზენტერია), ინფექციების გადამტანი ცხოველებით (ციმბირის წყლი, შავი ჭირი, მალარია), ორგანიზმის გამონაყოფით და ბიოლოგიური სითხეებით (სისხლი, ლიმფა, ქსოვილური სითხე, ნერწყვი, შარდი, განავალი), სქესობრივი გზით.

ბ) ჰიგიენური ღონისძიებები, პირადი ჰიგიენის დაცვა, ხელების ხშირი დაბანა, ერთჯერადი ცხვირსახოცების და საჭიროების შემთხვევაში პირბადეების გამოყენება. დაავადებულთან კონტაქტის შეზღუდვა, სპეციალური ხსნარების გამოყენება და ამ ხსნარებით საშხაპების, აუზების, საპირფარეშოების დამუშავება, სამედიცინო იარაღების და კონსერვების სტერილიზაცია, საეჭვო ნარმოშობის წყლის მიღებისაგან თავის შეკვება, საკვები პროდუქტების სწორად შენახვა და დაცვა. ცხოველის კბენის, დაკანვრის შემთხვევაში ექიმთან კონსულტაცია, მწერებისგან თავდასაცავად ბადეების და სხვა საშუალებების გამოყენება.

2. თუ გვეცოდინება დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების გამრავლებისა და გავრცელების პირობები, შეგვეძლება მათი გავრცელების რეგულირება, შეზღუდვა და თავის დაცვა მათგან.

4. თერმულად დაუმუშავებელი პროდუქტიდან შესაძლოა მიკროორგანიზმები მოხვდნენ უკვე თერმულად დამუშავებულ პროდუქტზე, ხოლო ამ გზით ჩვენ ორგანიზმში.

5. (პასუხი იხ. მასწავლებლის წიგნი, გვ. 77).

თემა 2-ის შეჯამება – პასუხები:

ტესტური დავალებები

	1	2	3	4	5	6	7	8
ა			X					
ბ					X	X	X	X
გ		X						
დ	X			X				

დავალებები – კრიტიკული აზროვნებისთვის

1. მოვამზადებ ამ ორგანიზმის მიკროპრეპარატს და მიკროსკოპით განხილვისას დავაკვირდები უჯრედში არის თუ არა ბირთვი. ბირთვის ალმოჩენის შემთხვევაში ეს ორგანიზმი სოკოს ეკუთვნის, წინააღმდეგ შემთხვევაში – ბაქტერიებს.

2. 1) გაანადგურებს ადამიანისათვის საშიში ინფექციური დაავადებების გამომწვევ ბაქტერიებს; 2) ვერ შეძლებს, რადგან კვების მრეწველობისთვის მნიშვნელოვანი ბაქტერიებიც განადგურდება; გარდა ამისა, ნარჩენების გახრმაც შეწყდება და ნარმოიქმნება დიდი ნაგაესაყრელი.

3. ანტიბიოტიკი ზღუდავს არამარტო პათოგენური ბაქტერიების გამრავლებას, არამედ – ნაწლავში ბინადარ სასარგებლო ბაქტერიებისასაც, მაგალითად, ნაწლავის ჩხირის ბაქტერიის.

4. 1) რადგან თამბაქოს დაავადებული ფოთლიდან გამოყოფილმა გაფილტრულმა ექსტრაქტმა (ისეთ ფილტრში, რომელშიც ბაქტერიები ვერ გადიან) გამოიწვია ჯანმრთელი მცენარის თამბაქოს მოზაკით დაავადება. 2) იმ დროისთვის მეცნიერებს შორის იყო მოსაზრება, რომ ყველა ცოცხალ ორგანიზმს აქვს უჯრედული აგებულება და რადგან გაფილტრული ექსტრაქტი ბაქტერიებს არ შეიცავდა და მაინც გამოიწვია ჯანმრთელი მცენარის დაავადება, ჩათვალეს, რომ ექსტრაქტი შეიცავდა დაავადებული მცენარიდან გამოყოფილ შხამს. 3) ექსტრაქტს განვიხილავდი ელექტრონული მიკროსკოპით.

ვიზუალური მასალის განსხვა

სურათი ასახავს ჩამოცვენილი ფოთლების დაშლას, რომელშიც საპროფიტი მიკროორგანიზმები მონაწილეობენ. მათი მოქმედებით ორგანიზმის ნარჩენების მინერალიზაცია – არაორგანულ ნივთიერებებად გარდაქმნა ხდება.

მონაცემთა ანალიზი

1. მე ვხედავ, რომ:

- დღაგრამაზე მოცემულია სხვადასხვა ფერის ხუთი გრაფიკული მრუდი, რომელზედაც სხვადასხვა ტემპერატურაა მონიშნული და ასახავს გარკვეულ დროში ბაქტერიების რაოდენობის ცვლილებას;
- აქედან ოთხ გრაფიკს აქვს აღმავალი მიმართულება;
- მესუთე გრაფიკი, რომელზედაც ანერია 4°C სწორხაზოვანია, არ იცვლება მისი საწყისი მდგომარეობა;
- ოთხი გრაფიკი ერთმანეთისგან განსხვავდება სიმაღლით და უჩვენებენ ბაქტერიების სხვადასხვა რაოდენობას განსხვავებულ ტემპერატურასა და დროის მონაკვეთში;
- მაჩვენებელს 900-ს ყველაზე მოკლე დროში (დაახლოებით 10 საათში) უახლოვდება მხოლოდ მუქი ლურჯი გრაფიკი, რომელზედაც მონიშნულია 30°C ;

ეს იმას ნიშნავს, რომ:

- სხვადასხვა ფერის გრაფიკული მრუდი უჩვენებს სხვადასხვა ტემპერატურაზე დროის გარკვეულ მონაკვეთში ბაქტერიების რაოდენობას;
- რადგან ბაქტერიების ყველაზე დიდი რაოდენობას მოკლე დროში აჩვენებს 30°C , ეს იმას ნიშნავს, რომ ბაქტერიების გამრავლებისთვის ყველაზე ხელსაყრელი ტემპერატურა 30°C ;
- რადგან 4°C -ზე არ იზრდება ბაქტერიების რაოდენობა, 4°C არის ბაქტერიების ამ ჯგუფისთვის არახელსაყრელი ტემპერატურა.

2. მე ვხედავ, რომ:

- დღაგრამაზე მოცემულია ერთი გრაფიკული მრუდი, რომელიც ასახავს საფუარის უჯრედების რაოდენობის ცვლილებას ყოველ 20 წუთში;
- მე-60 და 120 წუთებს შორის მკვეთრად აღმავალი ფორმა აქვს მრუდს;
- 120-ე და მე-200 წუთებს შორის მრუდს სწორხაზოვანი ფორმა აქვს.

ეს იმას ნიშნავს, რომ:

- მე-60 და 120 წუთებს შორის მკვეთრად გაიზარდა საფუარის რაოდენობა;
- 120-ე და მე-200 წუთებს შორის კი ბაქტერიების რაოდენობა აღარ იზრდება.

ასეთი ცვლილების მიზეზი არის ის, რომ დასაწყისში საფუარის საკმარისი რაოდენობის საკვები აქვს გლუკოზის სახით, ხოლო 120-ე წუთის შემდეგ საფუარის უჯრედების გამრავლების გამო ხსნარში გამოილება გლუკოზი.

3. მოსწავლის საკვლევი კითხვა იყო: გრიპით დაავადება როგორ არის დამოკიდებული ადამიანის ასაკზე.

მონაცემების ორგანიზება სქემებში:

1.

საფუარი სოკოს უჯრედი	საერთო	ქლამიდომონადა
უჯრედის კედელი ქიტინი გლიკოგენის მარცვლები	უჯრედის კედელი პლაზმური მემბრანა ციტოპლაზმა ბირთვი	უჯრედის კედელში ცელულოზა სახამებლის მარცვლები ქლოროპლასტი წითელი თვალაკი


2. (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, სასიცოცხლო თვისება – კვება, სისტემატიკური ჯგუფი).

1. ორგანიზმს აქვს უჯრედული აგებულება?	დიახ – გადადი მე-2 კითხვაზე არა – ეს არის ვირუსი
2. ამ ორგანიზმს აქვს ბირთვი?	დიახ – გადადი მე-3 კითხვაზე არა – ეს არის ბაქტერია
3. ამ ორგანიზმს აქვს უჯრედის კედელი?	დიახ – გადადი მე-4 კითხვაზე არა – ეს არის უმარტივესი
4. ეს ორგანიზმი ავტოფროფია?	დიახ – ეს არის წყალმცენარე არა – ეს არის ერთუჯრედიანი სოკო.

3. (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, ნივთიერება, სასიცოცხლო თვისება – კვება, სისტემატიკური ჯგუფი).


უჯრედის სტრუქტურა	ბაქტერია	საფუარი სოკო	ქლამიდომონადა	ამება
უჯრედის კედელი	+	+	+	-
უჯრედის მემბრანა	+	+	+	+
ციტოპლაზმა	+	+	+	+
მემკვიდრეობითი ნივთიერება	+	+	+	+
ბირთვი	-	+	+	+
ქლოროპლასტი	-	-	+	-
ეუკარიოტი თუ პროკარიოტი	პროკარიოტი	ეუკარიოტი	ეუკარიოტი	ეუკარიოტი
ავტოფროფი თუ ჰეტ- ეროტროფი	ჰეტეროტროფი	ჰეტეროტროფი	ავტოტროფი	ჰეტეროტროფი

4. (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, ფუნქცია, ნივთიერება, სისტემატიკური ჯგუფი, ტექნოლოგია, მედიცინა, ჯანმრთელობა).



თემის – მიკროორგანიზმების შეჯამებისთვის ჩვენ მიერ წარმოდგენილი ელექტრონული რე-სურსებიდან შეიძლება ინტერაქტიური თამაშის – „კონვერტი“ – გამოყენება.

თემა 3 – მცენარეები



თემატური ერთეულის დაგეგმვა

თემა: მცენარეები	დათმობილი საათების რაოდენობა: 15 (+5)		
სტანდარტის შედეგები: ბოლ. საპ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13			
სასწავლო მიზნები/შედეგები			
<p>ძირითადი ცნებები:</p> <p>ნივთიერება – ქლოროფილი, ფოტოსინთეზის საწყისი ნივთიერებები და პროდუქტები: ნახშირორუჟანგი, წყალი, უანგბაზი, გლუკოზა, სახამებელი; ცელულოზა, შხამიანი ნივთიერება, ფიტონციდები, C ვიტამინი.</p> <p>სტრუქტურა – ქლოროპლასტი, ფოთლის ბაგეები, მცენარეების სტრუქტურა: ფოთლი, ღერო, რიზონდები, ფესვები, ყვავილი, ნაყოფი, თესლი.</p> <p>ცოცხალი სისტემა – მცენარე, როგორც ცოცხალი სისტემა.</p> <p>სასიცოცხლო თვისება – კვება (ავტოტროფული, მიქსოტროფული და პარაზიტული კვება); გამრავლება (სქესობრივი და უსქესო), ზრდა – (მთელი სიცოცხლე იზრდებიან), მოძრაობა (მიმაგრებულ ცხოვრებას ეწევიან), სუნთქვა (სუნთქვას მცენარის ყველა ორგანო დღე და ღამე).</p> <p>ბიომრავალფეროვნება – წყალმცენარეები, ხაესები, გვიმრები, შიშველთესლოვნები, ყვავილოვნები (ფარულთესლოვნები); ენდემური, რელიეფური, ინტროდუცირებული და ინვაზიური სახეობები.</p> <p>შეგუებულობა – მცენარეების აგებულების და სასიცოცხლო პროცესების გარემოსთან შეგუებულობა.</p> <p>კვლევის მეთოდი – ექსპერიმენტული კვლევა, საველე კვლევა.</p> <p>კვლევა – ხავსისა და გვიმრის აგებულების კვლევა, ექსპერიმენტულ პირობებში ფოტოსინთეზის ინტესივობაზე, სუნთქვაზე და კვირვება – შედეგების ახალიზი; მცენარეების ბიომრავალფეროვნების კვლევა.</p> <p>ალმოჩენა – ვან ჰელმონტის, ჯოზეფ პრისტლის, იან ინჰეხაზის ექსპერიმენტები და ალმოჩენები; ფოტოსინთეზის პროცესის ალმოჩენა;</p> <p>დაავადება – შხამიანი მცენარეებით გამოწვეული მონამვლები, ალერგიები.</p> <p>ჯანმრთელობა – მცენარეების მნიშვნელობა ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებისათვის. მცენარეებთან უსაფრთხო ურთიერთობა. მცენარეების როლი ბუნებასა და ადამიანისთვის.</p> <p>მდგრადი განვითარება – ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებები და მისი მნიშვნელობა.</p>	<p>საკვანძო შეკითხვები:</p> <p>რა მნიშვნელობა გააჩნია ცოცხალი ორგანიზმების კლასიფიკაციას?</p> <p>რა საერთო დამახასიათებელი თვისება აქვთ მცენარეთა სამეფოში გაერთიანებულ ორგანიზმებს?</p> <p>როგორ იკვებებიან/სუნთქვავენ მცენარეები?</p> <p>რატომ მიიჩნევა, რომ კველა ორგანიზმის არსებობა ფოტოსინთეზის პროცესზეა დამოკიდებული?</p> <p>რატომ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ მრავლდებიან მცენარეები?</p> <p>რა მნიშვნელობა აქვს მცენარეებს ადამიანის ყო-ცხოვრებაში?</p> <p>რა უნდა ვიცოდეთ მცენარეებთან უსაფრთხო ურთიერთობისთვის?</p>	<p>უნარები:</p> <p>ალწერს მცენარეებისათვის საერთო დამახასიათებელ თვისებებს;</p> <p>ასახელებს ყვავილოვნი მცენარეების ვეგეტატიურ ორგანოებს და ალწერს მათ ფუნქციებს; ასაბუთებს, რომ მცენარე ნარმოადგენს ერთ მთლიან ცოცხალ სისტემას;</p> <p>ექსპერიმენტის საშუალებით იკვლევს მცენარის განვითარებისთვის საჭირო პირობებს;</p> <p>სურათის მიხედვით ალწერს ფოტოსინთეზის პროცესს და მონაცემების ორგანიზებას ახდენს ცხრილში;</p> <p>მსჯელობს ფოტოსინთეზის მნიშვნელობაზე;</p> <p>აანალიზებს ვან ჰელმონტის ექსპერიმენტს არგუმენტირებული მსჯელობის (მმმ) გამოყენებით;</p> <p>იყვლებს ფოტოსინთეზისათვის აუცილებელ პირობებს;</p>	<p>მეცნიერება და ტექნოლოგიები:</p> <p>ფოტოსინთეზის პროცესის აღმოჩენა;</p> <p>მცენარეების როლი კვების, ქმიტიურ, ქალალდის, სამშენებლო მასალების წარმოებაში, მედიცინაში, ფარმაკოლოგიაში, დეკორატიულ მებაღეობაში.</p> <p>მცენარეთა თავსებურებების გათვალისწინება სოფლის მეურნეობაში: (მაგალითად, ნიადაგის ტენანტია, გარემონტიური, ტესლის შენახვის და გაღივებისთვის საჭირო პირობები და სხვ);</p> <p>ახალი ჯიშების გამოყვანა ხელოვნური დამტვერვის მეთოდებით;</p>

<p>მკვიდრი წარმოდგენები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მწვანე მცენარეებში მიმდინარეობს ფოტოსინთეზის პროცესი (მცირე გამონაკლისების გარდა, რომელიც ან პარაზიტია, ან ნახევარპარაზიტი, ან მიქსოფროფი), რაც ცოცხალ სამყაროს ჟანგბადითა და საკეპბით უზრუნველყოფს; • ფოტოსინთეზის პროცესის აღმოჩენამ დიდი როლი ითამაშა მცენარეების მნიშვნელობის გააზრებაში; • მცენარეებს ახასიათებთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში განუსაზღვრელი ზრდა; არ აქვთ სივრცეში გადაადგილების უნარი; გარემოდან შეიწოვენ წყალს და აუცილებელ ნივთიერებებს; მცენარეული უჯრედი დაფარულია მკვრივი უჯრედის კედლით, გააჩნია უჯრედის წვენით ამოვსებული დიდი ზომის ცენტრალური ვაკუული და ქლოროპლასტები. • მცენარეთა ჯგუფები (წყალმცენარეები, ხავსები, გვიმრები, შიშველთესლოვნები, ფარულთესლოვნები) განსხვავდებიან აგებულებითა და ძირითადი სასიცოცხლო თვისებებით; • მცენარეები, ისევე როგორც სხვა ცოცხალი ორგანიზმები, შეგუებული არიან მათ ბუნებრივ საარსებო გარემოს; • მცენარეთა ბიომრავალფეროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვ.) და ეკოსისტემის მდგრადობის შენარჩუნებისათვის; • მცენარეებთან ურთიერთობის დროს უნდა დავიცვათ ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესები; • სასიცოცხლო ციკლი ორგანიზმის განვითარების სტადიების/ფაზების ერთობლიობა; • მცენარეების სხვადასხვა ჯგუფს განსხავებული სასიცოცხლო ციკლი აქვს. 	<p>რა ძირითად ნიშნებს ჩამოთვლი ყვავილოვანი მცენარეების დასახასიათებლად?</p> <p>რაში გამოიხატება თესლოვანი მცენარეების ხმელეთზე ცხოვრებასთან შეგუება?</p> <p>წყალმცენარეები ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომ მცენარეთა ჯგუფა ითვლება. რატომ?</p> <p>რატომ სჭირდება ხავსებსა და გვიმრებს განვითარებისთვის ტენიანი გარემო?</p> <p>რატომ ითვლება, რომ საქართველო მცენარეთა ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულია?</p>	<p>მსჯელობს მცენარის სუნთქვის თავისებურებებზე; ადარებს ფოტოსინთეზსა და სუნთქვას, მონაცემების ორგანიზებას ახდენს ცხრილში;</p> <p>ვირტუალური ლაბორატორიის ან სახელმძღვანელოში მოცემული ექსპერიმენტის მოდელის მიხედვით აანალიზებს პრისტლის ცდას, აკავშირებს ერთმანეთთან წვასა და ფოტოსინთეზს, სუნთქვასა და ფოთოსინთეზს, მსჯელობს პრისტლის აღმოჩენის მნიშვნელობის შესახებ;</p> <p>არჩევს ერთმანეთისგან სქესობრივ და უსქესო გამრავლებას, ადარებს ერთმანეთს და მსჯელობს თითოეულის დადებით და უარყოფით მხარეების შესახებ;</p> <p>იკვლევს ორლებნიანი და ერთლებნიანი თესლის აგებულებას;</p> <p>კვლევის საფუძველზე ადგენს მცენარეთა სხვადასხვა ჯგუფების აგებულების და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით მსგავსება-განსხვავებებას;</p> <ul style="list-style-type: none"> • ახდენს მცენარეთა გარემოს პირობებთან შეგუებულობების მაგალითების მოყვანას; • ადარებს სხვადასხვა მცენარეთა გჯუფის სასიცოცხლო ციკლს ერთმანეთთან და მსჯელობს სასიცოცხლო ციკლის თითოეული ეტაპის მნიშვნელობაზე; 	<p>უსქესო გამრავლების მეთოდები, როგორც საუკეთესო საშუალება სასურველი ჯიშების შენარჩუნებისა და გამრავლებისთვის.</p> <p>მცენარეები, როგორც ორგანიზმისთვის აუცილებელი ზოგიერთი ვიტა-მინის ერთადერთი წყარო.</p>
--	--	--	---

		<ul style="list-style-type: none"> • იკვლევს საკუთარი რეგიონისათვის დამახასიათებელი მცენარეთა მრავალ-ფეროვნებას; • მცენარეთა საფარის და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის გააზრებას, დასაბუთებას და მსჯელობას მისი დაცვის და შენარჩუნების შესაძლებლობებზე; • მცენარეებზე მიღებული ცოდნის დაკავშირებას სხვა-დასხვა პროფესიებთან და საქმიანობის სფეროებთან; • პროექტის დაწერას და განხორციელებას. 	<p>ორგანული საწვავი – ქვანახშირი, გაზი, ნავთობი, ტორფი – ნამარხი მცენარეებისგანაა წარმოქმნილი. ეს ნივთიერებები კი ქიმიური და სხვა საწარმოებისა მნიშვნელოვანი რესურსებია.</p>
--	--	--	--

სწავლა-სწავლების მტკიცებულებები შეფასებისთვის

მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები ჩატარებული კვლევების შესახებ (მცენარის ზრდა-განვითარებისთვის საჭირო პირობების კვლევა, ფოტოსინთეზი-სათვის აუცილებელი პირობების კვლევა, ორლებნიანი და ერთლებნიანი თესლების აგებულების კვლევა, დაკვირვება ხავსისა და გვიმრის, ფიჭვისა და ნაძვის წინვების აგებულებაზე)

მოსწავლეების მიერ ჩამოყალიბებული საკვლევი კოთხვა და კვლევის გეგმა:

ვან ჰელმონტისა და პრისტლის ექსპერიმენტების ანალიზი და მსჯელობა მათი აღმოჩენების მნიშვნელობაზე;

წარმოდგენილი გრაფიკული ორგანიზატორი (ცნებათა რუკა, ცხრილები) რომელიც ორგანიზებულია სხვადასხვა მცენარეთა ჯგუფების აგებულებისა და სასიცოცხლო პროცესების შედარების მონაცემები;

პოსტერებზე წარმოდგენილი სასიცოცხლო (ციკლის მოდელები, ყვავილოვან მცენარეებში თესლის გაგრცელების ფორმები, სამკურნალო მცენარეები, საქართველოს წინვოვანი ენდემური სახეობები).

განხორციელებული პროექტის (თესლი, როგორც საკვები) ანგარიში.

სტანდარტით განსაზღვრული შეფასების ინდიკატორები

- კვლევის საფუძველზე მცენარეთა სხვადასხვა სისტემატიკური ჯგუფის (წყალმცენარეები, გვიმრები, ხავსები, შიძველთესლოვანი, ფარულთესლოვანი) განსხვავება აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით; გარემოსთან მათი შეგუებულობების მაგალითების მოყვანა (ბიოლ. საბ. 1, 2, 3, 5, 6, 9, 10);
- ფოტოსინთეზის პროცესის აღწერა; კვლევის საფუძველზე მსჯელობა იმ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ მცენარის ზრდა-განვითარებასა და ფოტოსინთეზის ინტენსივობაზე (ბიოლ. საბ. 1, 2, 3, 5, 6, 9, 10);
- მცენარეული საფარველის და ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელობის დასაბუთება (IUCN კატეგორიები საქართველოს „წითელი ნუსხა“, ენდემური, რელიეტური, ინვაზიური სახეობები) და ადამიანისთვის მცენარეებთან სალერგენები, შხამიანი მცენარეები) ურთიერთობის რისკებზე მსჯელობა (ბიოლ. საბაზო. 4, 10, 11, 12);
- მცენარეებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვა-დასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, ფარმაკოლოგია) (ბიოლ. საბ. 11, 12, 13).
- კვლევის საფუძველზე მცენარის ზრდა-განვითარებაზე, მის სასიცოცხლო ციკლზე მსჯელობა (ბიოლ. საბ. 1, 2, 3, 5, 6, 9, 10);
- არგუმენტირებულად მსჯელობა ორგანიზმებისათვის განვითარების სტადიების მონაცვლეობის ბიოლოგიურ მნიშვნელობაზე (ბიოლ. საბ. 1, 2, 3, 5, 6, 9, 10);

სასწავლო გეგმა

- გაკვეთილი 1. ცოცხალი ორგანიზმების კლასიფიკაცია
- გაკვეთილი 2. მცენარეთა სამეფო, ყვავილოვანი მცენარეები
- გაკვეთილი 3. მცენარეების კვება. ფოტოსინთეზი
- გაკვეთილი 4. ფოტოსინთეზის პროცესის კვლევა
- გაკვეთილი 5. მცენარის სუნთქვის თავისებურებანი
- გაკვეთილი 6. ნივთიერებათა ტრანსპორტი მცენარეებში
- გაკვეთილი 7. ყვავილოვანი მცენარეების გამრავლება
- გაკვეთილი 8. ყვავილოვანი მცენარეების სასიცოცხლო ციკლი
- გაკვეთილი 9. მცენარეების უსქესო გამრავლება
- გაკვეთილი 10. შიძველთესლოვანი მცენარეები
- გაკვეთილი 11. ხავსები
- გაკვეთილი 12. ხავსების სასიცოცხლო ციკლი. ხავსების მნიშვნელობა
- გაკვეთილი 13. გვიმრები
- გაკვეთილი 14. მცენარეების მნიშვნელობა
- გაკვეთილი 15. მცენარეთა ბიომრავალფეროვნება და მისი დაცვა
- გაკვეთილი 16. შემაჯამებელი გაკვეთილი „მცენარეები“

თემის მოკლე მიმოხილვა

თემა მოსწავლის სახელმძღვანელოში მოიცავს 15 პარაგრაფს (გვ 60 – 106), დამატებით გათვალისწინებულია 5 სარეზერვო საათი, რომელიც მასწავლებელმა თავისი შეხედულებისა და კლასის საჭიროებიდან გამომდინარე უნდა გამოიყენოს.

ამ თემის ფარგლებში მუშაობა ხდება მოსწავლეებში სტანდარტით განსაზღვრული შემდეგი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე:

- მცენარეთა ჯგუფები (წყალმცენარეები, ხავსები, გვიმრები, შიშველთესლოვნები, ფარულთესლოვნები) განსხვავდებიან აგებულებითა და ძირითადი სასიცოცხლო თვისებებით;
 - მცენარეები, ისევე როგორც სხვა ცოცხალი ორგანიზმები, შეგუებული არიან მათ ბუნებრივ საარსებო გარემოს;
 - მწვანე მცენარეებში მიმდინარეობს ფოტოსინთეზის პროცესი, რაც ცოცხალ სამყაროს უანგბადითა და საკვებით უზრუნველყოფს;
 - მცენარეთა ბიომრავალფეროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვ.) და ეკოსისტემის მდგრადობის შენარჩუნებისათვის;
 - ფოტოსინთეზის პროცესის აღმოჩენამ დიდი როლი ითამაშა მცენარეების მნიშვნელობის გააზრებაში;
 - მცენარეებთან ურთიერთობის დროს უნდა დავიცვათ ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესები.
 - სასიცოცხლო ციკლი ორგანიზმის განვითარების სტადიების/ფაზების ერთობლიობაა;
 - მცენარეების სხვადასხვა ჯგუფს განსხავებული სასიცოცხლო ციკლი აქვს;
- მოსწავლის წიგნში თემა – სასიცოცხლო ციკლი – განხილულია მცენარეთა ცალკეული ჯგუფის აგებულებისა და სასიცოცხლო თავისებურებების პარალელურად.

საკვანძო შეკითხვები და კომპლექსური დავალებები

თემა: მცენარეები	
საკვანძო კითხვა	კომპლექსური დავალებები
რატომ მიიჩნევა, რომ ყველა ორგანიზმის არსებობა ფოტოსინთეზის პროცესზეა დამოკიდებული?	<p>სქემატურ მოდელზე მუშაობა: ფოტოსინთეზი და სუნთქვა (გვ.72) – სურათზე 3.5.1 მოცემული სქემის მიხედვით 1) შეადარე ფოტოსინთეზისა და სუნთქვის პროცესები და მონაცემები შეიტანე ქვემოთ მოცემულ ცხრილში; 2) დაასაბუთე, რომ ყველა ორგანიზმის არსებობა ფოტოსინთეზის პროცესზეა დამოკიდებული.</p> <p>კვლევის ანალიზი: ჯოზეფ პრისტლის ექსპერიმენტის ანალიზი (გვ. 72-73).</p> <p>ვიზუალური მასალის განსჯა: (გვ. 102-103, დავალება 1 და 3) – 1) სურათზე მოცემული სქემის მიხედვით: ა) აღწერე ფოტოსინთეზსა და სუნთქვას შორის კავშირი; ბ) დაასაბუთე დებულება: „ყველა ორგანიზმის არსებობა დამოკიდებულია ფოტოსინთეზის არსებობაზე“ (გვ. 102). 2) სურათზე წარმოდგენილია ექსპერიმენტის აღწერილობა. ყურადღებით დააკვირდი თითოეული სინჯარის (ა – ე) შიგთავსის შედგენილობას და იმას, თუ რა პირობებშია მოთავსებული. გაითვალისწინე, რომ ხუთივე სინჯარა მოთავსებული იყო ერთნაირ ტემპერატურაზე 6 საათის განმავლობაში; ასევე, თითოეული სინჯარა, როგორც სურათზეა ნაჩვენები, მილით დაკავშირებული იყო სინჯარასთან, რომელშიც კირიანი წყალია ჩასხმული. შეგახსენებ, რომ ნახშირორჟანგი კირიან წყალს ამღვრევს. ივარაუდე, რომელი სინჯარიდან გამოყოფილი აირი შეამღვრევს კირიან წყალს? დაასაბუთე შენი პასუხი თითოეული სინჯარისთვის.</p>

<p>რატომ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ მრავლდებიან მცენარეები?</p>	<p>ვიზუალური მასალის განსჯა: (გვ. 65, დავალება 2) – შეავსე სქემა: ფოტო-სინთეზის მიმდინარეობის ადგილი უჯრედში, საწყისი ნივთიერებები, პრო-დუქტები; საკვანძო შეკითხვა: როგორ იკვებებიან და სუნთქვენ მწვანე მცენარეები? (გვ. 72, დავალება 4) – სურათის მიხედვით შეადარე ფოტო-სინთეზი და სუნთქვა, მონაცემები შეიტანე ცხრილში.</p> <p>კვლევის ანალიზი: ვან ჰელმინტის ექსპერიმენტის ანალიზი (გვ. 67); ფოტო-სინთეზის სიჩქარის კვლევა განათების ინტენსივობაზე დამოკიდებულებით (გვ. 68); ფოტოსინთეზითვის აუცილებელი პირობების კვლევა (გვ. 70); მცენარის სუნთქვის თავისებურებების კვლევა (გვ. 71);</p> <p>ექსპერიმენტული კვლევა: მცენარის ზრდა-განვითარებისთვის საჭირო პი-რობების კვლევა (გვ. 64); ფოტოსინთეზისათვის აუცილებელი პირობების კვლევა (გვ. 70).</p> <p>მონაცემების განსჯა: 1. წარმოდგენილი გრაფიკების მიხედვით ახსენი, როგორ არის ფოტოსინთეზის ინტენსივობა დამოკიდებული გარემო ფაქტორებზე: გა-ნათების, ნახშირორულისა და ტემპერატურის ინტენსივობაზე (გვ. 103).</p> <p>მონაცემების ორგანიზება სქემებში: დავალება 3 (გვ. 106).</p>
<p>რატომ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ მრავლდებიან მცენარეები?</p>	<p>ექსპერიმენტული კვლევა: თესლის გაღივებისათვის საჭირო პირობების კვლევა (გვ. 81).</p> <p>დაკვირვება: დაკვირვება თესლის აგებულებაზე (გვ.81).</p> <p>სქემატურ მოდელზე მუშაობა: ყვავილოვანი მცენარის სასიცოცხლო ციკ-ლი (გვ. 79) – სურათის მიხედვით (სურ.3.8.1): ა) დაასახელე ყვავილოვანი მცენარის სასიცოცხლო ციკლის ეტაპები. ბ) განაყოფიერებას რატომ უნდა უსწორებდეს წინ დამტვერვა? გ) ყვავილის რომელ სტრუქტურაში ხდება განაყოფიერება? დ) რა არის ზიგოტა და რა წარმოიქმნება მის-გან? ე) სად წარმოიქმნება თესლი? ვ) საიდან ვითარდება ნაყოფი? ზ) რა როლი აქვს თესლს მცენარის სასიცოცხლო ციკლში? თ) როდის ინყება მცენარის ახალი სასიცოცხლო ციკლი?</p> <p>ფიჭვის სასიცოცხლო ციკლი (გვ. 86) – 1. სურათი 3.10.3-ის მიხედ-ვით აღწერე ფიჭვის სასიცოცხლო ციკლი. 2. ახსენი, რატომ დაარქვეს თესლოვან მცენარეთა ამ ჯგუფს „შიშველთესლოვნები“?</p> <p>ხავსის სასიცოცხლო ციკლი (გვ. 90) – 2. სურათი 3.12.1-ის მიხედვით აღწერე ხავსის სასიცოცხლო ციკლი. 3. რა როლს ასრულებს წყალი ხავსების სასიცოცხლო ციკლში? 4. თესლოვან მცენარეებში რატომ არ არის საჭირო წყალი განაყოფიერებისთვის?</p> <p>გვიმრის სასიცოცხლო ციკლი (გვ. 93) – 1. სქემის მიხედვით აღწერე გვიმრის სასიცოცხლო ციკლი. სად წარმოიქმნება სპორები? სად ვითარ-დება სასქესო ორგანოები? რისთვისაა საჭირო წყალი?</p> <p>პრაქტიკული სამუშაო: სახლში დააფესვიანე ოთახის მცენარის კალამი ან ფოთოლი, მოიტანე სკოლაში და თანაკლასელებთან ერთად ქოთანში ჩარგე.</p> <p>სიტუაციურ ამოცანაზე მუშაობა: (გვ. 102, დავალება 3) – წარმოიდგინე, რომ ხარ მცენარის ჩანასახი და დაწერე თესლის საჭიროების შესახებ. რას გაძლევს თესლი? როგორ გეხმარება ეს, როგორც ჩანასახს? რა უპ-ირატესობა გაქვს შენ სპოროვან მცენარეებთან შედარებით?</p>

	<p>მონაცემების ორგანიზება სქემებში: დავალება 1 და 2 (გვ. 105).</p> <p>დაცული ტერიტორიების საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა: 1) „ნორჩი მეტყევე“, 2) გარემოს დაცვით აქციებში მონაწილეობა, 3) ეკო-ბანაკებში მონაწილეობა.</p>
რა როლს ასრულებს მცენარეები ადამიანის ცხოვრებაში?	<p>ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაცია: მოიძიე ინფორმაცია საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების შესახებ. ჯგუფის წევრებთან ერთად აირჩიე 3-4 მცენარე და მოამზადეთ პრეზენტაცია პოსტერის სახით შემდეგი გეგმის მიხედვით: 1) მცენარის ზოგადი აღწერილობა; 2) გავრცელების არეალი; 3) სამკურნალო თვისებები (გვ. 97, დავალება 6).</p> <p>სასწავლო პროექტი: ჯგუფის წევრებთან ერთად დაწერე და განახორციელე პროექტი: თესლი, როგორც საკვები. ამისათვის შენს საცხოვრებელ სახლთან ახლო მდებარე სუპერმარკეტში გამოიკვლიე, რომელი მცენარეების თესლები იყიდება, რომელსაც ადამიანი საკვებად იყენებს. გააკეთე თესლების ჩამონათვალი, რომელსაც იპოვი სუპერმარკეტში. შენი ჯგუფის მოსწავლეებმა გააერთიანეთ სუპერმარკეტებში მოძიებული თესლების ჩამონათვალი. გამოიყენეთ ბიბლიოთეკის, ინტერნეტის რესურსები, რომ მოიპოვოთ ფაქტები თესლებით კვების შესახებ. შეადგინეთ ჯანმრთელი კვების მენიუ დღის განმავლობაში სამჯერადი კვებისთვის, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მცენარის თესლიდან მომზადებულ საკვებს. განხორციელებული პროექტის შესახებ დაწერეთ ანგარიში და წარადგინეთ კლასის წინაშე.</p>
როგორ უნდა მქონდეს უსაფრთხო ურთიერთობა მცენარეებთან?	<p>პრაქტიკული სამუშაო: ჯგუფის წევრებთან ერთად შექმნი პოსტერი: „მცენარეებთან უსაფრთხო ურთიერთობის წესები“; პოსტერი გააკარით საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილას, რათა ბუნებაში ექსკურსიის წინ ყოველთვის გაიხსენოთ იგი.</p>

ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები, თუ მოსწავლის წიგნში მოცემული რესურსები – ტექსტი, ფოტოები, სქემატური მოდელები, დიაგრამები, გრაფიკული ორგანიზაციერები – როგორ შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა აქტიური სწავლებისთვის, გაკვეთილის ყველა კომპონენტში მოსწავლეთა აქტიური ჩართვისთვის.

3.1. ცოცხალი ორგანიზმების კლასიფიკაცია

გაკვეთილის გამოწვევის ფაზაში მასწავლებელს მოსწავლეებში საკითხისადმი ინტერესის აღძვრასა და წინარე ცოდნის გააქტიურებაში დაეხმარება გონიერივი იერიშის ჩატარება კითხვის – რა ჯგუფებად ყოფენ ცოცხალ ორგანიზმებს? – დასმით (წინა კლასებში ნასწავლის საფუძველზე, სვარაუდოდ, მცენარეებს და ცხოველებს მაინც დაასახელებენ. ანდა, შეიძლება მასწავლებელმა დაფაზე ჩამონეროს კონკრეტული ცოცხალი ორგანიზმები და მოსწავლეებს სთხოვოს მათი დაჯგუფება, შემდგე დასვას კითხვა, თუ რა წიშნების მიხედვით დააჯგუფეს ეს ორგანიზმები).

მასწავლებელს გაკვეთილის ძირითადი ნაწილის ინტერაქტიურად წარმართვაში დაეხმარება -ში მოცემული 1-3 დავალებები: 1. რა არის კლასიფიკაცია და რისთვის იყენებენ მეცნიერები?

2. დააკვირდი დიაგრამებს და შეადარე ერთმანეთს ლინესეული და თანამედროვე სისტემატიკური ერთეულები. 3. თანამედროვე კლასიფიკაციის ერთეულებიდან დაასახელე: а) ყველაზე მცირე სისტემატიკური ერთეული; ბ) ყველაზე დიდი სისტემატიკური ერთეული.



ხოლო იმისათვია, რომ მასწავლებელმა შეაფასოს, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ახალი მასალა, ამუშავებს  -ის დავალებებზე (გვ. 61, 4-7).

3.2. მცენარეთა სამეფო ყვავილოვანი მცენარეები

გაკვეთილის გამოწვევის ფაზაში მასწავლებელს მოსწავლეებში საკითხისადმი ყურადღების მობილიზებაში დაეხმარება სახელმძღვანელოში მოცემული მცენარეთა სამეფოს დიაგრამა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეები დაასახელებენ მცენარეთა სამეფოს ძირითად ჯგუფებს.

კარგი იქნება, თუ გაკვეთილის ძირითად ნაწილში მოსწავლეთა გააქტიურებისთვის მასწავლებელი გამოიყენებს პარაგრაფის ტექსტში ჩართულ კითხვებს (მაგ., რა ნიშნების მიხედვით ახდენენ მცენარეთა კლასიფიკაციას? რა საერთო ნიშნები ახასიათებს მცენარეებს და ა.შ.). ასევე, ?-ში მოცემული დავალებები 1-6 სურათ 3.2.1. – ის გამოყენებით: 1. როგორ მცენარეს უწოდებენ ყვავილოვან მცენარეს? 2. ჩამოთვალეთ მცენარის ძირითადი ორგანოები.

3. რას წარმოადგენს ყვავილი და რა ფუნქცია გააჩნია მას? 4. როგორ ფიქრობ, რატომ უწოდებენ ყვავილოვან მცენარეებს ფარულობესლოვნებს? 5. რა პრობლემა შეექმნება მცენარეს, თუ დაუზიანდა ლერო? ფოთლები? დაასაბუთე შენი პასუხი. 6. დაასაბუთე, რომ მცენარე ერთ მთლიან, ცოცხალ სისტემას წარმოადგენს.

გაკვეთილის შემაჯამებელ ნაწილში მასწავლებელი სვამს კითხვას: რა პირობებია აუცილებელი მცენარის ზრდა-განვითარებისთვის? შეიძლება მისცეს ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა გასაანალიზებლად (სამეცნიერო პრაქტიკა – მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია):


დამატებითი აქტივობა (მოსწავლის წიგნში არ არის მოცემული): ნაიკითხე დიაგრამა: ხორბლის აღმონაცენის ზრდა – მორწყვის (ლურჯი მრუდი) და მორწყვის გარეშე (წითელი მრუდი). ვერტიკალურ ლერძზე: აღმონაცენის ზომა (სმ.), ჰორიზონტალურ ლერძზე – დაკვირვების დღეები. (აյ „ამოიცანი და ახსენი“-ს სტრატეგიის გამოყენებაც შეიძლება).

კითხვები გასაანალიზებლად:

- 1) რომელია დამოკიდებული და რომელი დამოუკიდებელი ცვლადი?
- 2) რა კავშირია მათ შორის?
- 3) რა დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი დიაგრამის მონაცემის საფუძველზე?
ივარაუდე, რა სახე შეიძლება მიიღოს მრუდებმა დაკვირვების მე-10 დღეს?

პასუხები:

- 1) დამოკიდებული ცვლადია ხორბლის აღმონაცენის ზრდა, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადი – მორწყვა/ტენი.
- 2) მორწყვაზე დამოკიდებულებით იცვლება ხორბლის აღმონაცენის ზომა: 5 დღეში აღმონაცენი, რომელიც ირწყვებოდა, 1,5 სმ-დან 11 სმ-მდე გაიზარდა, ხოლო რომელიც არ ირწყვებოდა – 1,5 სმ-დან 6 სმ-მდე.
- 3) დასკვნა: აღმონაცენის ზრდისთვის აუცილებელია წყალი.
- 4) ლურჯი მრუდი მიაღწევს, 10 სმ-ზე მეტ ნიშნულს, ხოლო წითელი მრუდის მდებარეობა 6 სმ-ის ნიშნულიდან ქვემოთ დაიწევს და მეტი აღარ შეიცვლება. რადგან ლურჯი მრუდი ასახავს იმ აღმონაცენის განვითრებას, რომელიც ირწყვებოდა, ხოლო წითელი – რომელიც არ ირწყვებოდა (ამ შემთხვევაში მცენარე გამოშრება, ზომაში შემცირდება და გახმება).



მასწავლებელი **საშინაო დავალებად** აძლევს კვლევით სამუშაოს (გვ. 64). მასწავლებელი მოსწავლებს სთხოვს გაეცნონ კვლევის ჩატარებისთვის საჭირო მასალას და პროცედურას. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებმა შეიძლება კითხვები დასვან პროცედურის შესახებ. სასურველია, ექსპერიმენტის ყოველი სერიისთვის მოსწავლეებმა გაკვეთილზევე განსაზღვრონ დამოუკიდებელი და კონტროლირებადი ცვლადები.

3.3. მცენარეების კვება. ფოტოსინთეზი

გაკვეთილის გამოწვევის ფაზაში შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს შესასვლელი ბარათები, რომლის მიხედვითაც 5 წუთის განმავლობაში მოსწავლეები გასცემენ პასუხს კითხვებზე: როგორ იკვებება მცენარე? რა არის ფოტოსინთეზი? კიდევ რა გინდა იცოდე ფოტოსინთეზის შესახებ? 5 წუთის შემდეგ მასწავლებელი შესასვლელ ბარათებს და პარალელურად ეცნობა, რასაც გაითვალისწინებს გაკვეთილის პროცესში.

გაკვეთილის ძირითად ნაწილში მოსწავლეთა აქტიური ჩართვისთვის მიზანშეწონილია ?-ის 1 და 2 დავალებაზე მუშაობა, რომლის დროსაც მათ მოუწევთ მუშაობა სურათზე (3.3.1). კარგი იქნება ტექსტზე მუშაობის ორგანიზება ჯგუფებში (იქმნება 4 ჯგუფი) : კითხულობენ ტექსტს, ეცნობიან სურათ 3.3.4-ზე მოცემულ ინფორმაციას და ამზადებენ პასუხებს ?-ში მოცემულ კითხვებზე 3-6-ზე. დროის ამონურვის შემდეგ თითო კითხვას თითო ჯგუფი პასუხობს შემთხვევითობის პრინციპით.

ძალიან მნიშვნელოვანია ამ პარაგრაფში ვან ჰელმონტის ექსპერიმენტის ანალიზი, რომელიც **მასწავლებელს აძლევს შეფასების საშუალებას**, თუ რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ფოტოსინთეზის არსი და მისი საწყისი ნივთიერებები და პროდუქტები. აქ შეიძლება არგუმენტირებული მსჯელობის **მემსახურების გამოყენება: მტკიცება** – მცენარის მთელი მასა იქმნება წყლისგან და არა ნიადაგისგან. **მტკიცებულებები** – 5 წლის განმავლობაში მეცნიერი ჯუჯა ხეს მხოლოდ რწყავდა, 5 წლის შემდეგ ხის მასა გაიზარდა 74,4 კგ-ით (76,6 კგ – 2,2 კგ), ნიადაგის მასა კი შემცირდა მხოლოდ 0,057 კგ-ით (90,5 კგ – 90, 443 კგ). **მსჯელობა** – ნაწილობრივ ვეთანხმები ვან ჰელმონტის მტკიცებას, რომ მცენარის მთელი მასა იქმნება წყლისგან, რადგან 5 წლის განმავლობაში ნიადაგის მასა შემცირდა მხოლოდ 0,057 კგ-ით, ხოლო მცენარის – გაიზარდა 74, 4 კგ-ით მაშინ, როდესაც მეცნიერი მცენარეს მხოლოდ რწყავდა. სრულად იმიტომ არ ვეთანხმები, რომ მცენარე ფოტოსინთეზის პროცესში ორგანული ნივთიერებების ნარმოსაქმნელად იყენებს ატმოსფეროდან შთანთქმულ ნახშირორჟანგსაც.

მასწავლებელმა აუცილებელად უნდა განუმარტოს მოსწავლეებს, რომ ზოგიერთი ორგანული ნივთიერებების ნარმოსაქმნელად საჭიროა მინერალური მარილებიც, რომელსაც მცენარე ნიადაგიდან წყალთან ერთად შთანთქავს. ექსპერიმენტის მიხედვით ნიადაგის მასის მცირედი შემცირება (57 გრამი) სწორედ ამ მინერალებზე მოდის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ წყალი, რითაც მცენარე ირწყვებოდა, ალბათ, მინერალურ მარილებსაც შეიცავდა და მცენარე ამ გზითაც იღებდა საჭირო მარილებს.

გაკვეთილის გეგმა

თემა: მცენარის კვება. ფოტოსინთეზი	დრო: 45 წთ
<p>გაკვეთილის მიზანი:</p> <ul style="list-style-type: none">• სურათის მიხედვით აღწერს ფოტოსინთეზის პროცესს და მონაცემების ორგანიზებას ახდენს ცხრილში;• მსჯელობს ფოტოსინთეზის მნიშვნელობაზე;• ზოგიერთი ყვავილოვანი მცენარის განსხვავებული კვების ტიპის შესახებ მოიპოვებს ინფორმაციას მოსწავლის წიგნში მოცემული ტექსტისა და სურათების მიხედვით;• აანალიზებს ვან ჰელმინტის ექსპერიმენტს არგუმენტირებული მსჯელობის (მმმ) გამოყენებით.	
<p>კავშირი საგნობრივ სტანდარტთან:</p> <p>სამიზნე ცნებები: სტრუქტურა (ფოთოლი, ქლოროპლასტი), ფუნქცია (ფოთლისა და ქლოროპლასტების ფუნქცია ფოტოსინთეზში), ნივთიერება (ქლოროფილი, ნახშირორუანგი, ნიალი, უანგბადი, გლუკოზა, სახამებელი), ენერგია (სინათლის ენერგია), სასიცოცხლო თვისება (ფოტოავტოტროფული კვება).</p> <p>საკვანძო შეკითხვა: როგორ იკვებებიან მწვანე მცენარეები?</p> <p>მკვიდრი წარმოდგენა: მწვანე მცენარეებში მიმდინარეობს ფოტოსინთეზის პროცესი, რაც ცოცხალ სამყაროს უანგბადითა და საკვებით უზრუნველყოფს.</p> <p>შეფასების ინდიკატორი: მოსწავლემ უნდა შეძლოს ფოტოსინთეზის პროცესის აღწერა (ბოლ.საბ. 1,2,3,5,6,9,10).</p>	
<p>საჭირო ნინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები:</p> <p>იციან: მცენარის ორგანოები და მათი ფუნქციები, წარმოდგენა აქვთ ფოტოსინთეზზე, როგორც მცენარის მწვანე ნაწილებში მიმდინარე პროცესზე (ნინა კლასებიდან).</p> <p>შეუძლიათ: საკუთარი ან სხვისი ექსპერიმენტების მონაცემების ანალიზი და ანალიზის საფუძველზე დასკვნების გამოტანა.</p>	
<p>შეფასება და თვითშეფასება: (როგორ გაზომავს მასწავლებელი, გავიდა თუ არა შედეგზე, შეფასების რომელ ტიპსა და მეთოდს გამოიყენებს, რა კრიტერიუმებით მოახდენს შეფასებას)</p> <p>განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი: „შესასვლელი ბარათები“, „გამოკითხვა“, „გამოსაძახებელი ჩხირები“, „შუქნიშანი: მწვანე – ვეთანხმები, წითელი – არ ვეთანხმები, ყვითელი – თავს ვიკავებ“, „გასასვლელი ბილეთები“.</p> <p>გაკვეთილის რეფლექსია თვითშეფასებისთვის: მასწავლებელი დაეყრდნობა გაკვეთილზე გამოყენებულ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებით მიღებულ შედეგების ანალიზს.</p>	
<p>სასწავლო მასალა და რესურსები:</p> <p>მოსწავლის სახელმძღვანელო წიგნი, საშინაო-საკლასო დავალებების რვეული, ფლიპჩარტი, „გამოსაძახებელი ჩხირები“, ფერადი პატარა ფურცლები – წითელი, ყვითელი და მწვანე, დაფა, ცარცი.</p>	
<p>I. შესავალი (გამოწვევის ფაზა)</p> <p>მოსწავლები შემოდიან კლასში, ყუთიდან იღებენ პატარა გაკუცილ ქაღალდებს – ჯგუფის აღმნიშვნელ ნომრებს და სხდებიან შესაბამის მაგიდებთან.</p> <p>აქტივობა 1. მეთოდი – „შესასვლელი ბარათები“; დრო: 5 წთ</p> <p>კლასის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური მუშაობა</p> <p>აქტივობის მიზანი: წინარე ცოდნის გააქტივება. მოსწავლეებმა გაიხსენონ წინა კლასების მასალიდან რა იციან მცენარის კვების შესახებ.</p> <p>აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს შესასვლელ ბარათებს, რომლის მიხედვითაც 5 წუთის განმავლობაში მოსწავლეები გასცემენ პასუხს კითხვებზე: როგორ იკვებება მცენარე? რა განსხვავება ცხოველის და მცენარის კვებას შორის? რა არის ფოტოსინთეზი? კიდევ რა გინდა იცოდე ფოტოსინთეზის შესახებ? 5 წუთის შემდეგ მასწავლებელი შეკრებს შესასვლელ ბარათებს და პარალელურად ეცნობა, რასაც გაითვალისწინებს გაკვეთილის პროცესში.</p>	

II. ძირითადი ნაწილი (სიღრმისეული წვდომის ფაზა)

აქტივობა 2. ტექსტსა და სურათზე მოცემული ინფორმაციის ანალიზი/დრო: 15 წთ, კლასის ორგანიზების ფორმა: ჯგუფური

აქტივობის მიზანი: მოსწავლე სახელმძღვანელოს ტექსტსა და სურათზე მოცემული ინფორმაციის საფუძველზე:

- აღწერს ფოტოსინთეზის პროცესს, ასახელებს ფოტოსინთეზის პროცესის მიმდინარეობის ადგილს, საწყისს ნივთიერებებსა და პროდუქტებს, შესაბამისი მონაცემების ორგანიზებას ახდენს ცხრილში;
- მსჯელობს ფოტოსინთეზის მნიშვნელობის შესახებ.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს კითხვებს, რომლებსაც მოსწავლეებმა უნდა გასცემ პასუხები სახელმძღვანელოში წაკითხული ტექსტისა (გვ. 65-66) და სურათზე (3.3.1, 3.3.2, 3.3.3 და 3.3.4) მოცემული ინფორმაციის გააზრების შემდეგ:

ფოტოსინთეზის მიმდინარეობის ადგილი უჯრედში

ფოტოსინთეზის საწყისი ნივთიერებები

ფოტოსინთეზის პროდუქტები

1) რას ნიშნავს: „მცენარე კვების მიხედვით ფოტოავტოფროფია“?

2) რა ნივთიერებები სჭირდება მცენარეს ფოტოსინთეზისთვის და საიდან იღებს მათ?

3) რა წარმოადგენს ენერგიის წყაროს ფოტოსინთეზისთვის?

4) შეავსეთ სახელმძღვანელოში მოცემული სქემა:

ფოტოსინთეზის მიმდინარეობის ადგილი უჯრედში	
ფოტოსინთეზის საწყისი ნივთიერებები	
ფოტოსინთეზის პროდუქტები	

აქტივობა 3. ტექსტსა და სურათებზე მოცემული ინფორმაციის ანალიზი. დრო – 5 წთ. მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა – ინდივიდუალური.

აქტივობის მიზანი: მოსწავლე სახელმძღვანელოს ტექსტსა და სურათებზე მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ასახელებს და აღწერს ყვავილოვანი მცენარეების განსხვავებული კვების ტიპებს, მოჰყავს შესაბამისი მაგალითები.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს ავალებს გაეცნონ ტექსტსა და სურათებზე მოცემულ ინფორმაციას, შეასრულონ დავალება:

1) დაასახელეთ ზოგიერთი ყვავილოვანი მცენარის განსხვავებული კვების ტიპები და მოიყვანეთ მაგალითები;

2) ვენერას ბუზიჭრიას კვების როგორი ტიპი ახასიათებს? დაასაბუთეთ პასუხი.

დროის გასვლის შემდეგ ჯგუფები შემთხვევითობის პრინციპით (გამოსაძახებელი ჩხირები) პასუხობენ კითხვებს, ხოლო სხვები „შუქნიშანის“ გამოყენებით აფიქსირებენ თავიანთ დამოკიდებულებას: „ვეთანხმები – მწვანე, არ ვეთანხმები – წითელი, თავს ვიკავებ – ყვითელი“. მასწავლებელი უყურადლებოდ არ ტოვებს აწეულ ბარათებს და აკეთებს კომენტარს.

III. დასკვნითი ნაწილი (რეფლექსიის ფაზა)

აქტივობა 4. მმმ სტრატეგიის გამოყენებით არგუმენტირებული მსჯელობა./დრო: 15 წთ.

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები აღწერენ მოსწავლის წიგნში ნარმოდგენილ ვან ჰელმოტის ექსპერი-მენტის ეტაპებს, მათემატიკური გამოთვლებით ადგენენ ხისა და ნიადაგის მასის ცვლილებას, არგუ-მენტირებული მსჯელობით ეთანხმებიან ან უარყოფნები ჰელმონტის დასკვნას.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გააანალიზონ სახელმძღვანელოში (გვ. 67) მოცემული ვან ჰელმონტის ექსპერიმენტის ეტაპები და შედეგები, უპასუხონ 1, 2, 3 კითხვებს სახელმძღვანელოდან. მმმ სტრატეგიის გამოყენებთ უარყონ ან დაეთანხმონ ვან ჰელმონტს. ნაშრომი მოამზადონ კლასში საპრეზენტაციოდ. მოსახერხენბელია მასწავლებელმა დრო მართოს ტელეფონზე დაყენებული ზარით.

ნამუშევრის პრეზენტაცია: სამუშაოსთვის განკუთვნილი დროის ამონურვის შემდეგ ჯგუფი შემთხვევითობის პრინციპით (გამოსაახებელი ჩხიებით) აკეთებს საკუთარი ნაშრომის პრეზ-ენტაციას, სხვა ჯგუფები ამონმებენ თავიანთ ნაშრომებს და აკეთებენ კომენტარებს. პრეზენტაცია უნდა შედგებოდეს შემდეგი პუნქტებისგან:

- მტკიცება: ...
- მტკიცებულება: ...
- მსჯელობა: ...

IV. შეჯამება

მასწავლებელი აკეთებს უკუკავშირს, აჯამებს გაკვეთილს და აძლევს დასაწერად: ესსეს „რა მნიშვნე-ლობა აქვს ფოტოსინთეზს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისთვე“ (60-70 სიტყვა).

დრო: 3 წთ

საშინაო დავალებას: თეორიული მასალის დასწავლა – წ3.3 მცენარის კვება. ფოტოსინთეზი

3.4. ფოტოსინთეზის პროცესის კვლევა

მოსწავლეებში შესასწავლი საკითხისადმი მოტივაციისა და ინტერესის გამოწვევა შეიძლება გამოკითხვით: როგორ იყვლევენ ფოტოსინთეზის პროცესის მიმღინარებას და მის შედეგებს?

სასურველია, თუ მასწავლებელი სურათ 3.4.1-ზე აღნირილ სახამებლის აღმოჩენის ხერხის დემონსტრირებას მოახდენს კლასში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლეებს ინდივიდუალურად ამუშავებს სქემაზე მოცემულ ინფორმაციაზე (სურ. 3.4.1, 1) და შემდეგ სხვადასხვა მოსწავლე აღნერს ფოტოლში სახამებლის აღმოჩენის თითოეულ ეტაპს (შემთხვევითობის პრინციპით, მაგ., გამოსაძახებელი ჩინირების გამოყენებით).

ასევე, გაკვეთილის ძირითად ნაწილში მოსწავლეების ჩართვა შეიძლება სურ. 3.4.2-სა და 3.4.3-ის მიხედვით აღნირილი ექსპერიმენტების ანალიზით, გვ. 69.

ამ ექსპერიმენტის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საკვლევი კითხვის ჩამოყალიბება, რომელსაც, სავარაუდოდ, შეიძლება ასეთი სახე ჰქონდეს: როგორ არის ფოტოსინთეზის სიჩქარე დამოკიდებული განათების ინტენსივობის ცვლილებაზე?

რაც შეეხება მეორე ექსპერიმენტს, აქ შეიძლება მემ სტრატეგიის შეპრუნებულად გამოყენება: თითოეული ექსპერიმენტის შედეგი გამოიყენონ, როგორც მტკიცებულება და მსჯელობით ჩამოაყალიბონ მტკიცება. ჯობია, ეს აქტივობა ჯგუფებში შესრულდეს. (სავარაუდო პასუხები იხილეთ მასწ. წიგნი გვ.36-37).

გაკვეთილის შემაჯამებელ ნაწილში მასწავლებელი სვამს კითხვას: როგორ ფიქრობთ, რა პარაჭტიკული მნიშვნელობა აქვს ფოტოსინთეზისათვის საჭირო პირობების კვლევას? მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა მიიყვანოს შემდეგ პასუხამდე: ფოტოსინთეზისათვის საჭირო პირობებს ითვალისწინებენ სოფლის მეურნეობაში და მეყვავილეობაში, მაგალითად, სათბურებსა და ორანჟერებში მცენარეებს ხელოვნურად უქმნიან საჭირო პირობებს მთელი წლის განმავლობაში ფოტოსინთეზის ინტენსიურად წარმართვის მიზნით.

3.5. მცენარის სუნთქვის თავისებურებანი

მოსწავლეებში შესასწავლი საკითხისადმი მოტივაციისა და ინტერესის გამოწვევა შეიძლება გამოკითხვით: სუნთქვას თუ არა მცენარე? რა რის სუნთქვა? როგორ ფიქრობ, რამი იყენებს მცენარე ფოტოსინთეზში წარმოქმნილ ორგანულ ნივთიერებებს?

გაკვეთილის ძირითად ნაწილში მოსწავლეთა აქტიური ჩართვისთვის მიზანშენონილია შემდეგი აქტივობების განხორციელება:

აქტივობა 1. ექსპერიმენტის – მცენარის სუნთქვის თავისებურებების კვლევა – ანალიზი: გაააღმზი წარმოდგენილი ექსპერიმენტის აღნირილობა და შედეგები, უპასუხე კითხვებს: 1) ექსპერიმენტის შედეგი ადასტურებს თუ არა, რომ მცენარე სუნთქვა? ახსენი შენი პასუხი. 2) რატომ მოათავსეს მცენარე ბნელ კარადაში?

პასუხები: 1) ექსპერიმენტის შედეგი ადასტურებს, რომ მცენარე სუნთქვა, რადგან ბნელ კარადაში მოთავსებიდან ერთი დღე-ლამის შემდეგ კირიანი წყალი აიმღვრა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზარსუფის ქვეშ დაგროვდა სუნთქვის პროცესში მცენარის მიერ გამოყოფილი ნახშირორჟანგი. 2) რადგან სინათლეზე მცენარე ფოტოსინთეზის პროცესში უფრო მეტ ნახშირორჟანგს შთანთქავს, ვიდრე სუნთქვის პროცესში გამოყოფს, ამიტომ ზარსუფის ქვეშ ნახშირორჟანგი არ დაგროვდება.

აქტივობა 2. 3) სურათზე 3.5.1 მოცემული სქემის მიხედვით შეადარე ფოტოსინთეზისა და სუნთქვის პროცესები და მონაცემები შეიტანე.

ძალიან მნიშვნელოვანია ამ პარაგრაფში ჯოზეფ პრისტლის ექსპერიმენტის ანალიზი, რომელიც მასწავლებელს აძლევს შეფასების საშუალებას, თუ რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა სუნთქვის არსი, კავშირი სუნთქვასა და ფოტოსინთეზს შორის, იმსჯელებენ ჯოზეფ პრისტლის აღმოჩენის მნიშვნელობას მცენარეების მნიშვნელობის გაზრებაში. ამ მიზნით მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს

ჩვენ ელექტრონულ რესურში წარმოდგენილი ვირტუალური ლაბორატორია პრისტლის ცდაზე, ან გამოიყენოს მოსწავლის წიგნში (გვ. 73) აღნერილი პრისტლის ცდა.

სავარაუდო პასუხები:

ექსპერიმენტი I

1. ჰაერში არის წვისთვის აუცილებელი ჟანგბადი.
2. სანთლის წვის შედეგად ჰაერს „აფუჭებს“ წვის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგი, რომელიც წვას ხელს უშლის და ამიტომ ჩაქრა სანთელი.
3. ზარხუფის ქვეშ მცირდება ჟანგბადი, რადგან წვისთვის აუცილებელია იგი და დაგროვდა ნახშირორჟანგი.
4. ზარხუფის ქვეშ პიტნის მოთავსებამ გამოაკეთა“ ჰაერი, რადგან ფოტოსინთეზის პროცესში გარემოდან ხდება ნახშირორჟანგის შთანთქმა და ჟანგბადის გამოყოფა, ჟანგბადი კი სანთლის წვას ხელს უწყობს.

ექსპერიმენტი II

1. ექსპერიმენტი ეტაპები: 1) პრისტლიმ ზარხუფის ქვეშ მოათავსა თაგვი და ანთებული სანთელი;
- 2) ზარხუფის ქვეშ მოათავსა ანთებული სანთელი, თაგვი და ქოთანი პიტნით.

ექსპერიმენტის 1) ბ ეტაპზე სანთელი ჩაქრა და თაგვიც მოკვდა, რადგან როგორც წვის, ისე სუნთქვის პროცესის შედეგად ზარხუფის ქვეშ გამოილია ჟანგბადი და დაგროვდა ნახშირორჟანგი. დ ეტაპზე, 2) პიტნის მოთავსების შემდეგ, მცენარეში მიმდინარე ფოტოსინთეზის პროცესში მოხდა გარემოდან სუნთქვისა და წვის პროცესებში გამოყოფილი ნახშირორჟანგის შთანთქმა და ჟანგბადის გამოყოფა, რომელიც აუცილებელია წვისა და სუნთქვისთვის.

2. თაგვმა სუნთქვისთვის გამოიყენა მცენარის მიერ ფოტოსინთეზის პროცესში გამოყოფილი ჟანგბადი და კარგად გრძნობს თავს.

3. პრისტლის აღმოჩენით ნათელი გახდა მცენარეების როლი ბუნებაში.

ეს აქტივობა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მოსწავლემ უნდა განსაზღვროს იან ინჟენერულის ექსპერიმენტის საკვლევი კითხვა და დაგეგმოს ექსპერიმენტი.

სავარაუდო პასუხი: საკვლევი კითხვა: მცენარის მიერ ჰაერის „გამოსწორება“ დამოკიდებულია თუ არა სინათლეზე?

ექსპერიმენტის გეგმა:

- ზარხუფის ქვეშ მცენარე და თაგვი და/ან ანთებული სანთელი მოვათავსოთ სიბნელეში, ჩავინიშნოთ მიღებული შედეგები;
- ზარხუფის ქვეშ მცენარე და თაგვი და/ან ანთებული სანთელი მოვათავშოთ სინათლეში, ჩავინიშნოთ მიღებული შედეგები.

გაკვეთილის გეგმა

თემის სახელწოდება	ჯოზეფ პრისტლის ექსპერიმენტის ანალიზი
კავშირი საგნობრივ სტანდარტთან	<p>სამიზნე ცნებები: სასიცოცხლო თვისება (კვება – ფოტოავტოფროფული, სუნთქვა), ნივთიერება (ჟანგბადი, ნახშირორჟანგი, ორგანული ნივთიერება), ენერგია (სინათლის ენერგია, ორგანულ ნივთიერებაში დაგროვებული ენერგია, სუნთქვის შედეგად გამოთავისუფლებული ენერგია, კვლევა – სიმულაციური ექსპერიმენტი).</p> <p>საკვანძო შეკითხვა: რატომ მიიჩნევა, რომ ყველა ორგანიზმის არსებობა ფოტოსინთეზის პროცესზეა დამოკიდებული?</p> <p>მკვიდრი ნარმოდგენა: ფოტოსინთეზის პროცესის აღმოჩენამ დიდი როლი ითამაშა მცენარეების მნიშვნელობის გააზრებაში.</p> <p>შეფასების ინდიკატორები:</p> <p>ბიოლ. საბ. 1, 2, 3, 5, 6, 9, 10. ფოტოსინთეზის პროცესის აღწერა; კვლევის საფუძველზე მსჯელობა იმ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ მცენარის ზრდა-განვითარებასა და ფოტოსინთეზის ინტენსივობაზე;</p> <p>ბიოლ. საბ. 7. თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა ფორმით ჩაწერა და ორგანიზება; მონაცემების ორგანიზებისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;</p> <p>ბიოლ. საბ. 8. მონაცემების გაანალიზება და არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა;</p>
ნინარე ცოდნა	მოსწავლეებმა იციან, როგორ იკვებებიან მცენარეები, რა არის ფოტოსინთეზი და რა როლი აქვს ამ პროცესს სხვა ცოცხალი ორგანიზმებისთვის. მათ ასევე იციან ფოტოსინთეზისა და სუნთქვის პროცესები დ შეუძლიათ მათი შედარება.
გაკვეთილის სასწავლო მიზნები	<p>მოსწავლეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • იმსჯელებენ ფოტოსინთეზსა და სუნთქვას შორის კავშირზე; • ელექტრონული რესურსის გამოყენებით მოახდენენ ჯოზეფ პრისტლის ექსპერიმენტის ანალიზს. • იმსჯელებენ პრისტლის აღმოჩენის მნიშვნელობაზე; • დაგეგმავენ ექსპერიმენტს ინტენსიუზის ექსპერიმენტის შედეგზე დაყრდნობით.
გაკვეთილის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> • ეცოდნებათ, რომ მცენარეები ფოტოსინთეზის პროცესში ნარმოქმნილ საკვებ ორგანულ ნივთიერებებს იყენებენ ენერგიის წყაროდ სუნთქვის პროცესში. • იმსჯელებენ პრისტლის ექსპერიმენტების შედეგებსა და მისი აღმოჩენის მნიშვნელობაზე. • დასვამენ საკვლევ კითხვას და დაგეგმავენ ექსპერიმენტს.
რესურსები	სახელმძღვანელო, რვეული, ფერადი ფანქრები, მარკერები, ფლიპჩარტები. კომპიუტერი, პროექტორი. ელექტრონული რესურსი: https://biologiiswigni.blogspot.com/
შეფასება	მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. გაკვეთილზე გამოყენებული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები: კითხვა-პასუხი, მასწავლებლის უკუკავშირი, მოსწავლეთა თვითშეფასება, „შუქნიშანი“.

<p>გაკვეთილის მსვლელობა</p>	<p>I. შესავალი (გამოწვევის ფაზა)</p> <p>აქტივობა 1. სლაიდით გამოტანილი სურ.3.5.1-ს ანალიზი აქტივობის მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, მოტივაციის შექმნა დრო: 10 წთ. მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა: მთელ კლასთან მუშაობა აქტივობის აღწერა: მასწავლებელი სვამს კითხვას: რა ასრულებს მცენარეში სინათლის ენერგიის გარდამქმნელის როლს? რა პირობებია აუცილებელი ფოტოსინთეზის ეფექტურად წარმართვისთვის? რაში იყენებს მცენარე ფოტოსინთეზის დროს წარმოქმნილ ორგანულ ნივთიერებებს? რა მნიშვნელობა აქვს სუნთქვას ორგანიზმისთვის? რომელი ექსპერიმენტით ვასაბუთებთ, რომ მცენარე სუნთქვას? მასწავლებელი ისმენს მოსაზრებებს და შემდეგ ახდენს შეჯამებას, რომ სუნთქვა და ფოტოსინთეზი ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესებია და ფოტოსინთეზისგან განსხვავებით მცენარე სუნთქვას დღეც და ღამეც.</p> <p>II. ძირითადი ნაწილი (სიღრმისეული წვდომის ფაზა):</p> <p>აქტივობა 2. ჯოზეფ პრისტლის ექსპერიმენტის ანალიზი დრო: 20 წთ. მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა: ჯგუფური აქტივობის მიზანი: მოსწავლე სიმულაციის – „პრისტლის ცდა“ – მიხედვით აკავშირებს ერთმანეთთან ფოტოსინთეზსა და სუნთქვას, მსჯელობს პრისტლის აღმოჩენის მნიშვნელობის შესახებ.</p> <p>აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ჯგუფებად ყოფს მოსწავლეებს, ჯგუფებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს (იხ. მასწ. წიგნი, გვ. 46) და აცნობს ინსტრუქციას. „შუქნიშნის“ გამოყენებით ამონტებს ინსტრუქციის გაგებას. შემდეგ ეკრანზე უჩვენებს სიმულაციას – „პრისტლის ცდა“: https://bunebismetyvelebiswigni.blogspot.com/p/blog-page_1.html მოსწავლეები სამუშაო ფურცელში აფიქსირებენ ცდის თითოეული ეტაპის შედეგებს და მიღებული შედეგების მიზეზებს. მოსწავლეები ამზადებენ პრეზენტაციას ფლიპჩარტზე და შემთხვევითი შერჩევით ერთი ჯგუფი წარმოადგენს ნამუშევარს. სხვა ჯგუფები განსხვავებული პასუხების შემთხვევაში ამატებენ საკუთარ მოსაზრებებს. ბოლოს კი მასწავლებელი ახდენს მოსწავლეთა პასუხების შეჯამებას.</p> <p>III. შემაჯამებელი ნაწილი</p> <p>აქტივობა 3: რეფლექსია დრო: 10 წუთი. მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა: მთელ კლასთან მუშაობა აქტივობის მიზანი: მოსწავლეები მსჯელობენ პრისტლის აღმოჩენის მნიშვნელობაზე და აკეთებენ დასკვნას მცენარეების ბუნებაში მნიშვნელობის შესახებ. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი სვამს შეკითხვებს: 1) რა მნიშვნელობა ჰქონდა პრისტლის აღმოჩენას?</p>
--	---

	<p>2) თქვენ რომ პრისტლის გვერდით მუშაობა შეგძლებოდათ, რას შეცვლიდით ექსპერიმენტში?</p> <p>3) რატომ მიიჩნევა, რომ ყველა ორგანიზმის არსებობა ფოტოსინთეზის პროცესზეა დამოკიდებული?</p> <p>ბოლოს მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და ახდენს მოსწავლეთა შეფასებას. (კვლევის ანგარიშის რუბრიკა) მასწავლებელი გამოკვეთს, რომ ყველა ორგანიზმის არსებობა დამოკიდებულია ფოტოსინთეზის პროცესზე.</p> <p>აძლევს საშინაო დავალებას: დასვი საკვლევი კითხვა და დაგეგმე იან ინჰენერულის ექსპერიმენტის ეტაპები. (დრო 5 წუთი)</p> <p>პარაგრაფი სახელმძღვანელოში 3.5 (ჩატარებული კვლევის მონაცემების ანალიზი – ჯოზეფ პრისტლის ექსპერიმენტი).</p>
--	---

3.6. ნივთიერებათა ტრანსპორტი მცენარეებში

ნინარე ცოდნის (მოსწავლეებმა იციან მცენარეების გამტარი სისტემა – 1.5. გვ. 20)

გააქტიურების მიზნით მასწავლებელი სვამს კითხვებს: რა ჰქმნის მცენარეებში გამტარ სისტემას? რომელი ნივთიერებები მოძრაობს ქსილემაში და რა მიმართულებით? რომელი ნივთიერებები მოძრაობს ფლოემაში და რა მიმართულებით?

გაკვეთილის ძრითადი ნაწილი – შესაძლებელია მასწავლებელმა გამოიყენოს შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი: ნინასწარ ამუშაოს ვირტუალურ ლაბორატორიაში:

transpiracia (http://www.mhhe.com/biosci/genbio/virtual_labs_2K8/labs/BL_12/index.html) da ganixilos mos-wavleebis mier Sedgenili monacemebis exrili:

ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ტრანსპირაციის ინტენსივობაზე	ფოთლის მიერ აორთქლებული წყლის რაოდენობა
ფართო ფოთოლი	
წვრილი ფოთოლი	
21°C	
27°C	
„წყნარი ამინდი“	
„ქარიანი ამინდი“	

აანალიზებენ შედეგებს, თუ რაზეა დამოკიდებული ფოთლის მიერ აორთქლებული წყლის რაოდენობა. მას უკავშირებენ ტენიან და მშრალ ადგილებში მცენარეების შეგუებულობას (გვ. 75. ?2).

მასწავლებელი ტრანსპირაციას უკავშირებს ჭურჭლებში წყლისა და მასში გახსნილი მინერალური მარილების ერთი მიმართულებით გადაადგილებას.

გაკვეთილის დასკვნითი/რეფლექსის ფაზა – მოსწავლეები აანალიზებენ ექსპერიმენტის შედეგებს და აკეთებენ დასკვნას, აყალიბებენ საკვლევ კითხვას ამ ექსპერიმენტისთვის (გვ. 75).

3.7. ყვავილოვანი მცენარეების გამრავლება

ამ გაკვეთილში მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ თავიდან აიცილოს მოსალოდნელი ისეთი არასწორი შეხედულების ჩამოყალიბება (რომელიც საკმაოდ ხშირია), როგორცა: 1) სქესობრივ გამრავლებაში აუცილებლად მონაწილეობს ორი მშობლიური ორგანიზმი და 2) აიგივებენ დამტვერვასა და განაყოფიერებას. ამ შეცდომების (1) თავიდან ასაცილებლად მასწავ-

ლებელმა ხაზი უნდა გაუსვას და მოსწავლეებს სამუშაო რვეულებში ჩაანიშნინოს, რომ **სქეობრივ გამრავლებაში აუცილებლად მონაწილეობს სასქესო უჯრედები – გამეტები** და შესაძლებელია ერთი მშობლიური ორგანიზმი მონაწილეობდეს, რის მაგალითსაც წარმოადგენს ორსქესიანი თვითმტვერია მცენარეები. რაც შეეხება დამტვერვასა და განაყოფიერებას, აյ მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რომ განაყოფიერება ნიშნავს მდედრობითი და მარობითი გამეტების შერწყმას, ხოლო დამტვერვა მხოლოდ მტვრის მარცვლის მოხვედრაა ბუტკოს დინგზე. ამიტომ დამტვერვა თუ არ მოხდა, განაყოფიერება ვერ მოხდება.

მოტივაციისა შესაქმნელად და წინარე ცოდნის (მოსწავლეებმა იციან წინა კლასებიდან ყვავილის აგებულება და დანიშნულება) გააქტიურების მიზნით – კითხვა: რა არის გამრავლება და რა მნიშვნელობა აქვს მას? რა როლი აქვს ყვავილს მცენარის სიცოცხლეში?

გაკვეთილის ძირითადი ნაწილის აქტივობები:

აქტივობა 1. მასწავლებელი მოსწავლეებს ამუშავებს სურათ 3.7.1-ზე, მასზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით პასუხი უნდა გასცენ კითხვებს 1-5;

აქტივობა 2. მასწავლებელი მოსწავლეებს ამუშავებს სურათ 3.7.2-ზე, მასზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით პასუხი უნდა გასცენ კითხვებს 6-7;

აქტივობა 3. მასწავლებელი მოსწავლეებს სურ. 3.7.3-ის საშუალებით ახსენებს დამტვერვის საშუალებებს. ხაზს უსვამს დამტვერვის მნიშვნელობას.

აუცილებლად უნდა დასვას კითხვა მასწავლებელმა: **რატომ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ მრავლდებიან მცენარეები?** (მასწავლებელს ამ კითხვის დასმა მცენარეების შესწავლის პროცესში რამდენჯერმე მოუწევს). ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოსწავლეები ეცნობიან რუბრიკაში – **მეცნიერება პრაქტიკაში – მოცემულ ინფორმაციას** (გვ. 78).

გაკვეთილის დასკვნითი/რეფლექსიის ფაზა – კითხვებზე 8-11 პასუხის გაცემა.

3.8. ყვავილოვანი მცენარეების სასიცოცხლო ციკლი

განმარტება: თემა – სასიცოცხლო ციკლი – ცალკე არ გვაქვს გამოყოფილი, არამედ იგი განხილულია მცენარეების, სოკონების, ცხოველების თითოეული ჯგუფის აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების განხილვის პარალელურად.

ეს გაკვეთილი მნიშვნელოვანი არის იმით, რომ აქ შემოდის პირველად ცნება – სასიცოცხლო ციკლი. აქაც უნდა იზრუნოს მასწავლებელმა, რომ მის მოსწავლეებში არ მოხდეს გავრცელებული ისეთი არასწორი შეხედულების ჩამოყალიბება, როგორიცაა: სასიცოცხლო ციკლი არის პერიოდი ორგანიზმის ჩასახვიდან სიკვდილამდე. ეს არის ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების (ონტიოგენეზის) განმარტება და არა სასიცოცხლო ციკლის. სასიცოცხლო ციკლი არის ორგანიზმის განვითარების ფაზათა ერთობლიობა, რომლის განმავლობაშიც ორგანიზმი ვითარდება, ზრდასრულ ფორმას აღწევს და მრავლდება.

მოტივაციისა შესაქმნელად და წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით – კითხვები: რა ვითარდება ყვავილიდან? ნაყოფის შეგნით რა არის მოთავსებული? რა მნიშვნელობა აქვს თესლს?

გაკვეთილის ძირითადი ნაწილის აქტივობები:

აქტივობა 1. სურათის მიხედვით (სურ. 3.8.1):

- დაასახელე ყვავილოვანი მცენარის სასიცოცხლო ციკლის ეტაპები.
- განაყოფიერებას რატომ უნდა უსწრებდეს წინ დამტვერვა?
- ყვავილის რომელ სტრუქტურაში ხდება განაყოფიერება?
- რა არის ზიგოტა და რა წარმოიქმნება მისგან?
- სად წარმოიქმნება თესლი?
- საიდან ვითარდება ნაყოფი?

ზ) რა როლი აქვს თესლს მცენარის სასიცოცხლო ციკლში?

თ) როდის ინყება მცენარის ახალი სასიცოცხლო ციკლი?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო: დაკვირვება თესლის აგებულებაზე (გვ. 81).

გაკვეთილის დასკვნითი/რეფლექსის ფაზა – კითხვებზე 3-5 პასუხის (გვ. 80) გაცემა.

საშინაო დავალება: მასწავლებელი სვამს კითხვას: როგორ ფიქრობთ, ერთი მცენარისგან წარმოქმნილი ყველა თესლიდან ვითარდება ზრდასრული მცენარე? რატომ? შეარჩიეთ რომელიმე ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს თესლის გაღივებასა და აღმონაცენის განვითარებაზე, ჩამოაყალიბე საკვლევი კითხვა, განსაზღვრე ცვლადები, დაგეგმე და ჩატარე ექსპერიმენტი, ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ დაწერე ანგარიში და წარუდგინე მასწავლებელს. იმ სკოლებში, სადაც არის მიღენიუმის ლაბორატორიები, შეიძლება ჯგუფური პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება სინათლის, ნიტრატების, pH-ის სენსორების გამოყენებით.

3.9. მცენარეების უსქესო გამრავლება

მოტივაციის შესაქმნელად დაკვირვება სურ. 3.9.1-ზე და კითხვებზე პასუხის გაცემა: ყვავილი მცენარის როგორი გამრავლების საშუალებაა? ყვავილის გარდა, მცენარის სხვა ორგანომაც შეიძლება შეასრულოს გამრავლების ფუნქცია?

გაკვეთილის ძირითადი ნაწილის აქტივობები:

აქტივობა 1. პარაგრაფის ტექსტში (გვ. 82) მოცემული ინფორმაციის ანალიზი და კითხვებზე პასუხის მომზადება: გვ. 83.

1. შეადარე ერთმანეთს სქესობრივი და უსქესო გამრავლება. რა უპირატესობა აქვს უსქესო გამრავლებას სქესობრივთან შედარებით და, პირიქით?

2. მცენარეთა უსქესო გამრავლებას რატომ უწოდებენ ვეგეტატიურ გამრავლებას?

3. უსქესო გამრავლებით რატომ მიიღება მშობლის იდენტური შთამომავლობა?

ამ აქტივობის შესრულება ჯობია ჯგუფში; მასწავლებელი ურიგებს ჯგუფებს ფლიპჩარტებს და ტექსტიდან მოპოვებულ ინფორმაციის ორგანიზებას აკეთებენ ცხრილში:

შესადარებელი ნიშნები	უსქესო გამრავლება	სქესობრივი გამრავლება
უპირატესობა		
ნაკლი		

აქტივობა 2. დავალება: აღნერე (სურ. 3.9.2) ადამიანი როგორ იყენებს მცენარეთა ვეგეტატიური გამრავლების უნარს.

გაკვეთილის დასკვნითი/რეფლექსის ფაზა – კითხვებზე 4,6 პასუხის (გვ. 84) გაცემა.

საშინაო დავალება: პრაქტიკული სამუშაო, გვ. 84.

3.10. შიშველთესლოვანი მცენარეები

მოტივაციის შესაქმნელად და ნინარე ცოდნის გასააქტიურებლად კითხვებზე პასუხის გაცემა: ყვავილოვანი მცენარეების გარდა, კიდევ რომელი მცენარეები მიეკუთვნება თესლოვნებს? (იციან მცენარეთა კლასიფიკაციიდან, გვ. 62) შიშველთესლოვნები უჭურჭლო მცენარეებს მიეკუთვნება, თუ ჭურჭლოვნებს? რატომ?

გაკვეთილის ძირითადი ნაწილის აქტივობები:

აქტივობა 1. სურათ 3.10.3-ზე მოცემული ინფორმაციის ანალიზი და კითხვებზე პასუხის მომზადება: გვ. 86. 1. სურათი 3.10.3-ის მიხედვით აღნერე ფიჭვის სასიცოცხლო ციკლი. 2. ახსენი, რატომ დაარქევს თესლოვან მცენარეთა ამ ჯგუფს „შიშველთესლოვნები“? 3. რას წარმოადგენს გირჩი შიშველთესლოვანი მცენარეებისთვის?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო: დაკვირვება ფიჭვისა და ნაძვის წინვებზე.

აქტივობა 3. მუშაობა რუბრიკის – „მეცნიერება პრაქტიკაში – პასუხის მომზადება კითხვაზე: რა როლს ასრულებენ შიშველთესლოვანი მცენარეები ადამიანის ცხოვრებაში?

გაკვეთილის დასკვნითი/რეფლექსის ფაზა – კითხვებზე 4-6 პასუხის (გვ. 86) გაცემა.

3.11. ხავსები

მოტივაციის შესაქმნელად და წინარე ცოდნის გასააქტიურებლად კითხვებზე პასუხის გაცემა: რომელი მცენარეები მიეკუთვნებიან სპოროვან და უჭურჭლო მცენარეებს? რატომ? (იციან მცენარეთა კლასიფიკაციიდან, გვ. 62).

გაკვეთილის ძირითადი ნაწილის აქტივობები:

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო: დაკვირვება ხავსის აგებულებაზე (გვ. 88). რეკომენდაცია: სკოლის ლაბორატორიაში შეიძლება იყოს მცენარეთა ჰერბარიუმები, მათ შორის გუგულის სელი და გამოიყენოთ; სხვა შემთხვევაში გუგულის სელი ფართოდაა გავრცელებული და ტყეში შეიძლება მოიპოვოთ. სამუშაოს შესრულება ხდება ჯგუფებში, ურიგებთ საჭირო მასალას, მოსწავლეები იკვლევენ გუგულის სელის აგებულებას, ხატავენ თაბახის ფურცლებზე და ადარებენ ნაცნობ მცენარეებს. აკეთებენ ნახატების გამოფენას და ათვალიერებენ ერთმანეთის ნამუშევარს.

აქტივობა 2. პარაგრაფის ტექსტზე მუშაობა (გვ. 89) და კითხვაზე პასუხის მომზადება (?5) : რატომ არის აუცილებელი ხავსებისთვის ტენიანი გარემო?

გაკვეთილის დასკვნითი/რეფლექსის ფაზა – კითხვებზე 1-4 პასუხის (გვ. 89) გაცემა.

3.12. ხავსების სასიცოცხლო ციკლი. ხავსების მნიშვნელობა

ხავსების სასიცოცხლო ციკლში არ არის საჭირო უსქესო (სპოროფიტისა) და სქესიანი (გამეტოფიტის) თაობების მონაცვლეობის ახსნა, მაგრამ შეიძლება მოსწავლეებს (მათი დაინტერესების შემთხვევაში) ვუთხრათ და სასიცოცხლო ციკლის სქემაზე ყურადღება მივაქცევინოთ სქესობრივი და უსქესო გამრავლების მონაცვლეობაზე, შეიძლება ისიც ვუთხრათ, რომ უსქესო გამრავლება უზრუნველყოფს სახეობაში ინდივიდების რიცხვის ზრდას. ასევე იქნება გვიმრების სასიცოცხლო ციკლის განხილვის დროს.

მოტივაციის შესაქმნელად და წინარე ცოდნის გასააქტიურებლად კითხვებზე პასუხის გაცემა: ხავსებს თესლოვან მცენარეებს მიაკუთხნებენ თუ სპოროვნებს? რატომ? ე.ი. რის საშუალებით მრავლდებიან ხავსები? რას ენოდება სასიცოცხლო ციკლი?

გაკვეთილის ძირითადი ნაწილის აქტივობები:

აქტივობა 1. სურათ 3.12.1-ზე მოცემული სქემის მიხედვით მოსწავლე აღწერს ხავსის სასიცოცხლო ციკლს.

აქტივობა 2. პარაგრაფის ტექსტზე მუშაობა (გვ. 90-91) და კითხვებზე პასუხის მომზადება (?5-6) : მასწავლებელი დაფაზე ან ფლიპჩარტზე ქმნის ცხრილს, რომელსაც ავსებს მოსწავლეების პაუსების მიხედვით.

ხავსების როლი ბუნებაში	
დადებითი	უარყოფითი

გაკვეთილის დასკვნითი/რეფლექსის ფაზა – კითხვებზე 3-4 პასუხის (გვ. 91) გაცემა.

3.13. გვიმრები

გაკვეთილის ძირითადი ნაწილის აქტივობები:

აქტივობა 1. კარგი იქნებოდა პრაქტიკული სამუშაოს შესრულება, თუ სკოლის ლაბორატორიაში არის მცენარეთა ჰერბარიუმები და მათ შორის გვიმრა ჩადუნა (გვ. 94). დაკვირვება გვიმრა ჩადუნას აგებულებაზე), რადგან ამ შემთხვევაში თვით მოსწავლეები აღმოაჩენდნენ გვიმრის აგებულების თავისებურებას და შეადარებდნენ ხავსების აგებულებასთან.

აქტივობა 2. მუშაობა რუბრიკის – „მეცნიერება პრაქტიკაში“ – ტექსტზე და ამზადებენ პასუხს კითხვაზე: რა მნიშვნელობა აქვს გვიმრებს ადამიანის ცხოვრებაში?

აქტივობა 3. მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ სურათზე (3.13.3) ნარმოდგენილ გვიმრების სა-სიცოცხლო ციკლის მოდელზე და ამზადებენ პასუხებს კითხვებზე: 1. სქემის მიხედვით აღწერე გვიმრის სასიცოცხლო ციკლი. სად წარმოიქმნება სპორები? სად ვითარდება სასქესო ორგანოები? რისთვისაა საჭირო წყალი? 2. სპორებით გამრავლება უსქესო გამრავლების ერთ-ერთი სახეა. უსქე-სო გამრავლების რომელ სახეს გაეცანი ყვავილოვან მცენარეებში?

გაკვეთილის დასკვნითი/რეფლექსის ფაზა – კითხვებზე 4-6 პასუხის (გვ. 94) გაცემა.

საშინაო დავალება: ?6 მცენარეთა ძირითადი ჯგუფების დახასიათება და მონაცემების ორგანიზება ცხრილში.

3.14. მცენარეების მნიშვნელობა

გამოწვევის ფაზა – მასწავლებელი დაფას ან ფლიპჩარტს ყოფს ორ ნაწილად: ერთს აწერს მცენარეების მნიშვნელობა ბუნებაში, მეორეს – მცენარეების მნიშვნელობა ადამიანის საქმიანობაში და სვამს კითხვას: რა მნიშვნელობა აქვს მცენარეებს ბუნებასა და ადამიანის საქმიანობაში? მოსწავლეების პასუხებს თვით მასწავლებელი ან მოსწავლე წერს დაფაზე/ფლიპჩარტზე.

გაკვეთილის ძირითადი ნაწილი –

აქტივობა 1. მოსწავლეები ამ კითხვაზე დამატებით ინფორმაციას მოიპოვებენ სახელმძღვანელოს ტექსტის წაკითხვით (გვ. 95), რუბრიკის – მეცნიერება პრაქტიკაში – გაცნობით და სურათზე (3.14.1) დაკვირვებით. აქტივობისთვის განკუთვნილი დროის ამონტურვის შემდეგ მოსწავლეები ამატებენ და-ფაზე/ფლიპჩარტზე ჩამოწერილს, რაც პირველ ეტაპზე გამორჩათ.

აქტივობა 2. ინტერაქტიური მინი-ლექცია: ინტერაქტივისთვის მასწავლებელი იყენებს კითხვებს: რა იცით შესამიანი მცენარეების შესახებ? როგორ ფიქრობთ, რატომ აქვს მცენარეებს შესამიანი ნივთიერებები? როგორ უნდა გქონდეს უსაფრთხო ურთიერთობა მცენარეებთან?

გაკვეთილის შეჯამება: მასწავლებელი ერთხელ კიდევ სვამს შეკითხვას: რატომ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ მრავლდებიან მცენარეები?

საშინაო დავალება: მოიძიე ინფორმაცია საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების შესახებ. ჯგუფის წევრებთან ერთად აირჩიე 3-4 მცენარე და მოამზადეთ პრეზენტაცია პოსტერის სახით შემდეგი გეგმის მიხედვით: 1) მცენარის ზოგადი აღწერილობა; 2) გავრცელების არეალი; 3) სამკურნალო თვისებები. ამ აქტივობის მეთოდი – **ვებ-ძიება** (რეკომენდაციები იხ. მასწავლებლის წიგნის შესავალ ნაწილში).

3.15. მცენარეთა ბიომრავლფეროვნება და მისი დაცვა

გამოწვევის ფაზა – გონიერივი იერიში: რას ნიშნავს ბიომრავლფეროვნება?

გაკვეთილის ძირითადი ნაწილი

აქტივობა 1. ბიომრავალფეროვნებისა და ცხელი წერტილის განმარტების შემდეგ დაფაზე წერს გავრცელების მიხედვით სახეობათა ჯგუფების ტერმინებს: კოსმოპოლიტი, ენდემური, რელიეტური, ინტროდუცირებული, ინვაზიური და მოსწავლეებს ავალებს ეს ტერმინები ჩანსტერონ სამუშაო რვეულებში, სახელმძღვანელოს ტექსტში იპოვონ შესაბამისი განმარტებები, სახეობათა თითოეული ჯგუფის წარმომადგენლები საქართველოს ბიომრავალფეროვნებიდან და ჩაინიშნონ. მონაცემთა ორგანიზებისთვის ასეთი ცხრილის მიცემაც შეიძლება:

სახეობათა ჯგუფი	ტერმინის განმარტება	ჯგუფის წარმომადგენელი
კოსმოპოლიტი		
ენდემური		

რელიეფური	
ინტროდუცირებული	
ინვაზიური	

აქტივობა 2. ინტერაქტიური მინი-ლექცია – ინტერაქტივისთვის მასწავლებელი იყენებს კითხვებს:
 3. რა უქმნის საფრთხეს მცენარეთა ბიომრავალფეროვნებას? 4. რა მნიშვნელობა აქვს ბიომრავალ-ფეროვნების შენარჩუნებას? 5. რა ღონისძიებებს ატარებს სახელმწიფო მცენარეთა ბიომრავალ-ფეროვნების შენარჩუნების მიზნით?

რეკომენდაცია: სასურველია, მასწავლებელმა მოიძიოს თავისი რეგიონის ფარგლებში არსებული დაცული ტერიტორია, რომელიც ახორციელებს სკოლის მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ეკოლოგიურ პროექტებს, პროგრამებს და ჩართოს თავისი მოსწავლეები.

პასუხები დავალებებზე:

§3.1

1. ცოცხალი ორგანიზმების შესწავლის გასაადვილებლად მეცნიერები ორგანიზმებს აჯგუფებენ მსგავსება – განსხვავების მიხედვით ანუ ახდენენ კლასიფიცირებას. მეცნიერების დარგს, რომელიც ცოცხალ ორგანიზმებს ჯგუფებში ანაწილებს, მათ შორის მსგავსება-განსხვავების მიხედვით, სისტე-მატიკას უწოდებენ.

2. ლინეს კლასიფიკაცია 4 ტაქსონომიური ერთეულისგან შედგებოდა – მასში არ არის სამეფო, ტიპი და ოჯახი თანამედროვე კლასიფიკაციის ერთეულებისგან განსხვავებით. (მიუხედავად ამისა, ლინესული კლასიფიკაცია, მისი აღწერილი სახეობები, გვარები დღესაც ჩვეულებრივად გამოიყენე-ბა სისტემატიკაში).

3. ა) სახეობა ბ) სამეფო.

4. მტაცებელთა რიგში გაერთიანებულია (ამ სქემის მიხედვით) : ძალისებრთა, კატისებრთა, დათვისებრთა ოჯახები.

5. მტაცებულებში გაერთიანებულია ძუძუმწოვრები, რომლებიც ხორცისმჭამელები არიან; იქერენ, კლავენ და ჭამენ მსხვერპლს.

6. ძუძუმწოვრების კლასში ერთიანდებიან ორგანიზმები, რომლებსაც ძირითადად ახასიათებთ ცოც-ხალმშობიარობა, ნაყოფის დედის ორგანიზმში, საშვილოსნოში განვითარება და ნაშიერის რძით კვება.

7. ყველა ცხოველი კვების ტიპის მიხედვით ჰეტეროტროფია.

§3.2

1. მცენარე, რომელიც სიცოცხლეში ერთხელ მაინც ყვავილობს, ყვავილოვანი მცენარე ეწოდება.

2. ფესვი, ღერო, ფოთოლი, ყვავილი (ყვავილოვნებში).

3. ყვავილი გამრავლების (გენერაციული) ორგანო, რომლისგანც თესლი და ნაყოფი წარმოიქმნება.

4. თესლკვირტი ბუტკოს ნასკვის კედლებითაა დაფარული, ხოლო თესლი – ნაყოფით.

5. ღეროს დაზიანების შემთხვევაში სატრანსპორტო სისტემა ზიანდება, ველარ მიეწოდება წყალი და მინერალური მარილები ფოთლებს, ვერ მოხდება ფოტოსინთეზი, საკვები ვერ მიეწოდება სხვადასხვა ორგანოებს, მცენარე დაიღუპება. ფოთლების დაზიანების შემთხვევაში შეწყდება ფოტოსინთეზი.

6. ფესვის ფუნქციაა წყლისა და მარილების შეწივა, მცენარის ნიადაგში გამაგრება. ღეროს და ფოთლის ფუნქციებზე ზემოთ ვისაუბრეთ. ყვავილის გარეშე მცენარე სქესობრივად ვერ გამრავლ-დება. ყველა ეს ორგანო თავის ფუნქციას ასრულებს. ამ ორგანოების შეთანხმებული ფუნქციონირე-ბა უზრუნველყოფს მცენარის, როგორც ერთი მთლიანი სისტემის, სიცოცხლეს.

§3.3

1. მცენარის ფესვი ნიადაგიდან წყალსა და მასში გახსნილ მარილებს იწოვს. წყალი გამტარი სისტემით ფოთლებში აღწევს. ბაგეების საშუალებით ფოთლებში ნახშირორჟანგი შედის. მზის ენ-ერგიის ხარჯზე ფოთლებში (მცენარის მწვანე ნაწილებში) მიმდინარეობს ყველა ცოცხალისთვის უმნიშვნელოვანესი პროცესი – ფოტოსინთეზი, ორგანული საკვები ნივთიერების – გლუკოზის წარ-მოქმნა, ამ დროს უანგბადი გარემოში გამოიყოფა.

2. (კავშირი ცნებებს შორის: ნივთიერება, სტრუქტურა, ფუნქცია, სასიცოცხლო თვისება – სუნთქვა).

ფოტოსინთეზის მიმდინარეობის ადგილი უჯრედში	ქლოროპლასტები
საწყისი ნივთიერებები	წყალი და ნახშირორჟანგი
პროდუქტები	გლუკოზა და უანგბადი

3. მცენარეებში ფოტოავტოტროფული კვების გარდა გვხვდება მიქსოტროფული და პარაზიტული – ჰეტეროტროფული კვებაც.

4. აბრეშუმას საერთოდ არ გააჩნია მწვანე ორგანოები, ანუ ფოტოსინთეზის უნარი არ აქვს, ხოლო ფითრის მწვანე ფოთლებში ფოტოსინთეზი მიმდინარეობს. ამიტომ ის ნახევრად პარაზიტია.

5. მცენარე ვენერას ბუზიჭერიას ფოთლები ნამდვილ მახეს ნარმოადგენს მწერებისთვის. ფოთლებზე არსებული მბრწყინვა წვეთები მწერებს იზიდავს, ფოთლის ზედაპირზე ბუსუსებია, როცა რამდენიმე ბუსუსს ერთდროულად ეხება მწერი, ფოთოლი იხურება და მწერი მახეში აღმოჩნდება. რაც უფრო მეტს მოძრაობს მწერი, მით უფრო მჭიდროდ იხურება ფოთოლი. საბოლოოდ მომნელებელი წვენები, რომელსაც მცენარე გამოყოფს, მწერს მოინელებს. მონელებულ ნივთიერებებს მცენარე შეიწოვს.

6. ეს მიქსოტროფული კვებაა და პირველად ის მწვანე ევგლენასთან შეგვხვდა.

§3.4

1. მცენარეს, რომელიც მზის სინათლეზე იმყოფებოდა, მოწყვიტეს ერთი ფოთოლი და რამდენიმე წუთით მდუღარე წყალში მოათავსეს (ეს აუცილებელია უჯრედის კედლის დასაშლელად, რომ შემდეგ ეტაპზე შესაძლებელი იყოს ფოთლიდან ქლოროფილის მოცილება); მდუღარე წყლიდან ამოღებული ფოთოლი მოათავსე სპირტით ნახევრად შევსებულ სინჯარაში, ხოლო სინჯარა – ცხელნებულიან ქიმიურ ჭიქაში. ეს პროცედურა ფოთოლს ქლოროფილს მოაცილებს; ფოთლის გაუფერულების შემდეგ გაავლე იგი თბილ წყალში, რომ სპირტი მოსცილდეს და დარბილდეს; გაუფერულებული ფოთოლი გადაიტანე ჰეტრის ჯამზე და დააწვეთე იმდენი იოდის სპირტესნარი, რომ ფოთოლი მთლიანად დაიფაროს. ფოთოლი მიიღებს მოლურჯო-მოშავო შეფერილობას, რაც მასში სახამებლის არსებობაზე მიუთითებს.

2. მინის წყლიან ჭიქაში ძაბრის ქვეშ მოათავსეს წყლის მცენარე ელოდეა. ძაბრი ფსკერს სილიკონით მიამაგრეს. ძაბრს წამოაცვეს სინჯარა. მაგიდის ლამპის სხვადასხვა სიმძლავრის ნათურების გამოცვლით ცვლიდნენ განათების ინტენსივობას. ელოდეას მიერ ფოტოსინთეზის პროცესში გამოყოფილი ჟანგბადი ბუშტუკების სახით ამოდის სინჯარაში და წამზომის საშუალებით ითვლიან დროის ერთეულში გამოყოფილი ბუშტუკების რაოდენობას; აკვირდებიან, როგორ იცვლება გამოყოფილი ბუშტუკების რაოდენობა ნათურების (განათების ინტენსივობის) შეცვლით; დროის ერთეულში გამოყოფილი ბუშტუკების რაოდენობის ცვლილების მიხედვით მსჯელობენ ფოტოსუნთეზის ინტენსივობის/სიჩქარის ცვლილებაზე.

§3.5

1. სუნთქვა არის ჟანგბადის მონაწილეობით საკვები ორგანული ნივთიერებების დაშლა წყლად და ნახშირორჟანგად, რომლის დროსაც გამოთავისუფლდება ენერგია.

2. სუნთქვა ორგანიზმს უზრუნველყოფს ენერგიით.

3. სუნთქვას მცენარის ყველა ორგანოროგორც სინათლეზე, ისე სიბნელეში.

4. (კავშირი ცნებებს შორის: ნივთიერება, სტრუქტურა, ფუნქცია, ენერგია, სასიცოცხლო თვისება – კვება, სუნთქვა).

შესადარებელი ნიშნები	ფოტოსინთეზი	სუნთქვა
შთანთქმული აირი	ნახშირორჟანგი	ჟანგბადი
გამოყოფილი აირი	ჟანგბადი	ნახშირორჟანგი
წყალი შთანთქმება თუ გამოყოფა	შთანთქმება	გამოყოფა
დღე-ღამის რა ჰერიოდში მიმდინარეობს	სინათლეზე	სინათლეზეც და სიბნელეშიც

გლუკოზა წარმოიქმნება თუ იშლება	წარმოიქმნება	იშლება
ენერგია გამოიყოფა თუ შთაინთექმება	შთაინთექმება	გამოიყოფა
უჯრედისა რა სტრუქტურაში მიმდინარეობს	ქლოროპლასტებში	მიტოქონდრიებში

§3.6

1. სურ. 3.6.1-ზე მოცემულია ფოთლის აგებულება. ფოთოლს ღეროსა და შემდეგ ყუნწის საშუალებით მიეწოდება წყალი და მინერალური მარილები, ამავე ყუნწის დახმარებით კი მასში წარმოქმნილი საკვები ორგანული ნივთიერებები საპირისპირო მიმართულებით გადაადგილდება ღეროში. ფოთოლი დაძარღვულია, ძარღვებში არის გამტარი ქსოვილები.

2. ტენიან ადგილებში მცხოვრებ მცენარეებს უფრო დიდი ფოთლები აქვთ, ვიდრე მშრალი ადგილის მცენრეებს. ისინი ფოთლის ზედაპირით ბევრ წყალს აორთქლებენ. ფოთლის ზედაპირის შემცირებით აორთქლებული წყლის რაოდენობაც მცირდება.

3. ხმელეთზე ცხოვრებასთან დაკავშირებით მცენარეებს „საზრუნავი“ აქვთ – შეამცირონ წყლის კარგვა (აორთქლება). ამაში მათ ემარება ფოთლის კუტიკულა, ბაგების არსებობა და მათი დახურვა-გაღების მექანიზმები, ფოთლის ზედაპირის ფართი და სხვადასხვა წარმონაქმნები, მაგალითად ბუსუსები, ცვილის ჭარბად წარმოქმნა, ფოთლების ეკლებად გადაქცევა და სხვა.

§3.7

1. ყვავილი სქესობრივი გამრავლების ორგანოა, რადგან მასში სასქესო უჯრედები – გამეტები წარმოიქმნება.

2. ბუტყოს ნაწილებია: დინგი, სვეტი და ნასკვი. ნასკვში თესლკვირტია, რომელშიც კვერცხუჯრედი მნიშვნელება.

3. მტვრიანას ნაწილებია: სამტვრე ძაფი და სამტვრე პარკი. სამტვრე პარკში მტვრის მარცვლები მნიშვნელება, ხოლო მათში – სპერმიები.

4. ყვავილის ბუტყო მდედრობითი ორგანოა, რადგან მასში მდედრობითი გამეტები – კვერცხუჯრედები ყალიბდება, მტვრიანა კი მამრობითი ორგანოა, რადგან მასში მამრობითი გამეტები – სპერმიები ყალიბდება.

5. გვირგვინის ფურცლები და ჯამის ფოთოლაკები ყვავილსაფარია, რადგან ყვავილის მეტად მნიშვნელოვან ორგანოებას – ბუტყოს და მტვრიანებს იცავს.

6-7. ორსქესიან ყვავილებს ბუტყოებიც აქვს და მტვეიანებიც, ხოლო ცალსქესიანს – ან მხოლოდ ბუტყოები აქვს (მდედრობითი ყვავილი), ან მარტო მტვრიანები (მამრობითი ყვავილი).

8. დამტვერვა მტვრის მარცვლის ბუტყოს დინგზე მოხვედრა და მისი გაღივებაა, ხოლო განაყოფიერება – კვერცხუჯრედის და სპერმის (ბირთვების) შერწყმა.

9. ჯვარედინი დამტვერვის დროს ერთი ყვავილის ბუტყო სხვა მცენარის ყვავილის მტვრით იმტვერება, ხოლო თვითდამტვერვის დროს ერთ ყვავილშივე ხდება თავისივე მტვრით დამტვერვა.

10. ჯვარედინმტვერია მცენარეებში თვითდამტვერვის თავიდან ასაცილებლად სხვადასხვა მექანიზმები არსებობს. მაგალითად, ხშირად ასეთ ყვავილში მტვრიანები და ბუტყოები სხვადასხვა დროს მნიშვნელება, ხოლო ზოგ ყვავილში მტვრიანების სიგრძე ბევრად მოკლეა ბუტყოს სიგრძეზე.

11. თვითმტვერია ყვავილებში ხშირად დამტვერვა ყვავილის გახსნამდე ხდება. ამით თავს იზღვევს სხვა ყვავილის მტვრის მოხვედრისგან.

§3.8

1. განვითარების ფაზათა ერთობლიობას, რომლის განმავლობაშიც ორგანიზმი ვითარდება, ზრდასრულ ფორმას აღწევს და მრავლდება, სასიცოცხლო ციკლი ენოდება.

2. სურ. 3.8.1

ა) ყვავილოვანი მცენარის სასიცოცხლო ციკლის ეტაპებია: დამტვერვა, განაყოფიერება, ჩანასახის განვითარება, თესლისა და ნაყოფის წარმოქმნა, თესლის გაღივება, მცენარის ზრდა-განვითარება, ზრდასრულ მცენარეზე ყვავილის განვითარება.

ბ) დამტვერვა წინ უნდა უსწრებდეს განაყოფიერებას, რადგან ამ დროს მტვრის მარცვლები ხვდება ბუტკოს დინგზე, სადაც ის უნდა გაღივდეს და სპერმიებმა ჩააღწიონ თესლკვირტამდე

გ) განაყოფიერება ბუტკოს ნასკვში არსებულ თესლკვირტში ხდება.

დ) ზიგოტა განაყოფიერებული კვერცხუჯრედია და მისგან ჩანასახი წარმოიქმნება.

ე) თესლკვირტიდან თესლი წარმოიქმნება.

ვ) ბუტკოს ნასკვის კედლებიდან ნაყოფი წარმოიქმნება.

ზ) თესლიდან ახალი მცენარე ვითარდება.

თ) მცენარეზე ყვავილის განვითარებიდან იწყება მცენარის ახალი სასიცოცხლო ციკლი.

(დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლებისათვის: აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ფარულთესლოვნებში ხდება „ორმაგი განაყოფიერება“. ყოველი მტვრის მარცვალი სამი ჰაპლოიდური უჯრედისგან შედგება, ბუტკოს დინგზე მოხვედრის და გაღივების შემდეგ, აქედან ერთი სამტვრე მილს წარმოქმნის და მას ორი უჯრედი (სპერმია) ხვრელის, მიკროპილეს საშუალებით ჩანასახოვან პარკში შეყავს. ამ ორი სპერმიდან ერთი ანაყოფიერებს კვერცხუჯრედს და დიპლოიდური ზიგოტა მიიღება, ხოლო მეორე სპერმია ანაყოფიერებს დიპლოიდურ ცენტრალურ უჯრედს და მისგან ტრიპლოიდური ენდო-სპერმი ყალიბდება.)

3. ყვავილოვნებს ფარულთესლოვნებსაც უწოდებენ, რადგან თესლკვირტი დაფარულია ბუტკოს ნასკვის კედლებით, შემდეგ კი თესლი დაფარულია ნაყოფით.

4. ერთლებნიანი და ორლებნიანი თესლები განსხვავებული აგებულებისაა. მათი ჩანასახები შედგება ჩანასახოვანი ფესვის, ჩანასახოვანი ლერნოს, კვირტისა და ლებნებისგან, რომელიც ორლებნიანებში ორია, ხოლო ერთლებნიანებში – ერთი. თესლი დაფარულია კანით. მართალია, კონკრეტული სახეობებისთვის შესაძლებელია თესლის აგებულება რამდენადმე განსხვავებული იყოს, მაგრამ ჩვენ თესლების აგებულებას განვიხილავთ ლობიოს, როგორც ორლებნიანი მცენარის და სიმინდის, როგორც ერთლებნიანი მცენარის მაგალითზე. ორლებნიანებში ლებნები დიდია და მთელი სამარავო ნივთიერებები აქ არის დაგროვებული. ენდოსპერმი ფაქტიურად ლობიოში მთლიანად რედუცირებულია. ერთლებნიანებში ენდოსპერმი დიდია, საკვების მთელი მარაგი აქ არის თავმოყრილი, ლებანი კი ძალიან პატარაა, ეკვრის ენდოსპერმს და მხოლოდ საკვები ნივთიერებების ჩანასახისკენ გატარებას ემსახურება.

5. თუ ერთი თესლის აღმოცენებისთვის საჭიროა 10 სმ^2 , მაშინ 360 სმ^2 -ზე 36 თესლი აღმოცენდება.

6. <http://agronews.ge/mtseneris-qhvavili-naqhophi-thesli/>

www.wikiplanet.click/encyclopedia/ka...

§3.9

1. სქესობრივი გამრავლებისგან განსხვავებით, უსქესო გამრავლებაში სასქესო უჯრედები არ მონაწილეობს. უსქესო გამრავლების დროს ახალი ორგანიზმი მხოლოდ ერთი ინდივიდის ნებისმიერი უჯრედიდან შეიძლება განვითარდეს. **უსქესო გამრავლებით მილებული ახალი ინდივიდი მშობლის იდენტურია.** უსქესო გამრავლება საშუალებას აძლევს ორგანიზმს სწრაფად გამრავლდეს. სქესობრივ გამრავლებას კი უსქესოსთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ ორი ორგანიზმის ნიშან-თვისე-

ბების რეკომბინაციის საშუალებას იძლევა, ეს კი შესაძლოა მასალა გახდეს ახალი შეგუებულობების წარმოქმნისთვის.

2. მცენარეთა უსქესო გამრავლებას ვეგეტატიურს უწოდებენ, რადგან ამ დროს გამრავლება ხდება მცენარის ვეგეტატიური ორგანოებით – ფუსვით, ღეროთი ან ფოთლით.

3. უსქესო გამრავლებით მშობლის იდენტური ორგანიზმი, მისი ასლი მიიღება. (**მასწავლებლებისთვის დამატებითი ინფორმაცია:** რადგან გამრავლებაში მხოლოდ ერთი ორგანიზმი მონაწილეობს, მხოლოდ მისი გენეტიკური ინფორმაცია გადაეცემა ახალ ინდივიდს).

4. ფერმერებს ხშირად სჭირდებათ ის მცენარეები გამრავლონ სწრაფად, რომელთა ნიშნები უკვე სასურველია და არაფრის შეცვლა აღარა საჭირო. ამიტომ ასეთ დროს ისინი სქესობრივ გამრავლებას ვეგეტატიურ გამრავლებას ამჯობინებენ.

5. ადამიანები მცენარეთა ვეგეტატიური გამრავლების უნარს ფართოდ იყენებენ სოფლის მეურნეობაში და ძირითადად კულტურულ მცენარეებს ამ გზით ამრავლებენ. მაგალითად: კარტოფილის პატარა გორგლებს გაზაფხულზე რგავენ და თითოეული გორგლიდან აღმოცენებული მცენარე შემოდგომობით ათობით ახალ გორგლს იძლევა; მარწყვი კი გაზაფხულის დასაწყისში რამდენიმე ახალ ბწყალს იკეთებს და თითოეულიდან ახალი ინდივიდი ვითარდება, რომლის გადარგვაც შემოდგომის პირზე შესაძლებელია.

კალმით გამრავლების დროს 3-4 კვირტიან ტოტს ჩაფლავენ მიწაში, ისე, რომ მიწის ზემოთ ერთი კვირტი ჩანდეს. მიწის ქვეშ ტოტი ფესვებს გამოიღებს და ახალი მცენარე განვითარდება, ასე ამრავლებენ ვაზის ჯიშებს.

გადაწვენით გამრავლებისთვის იყენებენ ისეთ ტოტს, რომელიც დაემორჩილებათ, გადახრის დროს არ მოტყედება. მის გარკვეულ ნაწილს მიწას შეახებენ და ასე დააფიქსირებენ. მიწასთან შეხების ადგილას ფუსვი განვითარდება, შემდეგ შესაძლებელი იქნება დედა-მცენარისგან მისი დაშორება, გადაჭრა და ახალი მცენარე დამოუკიდებლად დაიწყებს სიცოცხლეს.

საინტერესოა მყნობით გამრავლება. საძირე მცენარის ღეროზე ჩაჭრიან ქერქს, სასურველი მცენარის ამოკვეთილ კვირტს ჩასვამენ და მჭიდროდ შეკრავენ. ეს კვირტი ჩაეზრდება საძირე მცენარეს. შემდეგ საძირე გადაჭრიან და ის დარჩება, ან ორივე ერთად გაიზრდება.

6. კარტოფილის გორგლში სამარაგოდ დაგროვებული იქნება სახამებელი.

§3.10

1. ფიჭვის მამრობით გირჩებში მომწიფებული მტვერი ქარის საშუალებით მდედრობით გირჩებზე გადაიტანება, ხდება დამტვერვა. მდედრობით გირჩის ქერქლებზე თესლკვირტებია, რომლებიც შიშვლად სხედან ქერქლებზე. დამტვერვის შემდეგ მდედრობითი გირჩის ქერქლები იხურება და ერთმანეთს მჭიდროდ ეკვრის. განაყოფიერება მოგვიანებით ხდება. თავიდან გირჩები მწვანეა, მაგრამ ნელ-ნელა ხევდება და ყავისფერდება. ორი წლის შემდეგ გირჩები იხსნება და მისგან თესლები იფანტება. თითოეული თესლი სიფრიფანა გამჭვირვალე ფრთხებითაა აღჭურვილი, რათა ქარის საშუალებით გავრცელდეს. ხელსაყრელ პირობებში თესლის მოხვედრისას ის ლივდება და მისგან ახალი მცენარე აღმოცენდება.

2. შიშველთესლოვნების თესლკვირტები არ არის დაფარული, როგორც ეს ფარულთესლოვნებისა (თესლკვირტები ბუტკოს ნასკვშია), ისინი შიშვლად სხედან მდედრობითი გირჩის ქერქლებზე; შესაბამისად, თესლი არ არის დაფარული ნაყოფით და მომწიფებული თესლი შიშვლად ზის გირჩის ქერქლებზე.

3. გირჩი, ისევე როგორც ყვავილი, სახეშეცვლილი დამოკლებული ღეროა. ორივე გამრავლების ორგანოა თესლოვნან მცენარეებში.

4. ყვავილი ბევრად უფრო რთული აგებულებისაა, ვიდრე გირჩი. მთავარი განსხვავება აღბათ ისაა, რომ ყვავილში მტვრის მარცვალი ხვდება ბუტკოს დინგზე და შემდეგ სპერმიები აღწევენ

ნასკვამდე, სადაც თესლკვირტია „დამალული“, ხოლო გირჩში მტვრის მარცვალი უშუალოდ თესლკვირტს ეცემა. ყვავილიდან (ბუტკოს ნასკვიდან) ნაყოფიც ვითარდება, ხოლო გირჩიდან ნაყოფები არ ვითარდება (შიშველთესლოვნებს ნაყოფი არ აქვთ).

5. ფარულთესლოვნებისა და შიშველთესლოვნების გამრავლებაში არის ბევრი მსგავსებაც და განსხვავებაც. ორივე შემთხვევაში განაყოფიერებას წინ უსწრებს დამტვევა, რაც ფარულთესლოვნებში ბუტკოს დინგზე ხდება, შიშველთესლოვნებში უშუალოდ თესლკვირტზე. განსხვავებულია თესლკვირტის ჩამოყალიბების და განაყოფიერების პროცესებიც (ჩანასახოვანი პარკის ჩამოყალიბება და ორმაგი განაყოფიერება ფარულთესლოვნებში). განსხვავებულია ისიც, რომ ფარულთესლოვნებში თესლი ნაყოფშია. განსხვავება თესლების მომწიფების ვადებშიცაა. მაგალითად ფიჭვის თესლის მომწიფებას 2 წელი სჭირდება, ხოლო ზოგიერთი ყვავილოვანი ბალახოვანი მცენარე უდაბნოებში 2-3 კვირაში ასწრებს თესლის მომწიფებას. თესლოვან მცენარეებში განაყოფიერებისთვის წყალი არ არის საჭირო.

6. ყვავილოვნები ნამდვილად უფრო მაღალგანვითარებულები არიან, ვიდრე შიშველთესლოვნები. ყვავილის ნაწილები და მათი ფუნქციები, დამტვერვის ფორმები, თესლკვირტის დაცულობა, ნაყოფის წარმოქმნა და თესლის გავრცელების სხვადასხვა მრავალფეროვანი საშუალება მიუთითებს ყვავილოვნების უფრო მაღალ საფეხურზე დგომას. ამიტომაც ყვავილოვნები შიშველთესლოვნებთან შედარებით მეტად გავრცელდნენ და უფრო ფართო არეალი დაიკავეს დედამიწაზე.

§3.11

1. ღეროფოთლოვან ხავსა გააჩნია ძაფნაირი გამონაზარდები – რიზოიდები, რომელიც ნაწილობრივ ფესვის მოვალეობას ასრულებს.; აქვს ღერო, ფოთლები და გარკვეულ დროს უვითარდება სასპორტ ღერო სასპორტ კოლოფით. კოლოფში სპორტი მნიშვნელის მნიშვნელი.

2. წყალმცენარისგან განსხვავებით ხავსის სხეული დიფერენცირებულია – აქვს ღერო, ფოთოლი, რიზოიდები.

3. თესლოვანი მცენარეებისგან განსხვავებით ხავსებს არ აქვთ ჩამოყალიბებული გამტარი სისტემა, მათ უჭურჭლო მცენარეებს უწოდებენ; ფოთლები არ არის დაფარული კუტიკულით. სქესობრივი გამრავლებისთვის წყლიანი გარემოს არსებობაა საჭირო. თესლოვნებისთვის ეს პრობლემა აღარ დგას. მათ ფოთლებს (წინვების ჩათვლით) წყლის დაკარგვისგან კუტიკულა იცავს და გამრავლებაც წყალს არ უკავშირდება; გამტარი სისტემა კი, უზრუნველყოფს, რომ ორგანულმა და არაორგანულმა ნივთიერებებმა სხვადასხვა გზიებით იმოძრაონ.

4. რიზოიდების განვითარებამ და სპორტით გამრავლებამ ხმელეთზე დასახლების შესაძლებლობა მისცა ხავსებს.

5. ფოთლები არ არის დაფარული კუტიკულით და ამიტომ ბევრ წყალს აორთქლებს. სქესობრივი გამრავლებისთვის წყლიანი გარემოს არსებობაა საჭირო, ამიტომ ტენიანი გარემო ხავსების არსებობისთვის აუცილებელი პირობაა.

§3.12

1. განვითარების ფაზათა ერთობლიობას, რომლის განმავლობაშიც ორგანიზმი ვითარდება, ზრდა-სრულ ფორმას აღწევს და მრავლდება, სასიცოცხლო ციკლი ეწოდება.

2. ზრდასრულ ღეროფოთლოვან ხავსზე მამრობითი (ანთერიდიუმი) და მდედრობითი (არქეგონიუმი) სასქესო ორგანოები ვითარდება, სასქესო ორგანოებში გამეტები წარმოიქმნება და მნიშვნელი მომწიფებული სპერმატოზოიდები, რომლებიც შოლტით არიან აღჭურვილნი, ანთერიდიუმიდან გარეთ გამოიჭრებიან და წყლიან გარემოში (ცვარიც საკმარისია) შოლტის მოძრაობით არქეგონიუმებამდე აღწევენ და შიგ შეიჭრებიან. ხდება განაყოფიერება და ზიგოტიდან სასპორტ ღერო კოლოფით ვითარდება, რომელშიც სპორტი ყალიბდება. მომწიფებული სპორტი კოლოფითადან გადმოიბნევა და

ტენიან ნიადაგზე მოხვედრისას მისგან ძაფნაირი სხეული (პროტონება) ყალიბდება, ის ზრდასრულ ხავსს აძლევს დასაბამს. (**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლებისთვის:** ხავსში თაობათა მორიგეობა: თვითონ მცენარე ხავსი სქესიანი თაობაა, რადგან სასქესო ორგანოები და გამეტები მასზე ყალიბდება. ის გაბატონებული თაობაა ხავსებში; ხოლო სასპორტი ღერო კოლოფით უსქესო თაობაა. ის სუსტია, მწვანეც კი არ არის და დამოუკიდებლად ვერ იკვებება. რადგან მეიოზური გაყოფით ჩამოყალიბდება სპორტი, ამიტომ სპორტი, პროტონება და თვით მცენარე ჰაპლოიდურია, ხოლო განაყოფიერების შემდეგ ზიგოტიდან განვითარებული სასპორტი ღერო კოლოფით – დიპლოიდურია).

3. განაყოფიერების შესაძლებლობა მხოლოდ წყლიან გარემოშია, რადგან სპერმატოზოიდს გადაადგილება წყალში შეუძლია.

4. თესლოვან მცენარეებს უმოძრაო სპერმიები აქვთ და არა შოლტიანი სპერმატოზოიდები. სპერმიები მტვრის მარცვალში წარმოიქმნება, რომელიც ბუტკოს დინგზე სხვადასხვა საშუალებით გადაიტანება. ამიტომ წყალი აღარაა საჭირო.

5.

ხავსების როლი ბუნებაში	
დადებითი	უარყოფითი
1. შეუძლიათ პირველები დასახლდნენ ნებისმიერ ტენიან ადგილზე და წარმოქმნან ნიადაგი.	1. ძლიერი გამრავლების შემთხვევაში ხელს უშლიან თესლების მიწაზე მოხვედრას და ტყის განახლებას.
2. არეგულირებენ ტენიანობას და თესლის გაღივებისთვის ქმნიან პირობებს.	2. ტყეში სფაგნუმის ძლიერი გამრავლება ტყის დაჭაობებას იწვევს.
3. ჭაობები, რომლის წარმოქმნასაც ხელს უწყობს სფაგნუმი, მტკნარი წყლის მარაგია.	
4. ხავსები თავშესაფარი და საკვებია უამრავი უხერხემლო ორგანიზმისთვის	

6. (იხ. ტექსტი რუბრიკაში – „მეცნიერება პრაქტიკაში“, გვ. 91).

§3.13

1. გვიმრას ფოთლის ქვედა მხარეს უვითარდება სპორანგიუმები, სადაც სპორები მწიფდება. ტენიან ნიადაგზე სითბოში სპორა ღივდება და მისგან მწვანე პატარა წინაზრდილი ვითარდება, რომელზეც მდედრობითი (არქეგონიუმი) და მამრობითი (ანთერიდიუმი) სასქესო ორგანოები ყალიბდება. გამეტების მომწიფების შემდეგ, მამრობითი ორგანოდან შოლტიანი სპერმატოზოიდები გარეთ წყლიან გარემოში გამოდიან, მდედრობით ორგანოში იჭრებინ და კვერცხუჯრედს ანაყოფიერებენ. ზიგოტიდან ახალი გვიმრა იწყებს განვითარებას. (**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლებისთვის:** თაობათა მორიგეობა გვიმრებშიც კარგად არის გამოხატული, ოლონდ ხავსებისგან განსხვავებით აქ უსქესო თაობა, სპოროფიტი თვითონ მცენარე გვიმრაა. ე.ი. გაბატონებული თაობა სწორედ სპოროფიტია. სქესიანი თაობა – წინაზრდილი პატარა და სუსტია, თუმცა მწვანეა, ფოტოსინთეზს ახორციელებს და დამოუკიდებლად არსებობს. სპორა მეიოზური გაყოფით წარმოიქმნება, ამიტომ სპორა და მისგან წარმოქმნილი წინაზრდილის უჯრედები ჰაპლოიდურია, შესაბამისად, სასქესო ორგანოების უჯრედებიც და გამეტებიც ჰაპლოიდურია. ზიგოტა და მისგან განვითარებული მცენარე გვიმრას უჯრედები კი – დიპლოიდურია).

2. ყვავილოვან მცენარეებში უსქესო გამრავლება – ვეგეტატიური გამრავლება შეგვხვდა. ხავსება და გვიმრებში სპორით გამრავლება უსქესო გამრავლების ერთ-ერთი სახეა.

3. მოყვავილე გვიმრას ვერასდროს წააწყდები, რადგან ყვავილი მხოლოდ მაღალგანვითარებულ ფარულთესლოვნებს გააჩნიათ.

4. თესლოვნები განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე დგანან, ვიდრე გვიმრები: а) გამრავლებისთვის წყალი თესლოვნებში აღარ არის საჭირო და მათ დედამიწის მშრალი ადგილების დაკავებაც შეძლეს. ბ) თესლი შეიცვს საკვებს ჩანასახისთვის, სპორაში საკვები არ არის. თესლი სპორასთან შედარებით უკეთაც არის დაცული და მას გასავრცელებლად სხვადასხვა საშუალება აქვს. გ) გამტარი სისტემა ბევრად უფრო სრულყოფილი აქვს თესლოვნებს. დ) ფესვთა სისტემა თესლოვნებში ძალიან კარგადაა განვითარებული და გრუნტის წყლებიდანაც შეუძლიათ წყლის მიღება.

5. (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, ფუნქცია, სასიცოცხლო თვისება – გამრავლება, გარემოსთან შეგუებულობა, სისტემატიკური ჯგუფი).

გვიმრები	შიშველთესლოვანი მცენარეები	ფარულთესლოვანი მცენარეები
მრავლდებიან სპორებით	მრავლდებიან თესლით	მრავლდებიან თესლით
არ აქვთ ყვავილი და ნაყოფი	არ აქვთ ყვავილი და ნაყოფი	აქვთ ყვავილი და ნაყოფი
-----	იმტვერებიან ქარით	იმტვერებიან ქარით, ცხოველებით, წყლით, თვითდამტვერვით
არ აქვთ თესლკვირტები	აქვთ თესლკვირტები, რომლებიც შიშვლად სხედან გირჩის ქერქლებზე	აქვთ თესლკვირტები, რომლებიც ბუტყოს ნასკვშია
განაყოფიერებისთვის აუცილებელია წყალი	განაყოფიერებისთვის არ არის საჭირო წყალი	განაყოფიერებისთვის არ არის საჭირო წყალი

6.

ჯგუფის დასახელება	ნარმომადგენელი მცენარე	დამახასიათებელი ნიშნები
ხავსები	ლეროფოთლოვანი – გუგულის სელი, ტორფის ხავსი – სფაგნუმი, ლვიძლის ხავსი	ლეროფოთლოვან ხავსებს გააჩნიათ რიზოდები, რომლითაც მცენარე მინას ემაგრება. აქვთ ლერო და ფოთლები, რომელიც არ არის კუტიკულით დაფარული. არ აქვთ განვითარებული გამტარი სისტემა. მრავლდებიან სპორებით. სქესობრივი გამრავლებისთვის ესაჭიროებათ წყალი. არსებობენ მხოლოდ ტენიან გარემოში ან მტკნარ წყლებში.
გვიმრანაირები	ჩადუნა	აქვთ კარგად განვითარებული ფესურა, ხოლო ფესვები – მხოლოდ დამატებითი. ფოთლები დაფარულია კუტიკულით. აქვთ გამტარი სისტემა, ამიტომ ჭურჭლოვან მცენარეებს მიაკუთვნებენ. მრავლდებიან სპორებით, სქესობრივი გამრავლებისთვის აუცილებელია წყლის არსებობა. ცხოვრობენ ტენიან გარემოში.

<p>შიშველთესლოვნები</p>	<p>ფიჭვი, ნაძვი, კედარი, სოჭი, ლარიქსი, სექვოია, ლვია, გინკო.</p>	<p>შიშველთესლოვნებში ყველაზე დიდი ჯგუფია წიწვოვნები. წიწვოვნებს ფოთლები ნემსისებური აქვთ და დაფარულია სქელი კუტიკულით. კარგადაა განვითარებული ფესვთა სისტემა. გამტარი სისტემა ქსილემა და ფლოემა. სქესობრივი გამრავლება – თესლით, რომელიც მდედრობით გირჩში მწიფდება. თესლკვირტები შიშვლად სხედან გირჩის ქერქლებზე უსქესო გამრავლება – ვეგეტატიური გამრავლებაა. წარმოქმნიან ფისს. ცხოვრობენ მშრალი და ცივი კლიმატის პირობებშიც. დედამინის ჩრდილოეთით ქმნიან ტაიგას.</p>
<p>ყვავილოვანი მცენარეები</p>	<p>ერთლებნიანები: ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია, ტიტა. ორლებნიანები: ლობიო, ბარდა ცაცხვი, ვაშლი, მოცხარი, ასკილი, ვაზი.</p>	<p>მცენარეთა ყველაზე მრავალრიცხოვანი და მაღალ-განვითარებული ჯგუფია. გვხვდებიან სხვადასხვა კლიმატურ პირობებში, რადგან აქვთ სხვადასხვანაირი შეგუებულობები. სქესობრივად მრავლდებიან თესლით, რომელიც ყვავილში ყალიბდება; თესკვირტები ბუტკოს ნასკვშია. თესლი ნაყოფითაა დაფარული. უსქესო გამრავლება – ვეგეტატიური გამრავლების სხვადასხვა ხერხებით.</p>

§3.14

1. მცენარეების როლი ბუნებაში:

- ახორციელებენ ფოტოსინთეზს და ქმნიან ყველა ორგანიზმისთვის საჭირო საკვებ ორგანულ ნივთიერებებს, გამოყოფენ სუნთქვისთვის აუცილებელ ჟანგბადს;
- აბალანსებენ ჟანგბად-ნახშირორჟანგის რაოდენობას ატნოსფეროში;
- გამოყოფილი ჟანგბადი ატმოსფეროს ზედა ფენებში წარმოქმნის ულტრაიისფერი სხივები-სგან დამცავ ოზონის ეკრანს;
- აორთქლებენ წყალს და არბილებენ დედამინის კლიმატს;
- მცენარეების ფესვები იცავენ ნიადაგს ჩამორეცხვისგან, მეწყერისგან, ზვავებისა და გამოფიტვისგან.

2. მცენარეებს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვთ ბუნებასა და ადამიანისთვის, რომ მათი გამრავლების ხერხებისა და საშუალებების ცოდნა აუცილებელია.

3. მცენარეები შხამიანი ნივთიერებით თავს იცავენ ბალახისმჭამელებისგან, პარაზიტებისგან.

§3.15

1. ბიომრავალფეროვნება ნიშნავს გარკვეულ ტერიტორიაზე ცოცხალი ორგანიზმების სახეობათა რაოდენობას. (ეს ტერმინი შემოიღო ამერიკელმა ზოოლოგმა ედუარდ უილსონმა 1986 წელს. თუმცა, ბიომრავალფეროვნებას გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს დღეს).

2. დაკავებული ტერიტორიის მიხედვით არსებობენ ფართო და ვიწრო არეალის სახეობები. როცა სახეობა ძალიან დიდ ტერიტორიებზე გვხვდება, ის ფართოარეალიანი – კოსმოპოლიტი სახეობაა. იმ სახეობებს, რომელთა გავრცელების არეალი ვიწროა, ენდემურ სახეობებს უწოდებენ.

3. ბიომრავალფეროვნებას საფრთხეს ძირითადად უქმნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაფართოება, სატრანსპორტო გზების მშენებლობა, გარემოს დაბინძურება, უცხო სახეობების შემოტანა, ჭარბი მოხმარება და სხვა.

4. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება მნიშვნელოვანია ეკონომიკური კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, ეკოსისტემების მდგრადობის შენარჩუნებისა და მრავალი სხვა თვალსაზრისით.

5. საქართველოში ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებით მიღებულია შემდეგი კანონები: „გარემოს დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, 2003 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ”საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის შესახებ““. წითელ ნუსხაში შეტანილი მცენარეთა სახეობებია: ჭალის მუხა, პონტოს მუხა, ძელქვა, გარეჯის სალბი, შავი ლვია, ბიჭვინთვის ფიჭვი, უთხოვარი, სალსალაჯი ანუ საკმლის ხე, ქართული მუხა და სხვ. საქართველოში შექმნილია დაცული ტერიტორიები: სახელმწიფო ნაკრძალი – 14, ეროვნული პარკი – 12 და აღკვეთილი – 9. დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებულია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების 41 სახეობა.

თემის შეჯამება

ტესტური დავალებები

	1	2	3	4	5	6	7
ა		X				X	
ბ	X		X	X			
გ					X		X
ღ							

8.

1	2	3	4	5
ღ	გ	ა	გ	ბ

9.

1	2	3	4	5	6
	X	X	X		X

დავალებები კრიტიკული აზროვნებისთვის

1. დადებითია ცოცხალი ორგანიზმების ორ ჯგუფად მცენარეებად და ცხოველებად დაყოფა (თუ კვლევის იმდროინდელ საშუალებებს გავითვალისწინებთ, გარდა ამისა, მეცნიერები სოკონებს დიდხანს მცენარეთა ჯგუფს აკუთვნებდნენ), მაგრამ სუსტ მხარედ მიმართა ცხოველების მისეული დაყოფა ჯგუფებად, რადგან ფრენა შეუძლია უხერხემლოებსაც (მწერებს) და ხერხემლიანების სხვადასხვა წარმომადგენლებს (ფრინველებს, ძუძუმწოვრებს); დადიან უხერხემლოებიც და ხერხემლიანებიც; ასევე, დაცურავენ თევზები, ქვეწარმავლები, ფრინველები, ძუძუმწოვრები, კიბოსნაირები, მოლუსკები. ასეთი კლასიფიკაციით ერთ ჯგუფში ხვდებიან სრულიად განსხვავებული განვითარების ორგანიზმები.

2. მუხა და ვარდი მცენარეა, ბელურა და ძალლი ცხოველები არიან.

3. თესლი ძალიან მეხმარება გადარჩენაში: მიცავს დაზიანებისგან, გამოშრობისგან, მაძლევს საკვებს, სხვადასხვა სამარჯვებით მეხმარება გავრცელებაში, რომ ხელსაყრელი პირობები ვიპოვო და ზრდასრულ მცენარედ გადავიქცე. სპორა კი ერთი უჯრედია, არ აქვს საკვები ნივთიერებები.

ვიზუალური მასალის განსვა

1. ა) ფოტოსინთეზის პროცესში წარმოქმნილი გლუკოზა და ჟანგბადი სუნთქვის პროცესში მონაწილეობს: ჟანგბადი გლუკოზას შლის წყლად და ნახშირორჟაგად, რომელსაც ისევ მცენარე მოიხმარს ფოტოსინთეზის პროცესში; ბ) ყველა ცოცხალი ორგანიზმი, მათ შორის ადამიანიც, სუნთქვისთვის

იყენებს უანგბადს და გამოყოფს ნახშირორუანგს. ნახშირორუანგის შთანთქმა და ყველა ცოცხალისთვის აუცილებელი უანგბადის წარმოქმნა კი მხოლოდ მცენარეს შეუძლია ფოტოსინთეზის პროცესში. გარდა ამისა, მცენარე ფოტოსინთეზით ქმნის საკვებ ორგანულ ნივთიერებას — გლუკოზას და შემდეგ სხვა საკვებ ნივთიერებებს.

2. ა სურათზე მწერითმტვერია მცენარის მტვრის მარცვლებია, რადგან ასეთი გამონაზარდებით იოლად მიემაგრება მწერის სხეულს და თანაც ბ სურათზე გამოსახულ მტვრის მარცვლებთან შედარებით დიდი ზომისაა. ბ სურათზე ქარითმტვერია მცენარის მტვრის მარცვალებია. მას იოლად გადაიტანს ქარი, რადგან მცირე ზომისაა და მსუბუქია.

3. ა, ბ და გ სინჯარებიდან გამოყოფილი აირი აამღვრევს კირიან წყალს, რადგან ცხოველი და მცენარე ორივე სუნთქვის დროს გამოყოფს ნახშირორუანგს. მცენარე გამოყოფილ ნახშირორუანგს ბ სინჯარაში ვერ შთანთქავს, რადგან სიბძელეშია და ფოტოსინთეზი არ წარიმართება.

დ და ე სინჯარებიდან გამოყოფილი აირი კირიან წყალს ვერ აამღვრევენ, რადგან მცენარე განათების პირობებში სუნთქვისას გამოყოფილ ნახშირორუანგს ფოტოსინთეზის პროცესში შთანთქავს.

4. გ მცენარემ ა მშობლიური მცენარისგან მიიღო გრძელი ღერო და დიდი ზომის ყვავილები, ხოლო ბ მშობლისგან — ყვავილის შეფერილობა. სურათზე წარმოდგენილია სქესობრივი გამრავლება.

მონაცემთა განსჯა

1. განათების ინტესივობისა და ნახშირორუანგის კონცენტრაციის მატებით ფოტოსინთეზის ინტესივობა იზრდება ზღვრულ დონემდე, რის მერეც ალარ იცვლება; ხოლო ტემპერატურის მატებით ფოტოსინთეზის ინტესივობა ჯერ იზრდება, ალწევს მაქსიმალურ სიღიდეს და მერე მცირდება. გარკვეულ ტემპერატურაზე საერთოდ წყდება.

2. 1) $X=494\text{მმ}$ და $Y=264 \text{ მმ}$; 2) სხვაობა არის 230 მმ 3) X ბწყალი Y -ზე წინ განვითარდა და გაზრდა მოასწრო, გარდა ამისა, X ბწყალი უშუალოდაა დაკავშირებული მშობლიურ მცენარესთან და ჯერ ეს იღებს საკვებ ნივთიერებებს, თანაც Y -მა საკვები ნივთიერებები უნდა მიიღოს ახალი მცენარისგან, რომელიც ჯერ არ არის კარგად განვითარებული და საკმაო რაოდენობის საკვებ ნივთიერებებს ვერ წარმოქმნის. 4) მეორე მცენარის ბწყალის სიგრძე უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე მესამე მცენარიდან განვითარებული იგივე მიზეზის გამო. 5) ბწყალი ახალ მცენარესა და მშობლიურ მცენარეს შორის უნდა გახმეს და მათ შორის კავშირი შეწყდეს, ამ შემთხვევაში ახალი მცენარე სიცოცხლეს დამოუკიდებლად აგრძელებს. 6) ბწყალით გაამრავლებს, რადგან უსქესო გამრავლება უზრუნველყოფს მშობლის იდენტური თაობის მიღებას. 7) მშობლიური მცენარის ფოთლები ფოტოსინთეზის პროცესში. 8) ფლოება.

მონაცემების ორგანიზება სქემებში


1. (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, სასიცოცხლო თვისება — გამრავლება, გარემოსთან შეგუებულობა, სისტემატიკური ჯგუფი).

მცენარეთა ჯგუფი	აგებულება			საარსებო გარემო			წყლის მონაწილეობა გამრავლებაში
	ღერო	ფოთოობი	ფესვი	წყალი	ტენიანი გარემო	ხმელეთი	
წყალმცენარეები	არა	არა	არა	კი	კი	არა	კი
ხავსები	კი	კი	არა	კი	კი	არა	კი
გვიმრები	კი	კი	კი	არა	კი	კი	კი
შიშველთესლოვნები	კი	კი	კი	არა	არა	კი	არა
ფარულთესლოვნები	კი	კი	კი	არა	არა	კი	არა


2. 1. (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, სისტემატიკური ჯგუფი).

1. მცენარეს აქვს დიფერენცირებული უჯრედები შესრულებული ფუნქციების მიხედვით?	დიას – გადადი მე-2 კითხვაზე არა – ეს არის წყალმცენარე
2. ამ მცენარეს აქვს ფესვი და გამტარი ქსოვილები?	დიას – გადადი მე-3 კითხვაზე არა – ეს არის ხავსი
3. ეს მცენარე თესლით მრავლდება?	დიას – გადადი მე-4 კითხვაზე არა – ეს არის გვიმრა
4. ამ მცენარეს აქვს ყვავილი?	დიას – ეს არის ყვავილოვანი მცენარე არა – ეს არის შიშველთესლოვანი


3. დაასრულე სქემა – მცენარეთა კლასიფიკაცია: (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, სისტემატიკური ჯგუფი).



4. შეავსე სქემა: (კავშირი ცნებებს შორის: ნივთიერება, ენერგია, სტრუქტურა, სასიცოცხლო თვისება – კვება).



თემა 4 – სოკოები



თემატური ერთეულის დაგეგმვა

თემა: სოკოები	დათმობილი საათების რაოდენობა: 3 (+2)					
სტანდარტის შედეგები: ბოლ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13						
სასწავლო მიზნები/შედეგები						
ძირითადი ცნებები: <p>ნივთიერება – ორგანული და არაორგანული ნივთიერებები, სამარაგო ნახშირწყალი – გლიკოგენი, ანტიბიოტიკი – პენიცილინი, შხამიანი/ტოქსიური ნივთიერება;</p> <p>სტრუქტურა – მიცელიუმი, ნაყოფსხეული, ჰიფები, სპორები</p> <p>ცოცხალი სისტემა – სოკო, როგორც ერთი მთლიანი ცოცხალი სისტემა;</p> <p>სასიცოცხლო თვისება – კვება (ჰეტერო-ტროფული კვება: საპროფიტული, პარაზიტული კვება; მლიერებში – სიმბიოზური) გამრავლება (სპორებით და მიცელიუმით), ზრდა (იზრდება მთელი სიცოცხლე) და სხვა სასიცოცხლო პროცესები;</p> <p>ბიომრავალფეროვნება – საფუარი სოკოები, ქუდიანი სოკოები, აბედა სოკოები, ობის სოკოები, მლიერები ანუ ლიქენები;</p> <p>შეგუებულობა – გარემოსთან შეგუებულობა; კვლევის მეთოდი – დაკვირვება, მიკროსკოპული კვლევის მეთოდი.</p> <p>კვლევა – სოკოს ნაყოფსხეულის აგებულების შესწავლა, ობის სოკოების გამრავლების პირობების კვლევა;</p> <p>აღმოჩენა – ანტიბიოტიკების აღმოჩენა;</p> <p>დაავადება – პარაზიტი სოკოებით გამოწვეული მცენარეთა და ადამიანის დაავადებები; სოკოთი მონამლვა;</p> <p>ჯანმრთელობა – ანტიბიოტიკების როლი ბაქტერიულ დაავადებებთან ბრძოლაში, სოკოებთან უსაფრთხო ურთიერთობის წესები;</p> <p>მდგრადი განვითარება – ბიომრავალ-ფეროვნების დაცვა. სოკოების როლი ნივთიერებათა მიმოქცევაში, მლიერების როლი ნიადაგწარმოქმნაში</p>	საკანონო შეკითხვები: <p>რატომ გამოყვეს სოკოები ცალკე სამეფოდ?</p> <p>რა საერთო დამასასიათებელი თვისება აქვთ სოკოების სამეფოში გაერთიანებულ ორგანიზმებს?</p> <p>რა ნიშნებით გავს სოკო მცენარეს?</p> <p>რა ნიშნებით გავს სოკო ცხოველს?</p> <p>რა ჯგუფებს გამოყოფინ სოკოების სამეფოში?</p> <p>როგორ მრავლდებიან სოკოები?</p> <p>რა მნიშვნელოვანი როლი გააჩნიათ სოკოებს ბუნებაში?</p> <p>რა მნიშვნელობა აქვს სოკოებს ადამიანისთვის?</p> <p>რა უნდა ვიცოდეთ სოკოებთან უსაფრთხო ურთიერთობისთვის?</p>	უნარები: <ul style="list-style-type: none"> • განსაზღვრავს სოკოების ადგილის ცოცხალ ორგანიზმებს შორის; • დაადგენს კვლევის საფუძველზე სოკოთა სხვადასხვა ჯგუფების აგებულების და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით მსგავსება-განსხვავებების; • კვლევის საფუძველზე დაადგენს ობის სოკოების განვითარებისთვის საჭირო პირობებს • გამოიკვლევს საკუთარი რეგიონისათვის დამახსასიათებელი სოკოების მრავალფეროვნებას; • დააკავშირებს სოკოებზე მიღებული ცოდნის სხვადასხვა პროფესიებთან და საქმიანობის სფეროებთან; 	მეცნიერება და ტექნოლოგიები: <p>მლიერების გამოყენება ქიმიურ წარმოებაში.</p> <p>ობის სოკოების გამოყენება ფარმაციული კონკრეტულისა და ზოგიერთი სახეობის ყველის წარმოებაში.</p> <p>საფუარი სოკოების როლი პურის, ლვინის, ლუდის წარმოებაში.</p> <p>ქუდიანი სოკოების საკვები მნიშვნელობა.</p>			

მკვიდრი წარმოდგენები:

- სოკოები ყველანაა გავრცელებული: ნიადაგში, წყალში, პროდუქტებზე, მცენარეებზე, ადამიანისა და ცხოველების სხეულზე;
- სოკოებს გამრავლებისა და ზრდა-განვითარებისთვის სჭირდება სითბო და ტენი, არ სჭირდებათ განათება; სოკოები იშვიათად გვხვდებიან განათებულ ადგილას, რადგან ასეთი ადგილები ხშირად ძალიან ცხელი და მშრალია;
- არსებობს ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი სოკოები;
- მცენარის მსგავსად, ეწევიან მიმაგრებულ ცხოვრებას, გარემოდან იწოვენ საკვებები ნივთიერებებს, იზრდებიან მთელი სიცოცხლე, უჯრედს გააჩნია უჯრედის კედელი, დიდი ზომის ვაკუოლი და მისგან განსხვავებით, არ გააჩნია ქლოროპლასტები;
- ცხოველის მსგავსად, ყველა სოკო ჰეტეროტროფია. მათ შორის, არიან საპროფიტები, პარაზიტები და სიმბიოტები;
- სოკოები მრავლდებიან სპორებითა და სხეულის ნაწილებით;
- საპროფიტი სოკოები შლიან ორგანიზმების ნარჩენ ორგანულ ნივთიერებებს და დიდ როლს ასრულებენ ბუნებაში მიმდინარე ნივთიერებათა მიმოქცევაში; მონაწილეობენ ნაყოფიერი ნიადაგის წარმოქმნაში;
- ადამიანი სოკოებს იყენებს საკვებად, კვების მრეწველობაში სხვადასხვა პროდუქტების დასამზადებლად(პურის ცხობა, ღვინისა და ლუდის, ყველის წარმოება), მედიცინაში ანტიბიოტიკის დასამზადებლად;
- პარაზიტი სოკოები აავადებენ ადამიანებს, ცხოველებსა და მცენარეებს;
- სოკოებთან ურთიერთობისას საჭიროა უსაფრთხოების წესების დაცვა.

სწავლა-სწავლების მტკიცებულებები შეფასებისთვის

მოსწავლის მიერ წარმოდგენილი კვლევის ანგარიშები (დაკვირვება ქუდიანი სოკოს ნაყოფ-სხეულის აგებულებაზე, ობის სოკოების განვიტარების პირობების კვლევა);
პოსტერზე წარმოდგენილი საკვები და შხამიანი სოკოები;
მოსწავლეების მიერ შექმნილი სოკოს უჯრედის მოდელი;
გრაფიკული მაორგანიზატორების საშუალებით წარმოდგენილი მონაცემები, რითაც ხსნის სოკოს ცალკე ჯგუფად გამოყოფის მიზეზებს;
გრაფიკული მაორგანიზატორების საშუალებით წარმოდგენილი მონაცემები სოკოს სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლების აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების შესახებ;

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი სოკოების დახასიათება აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით; (ბიოლ.საპ.1,2,3);
- მსჯელობა სოკოს აგებულებაზე, რაც განასხვავებს მათ მცენარეებისა და ცხოველებისაგან (ბიოლ.საპ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10);
- მსჯელობა სხვადასხვა სოკოს მნიშვნელობაზე ადამიანისათვის (პენიცილიუმი, ანტიბიოტიკის ალმოჩენა, სოკოვანი დაავადება) (ბიოლ.საპ.4,10,11,12);

<p>სოკოს სასიცოცხლო ციკლის მოდელის გამოყენებით სასიცოცხლო ციკლის აღწერა; პენიცილინის მიღების მოდელის მიხედვით პროცესის აღწერა; შესახებ და მონაცემებს ორგანიზება სქემებში; მსლელობა სოკოების მნიშვნელობის შესახებ ბუნებასა და ადამიანის საქმიანობაში.</p>	<ul style="list-style-type: none"> • სოკოებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/ საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, კვების ტექნოლოგია, მიკრობიოლოგია) (ბიოლ.საბ.11,12,13).
--	--

3. ეტაპი. სასწავლო გეგმა

- გაკვეთილი 1. სოკოები. ქუდიანი სოკოები
 გაკვეთილი 2. სოკოების მრავალფეროვნება
 გაკვეთილი 3. სოკოების მნიშვნელობა
 გაკვეთილი 4. შემაჯამებელი გაკვეთილი

თემის მოკლე მიმოხილვა

მოსწავლის წიგნში თემის ფარგლებში მასალა წარმოდგენილია სამი პარაგრაფით და ეთმობა კიდევ ორი სარეზერვო საათი. სტანდარტთან შედარებით განსხვავებული საათების მიზეზი არის ის, რომ ერთუჯრედიანი სოკოები განხილულია თემაში – მიკროორგანიზმები.

ამ თემის ფარგლებში მუშაობა ხდება მოსწავლეებში სტანდარტით განსაზღვრული შემდეგი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე:

- სოკოები გვხვდება ყველგან: ნიადაგში, წყალში, პროდუქტებში, ადამიანისა და ცხოველების სხეულზე და სხვ.;
 - სოკო იკვებება, როგორც ცხოველი – მზა ორგანული ნივთიერებებით;
 - არსებობს ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი სოკოები;
 - სოკოები მრავლდებიან სხეულის დაყოფით და სპორებით;
 - ადამიანი სოკოებს იყენებს მედიცინაში, საკვები პროდუქტის დამზადებაში;
 - ბუნებაში სოკოები შლიან ყოველივე ორგანულს და მონაწილეობენ ნაყოფიერი ნიადაგის წარმოქმნაში;
 - ზოგიერთმა სოკომ შეიძლება გამოიწვიოს მცენარის, ცხოველისა და ადამიანის დაავადება.
- მოსწავლის წიგნში დასმულია სტანდარტით გათვალისწინებული ყველა ძირითადი კითხვა და მოცემულია აქტივობები, რომლის შესრულებითაც გაეცემა პასუხი. გაკვეთილის პროცესში მოსწავლეების აქტიურად ჩასართავად სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია ილუსტრაციებზე, სქემებზე, ტექსტებზე მუშაობის აქტივობები.

საკვანძო შეკითხვები და კომპლექსური დავალებები

თემა: სოკოები	
საკვანძო კითხვა	კომპლექსური დავალებები
რატომ გამოყვეს მეცნიერებმა სოკოები დამოუკიდებელ ჯგუ- ფად?	<p>მონაცემების ორგანიზება სქემაში: რით ჰგავს სოკო მცენარეს და რით ცხოველს? მონაცემები შეიტანე ცხრილში (გვ. 108, დავალება 4)); 1. ამოიცანი ორგანიზმი (სოკო, ცხოველი, ბაქტერია, მცენარე) და ჩანერე ცხრილში წერტილების ნაცვლად (გვ. 117, დავალება 1).</p> <p>მოდელების შექმნა: მეწყვილესთან ერთად შექმნენ ბაქტერიის, მცენარის, ცხოველისა და სოკოს უჯრედების ისეთი მოდელები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება მათთვის დამახასიათებელი ნიშნებით და შესაძლებელი იქნება მათი ადგილად ამოცნობა (გვ. 118).</p>
რატომ უნდა ვიცოდეთ სოკოების გამრავლების ხერხები?	<p>სქემატურ მოდელზე მუშაობა: ქუდიანი სოკოს სასიცოცხლო ციკლი (გვ. 109, დავალება 7 და 8) – 7. აღწერე ქუდიანი სოკოს სასიცოცხლო ციკლი (სურ. 4.1.3). 8. როგორ ფიქრობ, მართებულია სოკოს შეგროვება მიცელიუმიანად? დაასაბუთე შენი პასუხი.</p> <p>ექსპერიმენტული კვლევა: საფუარი სოკოს გამრავლების პირობების კვლევა (გვ. 35); ობის სოკოს განვითარების პირობების კვლევა (გვ. 112).</p> <p>სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობა: გაზაფხულის თბილი წვიმის შემდეგ შენს ბალში შემჩნიე რამდენიმე ახალი სოკო. ამ დაკვირვების შედეგად რა დასკვნას გააკეთებდი? (გვ. 109, დავალება 9); ადამიანი საკვებ პროდუქტებს, ობის სოკოებისგან დაცვის მიზნით, გამოაშრობს (მაგალითად, თევზს, ხილს), ან ინახავს ცივ ადგილას (მაცივარში, სარდაფში). ახსენი, რამდენად მიაღწევს მიზანს ამ ღონისძიებების გატარებით. სოკოების მნიშვნელობის შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახსენი, რატომ არის საჭირო სოკოების გამრავლების ხერხებისა და მათი ზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობების ცოდნა? (გვ. 117, დავალება 3)).</p>
რა მნიშვნელობა აქვთ სოკოებს ბუნებაში, ადა- მიანისთვის?	<p>სქემატურ მოდელზე მუშაობა:</p> <p>ნივთიერებათა ბუნებრივი მიმოქცევა (გვ. 41. დავალება 8) – სურათი 2.5.6-ის მიხედვით: ა. დაასახელე ორგანიზმები, რომლებიც ასრულებენ მნარმოებლის, მომხმარებლისა და დამშლელის როლს; ბ. აღწერე ნივთიერებათა მოძრაობის მიმართულება და ამ პროცესში მიკროორგანიზმების როლი; გ. რა მოხდება ბუნებაში, თუ აღარ იქნებიან დამშლელი მიკროორგანიზმები?</p> <p>ანტიბიოტიკ პენიცილინის მიღების მექანიზმი (გვ. 114, დავალება 1, სურ. 4.3.3) – სქემის მიხედვით აღწერე პენიცილინის მიღების მექანიზმი.</p>

<p>როგორ ავიცილოთ თავიდან სოკოვანი დაავადებები?</p>	<p>მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია: გაეცანი ცხრილში (გვ. 51) მოცემულ ინფორმაციას და უპასუხე კითხვებს: ა) ინფექციური დაავადებების გავრცელების რა გზები არსებობს? მოიყვანე შესაბამისი მაგალითები. ბ) დაასახელე არასასურველი მიკროორგანიზმებისგან თავის დაცვის საშუალებები. ახსენი, შენ მიერ დაასახელებული საშუალება როგორ დაგვიცას მიკროორგანიზმებისგან. (პრეზენტაციების საფუძველზე მასწავლებელი/მოსწავლე ფლიპჩარტზე წერს დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმებისგან დაცვის ლონისძიებების ჩამონათვალს).</p> <p>პრაქტიკული სამუშაო: ჯგუფის წევრებთან ერთად შექმენი პოსტერი: „სოკოებთან უსაფრთხო ურთიერთობის წესები“.</p> <p>ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაცია: შეაგროვე ინფორმაცია საკვები და შხამიანი ქუდიანი სოკოების შესახებ. მოიძიე სურათები, მოამზადე პოსტერი და წარადგინე კლასის წინაშე (გვ. 118).</p>
--	--

პასუხები მოსწავლის წიგნში მოცემულ დავალებებზე

4.1. სოკოები. ქუდიანი სოკოები

1. რადგან მათთვის დამახასითებელია როგორც მცენარის, ისე ცხოველისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

2. ქუდიანი სოკო შედგება მიცელიუმის, ფეხისა და ქუდისგან, რომლებიც ერთად ნაყოფ-სხეულს წარმოქმნის. ფეხს ქმნის კონებად შეკრული ჰიფები; ჰიფების ერთობლიობა მიცელიუმს ქმნის, რომლითაც მცენარე ნიადაგს ემაგრება და ინოვს საკვებ ნივთიერებებს, მიცელიუმზე ახალი ფეხიანი სოკოები ვითარდება.

3. ჰიფები გარემოში გამოყოფს სპეციალურ ნივთიერებას, რომლითაც მოინელებენ მკვდარი ორგანიზმების ნარჩენ რთულ ნივთიერებებს, შემდეგ ჰიფები შეინოვენ მონელებულ საკვებ ნივთიერებებს.

4.

სოკოების მსგავსება	
მცენარეებთან	ცხოველებთან
მიმაგრებულ ცხოვრებას ეწევიან	უჯრედებში არ გააჩნიათ ქლოროპლასტები
საკვებ ნივთიერებებს გარემოდან შეინოვენ	კვების ტიპის მიხედვით ჰეტეროტროფული არიან
მთელი სიცოცხლე იზრდებიან	უჯრედში სამარაგო სახით გლიკოგენი გროვდება
მრავლდებიან სპორებით	უჯრედის კედელი ქიმინისგან შედგება
უჯრედს აქვს უჯრედის კედელი და ცენტრალური ვაკუოლი	

5. ერთი უჯრედია, რომლის დაყოფითაც ახალი ორგანიზმი წარმოიქმნება.

6. სპორები წარმოიქმნება ქუდის ქვედა მხარეს არსებულ ფირფიტებში ან მილებში.

7. 1) ქუდის ქვედა მხარეს მწიფებება სპორები. 2) ხელსაყრელ პირობებში სპორა ღივდება და 3) მისგან მიცელიუმი წარმოიქმნება, 4) მიცელიუმზე ახალგაზრდა სოკოები წარმოიქმნება, 5) ახალგაზრდა სოკოსგან კი – ზრდასრული სოკო.

8. არა, რადგან მიცელიუმზე ახალი სოკოები ვითარდება და ეს ხელს შეუწყობს სოკოების შემცირებას.

9. სოკოების გამრავლებისთვის ხელსაყრელია თბილი და ტენიანი გარემო.

§4.2.

1. ორივეს გააჩნია მიცელიუმი და სპორებით მრავლდებიან, ობის სოკოები არ ივითარებენ ნაყოფ-სხეულს.

2.

შესაძარებელი ნიშნები	მუკორი	პენიცილიუმი
მიცელიუმი	+	+
ერთუჯრედიანი თუ მრავალუჯრედიანი	ერთუჯრედიანი	მრავალუჯრედიანი
სპორების წარმოქმნის უნარი	+	+
სპორების შეფერილობა	შავი	მოლურჯო-მომწვანო

3. ა. გამოვიყენებ უჯრედის კედელს, თუ უჯრედს გააჩნია იგი, ეს იმას ნიშნავს რომ პრეპარატი სოკოს ეკუთვნის; ბ. გამოვიყენებ ქლოროპლასტს, თუ უჯრედს ეს სტრუქტურა გააჩნია, ეს იმას ნიშნავს რომ პრეპარატი მცენარეს ეკუთვნის.

4. ხის ქერქის მთლიანობის დარღვევა მცენარეს აბედა სოკოთი დაავადების საფრთხეს უქმნის, რადგანაც აბედა სოკოს სპორები ჰაერით ადვილად ვრცელდება.

5. რათა დაიცვან პარაზიტი სოკოს სპორებისგან.

6. რადგან ხელი შევუწყოთ სასარგებლო სოკოების გამრავლებასა და შევზღუდოთ პარაზიტი სოკოების გამრავლება.

7. მღიერი წარმოადგენს წყალმცენარისა და სოკოს თანაცხოვრებით შექმნილ ორგანიზმს.

8. სიმბიოზი არის ორი სხვადასხვა სახეობის ორგანიზმის ურთიერთსასარგებლო თანაცხოვრება. სოკო წყალმცენარეს დამატებით აწვდის წყალსა და მინერალურ მარილებს, სოკო კი მისგან იღებს მზა საკვებ ორგანულ ნივთიერებებს.

§4.3.

1. სოკო პენიცილიუმს ზრდიან სპეციალურ ხელსაწყოში, სადაც ხელოვნურად უქმნიან გამრავლებისთვის ხელსაყრელ პირობებს (საკვები, სითბო, ტენი), გამოყოფენ პენიცილიუმის მიერ შექმნილ პენიცილინს, მას ასუფთავებენ მინარევებისგან და ფარმაკოლოგები გაყიდვაში უშვებენ სპეციალურ შეფუთვებში.

2. საპროფიტები მონაწილეობენ ნარჩენი ორგანული ნივთიერებების დაშლაში და შესაბამისად, ნივთიერებათა ბუნებრივ მიმოქცევაში, როგორც დამშლელები, ზოგიერთი ცხოველის საკვებია, პარაზიტები აზიანებენ მცენარეებს.

3. კვების მრეწველობა (პურის ცხობა, ღვინისა და ლუდის წარმოება, ზოგიერთი სახეობის ყველის წარმოება), მედიცინა (ფარმაკოლოგიაში ანტიბიოტიკების მისაღებად, ზოგიერთი ადამაინის პარაზიტია და სოკოვან ინფექციებს იწვევს), სოფლის მეურნეობა (პარაზიტი სოკოები დიდ ზიანს აყნებს მოსავალს).

4. ნიყვი, ქამა, არყა სოკო, დათვა სოკო, მიქლიო და სხვ.

5. სოკოებს არ სჭირდება სინათლე, რადგან ფოტოსინთეზს არ ანარმოებენ, გარდა ამისა მათ გამრავლებისთვის ტენიანი გარემო სჭირდებათ, მზე ზე კი სიმშრალე იქნება.

6. არ უნდა შევაგროვოთ სოკოები დაბერებული, საავტომობილო გზებისა და ფაბრიკა-ქარხნების სიახლოვეს.

7. არ უნდა შევაგროვოთ სოკოები მიცელიუმიანად, მხოლოდ ნაყოფსხეული უნდა მოვჭრათ.


8. წყალსატევებსა და ტყეს საპროფიტი სოკოები ასუფთავებს ნარჩენებისგან.

თემის შეჯამება ტესტური დავალებები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ა					X	X	X					
ბ			X	X						X	X	X
გ	X	X						X				
ჩ									X			

მონაცემების განსკა

1.



იფიქრე კრიტიკულად:


- 1) მიმაგრებული ცხოვრება, 2) იზრდება მთელი სიცოცხლე, 3) გააჩნია უჯრედის კედელი.
2. განვასხვავებდი ქლოროპლასტებით.
3. ამ გზით შესაძლებელია პროდუქტების დაცვა ობის სოკოებისგან, რადგან სოკოებს გამრავლებისთვის სჭირდებათ თბილი და ტენიანი გარემო. რომ ხელი შევუწყოთ ბუნებაში სოკოების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და ხელი შევუშალოთ პარაზიტი სოკოების გამრავლებას.

მონაცემების ორგანიზება


- (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, სასიცოცხლო თვისება – კვება, სისტემატიკური ჯგუფი).

1. ორგანიზმის უჯრედს აქვს ბირთვი?	დიახ – გადადი მე-2 კითხვაზე არა – ეს არის ბაქტერია
2. ორგანიზმის უჯრედს აქვს უჯრედის კედელი?	დიახ – გადადი მე-3 კითხვაზე არა – ეს არის ცხოველი
3. ეს ორგანიზმი ფოტოავტოფოთია?	დიახ – ეს არის მცენარე არა – ეს არის სოკო

- (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, ფუნქცია, სასიცოცხლო თვისება – კვება და გამრავლება, სისტემატიკური ჯგუფი).



თემა 5 – ცხოველები



თემატური ერთეულის დაგეგმვა

თემა: ცხოველები	დათმობილი საათების რაოდენობა: 22 (+4)		
სტანდარტის შედეგები: ბოლ. საპ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13			
სასწავლო მიზნები/შედეგები			
<p>ძირითადი ცნებები:</p> <p>ნივთიერება – ორგანული და არაორგანული ნივთიერებები, უანგბადი, ნახშირორუანგი, წყალი, სამარაგო ნახშირნყალი – გლიკოგენი, შეხმიანი ნივთიერება,</p> <p>სტრუქტურა – ხერხემლი, საჭმლის მომნელებელი, სისხლის მიმოცულების, სასუნთქი, გამრავლების, გამომყოფი, ნერვული სისტემების ოგანოები, გრძნობათა ორგანოები, კილურები, ფეხსახსრიანებში სხეულის ნაწილები/სტრუქტურები (თავი, მკერდი, მუცელი და ა.შ.).</p> <p>ცოცხალი სისტემა – ხერხემლიანი ცხოველები: თევზები, ამფიბიები, ქვენარმავლები, ფრინველები, ძუძუმწოვრები; უხერხემლო ცხოველები: ნაწლავლრუიანები, ჭიები, ფეხსახსრიანები, მოლუსკები</p> <p>სასიცოცხლო თეისება – კვება (ჰეტეროტროფული – საპროფიტული, პარაზიტული), სუნთქვა, გამრავლება (სქესორივი, უსქესო, პირდაპირი და არაპირდაპირი განვითრება), გამოყოფა, მოძრაობა, გალიზიანებადობა, ზრდა-განვითარება.</p> <p>ბიომრავალფეროვნება – საქართველოში არსებული ცხოველთა ენდემური, ინვაზიური, რელიქტური სახეობები</p> <p>შეგუებულობა – გარემოსთან შეგუებულობა წყლის ორგანიზმების, ხმელეთის ორგანიზმების; ფრინველების ფრენასთან დაკავშირებული შეგუებულობა</p> <p>კვლევის მეთოდი – დაკვირვება (მაგ., ლუპით), შედარება.</p> <p>კვლევა – თავისობალას განვითარების კვლევა აკვარიუმში, თევზების სუნთქვის სიხშირის დამოკიდებულება ტემპერატურაზე, წყალში უანგბადის რაოდენობაზე, ფრინველის კვერცხის აგებულების კვლევა, გარემო ფაქტორებზე ჭიაყელას რეაქციაზე დაკვირვება, საველე კვლევა – ფრინველთა, უხერხემლოთა მრავალფეროვნების კვლევა, სოციალური კვლევა – გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი პრობლემები და პრევენცია).</p> <p>ტექნოლოგია – ცხოველთა აგებულებისა და ფორმების გამოყენება საინჟინირო ტექნიკაში.</p>	<p>საკვანძო შეკითხვები:</p> <p>რა საერთო თვისებები აერთიანებს ცხოველთა სამეფოში გაერთიანებულ ორგანიზმებს?</p> <p>რა ძირითადი განსხვავებაა მცენარეებსა და ცხოველებს შორის?</p> <p>რას ნიშნავს ორგანიზმის თბილ-სისხლიანობა/ცივისისხლიანობა?</p> <ul style="list-style-type: none"> • რა მსგავსება-განსხვავებაა ხერხემლიანების სხვადასხვა ჯგუფს შორის? • როგორ განვასხვავოთ ფეხსახსრიანების სხვადასხვა ჯგუფი ერთმანეთისაგან? • რა მნიშვნელობა აქვთ მწერებს ბუნებაში? • რა როლს ასრულებენ ცხოველები ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში? • რატომ უნდა დავიცვა ცხოველებთან ურთიერთობის დროს პიგინისა და უსაფრთხოების წესები? 	<p>უნარები:</p> <p>ატარებს კვლევებს და აკვირდება ცხოველების ქცევას, გამრავლებასა და სხვა სასიცოცხლო თვისებებს</p> <p>ჩატარებული კვლევის (შედარებით-ანატომური, ლუპით დაკვირვება, ან ქცევის კვლევა) საფუძველზე (ცხოველთა სხვადასხვა სისტემატიკურ ჯგუფს ერთმანეთისგან განასხვავებს აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების (მაგ., უსქესო, სქესობრივი გამრავლება, სუნთქვა, გალიზიანებადობა) მიხედვით (ბოლ. საპ. 1, 2, 3, 5, 6, 9, 10)</p>	<p>მეცნიერება და ტექნოლოგიები:</p> <p>თევზის ცხიმის გამოყენება ფარმაკოლოგიაში.</p> <p>თევზის ქვირითი და ხორცი საუკეთესო საკვები პროდუქტია და იყენებენ კვების მრეწველობაში.</p> <p>ამფიბიები (განსაკუთრებით გომბე-შოები) ანადგურებები სოფლის მურნებისა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნებელ მწერებს);</p> <p>თუმცა თევზსაშენ მეურნეობებში ლიფსიტებს და თევზის ქვირითისაც ანადგურებს და პრობლემებს უქმნის ფერმერებს.</p> <p>ბაყაყის ზოგიერთი სახეობა საკვები პროდუქტია, ხოლო ქვირითისგან სხვადასხვა პრეპარატები მზადდება. კვლევით სამეცნიერო/ სასნავლო ლაბორატორიებში ამფიბიები ექსპერიმენტები-სთვის ერთერთი საუკეთესო ობიექტებია. არსებობენ შეხმიანი ბაყაყები, რომლებთან კონტაქტი დაუშვებელია.</p>

<p>დაავადება – პარაზიტი ჭიებით გამონვეული დაავადებები მცენარეებში, ცხოველებსა და ადამიანში; შეამიანი ცხოველების შეამით მოწამელა.</p> <p>ჯანმრთელობა – ჰიგიენური ნესების დაცვა პარაზიტი ჭიებისგან თავდასაცავად, ქცევის უსაფრთხო ნესები შეამიან ცხოველებთან და პირველი დახმარების ნესები.</p>	<p>რა შეგუებულობანი გააჩნიათ თევზებს წყალში ცხოვრებასთან დაკავშირებით?</p>	<p>ასაბუთებს ცხოველთა ბიომრავალ-ფეროვნების დაცვის მნიშვნელობას</p>	<p>ფარმაკოლოგიაში გველის შხამს ძვირადლი-რებული მედიკამენტების დასამზადებლად იყენებენ.</p> <p>ზოგ ქვეყანაში ქვე-ნარმავლების ხორცი საკვებად გამოიყენება. გველები ანადგურებენ მლრწელებს და ამით მარცვლოვნების მო-სავალიანობას ზრდიან. გველის შხამის საწინაღოდ გველები სამკურნალო საშუალებების შექმნამ მრავალი ადამიანის სი-ცოცხლე გადაარჩინა.</p>
<p>მდგრადი განვითარება – ცხოველები დიდ როლს ასრულებენ ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში; ცხოველებს საშიშროებას უპირველესად უქმნის ბუნებრივი საცხოვრებელი გარემოს დაბინძურება და შეცვლა; მათი რიცხოვნების შემცირება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ადამიანის საქმიანობასთან; საჭიროა დაცვის ღონისძიებების გატარება.</p>	<p>რა შეგუებულობები გააჩნია ამფიბიებს სთოლობით? რა განსხვავებაა პირდაპირ და არაპირდაპირ გარდაქმნებს შორის?</p>	<p>მსჯელობს ადამიანისთვის ცხოველებთან ურთიერთობის რისკებზე (ბოლ. საბ. 4,11,12);</p> <ul style="list-style-type: none"> • რა განსხვავებაა პირდაპირ და არაპირდაპირ გარდაქმნებს შორის? 	<p>ჩატარებული კვლევის საფუძველზე მსჯელობს ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფის საარსებო გარემოსთან შეგუებულობების შესახებ (ბოლ. საბ. 1,2,3,4,5,6,7,8,9)</p>
<p>მკვიდრი ნარმოდეგნები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ყველა ცხოველი კვების მიხედვით ჰეტეროტონია; • ცხოველთა სამეფო იყოფა ორ დიდ ჯგუფად – ხერხემლიანებად და უხერხემლოებად; • ხერხემლიანებაში ხუთი კლასია გაერთიანებული: თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები და ძუძუმწოვრები; • თევზები ცხოვრობენ წყალში და მათი აგებულება მოთლიანად წყალში ცხოვრებასთაა მორგებული; ცივსისხლიანი ორგანიზმები არიან; მხოლოდ სქესობრივად მრავლდებან წყალში, ახასიათებთ გარეგანი განაყოფიერება და პირდაპირი განვითარება. • ამფიბიები აგებულებით და ცხოვრების ნირით შეგუებული არიან ორგავარ გარემოში ცხოვრებას; ცივსისხლიანი ორგანიზმები არიან. მხოლოდ სქესობრივად მრავლდებან წყალში, ახასიათებთ გარეგანი განაყოფიერება და არაპირდაპირი განვითარება. • ქვეწარმავლები ტიპური ხმელეთის ორგანიზმებია; არიან ცივსისხლიანები; ახასიათებთ შინაგანი განაყოფიერება და კვერცხის დებით მრავლდებან ხმელეთზე, პირდაპირი განვითარება. 	<p>რა მნიშვნელობა აქვს არაპირდაპირ განვითარებას ორგანიზმების გარემოსთან შეგუებისთვის?</p> <p>• რა თავისებურებები ახასიათებს ადამიანის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიის?</p> <p>• როგორ შეიძლება თავიდან ავირიდოთ ან შევამციროთ „გარდატეხის“ ასაკისთვის დამახასიათებელი ცვლილებებით გამოწვეული რისკები?</p>	<p>ცხოველებზე მიღებული ცოდნას აკავშირებებს პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა) (ბოლ. საბ. 11,12,13).</p>	<p>ფრინველების ხორცსა და კვერცხს მაღალი კვებითი ლირებულება აქვს. ბუმბული მსუბუქ მრეწველობაში გამოიყენება. ამიტომ სელექციონერებს გამოყავთ შინაურ ფრინველთა ახალ-ახალი ჯიშები. ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში ძუძუმწოვრების როლი განუზომლად დიდია, მაგალითად, როგორც ნედლეული მსუბუქი მრეწველობისთვის</p>

<ul style="list-style-type: none"> • ფრინველების დიდი უმრავლესობისთვის დამახასიათებელია ფრენა, არიან თბილ-სისხლიანები; ახასიათებთ შინაგანი განაყოფიერება, მრავლდებიან კვერცხის დებით და ახასიათებთ პირდაპირი განვითარება. • ძუძუმწოვრებს აქვთ ბალნით დაფარული მშრალი კანი; არიან თბილსისხლიანები; ძუძუმწოვრების უმრავლესობა ცოცხალმშობია და ნაშიერს რძით კვებავს. • ადამიანი მიეკუთვნება ძუძუმწოვრებს; ადამიანის სასიცოცხლო ციკლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტადია გარდატეხის ასაკია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები/თავისებურებები. • შესაძლებელია გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი ცვლილებებით გამოწვეული რისკების შემცირება და თავიდან აცილებაც კი. • ნაწლავლუანები გავრცელებულია მტკნარ წყლებსა და ზღვებში; მათ სხეული ორშრიანია, გამნიათ ნაწლავი და საცეცებით შეიარაღებული პირის ხვრელი; არიან ჰერმაფროდიტი ცხოველები. მრავლდებიან სქესობრივად და უსქესოდ; ახასიათებთ მეტამორფოზული განვითარება; • ჭიებში გამოყოფენ ბრტყელ, მრგვალ და რკოლოვან ჭიებს; ჭიებს შორის არიან როგორც თავისუფლად მცხოვრები, ისე პარაზიტი ფორმები; პარაზიტ ჭიებს დიდი ზიანი მოაქვს მასპინძელი ორგანიზმისთვის; • მოლუსკებისათვის დამახასიათებელია რბილი, დაუნაწევრებელი სხეული, რომელიც უმეტეს წილად ნიუკრითაა დაფარული; წყლის ფორმების სუნთქვის ორგანო არის ლაყუჩები, ხოლო ხმელეთის ფორმების – მანტია/„ფილტვები“; ხმელეთის მოლუსკებს განუვითარდათ გრძნობათა ორგანოები. • ფეხსახსრიანთა ტიპში სამი კლასია გაერთიანებული და მათ დასახსრული კიდურები და ქიტინოვანი საფარველი აერთიანებთ; სხეული დანაწევრებულია და სამ ძირითად ნაწილადაა დაჯგუფებული. • ცხოველთა ყველა ჯგუფს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის და ეკოსისტემის მდგრადობისათვის; • ცხოველებთან ურთიერთობის დროს უნდა დავიცვათ პიგიენისა და უსაფრთხოების წესები. • სასიცოცხლო ციკლი ორგანიზმის განვითარების სტადიების/ფაზების ერთობლიობაა; • ცხოველების სასიცოცხლო ციკლი შეიძლება მიმდინარეობდეს პირდაპირი და არაპირდაპირი გარდაქმნის გზით; 		<p>ადამიანისა და შინაური ცხოველების პარაზიტებს კვლევისა და მათთან ბრძოლის დიდი გამოცდილება და ისტორია აქვს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტს, რომელიც 1924 წელს დაარსდა და დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს.</p> <p>საქართველოში უძველესი დროიდან იყენებდნენ წურბელებს სამედიცინო დანიშნულებით. მათ აქტუალობა დღესაც შეინარჩუნეს. მნიშვნელოვანი კვლევები ტარდება წურბელების ფერმენტების და მათი სამკურნალო მნიშვნელობის შესახებ.</p> <p>მოლუსკებს საკვები დანიშნულება აქვს და მარგალიტების და სადაფის მისაღებადაც იყენებენ.</p> <p>ადამიანისთვის სასარგებლო მწერებიდან აღსანიშნავია ფუტკარი, თუთის აბრეშუმხვევა, რომლებსაც დიდი ეკონომიკური მნიშვნელობაც აქვთ და მრავალმხრივი გამოყენებაც. მეაბრეშუმება და მეფუტკერობა საქართველოშიც პოპულარულ დარგებად ითვლებოდა.</p>
--	--	--

სწავლა-სწავლების მტკიცებულებები შეფასებისთვის

- მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი
- კვლევის ანგარიშები (თავკომბალას განვითარების კვლევა აკვარიუმში, თევზების სუნთქვის სიხშირის დამოკიდებულება ტემპერატურაზე, წყალში ჟანგბადის რაოდენობაზე, ფრინველის კვერცხის აგებულების კვლევა, გარემო ფაქტორებზე ჭიაყელას რეაქციაზე დაკვირვება, საველე კვლევა – ფრინველთა, უხერხემლოთა მრავალფეროვნების კვლევა, სოციალური კვლევა – გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი პრობლემები და პრევენცია).
 - განხორციელებული პროექტების ანგარიში (მაგ., თუთის აბრეშუმხვევის მოშენება სკოლაში, ჭიანჭველას ფერმის მოწყობა).
 - გრაფიკული ორგანიზატორი (წრებათა სქემები, კოგნიტური ცხრილები), რომელშიც ორგანიზებულია მონაცემები საცხოვრებელ გარემოსთან ორგანიზმის შეგუების საშუალებების, ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფის აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების შედარების შესახებ და სხვ).
 - ჩატრებული საველე კვლევის საფუძველზე მსჯელობს სხვადასხვა ორგანიზმის გარემოსთან შეგუების შესახებ.
 - მოდელებზე წარმოდგენილ სხვადასხვა ჯგუფის ცხოველის სასიცოცხლო ციკლის მიხედვით განარჩევს პირდაპირ და არაპირდაპირ განვითარებას, მსჯელობს სახეობისათვის არაპირდაპირი განვითარების მნიშვნელობის შესახებ.
 - მოდელებზე წარმოდგენილ სხვადასხვა მწერის სასიცოცხლო ციკლის მიხედვით განარჩევს სრულ და არასრულ მეტამორფოზს;
 - მსჯელობს ბუნებასა და ადამიანისთვის ცხოველების მნიშვნელობის შესახებ;
 - მსჯელობს ცხოველთა ბიომრავალფეროვნების დაცვის აუცილებლობის შესახებ.

- შეფასების ინდიკატორები** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:
- ჩატრარებული კვლევის (შედარებით-ანატომიური, ლუპით დაკვირვება, ან ქცევის კვლევა) საფუძველზე ცხოველთა სხვადასხვა სისტემატიკური ჯგუფის (ნაწლავლრუიანები, ჭიები, მოლუსკები, ფეხსახსრიანები, თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები, ძუძუმწოვრები) ერთმანეთისგან განსხვავება აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების (მაგ., უსქესო, სქესობრივი გამრავლება, სუნთქვა, გაღიზიანებადობა) მიხედვით (ბიოლ. საბ. 1,2,3, 5,6,9,10);
 - ცხოველთა ბიომრავალფეროვენების დაცვის მნიშვნელობის დასაბუთება (IურიN კატეგორიები საქართველოს „წითელი ნუსხა“, ენდემური, რელიქტური, ინგაზიური სახეობები) და ადამიანისთვის ცხოველებთან ურთიერთობის რისკებზე მსჯელობა (ბიოლ. საბ. 4, 10,11,12);
 - ჩატრებული კვლევის საფუძველზე ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფის საარსებო გარემოსთან შეგუებულობების შესახებ მსჯელობა (ბიოლ. საბ. 1,2,3,4,5,6,7,8,9);
 - ცხოველებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიალთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა) (ბიოლ. საბ. 11,12,13).
 - კვლევის საფუძველზე ცხოველებში პირდაპირი და არაპირდაპირი განვითარების განსხვავება (ბიოლ. საბ. 1,2,3, 5,6,9,10);
 - არგუმენტირებულად მსჯელობა ორგანიზმებისათვის განვითარების სტადიების მონაცვლეობის ბიოლოგიურ მნიშვნელობაზე (ბიოლ. საბ. 1,2,3, 5,6,9,10);
 - კვლევის (გამოკითხვა, ან ინტერვიუ ფსიქოლოგთან) საფუძველზე გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელ ცვლილებებსა და შესაძლო რისკებზე მსჯელობა, კვლევის ეთიკის დაცვა (ბიოლ. საბ. 1,2,3,4,5, 6, 7,9);
 - ორგანიზმების სასიცოცხლო ციკლის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, ფსიქოლოგია) (ბიოლ. საბ. 11, 12,13).

სასწავლო გეგმა

- გაკვეთილი 1. ცხოველთა სამეფო. ცხოველთა კლასიფიკაცია
გაკვეთილი 2. თევზის აგებულება, ჩონჩხი
გაკვეთილი 3. თევზების შინაგანი აგებულება
გაკვეთილი 4. თევზების სასიცოცხლო ციკლი. მნიშვნელობა და დაცვა
გაკვეთილი 5. ამფიბიები. ამფიბიების გარეგანი და შინაგანი აგებულებაკვეთილი
გაკვეთილი 6. ამფიბიების სასიცოცხლო ციკლი. მნიშვნელობა და დაცვა
გაკვეთილი 7. ქვეწარმავლები
გაკვეთილი 8. ქვეწარმავლების სასიცოცხლო ციკლი. მნიშვნელობა და დაცვა
გაკვეთილი 9. ფრინველები
გაკვეთილი 10. ფრინველების სასიცოცხლო ციკლი
გაკვეთილი 11. ფრინველების ბიომრავალფეროვნება, მნიშვნელობა და დაცვა
გაკვეთილი 12. ძუძუმწოვრები
გაკვეთილი 13. ძუძუმწოვრების სასიცოცხლო ციკლი
გაკვეთილი 14. ადამიანის სასიცოცხლო ციკლი
გაკვეთილი 15. ძუძუმწოვრების ბიომრავალფეროვნება და მისი დაცვა
გაკვეთილი 16. უხერხემლოები. ნაწლავლრუიანები
გაკვეთილი 17. ჭიები
გაკვეთილი 18. რგოლოვანი ჭიები
გაკვეთილი 19. მოლუსები
გაკვეთილი 20. ფეხსახსრიანები. მწერები
გაკვეთილი 21. ობობასნაირები და კიბოსნაირები
გაკვეთილი 22. ფეხსახსრიანთა მნიშვნელობა

თემის მოკლე მიმოხილვა

მოსწავლის წიგნში თემის ფარგლებში მასალა წარმოდგენილია 22 პარაგრაფით და ეთმობა კიდევ 4 სარეზერვო საათი. სტანდარტთან შედარებით განსხვავებული საათების მიზეზი არის ის, რომ როგორც თემაში – მცენარეები, აქაც ინტეგრირებულია თემა – სასიცოცხლო ციკლი.

ამ თემის ფარგლებში მუშაობა ხდება მოსწავლეებში სტანდარტით განსაზღვრული შემდეგი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე:

• როგორც ხერხემლიანი (თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები და ძუძუმწოვრები), ასევე უხერხემლო (მაგ., მოლუსები, ჭიები, ფეხსახსრიანები) ცხოველები განსხვავდებიან აგებულებისა და ცხოველქმედების პროცესებით;

- ცხოველებს ახასიათებთ როგორც უსქესო, ასევე სქესობრივი გამრავლება;
- ცხოველთა ყველა ჯგუფს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის და ეკოსისტემის მდგრადობისათვის;
- ცხოველებთან ურთიერთობის დროს უნდა დავიცვათ ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესები.
- სასიცოცხლო ციკლი ორგანიზმის განვითარების სტადიების/ფაზების ერთობლიობაა;
- ცხოველების სასიცოცხლო ციკლი შეიძლება მიმდინარეობდეს პირდაპირი და არაპირდაპირი გარდაქმნის გზით;

• ადამიანის სასიცოცხლო ციკლის ერთ-ერთი სტადიისათვის (ე.წ. გარდატეხის ასაკი) დამახასიათებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები/თავისებურებები.

საკვანძო შეკითხვები და კომპლექსური დავალებები

თემა: ცხოველები	
საკვანძო კითხვა	კომპლექსური დავალებები
როგორ განვასხვავ-ოთ ფეხსახსრიანების სხვადასხვა ჯგუფი ერთ-მანეთისგან.	<p>ვიზუალური მასალაზე მოცემული ინფორმაციის ანალიზი და მონაცემების ორგანიზება სქემაში: (გვ. 177, დავალება 1) – იპოვე განსხვავება სურათზე (5.20.1) წარმოდგენილი ცხოველების გარეგან აგებულებაში და მონაცემები შეიტანე ქვემოთ მოცემულ ცხრილში.</p> <p>კვლევა: პეპლების სახეობის განსაზღვრა სარკვევის გამოყენებით (გვ. 178-179).</p> <p>საველე კვლევა: უხერხემლო ცხოველების (ჭიები, მოლუსკები, მწერები, ობობები) ბიომრავალფეროვნების კვლევა (გვ. 181).</p> <p>ვზუალური მასალის განსჯა: – (გვ. 189, დავალება 2) სურათზე წარმოდგენილი ფეხსახსრიანებიდან ამოიცანი მწერებისა და ობობასნაირების წარმომადგენლები. რა ნიშნები გამოიყენე მათ ამოსაცნობად?</p>
რა მნიშვნელობა აქვთ მწერებს ბუნებაში?	<p>მოცემული ინფორმაციის ანალიზი და მონაცემების ორგანიზება სქემაში: გაეცანი პარაგრაფის ტექსტში მოცემულ იფორმაციას და 1) დააჯგუფე ქვემოთ მოცემული ფეხსახსრიანები კვების მიხედვით (მცენარეჭამიები, მტაცებლები, პარაზიტები, დამშლელები) და შეიტანე მონაცემები ცხრილში: კოლორადოს ხოჭო, ბუგრები, კალიები, კოლოები, ლეშიჭამია ხოჭოები, ჭიამაიები, ჭიანჭველები, ფუნაგორია, ფუტკრები, მხედრების მატლები, ობობები, ადამიანის ბალლინჯო, ძალლის ტყიპი, მდინარის კიბო, პეპლები; 2) იმსჯელე თითოეული ჯგუფის მნიშვნელობაზე ბუნებაში (გვ. 185, დავალება 3).</p> <p>მოდელის შექმნა: სკოლაში, მასწავლებლის მეთვალყურეობით შექმნი ჭიანჭველების ფერმა და გამოიყენე იგი ჭიანჭველებზე დასაკვირვებლად (დაკვირვების წარმოების ინსტრუქციას მასწავლებლისგან მიიღებ).</p>
რა მსგავსება-განსხვავებაა ხერხემლიანების სხვადასხვა ჯგუფს შორის?	<p>სიტუაციურ ამოცანაზე მუშაობა: დაწერე წერილი: წარმოიდგინე, რომ შენ ხარ მწვანე ბაყაყი, რომელიც ადაპტირებულია როგორც ხმელეთზე, ისე წყალში ცხოვრებასთან. შენ გყავს მეგობარი თევზი, რომელიც უხლოეს წყალსატევში ცხოვრობს და ოცნებობს შენთან ერთად ხმელეთზე გასეირნებაზე. მისწერე წერილი მეგობარ თევზს და აუხსენი, რა შეგუებულობანი/რა ნიშან-თვისებები დასჭირდება მას თავისი ოცნების განსახორციელებლად. წერილში აუცილებლად ხაზი გაუსვი, თუ თევზს თავისი აგებულების რა თავისებურება შეუშლის ხელს წყალსატევის გარეშე ცხოვრებაში (გვ. 189, დავალება 1).</p> <p>მონაცემების ორგანიზება სქემებში: შეადარე თევზები, ამფიბიები და ქვეწარმავლები; მონაცემები შეიტანე ცხრილში (გვ. 143, დავალება 2); შეავსე ცხრილი შესაბამისი ინფორმაციით, რომ დაადგინო, რატომ და რომელი ხერხემლიანია უკეთ შეგუებული ხმელეთზე ცხოვრებას (გვ. 190, დავალება 1); მოახდინე ხერხემლიანების კლასიფიციაცია კანის თავისებულებების გათვალისწინებით (გვ. 190, დავალება 3).</p>

<p>რა როლს ასრულებენ ცხოველები ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში?</p>	<p>ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაცია: შენი სურვილით ინვაზიური სახ-ეობებიდან – ენოტი და ენოტისებური ძალი – შეარჩიე რომელიმე ერთი და მოიპვე ინფორმაცია მის შესახებ და წარმოადგინე რეფერატის სახით შემდეგი გეგმის მიხედვით: ა) ცხოველის სამშობლო; ბ) ჩვენს ქვეყანაში მოხვედრის ისტორია; გ) ზარალი, რომელიც ამ ცხოველზე მიაყენა საქა-რთველოს ბიომრავალფეროვნებას. შენიშვნა: რეფერატში მიუთითე გამოყ-ენებული წყარო / წყაროები (გვ. 165, დავალება 7); მოიძიე ინფორმაცია თუთის აბრეშუმხვევიასა და აბრეშუმის წარმოებასთან დაკავშირებული ის-ტორის შესახებ. წარმოადგინე რეფერატი. მიუთითე გამოყენებული წყარო (გვ. 185, დავალება 8).</p> <p>სასწავლო ექსკურსია: კლასთან ერთად მასწავლებლის ხელმძღვანელობით ესტუმრე აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმს, შეემდეგ გაკვეთილზე წარ-მოადგინე შენი შთაბეჭდილებები (გვ. 185, დავალება 9).</p> <p>სასწავლო პროექტი: აბრეშუმის ჭია და მეაბრეშუმეობა მასწავლებლის წიგნი, გვ. 45).</p>
<p>რატომ უნდა დავიცვა ცხოველებთან ურთიერ-თობის დროს ჰიგიენი-სა და უსაფრთხოების წესები?</p>	<p>ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაცია: ჯგუფის წევრებთან ერთად შეადგინე პარაზიტი ჭიებისგან დაცვის ჰიგიენური წესების ჩამონათვალი (გვ. 171, დავალება 32).</p> <p>მონაცემების ორგანიზება სქემებში: ახსენი, ცხრილში აღნიშერილმა ადა-მიანის არასწორმა ქმედებამ რომელი პარაზიტი ჭიებით დასწრებოვნების საფრთხე შეიძლება შექმნას (გვ. 190, დავალება 2).</p>
<p>რა განსხვავებაა პირდა-პირ და არაპირდაპირ გარდაქმნებს შორის?</p>	<p>მონაცემების ორგანიზება სქემებში: შეადარე თევზები, ამფიბიები და ქვეწარმავლები; მონაცემები შეიტანე ცხრილში (გვ. 143, დავალება 2);</p>
<p>რა მნიშვნელობა აქვს არაპირდაპირ განვი-თარებას ორგანიზმების გარემოსთან შეგუებისთვის?</p>	<p>სქემატურ მოდელზე მუშაობა: ბაყაყის სასიცოცხლო ციკლი – 1. სურა-თზე (5.6.2) მოცუმული ბაყაყის სასიცოცხლო ციკლის მიხედვით – აღ-ნიშერე, თავკომბალა როგორ გარდაიქმნება ზრდასრულ ინდივიდად. 2. შეავსე სქემა: ნიშნები, რომელიც თავკომბალას ეხმარება წყალში ცხ-ოვრებაში, ცვლილებები თავკომბალაში, რომელიც ეხმარება ზრდასრულ ფორმას ხმელეთზე ცხოვრებაში. 3. როგორი ტიპის პოსტემბრიონული განვითარებაა დამახასიათებელი ამფიბიისთვის? რა მნიშვნელობა აქვს განვითარების ამ ტიპს სახეობის გადარჩენისთვის? 4. რა მსგავსება და განსხვავებაა თევზებისა და ამფიბიების სასიცოცხლო ციკლს შორის? (გვ. 134).</p> <p>დაკვირვება: დაკვირვება თავკომბალას განვითარებაზე.(გვ. 137)</p>
<p>რა თავისებურებები ახასიათებს ადამიანის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიას?</p>	<p>სქემატურ მოდელზე მუშაობა: ადამიანის სასიცოცხლო ციკლი – სურა-თი 5.14.1-ზე წარმოდგენილი სქემის მიხედვით აღნიშერე ადამიანის სა-სიცოცხლო ციკლი. დახასიათე პოსტემბრიონული განვითარების თი-თოებული პერიოდი. 2. რა ბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს განვითარების სტადიების მონაცემებას?</p>

<p>როგორ შეიძლება თავიდან ავირიდოთ ან შევამციროთ „გარდატეხ- ის“ ასაკისათვის დამახას- იათებელი ცვლილებებით გამოწვეული რისკები?</p>	<p>სოციალური კვლევა</p> <p>გამოკითხვა: ჯგუფთან ერთად ჩაატარე კვლევა უფროსი ასაკის ადამიანებში, რათა გაიგო, თავის დროზე როგორ გაუმკლავდნენ ისინი გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელ პრობლემებს. ამისათვის ჩამოაყალიბე საკვ- ლევი კითხვა, შეადგინე კითხვარი და აწარმოე გამოკითხვა (ანონიმური).</p> <p>ინტერვიუ: ამ საკითხებთან დაკავშირებით აიღე ინტერვიუ სკოლის ფსი- ქოლოგისგან (გვ. 162).</p> <p>ანიმაციურ ფილმში მოცემული ინფორმაციის ანალიზი:</p> <p>https://www.youtube.com/watch?v=q_03sfLD5uQ&feature=youtu.be</p> <p>(მასწავლებლის წიგნი, გვ.)</p>
--	---

გაკვეთილის პროცესში მოსწავლების აქტიურად ჩასართავად სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია ილუსტრაციებზე, სქემებზე, კვლევებზე, ტექსტებზე მუშაობის აქტივობები. აქტიური ჩართვის გარდა, ასეთი აქტივობები განუვითარებს მოსწავლეებს კითხვის, წერისა და ზეპირი მეტყველების უნარებს.

უნდა ავლნიშნოთ, რომ დაწვრილებით არ განიხილება ცხოველებში ისეთი ორგანოთა სისტემების აგებულება და ფუნქციონირება, როგორიცაა: სისხლისა და სუნთქვის, ნერვული სისტემა, რადგან შემდეგ კლასებში წარმოდგენილი იქნება ამ სისტემების ევოლუციური განვითარება (რასაკვირველია, სტანდარტიდან გამომდინარე).

ყურადღება მისაქცევია, რომ მოსწავლეებს სწორი და მკვიდრი წარმოდგენა ჩამოვუყალიბოთ პირდაპირი და არაპირდაპირი ანუ მეტამორფოზული განვითარების, სრული და არსსრული მეტა-მორფოზის შესახებ. გავრცელებული არასწორი წარმოდგენაა, როდესაც საუბრობენ ბაყაყის სრულ თუ არასრულ მეტამორფოზულ განვითარებაზე. სრული და არასრული მეტემორფოზი გვხდება მწერებში. ზოგადად, ამფიბიებისთვის დამახასიათებელია არაპირდაპირი ანუ მეტამორფოზული განვითარება. მნიშვნელოვანია აქცენტის გაკეთება იმაზე, რომ არაპირდაპირი განვითარება სახეობას გადარჩენის მეტ შანსს აძლევს.

რაც შეეხება საკითხებს: ცხოველების მნიშვნელობას ბუნებასა და ადამიანის საქმიანობაში, კავ-შირი მეცნიერებასა და ტექნოლოგიას შორის, ბიომრავალფეროვნებას და მის დაცვას, მოცემულია ცხოველის თითოეული ჯგუფის განხილვის დროს.

დამატებითი აქტივობა: თევზის სუნთქვის ინტესივობაზე დაკვირვება

თევზის სუნთქვის ინტესივობაზე დაკვირვება შესაძლებელია აკვარიუმის თევზის ლაყუჩინის სახურავის გაღება-დაკეტვაზე დაკვირვებით. ამისთვის საჭიროა დავითვალოთ წუთში რამდენჯერ გაიხსნება ლაყუჩინის სახურავი, რათა გამოდევნოს წყლის ნაკადი. ეს ერთგვარი „ამოსუნთქვაა“ თევზისთვის და რიტმულად მიმდინარეობს. ლაყუჩინის სარქველის გაღების სიხშირე დამოკიდებულია წყლის ტემპერატურაზე, წყალში ჟანგბადის კონცენტრაციაზე და თევზის აქტიურობაზე. ასე, რომ შესაძლებელია ამ პარამეტრების (ტემპერატურის ან ჟანგბადის კონცენტრაციის) ცვლილებით გამოვიყვლიოთ თევზის სუნთქვის ინტესივობა.

კვლევაზე ორიენტირებული გაკვეთილის გეგმა

<p>თემის სახელწოდება: თევზები</p> <p>გაკვეთილის სახელწოდება: თევზების შინაგანი აგებულება.</p> <p>თევზების სუნთქვა (2 გაკვეთილი)</p>	
<p>გაკვეთილის სასწავლო მიზანი: ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები</p> <p>ცოდნა: მოსწავლეს ეცოდინება თევზის შინაგანი აგებულება, სუნთქვა და მისი განხორციელებისთვის აუცილებელი პირობები</p> <p>უნარები: მოსწავლეს გამოუმუშავდება მეცნიერული კვლევა-ძიების უნარები: მონაცემთა მოგროვება და ანალიზი მათემატიკური აპარატის გამოყენებით, რომლის საფუძველზეც გამოიტანს დასკვნას.</p> <p>დამოკიდებულებები: მოსწავლეს ჩამოუყალიბდება ინტერესი მეცნიერული კვლევის მიმართ; ჩამოუყალიბდება პოზიტიური განწყობა და ინტერესი საგნის მიმართ.</p>	<p>კავშირი საგნობრივ სტანდარტთან: სამიზნე ცნებები: სტრუქტურა (ლაყუჩინი, ლაყუჩინის სახურავი), ფუნქცია (ლაყუჩინის ფუნქცია), სასიცოცხლო თვისება (სუნთქვა), კვლევის მეთოდი – სამეცნიერო მეთოდი, კვლევა (სუნთქვის სიხშირის გარემო ფაქტორებზე დამოკიდებულების კვლევა), შეგუებულობა (თევზის სუნთქვის შეგუებულობა წყალში ცხოვრებასთან).</p> <p>შეფასების ინდიკატორები:</p> <p>ბიოლ. საპ. 5. ბიოლოგიური ობიექტების/პროცესების შესწოლის მიზნით კვლევის დაგეგმვა;</p> <p>ბიოლ. საპ. 6. ბიოლოგიური ობიექტების/პროცესების კვლევისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება;</p> <p>ბიოლ. საპ. 7. თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა ფორმით ჩაწერა და ორგანიზება; მონაცემების ორგანიზებისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;</p> <p>ბიოლ. საპ. 8. მონაცემების გაანალიზება და არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა;</p> <p>ბიოლ. საპ. 10. კვლევის ჩატარებისას უსაფრთხოების წესების დაცვა;</p>
<p>წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები</p> <p>სამეცნიერო მეთოდის ელემენტების ცოდნა ლაბორატორიაში ქცევის და კვლევის ჩატარებისას უსაფრთხოების წესების ცოდნა.</p> <p>თევზების ზოგადი დახასიათების და გარეგანი აგებულების ცოდნა – თევზის სხეულის ფორმისა და გარეგანი აგებულების შეგუებულობა წყალში ცხოვრებასთან დაკავშირებით.</p>	<p>სასწავლო მასალა და რესურსები</p> <p>სახელმძღვანელო, რვეული, კალამი, აკვარიუმი თევზით, წამმზომი, აკვარიუმის წყლის გამათბობელი, აკვარიუმის წყლის ჟანგბადით გამამდიდრებელი მოწყობილობა ...</p>
<p>მოტივაცია</p> <p>თევზების მრავალფეროვნების საილუსტრაციოდ ფოტოები და მოკლე ვიდეო-კოლაჟი.</p> <p>კითხვები:</p> <p>წყალში ცხოვრება მოითხოვს თუ არა თევზის შინაგანი აგებულების და სასიცოცხლო პროცესების მორგება-შეგუებას ამ სასიცოცხლო გარემოსთან?</p> <p>როგორ სუნთქვას თევზი წყალში და რაზეა დამოკიდებული სუნთქვითი მოძრაობის (ლაყუჩინის სახურავის გახსნა-დასურვა) ინტესივობა?</p> <p>რა უნდა გავაკეთოთ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად? (სავარაუდო პასუხი იქნება დავაკვირდეთ თევზს აკვარიუმში და ვნახოთ).</p>	

გაკვეთილის მსალელობა

I გაკვეთილი:

აქტივობა 1. ვიდეო-კოლაჟს „თევზების მრავალფეროვნება“ ჩვენება (5 წუთი)

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებში მოტივაციის აღძვრა, ყურადღების კონცენტრირება.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი პროექტორით აჩვენებს თევზების მრავალფეროვნებას და მოსწავლეებს თხოვს დააკვირდნენ მათ მოძრაობას, სხეულის ნაწილებისა და ლაყუჩინების მოძრაობას.

აქტივობა 2. გვ. 125 ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაციის ანალიზი (12 წთ)

აქტივობის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს მსჯელობა თევზის შინაგანი აგებულების შესახებ, ამოიცნოს და დაასახელოს ა) საჭმლის მომნელებელი, ბ) გამომყოფი, გ) სასუნთქი სისტემის, დ) გამრავლების ორგანოები

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს გაეცნონ ილუსტრაციაზე თევზების შინაგან აგებულებას და უპასუხონ კითხვებს გვ. 125

აქტივობა 3. კვლევის პროცედურა (28 წთ)

აქტივობის მიზანი: მოსწავლემ განახორციელოს კვლევითი პროცედურა, გააკეთოს გაზომვები და აღრიცხოს მონაცემები, გამოიტანოს დასკვნა, უპასუხოს საკვლევ კითხვას – როგორ არის თევზის სუნთქვის ინტესივობა დამოკიდებული წყლის ტემპერატურაზე და მასში უანგბადის შემცველობაზე.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი სვამს კითხვას: **როგორ სუნთქვას თევზი წყალში და რაზეა დამოკიდებული სუნთქვითი მოძრაობის (ლაყუჩის სახურავის გახსნა-დახურვა) ინტენსივობა?**

რა უნდა გავაკეთოთ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად? (სავარაუდო პასუხი იქნება დავაკვირდეთ თევზს აკვარიუმში და ვნახოთ)

მასწავლებელი იძლევა ინსტრუქციას, აზუსტებს დავალებას: კვლევითი აქტივობის ჩატარება, რომელიც გამოიკვლევს თევზის სუნთქვის პროცესს და მის დამოკიდებულებას:

1) სხვადასხვა ტემპერატურაზე

2) სხვადასხვა უანგბადის კონცენტრაციისას

მასწავლებელი თხოვს ჯგუფებს შეჯერდნენ საკვლევ კითხვაზე, რათა შეძლონ დავალების შესრულება. ჯგუფები იწყებენ მუშაობას. თანხმდებიან საკვლევ კითხვაზე, გეგმავენ კვლევას. წამზომის საშუალებით ჯგუფის წევრები იღებენ აზომვებს და ინიშნავენ მონაცემებს ორივე შემთხვევისთვის,

1) როცა ტემპერატურა იცვლება და უანგბადის კონცენტრაცია მუდმივია;“

2) როცა ტემპერატურა მუდმივია და უანგბადის რაოდენობა იცვლება უანგბადით გამამიდრებელი მოწყობილობით.

მასწავლებელი აკვირდება ჯგუფების მუშაობას „ჩანაწერების დაფაზე“ ინიშნავს საჭირო ინ-
ფორმაციას (შეფასებისთვის)

მასწავლებელი აჯამებს | გაკვეთილს და ამზადებს კლასს || გაკვეთილისთვის. (2 ნო)

II გაკვეთილი:

აქტივობა 1 (4). მონაცემთა დამუშავება და ანალიზი. დასკვნის გამოტანა (10 ნო)

აქტივობის მიზანი: მოსწავლემ დამუშაოს გააანალიზოს და შეაფასოს კვლევის გზით მიღებული
მონაცემები, მათზე დაფუძნებით გამოიტანოს ობიექტური დასკვნა.

აქტივობის აღწერა: მოსწავლეები აკეთებენ მონაცემების შედარებას, საჭირო გამოთვლებს, აან-
ალიზებენ მონაცემებს ჯგუფში და გამოაქვთ დასკვნები.

აქტივობა 2 (5). ნამუშევრების პრეზენტაციები (10 ნო)

აქტივობის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს საკუთარი დასკვნის/მოსაზრების არგუმენტაცია (არგუ-
მენტირებული მსჯელობა)

აქტივობის აღწერა: ჯგუფის პრეზენტაციონები წარმოადგენენ მიღებულ დასკვნებს, აკეთებენ
მათ ინტერპრეტაციას

შენიშვნა: მასწავლებელმა აუცილებლად ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ტემპერატურის გაზრდით
აირების ხსნადობა წყალში მცირდება, თბილ წყალში ჟანგბადის რაოდენობა ნაკლებია.

აქტივობა 3 (6). დისკუსია (10 ნო)

აქტივობის მიზანი: სამეცნიერო მეთოდების ძირითადი პრინციპების და მახასიათებლების გააზ-
რება

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:

- გაიხსენეთ შესრულებული სამუშაოს თანმიმდევრობა, როგორ განსაზღვრეთ კვლევის მიზანი, რო-
გორ დაისვა საკვლევი კითხვა და შემდგომი რა ეტაპები გაიარეთ?
- რომელი იყო დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები პირველ ექსპერიმენტში? მეორე ექს-
პერიმენტში?
- როგორ ფიქრობთ, იმისთვის რომ ექსპერიმენტის შედეგები იყოს სარწმუნო, რა აუცილებელი
პირობების დაცვაა საჭირო? (მასწავლებელმა უნდა მიიყვანოს მოსწავლეები პასუხამდე, რომ ექს-
პერიმენტის დროს მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი ცვლადი უნდა იყოს (ანუ რომელსაც ექსპერ-
იმენტატორი ცვლის) და სხვა ცველა პირობა უცვლელი. ასევე, ექსპერიმენტი მრავალჯერ უნდა
განმეორდეს და შედეგები მაქსიმალურად უნდა იყოს ერთმანეთთან მიახლოებული).

სადისკუსიო კითხვები სახელმძღვანელოში გვ. 126 (5-9):

მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და აძლევს მოსწავლეებს: (8 ნო)

- „გასასვლელ ბილეთებს“: შეაფასეთ თქვენ მიერ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა „გასასვლელი
ბარათის“ საშუალებით: დაწერეთ ბარათზე ერთი რამ, რაც სრულად გავიგებ გაკვეთილზე და ერთი
რამ, რაზეც მეტი მინდა ვიცოდე/ ბუნდოვანია;

საშინაო დავალებას: (2 ნო)

თეორიული მასალის განმტკიცება სახელმძღვანელოდან, შესრულებული კვლევითი აქტივობის ან-
გარიშის გაფორმება კვლევითი სამუშაოს შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

ჯგუფის მუშაობის შეფასება

- დაკვირვება ჯგუფურ მუშაობაზე – „ჩანაწერების დაფა“;
- ჯგუფის წევრების თვითშეფასება და ურთიერთშეფასება;
- დაკვირვება ჯგუფურ დისკუსიზე;
- „გასასვლელი ბილეთები“.

გაკვეთილის გეგმა

თემა: ფრინველები წ5.9

კავშირი ეროვნული გეგმის სტანდარტთან:

პიოლ. საბ. 1. ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე მყოფი ცოცხალი სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციის დახასიათება;

პიოლ. საბ. 2. ორგანიზმების საერთო სასიცოცხლო თვისებების დახასიათება და მათში მიმდინარე ენერგიისა და ნივთიერებების გარდაქმნებზე არგუმენტირებული მსჯელობა

სასწავლო მიზანი: მოსწავლემ შეძლოს სახელმძღვანელოში წ5.9 ტექსტის დამოუკიდებლად გაანალიზება და შეადაროს ერთმანეთს ფრინველის და ქვეწარმავლის გარეგანი და შინაგანი აგებულება;

ახსნას ფრინველების თბილსისხლიანობის ერთ-ერთი მიზეზი;

არგუმენტირებულად დაასაბუთოს ფრინველი მაღალორგანიზებულობა ქვეწარმავლებთან შედარებით;

ჩამოთვალის ფრინველთა ფრენასთან შეგუებულობის ნიშნები;

იმსჯელოს ფრინველთა მნიშვნელობაზე ბუნებასა და ადამინისტრივის

წინარე ცოდნა და გამოცდილება:

ქვეწარმავლების, ამფიბიების და თევზების გარეგანი და შინაგანი აგებულება;

ფლობენ იმ მეთოდებსა და სტრატეგიებს, რომელსაც მასწავლებელი იყენებს გაკვეთილებები;

საგანმანათლებლო რესურსები: მოსწავლის წიგნი, წებოვანი ლენტი, დავალების ინსტრუქცია, მარკერები, თაბახის ფურცლები.

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კლასში შემოსვლისთანავე ყუთიდან იღებენ ჯგუფის ნომრებს და სხდებიან შესაბამის მაგიდებთან

I. შესავალი (გამოწვევის ფაზა)

აქტივობა 1. მეთოდი – „გონებრივი იერიში“ დრო – 5 წთ.

მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა – მთელ კლასთან მუშაობა.

აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი ამბობს: დაასახელეთ თქვენთვის ნაცნობი ყველა ის ნიშანი რაც გაგახსენდებათ ფრინველების ხსენებისას. მოსწავლეები რიგ-რიგობით ასახელებენ ნიშნებს, რომელთაც მასწავლებელი წერს ფლიფრიარტზე. მოგვიანებით მოხდება მისი ჩასწორება-შევსება.

II. ძირითადი ნაწილი (სიღრმისეული წვდომის ფაზა)

აქტივობა 2. ტექსტის გააზრება დრო: 20 წთ

მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა: ჯგუფური

მასწავლებელს წინასწარ აქვს მომზადებული დაფა, რომელზეც 6 სვეტია გამოყოფილი და თითოეულს აწერია: აღწერეთ, შეადარეთ, გამოიყენეთ, გააანალიზეთ, დაიცავით თქვენი მოსაზრება, შეაფასეთ.

მასწავლებელი ჯგუფებში არიგებს თაბახის ფურცლებს მასზე მოცემული ინსტრუქციით:

ინსტრუქცია ჯგუფური სამუშაოსთვის:

- 1) გაეცანით სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს „ფრინველები“ წ5.9 და ჯგუფში მოამზადეთ პასუხები შემდეგ კითხვებზე:
 1. **აღნერეთ:** ფრინველების გარეგანი აგებულება (გვ. 144)
 2. **შეადარეთ:** ფრინველის სუნთქვა ქვენარმავლის სუნთქვას (გვ. 145 -139)
 3. **გამოიყენეთ** სახელმძღვანელოს ტექსტი, სქემები, სურათები და მოიყვანეთ ფრენასთან შეგუებულობის მაგალითები (გვ. 144-145-146)
 4. **შეაფასეთ** ბუმბულის, „ორმაგი სუნთქვის“ და კარგად განვითარებული სისხლის მიმოქცევის სისტემის როლი ფრინველების მუდმივი ტემპერატურის შენარჩუნებაში
 5. **გაანალიზეთ:** როგორ შეძლეს ფრინველებმა არქტიკიდან ანტარქტიდამდე დედამიწის „დაპყრობა“ (შეუძლიათ ძალიან განსხვავებულ კლიმატურ პირობებში ცხოვრება) და უკავშირდება თუ არა ეს კვებასაც (როთი იკვებებიან ფრინველები?).
 6. **დაიცავით თქვენი მოსაზრება** იმის შესახებ, რომ ფრინველები უფრო მაღალორგანიზებული არსებებია, ვიდრე ქვენარმავლები.
 - 2) მომზადებული პასუხები დაწერეთ თაბახის ფურცლებზე ცალ-ცალკე და მიაკარით დაფაზე შესაბამის სვეტში

მოსწავლეების სამუშაო პროცესს მასწავლებელი აქტიურად ადევნებს თვალს და „ჩანაწერების დაფაზე“ აკეთებს ჩანიშვნებს. („ჩანაწერების დაფა“ ნარმოადგენს ერთ-ერთ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს. ეს შესაძლოა იყოს თუნდაც წიგნაკი, რომელშიც მასწავლებელი ინიშნავს ჯგუფების მუშაობის შესახებ ინფორმაციებს, თუ რა მიგნებები ჰქონდათ, რა გაუჭირდათ, როგორ იმუშავეს. ეს მასწავლებელს დაეხმარება საკუთარი საქმიანობის რეფლექსიაში, მომავალი გაკვეთოლის დაგეგმვაშიც და მოსწავლეებისთვის საჭირო უკუკავშირის მიცემაშიც). საჭიროების შემთხვევაში ეხმარება ჯგუფებს. დახმარების სათხოვნელად მოსწავლეები აქტიურად იყენებენ „შუნიშნის“ წითელ ფურცლებს.

აქტივობა 3. დისკუსია დრო: 15 წთ

სამუშაოსთვის დროის ამონტურვის შემდეგ, მასწავლებელი „გამოსაძახებელი ჩხირებით“ იხმობს მოსწავლეს, რომელიც თავისი ჯგუფის შესაბამისი კითხვის პასუხს წაიკითხავს და დისკუსიაში გამოიწვევს საწინააღმდეგო აზრის მქონე ჯგუფს, რომელმაც უნდა დაიცვას საკუთარი პოზიცია არგუმენტებით. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი დამხმარე კითხვების საშუალებით მიიყვანს მოსწავლეებს სწორ პოზიციამდე.

III. გაკვეთილის შეჯამება

აქტივობა 4. შემაჯამებლი მინი-პრეზენტაცია დრო: 5 წთ

მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა: მთელ კლასთან მუშაობა

მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს. ინტერაქტიური პრეზენტაციით. შეუძლია პუნქტებად გამოიტანოს მთავარი თემისები (სასურველია ეს პროექტორით PPT-თი გამოიტანოს სლაიდებად):

ფრინველების გარეგანი აგებულება: მშრალი კანი, ბუმბული, ფრთები, ნისკარტი

შინაგანი აგებულება: მსუბუქი პნევმატური ჩონჩხი, მკერდის ძლიერი კუნთები, კარგად განვითარებული ფილტვები და საჰაერო პარკები, „ორმაგი სუნთქვა“, კარგად განვითარებული სისხლის მომოქცევის სისტემა

ფრენასთან დაკავშირებული ნიშნები: სხეულის მაქსიმალური სიმსუბუქე, რაც განპირობებულია:

მსუბუქი, ღრუიანი ძვლებით

სხეულის ფორმით – მცირე ზომის თავი, წაწეტებული ნისკარტი

ფრთების არსებობით,

ძლიერი მკერდის კუნთებით,
საპარკო პარკების არსებობით და „ორმაგი სუნთქვის“ შესაძლებლობით,
მოკლე ნაწლავის და ნარჩენების ხშირ-ხშირი გამოყოფით,
შარდის ბუშტის არ არსებობით.

საშიანაო დავალება: წ5.9 მოსწავლეებმა შეასრულონ დავალება გვ. 146 „?“ 3 – ცხრილის შევსება

გაკვეთილის გეგმა

თემა: ადამიანის სასიცოცხლო ციკლის თავისებურებანი. გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი ცვლილებები

გაკვეთილის სასწავლო მიზნები: მოსწავლეები –

- აღწერენ ადამიანის სასიცოცხლო ციკლის თავისებურებებს;
- არგუმენტირებულად მსჯელობენ ადამიანის განვითარების სტადიების მონაცვლეობის ბიოლოგიურ მნიშვნელობაზე;
- აღწერენ გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელ ცვლილებებს.

წინარე ცოდნა და გამოცდილება:

• იცის: სასიცოცხლო ციკლის არსი, პოსტემბრიონული განვითარების ფორმები (პირდაპირი და არაპირდაპირი განვითარება);

• **შეუძლია:** ილუსტრაციებზე სხვადასხვა ორგანიზმთა განვითარების ფორმისა და ეტაპების ამოცნობა, მსჯელობა სახეობისათვის მეტამორფოზული განვითარების მნიშვნელობის შესახებ.

კავშირი საგნობრივ სტანდარტთან:

სამიზნე ცნებები: სასიცოცხლო თვისებები (ზრდა-განვითარება: ემბრიონული და პოსტემბრიონული განვითარება, პირდაპირი და არაპირდაპირი განვითარება, პოსტემბრიონული განვითარების ეტაპები, გამრავლება: სქესობრივი და უსქესო გამრავლება).

მკვიდრი წარმოდგენები: ადამიანის სასიცოცხლო ციკლის ერთ-ერთი სტადიისათვის (ე.წ. გარდატეხის ასაკი) დამახასიათებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები/თავისებურებები.

საკვანძო შეკითხვა:

• რა თავისებურებები ახასიათებს ადამიანის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა სტადიას?

შეფასების ინდიკატორი: მოსწავლემ უნდა შეძლოს –

• არგუმენტირებულად მსჯელობა ორგანიზმებისათვის განვითარების სტადიების მონაცვლეობის ბიოლოგიურ მნიშვნელობაზე (ბიოლ. საბ. 1, 2, 3, 5, 6, 9, 10);

რეაურსები: მარკერები, ფლიპჩარტები, სამუშაო ფურცლები, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი, პროექტორი.

გაკვეთილის მსვლელობა

I. **შესავალი (გამოწვევის ფაზა):**

აქტივობა1: სხვადასხვა ორგანიზმის სასიცოცხლო ციკლის ილუსტრაციებზე მუშაობა.

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები სხვადასხვა ორგანიზმის სასიცოცხლო ციკლის ილუსტრაციებზე ამოიცნობენ განვითარების სტადიებსა და პოსტემბრიონული განვითარების ტიპს; მსჯელობენ სახეობისათვის მეტამორფოზული განვითარების მნიშვნელობის შესახებ.

დრო – 7 წთ. მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა – საერთო საკლასო.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი სვამს კითხვას: რა არის სასიცოცხლო ციკლი? სასიცოცხლო ციკლი რამდენი ეტებისგან შედგება? დაასახელეთ პოსტემბრიონული განვითარების ტიპები. შემდეგ მასწავლებელი ეკრანზე უჩვენებს სხვადასხვა ორგანიზმის სასიცოცხლო ციკლის ამსახველ ილუსტრა-

ციებს. მოსწავლეები ილუსტრაციებზე ამოიცნობენ განვითარების სტადიებსა და პოსტემბრიონული განვითარების ტიპებს. მსჯელობენ მეტამორფოზული განვითარების ბიოლოგიურ მნიშვნელობაზე.

II. ძირითადი ნაწილი (სილრმისეული წვდომის ფაზა):

აქტივობა 2: სახელმძღვანელოს ტექსტსა და ილუსტრაციაზე მუშაობა

აქტივობის მიზანი: მოსწავლე სამეცნიერო ტექსტსა და ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ასახელებს და აღწერს ადამიანის სასიცოცხლო ციკლის სტადიებს, მსჯელობს განვითარების სტადიების მონაცემლების ბიოლოგიურ მნიშვნელობაზე.

დრო – 15 წთ. მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა – მუშაობა ჯგუფებში.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს ჯგუფებში ავალებს გაეცნონ სახელმძღვანელოს ტექსტსა (გვ.160) და სურათზე (სურ. 5.14.1) მოცემულ ინფორმაციას ადამიანის სასიცოცხლო ციკლის შესახებ. შემთხვევითობის პრინციპით ჯგუფები პასუხობენ კითხვებს: 1) რა სტადიებისგან შედგება ადამიანის სასიცოცხლო ციკლი? 2) არის თუ არა მყაფიო განსხვავება ადამიანის სასიცოცხლო ციკლის პერიოდებს შორის? მოიყვანე კონკრეტული მაგალითი. 3) რა ბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს ადამიანის სასიცოცხლო ციკლის სტადიების მონაცემლებას?

აქტივობა 3: ანიმაციურ ფილმში მოცემული ინფორმაციის ანალიზი (https://www.youtube.com/watch?v=q_03sfLD5uQ&t=184s)

დრო – 10 წთ. მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა – ჯგუფური მუშაობა.

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები ასახელებენ ანიმაციური ფილმის მიხედვით გარდატეხის ასაკი-სათვის დამახასიათებელ ნიშნებს/ცვლილებებს; მსჯელობენ მშობლისა და მასწავლებლის როლზე, რათა უფრო მომზადებულები შეხვდნენ მოზარდები გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელ ცვლილებებს.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი სვამს კითხვებს: 1) თქვენი ასაკიდან გამომდინარე, ადამიანის სასიცოცხლო ციკლის რომელ სტადიაზე იმყოფებით ამ ეტაპზე? 2) როგორ ფიქრობთ, რა ცვლილებები ხდება მოზარდებში ამ სტადიაზე? (მასწავლებელი ან მოსწავლე დაფაზე წერს მოსწავლეთა მოსაზრებებს). შემდეგ მასწავლებელი ანიმაციური ფილმის დემონსტრირებას ახდენს ორ ნაწილად: ფილმში მასწავლებლის გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი ცვლილებების შესახებ მინი-ლექციამდე და მის შემდეგ. მასწავლებელი ფილმის ჩვენებამდე მოსწავლეებს აცნობს კითხვებს, რომელზედაც მოუწევთ პასუხის გაცემა ფილმის ნახვის შემდეგ.

დავალების კითხვები:

1. გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი რა ნიშნები შეინიშნება ფილმში გოგონებსა და ვაჟებში?
2. როგორ ხვდებიან ამ ცვლილებებს ბავშვები?
3. როგორ ფიქრობთ, მომზადებული შეხვდნენ ამ ცვლილებებს ბავშვები?
4. როგორ აუხსნა მასწავლებელმა იმ ცვლილებების მიზეზები, რომელიც ხდება ამ ასაკში?
5. როგორ დაეხმარება მასწავლებლის საუბარი მოზარდებს გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი ცვლილებებით გამოწვეული შფოთვის შემცირებაში?
6. იმსჯელეთ ჯგუფში, რა როლი აქვს მშობელს, მასწავლებელს, რათა უფრო მომზადებული შეხვდეს მოზარდი ამ საკისათვის დამახასიათებელ ცვლილებებს.

III. შემაჯამებელი ნაწილი:

აქტივობა 4: გარდატეხის ასაკის სპეციფიური მახასიათებლების კლასიფიკაცია.

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები ჩამონათვალში ამოიცნობენ გარდატეხის ასაკის სპეციფიურ მახასიათებლებს და აჯგუფებენ მათ ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური კრიტერიუმის მიხედვით.

დრო – 10 წთ. მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა – ჯგუფებში მუშაობა.

აქტივობის აღწერა: ჯგუფებს ურიგდება სამუშაო ფურცელი 1.1-ს, რომლის მიხედვითაც ასრულებენ დავალებას: ცხრილში – а) მონიშნე გარდატეხის ასაკის სპეციფიური მახასიათებლები; б) დააჯგუფება გარდატეხის ასაკის სპეციფიური მახასიათებლები ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური კრიტერიუმის მიხედვით.

საშინაო დავალება: ჯგუფთან ერთად ჩაატარე კვლევა უფროსი ასაკის ადამიანებში/ შენი სკოლის მე-11 -12 კლასის მოსწავლეებში, რათა გაიგო, თავის დროზე გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი რა პრობლემები შეხვდათ და როგორ გაუმკლავდნენ ისინი ამ პრობლემებს. ამისათვის ჩამოაყალიბე საკულევი კითხვა, შეადგინე კითხვარი და აწარმოე გამოკითხვა (ანონიმური). შემდეგი გაკვეთილისთვის წარმოადგინეთ კვლევის ანგარიში.

სამუშაო ფურცელი 1

მახასიათებლები	გარდატეხის ასაკის მახასიათებლები	ჩემი მახასიათებელი		
		ბიოლ.	ფსიქოლ.	სოც.
1. ხშირი თავის ტკივილი				
2. ხშირი გულის ცემა/პულსი				
3. აკნე				
4. ოფლიანობა				
5. მაღალი არტერიული წნევა				
6. სისუსტე				
7. შოკოლადის სიყვარული				
8. მოჭარბებული ინტერესი საწინააღმდეგო სქესის მიმართ				
9. მოჭარბებული ემოციურობა				
10. გაზრდილი აგრესიულობა				
11. ურთიერთგამომრიცხავი ქცევა				
12. გაძლიერებული სიზარმაცე				
13. ხილითა და ბოსტნეულით იშვიათი კვება				
14. სარისკო მოქმედებების მიმართ მიღრეკილება				
15. მშობლების და უფროსების მიმართ ხაზგასმული დამოუკიდებლობა				
16. სპორტით დაკავება				
17. უსიამოვნებები მშობლებთან (ვერ მიგებენ)				

18. უსიამოვნება უფროსებთან (მაგ., მასწავლებლებთან)			
19. უსიამოვნება თანატოლებთან			
20. მუსიკით გატაცება			

გაკვეთილის გეგმა

თემა: გარდატეხის ასაკთან დაკავშირებული რისკები და მისი თავიდან აცილების გზები

გაკვეთილის სასწავლო მიზნები: მოსწავლეები ჩატარებული კვლევის საფუძველზე –

- ასახელებენ გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი ცვლილებებით გამოწვეულ რისკებს;
- მსჯელობენ გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი ცვლილებებით გამოწვეული რისკების თავიდან აცილების ან შემცირების გზებზე;
- გარდატეხის ასაკის ცვლილებების შესახებ ცოდნას აკავშირებს ჯანმრთელობის დაცვასთან, მედიცინასა და ფსიქოლოგიასთან.

წინარე ცოდნა და გამოცდილება:

- იცის: ადამიანის სასიცოცხლო ციკლის სტადიები;
- **შეუძლია:** გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელ ცვლილებებზე მსჯელობა.

კავშირი საგნოსრივ სტანდარტთან:

სამიზნე ცრებები: სასიცოცხლო თვისებები (ზრდა-განვითარება: პოსტემბრიონული განვითარების ეტაპი – გარდატეხის ასაკი), ჯანმრთელობა (გარდატეხის ასაკთან დაკავშირებული ცვლილებებით გამოწვეული რისკები), მედიცინა (დერმატოლოგი, სექსოლოგი, ფსიქოლოგი).

საკანძო შეკითხვა:

- როგორ შეიძლება თავიდან ავირიდოთ ან შევამციროთ „გარდატეხის“ ასაკისათვის დამახასიათებელი ცვლილებებით გამოწვეული რისკები?

მკვიდრი წარმოდგენები: ადამიანის სასიცოცხლო ციკლის ერთ-ერთი სტადიისათვის (ე.წ. გარდატეხის ასაკი) დამახასიათებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები/თავისებურებები.

შეფასების ინდიკატორი: მოსწავლემ უნდა შეძლოს –

• კვლევის (გამოკითხვა, ან ინტერვიუ ფსიქოლოგთან) საფუძველზე გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელ ცვლილებებსა და შესაძლო რისკებზე მსჯელობა, კვლევის ეთიკის დაცვა (ბიოლ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9);

• ორგანიზმების სასიცოცხლო ციკლის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, მედიცინა, ფსიქოლოგია) (ბიოლ. საბ. 11, 12, 13).

რესურსები: მარკერები, ფლიპჩარტები, სამუშაო ფურცლები, საკითხავი მასალა, კომპიუტერი, პროექტორი.

გაკვეთილის მსვლელობა

I. **შესავალი (გამოწვევის ფაზა):**

აქტივობა1: სიტუაციურ ამოცანაზე მუშაობა

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები სიტუაციურ ამოცანაში ამოიცნობენ გარდატეხის ასაკთან დაკავშირებულ პრობლემას, მსჯელობენ პრობლემის გამომწვევ მიზეზებსა და მის გადაჭრის გზებზე.

დრო – 5 წთ. მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა – საერთო საკლასო მუშაობა.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ეკრანზე წარუდგენს მოსწავლეებს სიტუაციურ ამოცანას (დათო მე-7 კლასში გადავიდა, დაიწყო სწავლა და რამდენიმე დღეში განუცხადა მშობლებს, რომ

აღარ ივლის სკოლაში. მშობლები ძალიან შეწუხდნენ. დათოს დააყარეს კითხვები: რა ხდება? ვინმე ხომ არ გჩაგრავს? სწავლა ხომ არ გიჭირს?.. მშობლები შეხვდნენ კლასის დამრიგებელს, სხვა მას-წავლებლებს, მაგრამ ვერაფერი გაიგეს. ერთხელ დედამ შენიშნა, რომ დათო დიდ დროს ატარებს სარკის წინ, მას სახეზე გაუჩნდა გამონაყარი). მოსწავლეებს ევალება სიტუაციური ამოცანის მიხედვით 1. მოზარდის პრობლემის განსაზღვრა; 2. პრობლემის მიზეზებისა და პრობლემის გადაჭრის გზების ჩამოყალიბება.

II. ძირითადი ნაწილი (სილრმისეული წვდომის ფაზა):

აქტივობა 2: ჩატარებული კვლევითი სამუშაოს შედეგების განხილვა

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები ჩატარებული კვლევის საფუძველზე –

- ასახელებენ გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი ცვლილებებით გამოწვეულ რისკებს და ამ რისკების თავიდან აცილების გზებს;

დრო – 15 წთ. მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა – მუშაობა ჯგუფებში.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ერთ-ერთი ჯგუფის-გან ისმენს მათი რესპონდენტების მიერ დასახელებულ რისკებს, რომელსაც აფიქსირებს ფლიპჩარტზე, სხვა ჯგუფებს სთხოვს, დაასახელონ განსსხვავებული მოსაზრება (მასაც დაიტანს ფლიპჩარტზე); შემდეგ სხვა ჯგუფისგან (ისევ შემთხვევითობის პრინციპით) ისმენს მათი რესპონდენტების მიერ დასახელებულ რისკების შემცირების ან თავიდან აცილების გზებს, სხვა ჯგუფებს სთხოვს, დაასახელონ განსსხვავებული მოსაზრება (მასაც დაიტანს ფლიპჩარტზე).

აქტივობა 3: მუშაობა სახელმძღვანელოს ტექსტზე

დრო – 10 წთ. მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა – ჯგუფური მუშაობა.

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები ეცნობიან სამეცნიერო ტექსტში მოცემულ ინფორმაციას და გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელ რისკებს აკავშირებს ჯანმრთელობის დაცვასთან, მედიცინასა და ფსიქოლოგიასთან.

აქტივობის აღწერა: მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს (გვ.161-162) და დამატებით ასახელებენ გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელ რისკებს და ამ რისკების გადაჭრაში მედიცინისა და ფსიქოლოგიის მნიშვნელობას. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ამატებს ფლიპჩარტზე გაკეთებულ ჩამონათვალს.

III. შემაჯამებელი ნაწილი:

აქტივობა 4: გარდატეხის ასაკთან დაკავშირებულ ცვლილებებთან გამკლავება

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები მსჯელობენ, თუ თვითონ როგორ უნდა გაუმკლავდნენ გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელ ცვლილებებს და შეამცირონ მასთან დაკავშირებული რისკები.

დრო: 10 წთ.

მოსწავლეთა ორგანიზების ფორმა: საერთო საკლასო მუშაობა.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- 1) ვის შეიძლება მიმართოს მოზარდმა გარდატეხის ასაკთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ? 2) როგორ შეიძლება თავიდან აირიდოს ან შეამციროს მოზარდმა „გარდატეხის“ ასაკისათვის დამახასიათებელი ცვლილებებით გამოწვეული რისკები?

დასასრულს მასწავლებელი აჯამებს: ამრიგად, შესაძლებელია გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი ცვლილებებით გამოწვეული რისკების შემცირება და თავიდან აცილებაც კი.

პასუხები დავალებებზე:

5.1. ცხოველთა სამეფო. ცხოველთა კლასიფიკაცია

3. ყველა ცხოველს სჭირდება ჰაერი, წყალი, საკვები და თავშესაფარი
4. ხერხემლის არსებობის მიხედვით ხერხემლიანებად და უხერხემლოებად.
5. დიახ, რადგან ცხოველები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბუნებასა (დამტვერავები, მონაწილეობენ თესლის გავრცელებაში, აფხვიერებენ ნიადაგს, ასრულებენ სანიტრის როლს და ა.შ.) და ადამიანის საქმიანობაში (საკვები, ფარმაკოლოგიაში, მრეწველობის ნედლეული, ინვევენ დაავადებებს, არიან ინფექციური დაავადების გადამტანნი).

5.2. თევზის გარეგანი აგებულება. ჩონჩხი

1. ა) თავი, ტანი, კუდი და ფარფლები; ბ) თავი ტანთან უძრავადა შეერთებული, აქვს თითოს-ტარისებური ფორმის სხეული, ქერცლები კრამიტისებურად არის განლაგებული, კანი ლორწოვანია, გვერდითი ხაზი ეხმარება დაბრკოლებების გვერდით ავლაში, შეიგრძნობს წყლის ტემპერატურასა და მარილიანობას. გ) მკერდისა და მუცლის წყვილი ფარფლები – საჭის როლს ასრულებენ, ზურგისა და კუდქვეშა კენტი ფარფლები – წონასწორობის დაცვის, კუდის კენტი ფარფლი – წინ გადაადგილების. დ) თვალები, ნესტო (ყნოსვა).
2. თავის ქალა, ხერხემალი, ნეკნები, ფარფლის სხივები.
3. ფარფლებს კუნთები ამოძრავებს.
4. რადგან კანის შემდეგ განთავსებული კუნთები შიგნით ეყრდნობა ჩონჩხს.
5. სხეულის თითოსტარისებრი ფორმა, რომელიც გარემოში მოძრაობის დროს ამცირებს ხახუნს და ადვილად გდაადგილდება.
6. ა – ზურგისა და კუდქვეშა ფარფლები, ბ – მკერდისა და მუცლის ფარფლები, გ – კუდის ფარფლი.

5.3. თევზების შინაგანი აგებულება

1. ა) – საყლაპავი მილი, ნაწლავი, ღვიძლი; ბ) – თირკმელები და შარდის ბუშტი.
2. ლაყუჩები.
3. საცურაო ბუშტი თევზს ეხმარება წყლის სილრმეებში გადაადგილებაში მისი შეკუმშვა-გაფართოების საშუალებით.
4. 3 – 1 – 2. როდესაც საცურაო ბუშტი შეკუმშულია, თევზი მძიმდება და წყლის ქვედა ფენებში ჩადის, ხოლო გაფართოების დროს იგი ჰაერით ივსება, მსუბუქდება და თევზი ზედა შრეებში ამოდის.
5. პირველ რიგში ამის მიზეზი არის ის, რომ ჰაერზე ლაყუჩები გამოშრება და იგი სუნთქვის ორგანოს როლს ვეღას ასრულებს.
6. ლაყუჩებში.
7. არ აქვს სხეულის მუდმივი ტემპერატურა, იგი იცვლება გარემოს ტემპერატურის ცვლილების მიხედვით.
8. რადგან წყალში ცოტა უანგბადია გახსნილი, გული სუსტად მუშობს, კანის აგებულების თავისებურების გამო, სხეული ვერ ინარჩუნებს გამომუშავებულ სითბოს.
9. სუნთქვის ორგანო – ლაყუჩები, საცურაო ბუშტი.

5.4. თევზების სასიცოცხლო ციკლი, მნიშვნელობა და დაცვა

1. а) – ქარიყლაპიას არ ახასიათებს შთამომავლობაზე ზრუნვა, მამრი ცხენთევზა კი განაყოფიერებულ ქვირითს ითავსებს ჩანთაში, შესაბამისად, ქარიყლაპიას ბევრი ქვირითი ზიანდება, იღუპება სხვადასხვა არახელსაყრელი პირობების გამო (გამოშრობა, ქვირითსა და ლიფსიტებს ჭამს მტაცებელი). ბ) – ორივე სახეობას აქვს გადარჩენის შანსი – ქარიყლაპია ამას ახერხებს დიდი რაოდენობის ქვირითის დაყრით, საიდანაც მცირე რაოდენობით მაინც გადარჩება, ხოლო ცხენთევზა – შთამომავლობაზე ზრუნვით.

2. პირდაპირი განვითარება.

3. (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, სასიცოცხლო თვისება – სუნთქვა და გამრავლება, ფუნქცია, შეგუებულობა).

სხეულის საფარველი	მოძრაობის საშუალებები	გრძნობათა ორგანოები	სუნთქვის ორგანო	განაყოფიერე- ბის ფორმა	გამრავლების ადგილი
ლორწოთი დაფარული ძვლოვანი ქერ- ცლები	ფარფლები	გვერდითი ხაზი	ლაყუჩები	გარეგანი	წყალი

4. 1) საბინადრო გარემოს ცვლილება – საყოფაცხოვრებო ნაგავით, ტანკერების მოხმარებული წყლებითა და ნავთობით დაბინძურება; 2) უგეგმო თევზჭერა, ინვაზიური სახეობები.

5. ნავთობი წყალზე მსუბუქია, ამიტომ იგი ექცევა წყლის ზედაპირზე, რაც აფერხებს წყალსა და ატმოსფეროს შორის აირთა ცვლას, შედეგად, მცირდება თევზებისა და სხვა ორგანიზმების სუნთქვისათვის საჭირო ჟანგბადი.

6. საბინადრო გარემოს დაცვა დაბინძურებისგან, თევზჭერის წესების დაცვა.

5.5. ამფიბიები. ამფიბიების გარეგანი და შინაგანი აგებულება

1. თავი, ტანი, წინა და უკანა კიდურები, ჩონჩხის ნაწილები: თავის ქალა, ხერხემალი, წინა და უკანა კიდურების ძვლები.

2. ამფიბიებს ხმელეთზე ცხოვრებასთან დაკავშირებით განუვითარდათ ქუთუთოები, რომელიც იცავს თვალებს მექანიკური და მტვრით დაზიანებისგან.

3. სხეულის მომწვანო შეფერილობა ბალახიან გარემოში მისთვის არის მფარველობითი შეფერილობა, რაც იცავს მას მტრისგან.

4. თევზების კანი დაფარულია ლორწოვანი ძვლოვანი ქერცლებით. ქერცლები წყლის მაღალი წნევისგან იცავს, ხოლო ლორწო წყალთან ხახუნს ამცირებს; ბაყაყის სხეული თხელი, სისხლძარღვებით მდიდარი და ლორწოვანი კანითაა დაფარული, ამიტომ იგი სუნთქვის დამატებითი ორგანოს როლს ასრულებს და ლორწო ნაწილობრივ წყლის დაკარგისაგანაც იცავს.

5. (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, ფუნქცია, შეგუებულობა).

ბაყაყის აგებულების თავისებურებანი, რომელიც მას ეხმარება შეგუებაში	ხმელეთზე ცხოვრებასთან	წყალში ცხოვრებასთან
კიდურები, თვალებზე ქუთუთუები, თავის ტანთან მოძრავი შეერთება, სუნთქვის ორგანო ფილტვები და დამატებითი სუნთქვის ორგანო – თხელი, შიშველი, სისხლძარღვებით მდიდარი სველი კანი, პირში ენა.	ლორწოვანი კანი, უკანა კიდურებს შორის გადაჭიმული საცურაო აპე	ლორწოვანი კანი, უკანა კიდურებს შორის გადაჭიმული საცურაო აპე

6. კანით.
7. რადგან მათი სხეულის ტემპერატურა მუდმივი არ არის.
8. გამოისვრის გრძელ ენას, რომელიც წინა ბოლოთი არის დამაგრებული, იგი წებოვანია და მწერი მასზე ადვილად ეწებება, რის შემდეგაც ენას შეიკეცავს და მწერს პირის ღრუში მოიქცევს.
9. კანი სქელია და მეჭეჭებით დაფარულია.
10. (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, შეგუებულობა, სისტემატიკური ჯგუფი).

თვეზი	საერთო	ბაყაყი
თავი ტანთან უძრავადაა დაკავშირებული, კანი ძელოვანი ქერცლებითაა დაფარული, მოძრაობენ ფარფლების საშუალებით, სუნთქვის ორგანოა ლაყუჩები, აქვთ საცურაო ბუშტი	თავი ტანთან კისრის გარეშეა დაკავშირებული, კანში აქვთ ლორნოვანი ჯირკვლები	თავი ტანთან მოძრავადაა დაკავშირებული, კანი შიშველია და სისხლძარღვებით არის მდიდარი, სუნთქვის ორგანოა ფილტვები, აქვთ წინა და უკანა კიდურები

5.6. ამფიბიების სასიცოცხლო ციკლი. მნიშვნელობა და დაცვა

1. (იხ. ინფორმაცია სურ. 5.6.1-ზე)
2. (კავშირი ცნებებს შორის: სასიცოცხლო თვისება – ზრდა-განვითარება, სტრუქტურა, ფუნქცია, შეგუებულობა).

ბაყაყის მეტამორფოზი	
ნიშნები, რომელიც თავკომბალას ეხმარება ნყალში ცხოვრებაში	ცვლილები თავკომბალაში, რომელიც ეხმარება ზრდასრულ ფორმას ხმელეთზე ცხოვრებაში
კუდის ფარფლი, გვერდითი ხაზი, ლაყუჩები	ჯერ უკანა და შემდეგ წინა კიდურების განვითარება, კუდის დამოკლება, ფილტვებისა და ენის განვითარება.

3. მეტამორფოზული; ხელს უწყობს სახეობის გადარჩენას, რადგან თავკომბალა ცხოვრობს წყალში და წყალმცენარებით იკვებება, ხოლო ზრდასრული ცხოვრების გარკვეულ პერიოდს ხმელეთზე ატარებს და მწერებით იკვებება, რაც ამცირებს შთამომავლობასა და მშობლებს შორის კონკურენციას.

4. ორივესთვის გარეგანი განაყოფიერებაა დამახასიათებელი და ჩანასახი წყალში ვითარდება. თევზებისთვის პირდაპირი განვითარება დამახასიათებელი, ამფიბიებისთვის – არაპირდაპირი.

5. ანადგურებენ კულტურული მცენარეების მავნე მწერებს;

6. მწერებს შორის, რომლითაც ამფიბიები იკვებებიან, ზოგიერთი ადამიანში საშიში ინფექციური დაავადების გადამტანია (ბუზები, კოლოები).

7. მწვანე ბაყაყისთვის შეფერილობა არის მფარველობითი, ნაკლებად შესამჩნევს ხდის მტაცებლისთვის, ხოლო შხამიანი ბაყაყების კაშკაშა შეფერილობა არის სხვა ორგანიზმებისთვის გამაფრთხილებელი შეფერილობა და მას არ ეკარებიან.

8. ამფიბიების გამრავლების პერიოდში ისინი მასობრივად მიემართებიან წყალსატევებისკენ, ზოგჯერ უხდებათ სამანქანო გზის გადაკვეთა.

9. როგორც ვიცით, შხამიან ბაყაყებს შხამის გამოსამუშავებლად სჭირდებათ სპეციალური საკვები, მაგალითად, შხამიანი ჭიანჭველები, სახლის პირობებში ისინი ვერ იღებენ შესაბამისს საკვებს და შხამსაც ვერ გამოიმუშავებენ.

10. ბუნებრივი საბინადრო გარემოს შენარჩუნება, გამრავლების პერიოდში მათი დაცვის ღონისძიებების გატარება (მაგალითად, მათვის ტუნელების მოწყობა, ღამის საათებში გზებზე მანქანების მოძრაობის შეზღუდვა, სპეციალური საგზაო ნიშნების გამოყენება).

5.7. ქვენარმავლები

1. (იხ. ინფორმაცია სურ. 5.7.1-ზე)

2. თავი ტანთან კისრითაა დაკავშირებული, რაც ხელს უწყობს თავის მოძრაობასა და გარემოს დათვალიერებაში, კანი მშრალი და დაფარულია რქოვანი ქერცლებით, რომელიც სხეულს გამოშრობისგან იცავს, ამფიბიებთან შედარებით, კარგად განვითარებული ფილტვები აქვთ.

3. რადგან კანი მშრალია და რქოვანი ქერცლებით არის დაფარული.

5.8. ქვენარმავლების სასიცოცხლო ციკლი, მნიშვნელობა და დაცვა

1. „წყალხმელეთა“ ცხოველი – ორ გარემოში (წყალსა და ხმელეთზე ცხოვრებასთან) არის შეგუებული; „ხმელეთის“ – ხმელეთზე ცხოვრებასტან კარგადა შეგუებული.

2. (კავშირი ცნებებს შორის: სასიცოცხლო თვისება – ზრდა-განვითარება, გამრავლება, სუნთქვა, მოძრაობა, სტრუქტურა, შეგუებულობა, სისტემატიკური ჯგუფი).

ნიშან-თვისებები	ხერხემლინები		
	თევზები	ამფიბიები	ქვენარმავლები
საცხოვრებელი ადგილი	წყალი	წყალი და ხმელეთი	ხმელეთი
სხეულის საფარველი	ძვლოვანი ქერცლები	შიშველი, სისხლძარღვებით მდიდარი სველი კანი	რქოვანი ქერცლებით დაფარული მშრალი კანი
მოძრაობის საშუალება	ფარფლები	კიდურები	ძირითადად, კიდურებითა და მუცლით ხოხავენ
სუნთქვის ორგანოები	ლაყუჩები	ფილტვები და კანი	მხოლოდ ფილტვები
გამრავლების ადგილი	წყალი	წყალი	ხმელეთი
განაყოფიერების ფორმა	გარეგანი	გარეგანი	შინაგანი
პოსტემბრიონული განვითარების ტიპი	პირდაპირი	მეტამორფოზული	პირდაპირი

3. არეგულირებენ მწერებისა და მღრღნელების რაოდენობას, თვითონ არიან სხვა ორგანიზმების საკვები.

4. მონაწილეობენ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვაში (ანადგურებენ დაავადების გადამტან მწერებსა და მღრღნელებს), იყენებენ საკვებად, გველის შხამს ფარმაკოლოგიაში და ა. შ.

5. ბუნებრივი საარსებო გარემოს შეცვლა, ზოგიერთ ქვენარმავალზე ნადირობა საკვებისა და კანის გამო, გარემოს დაბინძურება შხამ-ქიმიკატებით და სხვ.

6. დიახ, რადგან ისინი მნიშვნელოვან კვებით რგოლს წარმოადგენს კვებით ჯაჭვში.

5.9. ფრინველები

1. ბუმბულის როლი: იცავს სხეულს მექანიკური დაზიანების, გამოშრობისა და სითბოს დაკარგვის-გან, ამსუბუქებს, ეხმარება ფრენაში (მოსაქნევი და საჭის ბუმბული).

2. სხეულს აქვს მუდმივი ტემპერატურა. მიზეზები: კარგად განვითარებული სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის სისტემა, ბუმბულიანი საფარველი.

3. (კავშირი ცნებებს შორის: სასიცოცხლო თვისება – სუნთქვა, მოძრაობა, კვება, გამოყოფა, სტრუქტურა, ფუნქცია, შეგუებულობა, სისტემატიკური ჯგუფი).

ფრინველების აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების თავისებურებანი ფრენასთან დაკავშირებით	
სხეულის საფარველი	ბუმბული, მფარავი ბუმბულის კრამიტისებური განლაგება
ჩონჩხი	ღრუიანი, ჰაერით ამოვსებული ძვლები, პატარა თავის ქალა, ფრთებად გადაქცეული წინა კიდურები
სუნთქვა	ორმაგი სუნთქვა საჰაერო პარკების არსებობის გამო
საჭმლის მონელება	ყბებზე კბილები არ აქვთ, ნაწლავი მოკლეა და ხშირ-ხშირად გამოიყოფა ექსკრემენტები
გამოყოფა	არ აქვთ შარდის ბუშტი და შარდი არ გროვდება – ხშირ-ხშირად გამოიყოფა

4. განვითარების მიხედვით უფრო მაღალ საფეხურზე დგას ფრინველების კლასი, რადგან არიან თბილსისხლიანები, წლის განმავლობაში არიან აქტიურები და დედამინის ყველანაირ კლიმატურ პირობებში შეუძლიათ არსებობა.

5.10 ფრინველების სასიცოცხლო ციკლი

1. ბუდის მოწყობა – კვერცხის დება – ბუდობა – მართვების გამოჩეულება – განვითარება – დაფრთიანება, დამოუკიდებლად ფრენისა და კვების უნარის შეძენა – ზრდასრულობის ასაკი.
2. ნაჭუჭი იცავს დაზიანებისა და გამოშრობისგან, ცილა ქმნის ჩანასახისთვის აუცილებელ თხევად გარემოს, საჰაერო საკანი შეიცავს ჩანასახის სუნთქვისთვის საჭირო უანგბადს.
3. სხეული არ მძიმდება.
4. რადგან ქვენარმავლების უმრავლესობა შთამომავლობაზე არ ზრუნავს, არ იკეთებს ბუდეს და შესაბამისად, ბევრი კვერცხი ნადგურდება ან დაუცველ ახალგაზრდა ნაშიერს მტაცებელი ჭამს; ფრინველები კი იშენებენ ბუდეს, რომელსაც იცავენ და შთამომავლობაზე ზრუნავენ.
5. სითბო.
6. ბარტყი, რადგან შეუბუმბლავი, უსუსურია – არ შეუძლია დამოუკიდებლად კვება და მოძრაობა.
7. ორივესთვის დამახასიათებელია შინაგანი განაყოფიერება და კვერცხის დებით გამრავლება. განსხვავება გამოიხატება შთამომავლობაზე ზრუნვაში.
8. სირაქლემას კვერცხი კოლიბრის კვერცხზე დაახლოებით 9,5-ჯერ დიდია, ხოლო ქათმის კვერცხი – 3,8-ჯერ.

5.11. ფრინველების ბიომრავალფეროვნება, მნიშვნელობა და დაცვა

1. თბილსისხლიანობის გამო.
2. ჩვენი ბუნების მრავალფეროვნებით.
3. კავკასიური როჭო, კავკასიური შეკრთხი, კოლხური ხოხობი.
4. ერთ-ერთი ნიშანი, რასაც სახეობის კლასიფიკაციისთვის იყენებენ, არის ფეხები და ნისკარტი.
5. ფეხები მიგვითითებს ფრინველის საცხოვრებელ ადგილზე, ხოლო ნისკარტის ფორმა – საკვებზე.
6. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ზამთარში მათი საკვების შეზღუდული რაოდენობა, მაგალითად, მნერიჭამია ფრინველებისთვის არ არის მნერები.
7. ფრინველები კვებითი ჯაჭვის მნიშვნელოვანი რგოლია, არეგულირებენ მნერების რაოდენობას, მტაცებლები – მღრღნელების რაოდენობას, ლეშიჭამიები სანიტრის როლს ასრულებენ, ზოგიერთი მონაწილეობს მცენარეების დამტვერვასა და თესლის გავრცელებაში.

8. ადამიანის საკვებია, ანადგურებენ სასოფლო სამეურნეო მცენარეების მავნე მწერებსა და მღრღნელებს, ბუმბულს იყენებს მსუბუქ მრეწველობაში და ა. შ.

9. ბუნებრივი საპინადრო გარემოს შეცვლა, გარემოს შხამ-ქიმიკატებით დაბინძურება, ადამიანის ნადირობა და სხვა.

10. შექმნილია დაცული ტერიტორიები, ნითელი ნუსხა და წიგნი, დაწესებულია ფრინველთა დაცვის საერთაშორისო დღეები.

11. ფრინველს აქვს გარსმდენი ფორმა, რაც ამცირებს ჰაერთან წინააღმდეგობას და ადგილად ჭრის ჰაერის ფენებს.

5.12. ძუძუმწოვრები

1. ბალნით დაფარული მშრალი კანი, კანში აქვს საოფლე, ცხიმოვანი და სარძევე ჯირკვლები, კანქვეშა ცხიმოვანი შრე.

2. დამცველობითი, უნარჩუნებს სითბოს, ასრულებს გამოყოფი ორგანოს როლსაც.

3. მდედთებს კანში აქვთ სარძევე ჯირკვლები, რომელშიც გამომუშავებული რძე ძუძუს დვრილებში იხსნება, ნაშიერი რძეს ძუძუს წოვით იღებს.

4. წამნამები კიდევ უფრო მეტად იცავს თვალებს მექანიკური დაზიანებისა და მტვრის მოხვედრისგან.

5. კიდურები, ქვენარმავლების მსგავსად, სხეულის გვერდებზე კი არ აქვს განლაგებული, არამედ სხეულის ქვეშ, ამიტომ იმაგრებს სხეულის სიმძიმეს და არ დახოხავს.

6. მჭრელები, ეშვები და ძირითადი კბილები.

7. კარგად განვითარებული სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის სისტემები, ბალნიანი საფარველი, საოფლე კირკვლები და კანქვეშა ცხიმოვანი შრე, დიაფრაგმა (განაპირობებს უფრო სრულყოფილ სუნთქვით მოძრაობებს).

8. ყველა ძუძუმწოვარი, როგორც სხვა ცხოველი, ჰეტეროტროფია, მათ შორის: მცენარის მჭამელები, მტაცებლები, ნაირმჭამელები, ლეშიჭამიები.

9. (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, შეგუებულობა).

ძუძუმწოვრების შეგუება საარსებო პირობებთან	
არქტიკა	
გარემო ფაქტორები	თეთრი დათვის შეგუებულობანი
თოვლითა და ყინულით დაფარული გარემო	თეთრი შეფერილობის ბალანი
დაბალი ტემპერატურა	ხშირი ბალნიანი საფარველი და კანქვეშა ცხიმოვანი შრე
ყინულზე დასრიალების საშიშროება	ბალნით დაფარული ტერფი, რომელიც ხახუნს ზრდის
თოვლში ჩაფლობის საშიშროება	განიერი ტერფი
უდაბნო	
გარემო ფაქტორები	აქლემის შეგუებულობანი
ქვიშით დაფარული მოყვითალო გარემო	მოყვითალო ფერის ბალანი
წყლისა და საკვების ნაკლებობა	კუზში ცხიმის დაგროვება
ხშირი ქვიშიანი ქარები	ნესტოებს სარქველები აქვს
ქვიშაში ჩაფლობის საშიშროება	ჩლიქით დაფარული განიერი ტერფი

5.13. ძუძუმწოვრების სასიცოცხლო ციკლი

1. ცოცხალმშობია
2. მდედრებში საშვილოსნოს განვითარებასთან
3. შინაგანი განაყოფიერება და ცოცხალმშობიარობა
4. ჩანასახი ვითარდება დედის ორგანიზმში (საშვილოსნოში) – ნაშიერის დაბადება – რძით გამოკვება – ზრდა-განვითარება გარკვეულ ასაკამდე – ზრდასრული ფორმის განვითარება.

5.

ცხოველი	კვერცხუჯრედთა რაოდენობა	განაყოფიერების ტიპი	ჩანასახის განვითარების ადგილი
ცხენი	1	შინაგანი	დედის ორგანიზმი
ტბის ბაყაყი	7000	გარეგანი	წყალი
კატა	4	შინაგანი	დედის ორგანიზმი
ვირთვება	5000 000	გარეგანი	წყალი
ლომი	2	შინაგანი	დედის ორგანიზმი

ძუძუმწოვარა ცხოველები, რადგან მათში განაყოფიერების შანსი დიდია, ჩანასახი დედის ორგანიზმში ვითარდება და დაცულია.

6. ყველას გააჩნია ძვლოვანი ან ხრტილოვანი შინაგანი ჩონჩხი (მათ შორის ხერხემალი) და სისხლის მიმოქცევის სისტემა. თევზების კანი ლორნოვანი ძვლოვანი ქერცლებითაა დაფარული, სუნთქვენ ლაყუჩებით; ამფიბიების კანი შიშველი, სველი და სისხლძარღვებით მდიდარია, ახასიათებთ მეტა-მორფოზული განვითარება; ქვეწარმავლების კანი მშრალია და რქოვანი ქერცლებითაა დაფარული, მინაზე დახოხავენ; ფრინველების მშრალი კანი ბუმბულითაა დაფარული, ახასიათებთ ორმაგი სუნთქვა; ძუძუმწოვრების მშრალი კანი ბალნითაა დაფარული, ცოცხალმშობები არიან.

5.14. ადამიანის სასიცოცხლო ციკლი

1. (იხ. ინფორმაცია სურ. 5.14.1-ზე).
2. თანდათან ხდება ორგანიზმი ცვლილებები და ყალიბდება ზრდასრული ორგანიზმი.
3. მშობლებს, მასწავლებელს, ფსიქოლოგს.

6. უფროსი ასაკის ადამიანებისგან ამ ასაკისათვის დამახასიათებელ გამოვლინებებზე, საკუთარ პრობლემებზე ღიად საუბარი, მათგან მიღებული ინფორმაცია, რჩევები (მაგალითად, კანის მოვლის წესები, ემოციების მართვა; იმის გაგება, რომ გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი სიმპტომები ყველასთვის არის დამახასიათებელი მეტ-ნაკლები გამოვლინებებით და რომ მას დროებითი ხასიათი აქვს და სხვა).

5.15. ძუძუმწოვრების ბიომრავალფეროვნება და მისი დაცვა

1. უპირველესად, თბილსისხლიანობისა და ცოცხალმშობიარობის გამო.
2. იხ. სურ. 5.15.1
3. კვებითი ჯაჭვის მიშვნელოვანი რგოლია, მტაცებლები არეგულირებენ მცენარეჭამია ცხოველების რაოდენობას, ასრულებენ ბუნებაში სანიტრის როლს (პირველ რიგში დასუსტებულ ორგანიზმებს ანადგურებენ), მონაწილეობენ მცენარეთა თესლის გავრცელებაში და ზოგი – დამტკერვა-შიც, ნიადაგში მცხოვრები ძუძუმწოვრები აფხვიერებენ ნიადაგს.
4. საკვებად იყენებს (ხორცი, რძის პროდუქტები), გამწევი ძალაა, სპორტის სახეობებში (მაგ. ცხენისნობა, ნაღირობა), მსუბუქი მრეწველობის ნედლეულია (ბეწვი, ტყავი).

5. საარსებო გარემოში მომხდარი მკვეთრი ცვლილებები, ადამიანის საქმიანობა; კონკურენცია ინვაზიურ სახეობებთან.

6. დაცული ტერიტორიები, ხელოვნური გამრავლება, ნადირობის ნორმების დაცვა, წითელი ნუსხა და წიგნი.

5.16. უხერხემლოები. ნაწლავლრუიანები

1. (იხ. ინფორმაცია სურ. 5.16.1-ზე).

2. ერთ ინდივიდს გააჩნია როგორც სათესლე, ისე საკვერცხე.

3. ზაფხულის ხელსაყრელ პირობებში ჰიდრას სხეულზე გამოეზრდება კვირტი, რომელიც ვითარდება; ნაწლავის ღრუს, პირის ხვრელისა და საცეცების განვითარების შემდეგ ახალგაზრდა ჰიდრა სცილდება მშობლიურ ორგანიზმს, რომელიც ერთხანს დაცურავს, მერე მიემაგრება ხელსაყრელ ადგილს და იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას. უსქესო გამრავლებით ჰიდრა ზაფხულის განმავლობაში სწრაფად მრავლდება.

4. ჰიდრასთვის დამახასიათებელია უსქესო და სქესობრივი გამრავლება.

5. მეტამორფოზული.

6. ინვაზიურს, რადგან სხვა წყლებიდან არის შემოჭრილი სწრაფად გამრავლდა და დიდი ზიანი მიაყენა ადგილობრივ სახეობებს.

7. ამ ხერხით ადამიანებმა უნებურად ხელი შეუწყეს მათი რაოდენობის გაზრდას, რადგან ნაწლავლრუიანებს ახასიათებთ კარგად განვითარებული რეგენერაციის უნარი, ამიტომ დანაწევრებული სხეულის თითოეული ნაწილი აღიდგენდა სხეულის დაკარგულ ნაწილს და დამოუკიდებელ ორგანიზმად გადაიქცეოდა.

5.17. ჭიები

1. ფოთლის ფირფიტის ან თასმისებური ფორმის სხეული, ორმხრივი სიმეტრია აქვთ; საჭმლის მომნელებელი, გამომყოფი, ნერვული და გამრავლების სისტემა; სუნთქავენ სხეულის მთელი ზედაპირით, ორსქესიანია, არიან თავისუფლად მცხოვრები ფორმები და პარაზიტებიც.

2. ბრტყელი ჭიები, რადგან მათ აქვთ დიფერენცირებული ქსოვილები, რომლებიც ორგანოებს წარმოქნიან.

3. მისაწოვრები და / ან კაუჭები, რითაც მასპინძელს მიემაგრება, კარგად აქვთ განვითარებული გამრავლების ორგანოები, ახასიათებთ მეტამორფოზული განვითარება, ზოგჯერ განვითარებისთვის ორი სხვადასხვა სახეობის ორგანიზმი სჭირდებათ.

4. ა) საბოლოო მასპინძელი არის ადამიანი, რადგან ადამიანის ორგანიზმში აღწევს ზრდასრულ ასაკს, ხოლო ღორი შუალედური მასპინძელია. ბ) ეს ფაქტი ართულებს მასთან ბრძოლას და სახეობას გადარჩენის მეტი შანსი აქვს. გ) მეტამორფოზული. დ) ჰერმაფოროდიტია – თითოეულ ნაწევრში გააჩნია სათესლეებიც და საკვერცხეებიც.

5. შესაძლებელია ხორცი იყოს ფინოზური, ანუ შეიცავდეს ღორის სოლიტერის ჩანასახებს.

6. საბოლოო მასპინძელია ძაღლი, ტურა, მგელი, რადგან მათ ორგანიზმში აღწევს ექინოკოკი ზრდასრულ ფორმას, ხოლო შუალედი მასპინძელი შეიძლება იყოს პირუტყვი, ადამიანი.

7. მრგვალ ჭიებს აქვთ მრგვალი გრძელი, ბოლოებში ნამახვილებული სხეული, ნაწლავი უკან ხვრელით ბოლოვდება, არიან ცალსქესიანები.

8. ასკარიდა წვრილ ნაწლავებში ცხოვრობს, ხოლო მახვილა წვრილი ნაწლავის ქვედა განყოფილებასა და მსხვილ ნაწლავში.

9. მასპინძელს ართმევენ საკვებ ნივთიერებებს და გამოყოფენ შხამიან ნივთიერებებს ცვლის პროდუქტების სახით.

10. რადგან დროზე აღიკვეთოს მათი შემდგომი განვითარება და გამრავლება, შესაძლებელია ადამიანის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე შეექმნას.

11. რადგან ახასიათებთ მაღალი ნაყოფიერება, მეტამორფოზული განვითარება, რომლის დროსაც უმრავლესობა მასპინძელს იცვლის.

12. სავარაუდოდ: საკვებად მხოლოდ გარეცხილი ხილ-ბოსტნეულის, შემოწმებული და კარგად მოხარშული ან შემწვარი ხორცის გამოყენება, ხელების დაბანა ჭამის წინ, ძალაში ურთიერთობის შემდეგ ხელების დაბანა, ტანსაცმლის გამოცვლა, ფრჩხილების კვნეტა დაუშვებელია და ა.შ.

5.18. რგოლოვანი ჭიები

1. გარედან და შიგნიდან სეგმენტებად, ერთნაირ რგოლებად დაყოფილი გრძელი, მრგვალი სხეული, აქ ჩრდება სისხლის მიმოქცევის სისტემა, კანი არის თხელი, სველი და წვრილი სისხლძარღვებით მდიდარი.

2. თხელი კანი ვერ იცავს სხეულს გამოშრობისგან, გამომშრალი კანი ვერ შეასრულებს სუნთქვის ორგანოს ფუნქციას.

3. რგოლოვანი ჭიები, რადავნ მათ უვითარდებათ ნივთიერებათა სპეციალური სატრანსპორტო სისტემა – სისხლის მიმოქცევის სისტემა.

4. ჭიაყელა თავისი კვების ხასიათიდან გამომდინარე, მოინელებს ჩამოცვენილ სანახევროდ დაშლილ ფოთლებს, აფხვიერებს და ამაღლებს ნიადაგის ნაყოფიერებას.

5.19. მოლუსკები

1. რბილი ტანიანი აქვთ, უმრავლესობას გააჩნია ნიჟარა, აქვთ სუნთქვის სპეციალური ორგანო (ლაყუჩები ან მანტია), უჩრდებათ გული.

2. უკბილო ორსაგდულიანების წარმომადგენელია, სხეული ნიჟარითაა დაფარული, ფსკერზე მოძრაობენ კუნთოვანი ფეხით, სუნთქვენ ლაყუჩებით, არიან ცალსქესიანები, კვერცხებით მრავლდებიან, ახასიათებთ მეტამორფოზული განვითარება, რაც მათ განსახლებას უწყობს ხელს.

3. განუვითარდა გრძელობათა ორგანოები ორი წყვილი საცეცის სახით, რომელიც ეხმარება საკვების მიგნებაში (უკბილოში წყალთან ერთად პასიურად შედის საკვებიც), უხეში მცენარეული საკვების მოპოვებაში ეხმარება ენა/საფხეკი, სუნთქვის როლს ასრულებს სისხლძარღვებით მდიდარი მანტია.

4. მოლუსკები, რადგან მათ გააჩნიათ სუნთქვის სპეციალური ორგანო, სისხლს სისხლძარღვებში ამოძრავებს გული.

5. ორსაგდულიანები დიდ როლს ასრულებენ წყალსატევების ბიოლოგიურ წმენდაში ორგანიზმთა ნარჩენებისგან, თვითონ არიან საკვები სხვა ორგანიზმებისთვის.

6. საკვები, ამზადებენ მარგალიტის გამოყენებით სამკაულებს, ნიჟარებისგან სადაფის ღილებს და სხვა ნაკეთობას.

7. იგი შავ ზღვაში შემოვიდა და გაანადგურა ორსაგდულიანები.

5.20. ფეხსახსრიანები. მწერები

1. (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, სისტემატიკური ჯგუფი).

გარეგანი აგებულების თავისებურება	მწერი – ფუტკარი	ობობასნაირი – ჯვრიანი ობობა	კიბოსნაირი – მდინარის კიბო
სხეულის ნაწილები	თავი, მკერდი, დანაწევრებული მუცელი	თავმკერდი, დაუნაწევრებული მუცელი	თავმკერდი, დანაწევრებული მუცელი
კიდურები	3 წყვილი	4 წყვილი	5 წყვილი სასიარულო და 5 წყვილი საცურაო
ფრთები	უფრო ხშირად 2 წყვილი	არ გააჩნია	არ გააჩნია
ულვაშები	1 წყვილი	არ გააჩნია	2 წყვილი
თვალები	1 წყვილი რთული	8 მარტივი	1 წყვილი რთული

2. სხეული განსხვავებულ ნაწილებად დანაწევრებული, დასახსრული კიდურები, ქიტინოვანი გარეგანი ჩონჩხი, ზრდის პროცესში ქიტინოვანი საფარველის ცვლა, განვითარებული გრძნობათა ორგანოები.

3. გარეგან ჩონჩხს ქმნის არა უჯრედები, არამედ ნივთიერება ქიტინი, ამიტომ სხეულის ზრდას-თან ერთად არ იზრდება გარეგანი ჩონჩხი და ხელს უშლის ორგანიზმის ზრდას. სანამ ზრდასრულ ასაკს მიაღწევს რამდენჯერმე ხდება მისი გამოცვლა.

4. სრული მეტამორფოზის სტადიები – კვერცხი, ჩანასახი (მატლი), ჭუპრი, ზრდასრული. არას-რული მეტამორფოზი – კვერცხი, ჩანასახი, ზრდასრული. არასრული მეტამორფოზისთვის არ არის დამახასიათებელი ჭუპრის სტადია.

5. სახეობას გადარჩენის მეტ შანს აძლევს, რადგან ხშრად ჩანასახსა და ზრდასრულ ფორმას აქვს განსხვავებული საცხოვრებელი გარემო და საკვები, შესაბამისად ერთმანეთს კონკურენციას არ უწევენ.

6. ა) 1 – ჭუპრი, 2 – ზრდასრული, 3 – კვერცხი, 4 – ჩანასახი (მატლი). ბ) 3 – 4 – 1 – 2.

5.21. ობობასნაირები და კიბოსნაირები

1. ყველა კლასისითვის დამახასიათებელი: ა) სხეულის დანაწილება თავად, მკერდად და მუცლად, ან თავმკერდად და მუცლად, დასახსრულიკიდურები და ქიტინოვანი საფარველი. ბ) 1 წყვილი ულვაშები, 3 წყვილი ფეხი, ფრთები.

2. პირდაპირი განვითარება დამახასიათებელია ობობასნაირებისა და კიბოსნაირებისთვის.

5.22. ფეხსახსრიანების მნიშვნელობა

1. (კავშირი ცნებებს შორის: სასიცოცხლო თვისება – კვება, ბიომრავალფეროვნება).

მცენარეჭამიები	მტაცებლები	პარაზიტები	დამშლელები
კოლორადოს ხოჭო, ბუგრები, კალიქი, ფუტკრები, პეპლები	ჭიამაიები, ჭიანჭველები, ობობები,	კოლოები, მხედრების მატლები, ადამიანის ბალინჯო, ძაღლის ტკიპი	ლეშიჭამია ხოჭოები, ფუნაგორია, მდინარის კიბო

2. **მცენარე** – კალია – ბაყაყი – გველი
დიდი ლაფნიჭამია – კოდალა

მცენარე – კალია – ბაყაყი – გველი
ბუგრები – ობობები – შაშვი – შევარდენი

3. შესაძლებელია მიიზიდო ფუტკრები და კრაზანები.

4. შესაძლებელია მიიზიდო ფუტკრები.

თემა 5-ის შეჯამება

ტესტური დავალებები

1. პ 2. ა 3. გ 4. ბ

5. ა. – სხვა ცოცხალი ცხოველით იკვებება; ბ. – მტაცებლის საკვებია; გ. – ცხოველური საკვებითაც იკვებება და მცენარეულითაც; დ – ჩამოცვენილი ფოთლებით და მცენარის სხვა მკვდარი ნაწილებით იკვებება და მათ დაშლაში მონაწილეობს.

6. გ 7. ა 8. გ 9. გ 10. ა 11. გ 12. გ

13.

	1	2	3	4	5	6
ა			X	X	X	
ბ		X				
გ	X					
დ						X

14.

1	2	3	4	5
ე, ვ, თ	ა, გ, ვ	ბ, დ, ვ	დ, ზ	დ, ზ

დავალებები კრიტიკული აზროვნებისთვის

1. სავარაუდო: გამარჯობა, მეგობარო! ხმელეთზე ჩემთან ერთად რომ ისეირნო, დაგჭირდება კიდურები, სუნთქვისთვის ფილტვები (კანიც მემარება სუნთქვაში), თვალებზე ქუთუთოები.

სამწუხაროდ, შენი იცნების შესრულებაში ხელს შეგიშლის შენი აგებულების შემდეგი თავისებურებანი: ფარფლები ხმელეთზე სამოძრაოდ არ გამოგადგება, ლაყუჩები ხმელეთზე გამოშრება და ვერ შეითვისებ ატმოსფეროს ჰაერიდან ჟანგბადს, ვერც კანი დაგეხმარება სუნთქვაში, რადგან, ჩემი კანისგან განსხვავებით, ძვლოვანი ქერცლებით გაქვს დაფარული და სისხლძარღვებითაც არ არის მდიდარი; შენი თვალების დაზიანების საშიშროებაც არის: ხმელეთზე ბევრი უხეში საგანი შეგხვდება (მაგ. გამემარი მცენარის ტოტი) და მტვერიც ბლომად არის, შენი თვალები კი ქუთუთუებით არ არის დაფარული.

2. გამრავლების პროცესში ზურგზე განვითარებული სავარცხელი ზრდის სისხლძარღვებით მდიდარი კანის ზედაპირის ფართობს, რაც ტრიტონს ეხმარება წყლიდან ჟანგბადის საქმარისი რაოდენობით შეთვისებაში.

3. რადგან $P = F/S$, ამიტომ თუ მართობულად მოქმედი ძალა გადანაწილდება დიდ ფართზე, წნევა შემცირდება. წეროს გრძელი ფეხები ეხმარება იმაში, რომ ფეხები ერთმანეთისგან შორს დააბიჯოს, ამ დროს მისი სხეულის სიმძიმის ძალა დიდ ფართზე ნაწილდება, წნევა მცირდება, ე.ი. წერო ნაკლები

წნევის ძალით აწვება ჭაობს და მასში იგი არ ეფლობა (ადამიანი ჭაობში ოჩოფეხებს იყენებს); იხვს გრძელი ფეხები არ აქვს, მაგრამ სამაგიეროდ თითებს შორის გადაჭიმული აპკი ზრდის შლამთან შეხების ზედაპირს, რაც ამ შემთხვევაშიც ამცირებს წნევას და შლამში აღარ ეფლობა.

4. ძუძუმწოვრებისთვის დამახასიათებელი კანის აგებულების თავისებურება, ცოცხალმშობია და რძით კვებავს ნაშიერს.

5. რადგან ქიტინოვანი საფარველის გარეშე დარჩენილი მისი ნაზი სხეული ადვილად ზიანდება მექანიკურად, გამოშრება და მტაცებლისთვისაც ადვილად მოსაპოვებელი იქნება.

6. მის უჯრედებს არ აქვს მცენარეული უჯრედისთვის დამახასიათებელი სტრუქტურები, იგი ჰეტეროტროფია.

ვიზუალური მასალის განსჯა

1. სწორად შედგენილია გ ვარიანტი, რადგან პეპელა სრული მეტამორფოზის მწერია, რომლის დროსაც თანმიმდევრულად გადის შემდეგ სტადიებს: კვერცხი, მატლი, ჭუპრი და ზრდასრული პეპელა.

2. ობობასნაირს მიეკუთვნება ციფრი „3“ -ით აღნიშნული ორგანიზმი, ხოლო დანარჩენი მწერებს მიეკუთვნება. ამოსაცნობ ნიშან-თვისებად გამოვიყენე კიდურების რაოდენობა და ულვაშების არსებობა.

მონაცემების ორგანიზება სქემებში

1. (კავშირი ცნებებს შორის: (სასიცოცხლო თვისება – გამრავლება, შეგუებულობა, სისტემატიკური ჯგუფი).


ხერხემლიანების კლასი	კვერცხს ხმელეთზე დებენ, თუ წყალში?	განაყოფიერება შინაგანია, თუ გარეგანი?	ჩანასახის განვითარება ორგანიზმში ხდება თუ ორგანიზმის გარე?
თევზები	წყალში	გარეგანი	ორგანიზმის გარე
ამფიბიები	წყალში	გარეგანი	ორგანიზმის გარე
რეპტილიები	ხმელეთზე	შინაგანი	ორგანიზმის გარე
ფრინველები	ხმელეთზე	შინაგანი	ორგანიზმის გარე
ძუძუმწოვრები	ხმელეთზე	შინაგანი	ორგანიზმში

ძუძუმწოვრები, რადგან ჩანასახი უფრო მეტად არის დაცული დედის ორგანიზმში.

2. (კავშირი ცნებებს შორის: მედიცინა, ჯანმრთელობა).

ადამიანის არასწორი ქმედება	პარაზიტი ჭიებით დასწებოვნების საფრთხე
შეუმოწმებელი ხორცის საკვებად გამოყენება	ღორის სოლიტერით დასწებოვნება
წყაროსა და მდინარის გადაუდუღებელი წყლის სასმელად გამოყენება	ასკარიდათი დასწებოვნება
გაურეცხავი ხილ-ბოსტნეულის ჭამა	ასკარიდათი, მახვილათი, ექინოკოკით დასწებოვნება
შეუმოწმებელი ნანადირევი ცხოველების ხორცის ჭამა	ექინოკოკით დასწებოვნება
დაუბანელი ხელებით ჭამა	ექინოკოკით, ასკარიდათი, მახვილათი დასწებოვნება
ფრჩილების კვნეტა	მახვილათი დასწებოვნება
საკვები პროდუქტების თავდია დატოვება	ასკარიდათი, მახვილათი, ექინოკოკით დასწებოვნება

3. (კავშირი ცნებებს შორის: სტრუქტურა, სისტემატიკური ჯგუფი).



4. შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი.

№	მტკიცება/დებულება	ჭეშმარიტია/მცდარია	პასუხის დასაბუთება
1	მცენარეები მოიხმარენ ჟანგ-ბადს	ჭეშმარიტია	მცენარე სუნთქვას დღე და ღამე
2	ყველა ორგანიზმის არსებობა მცენარეზეა დამოკიდებული	ჭეშმარიტია	კვებითი ჯაჭვის საწყისი რგოლია, როგორც მნარმოებელი – მცენარეებით იკვებებიან მცენარის მჭამელები, რომელიც თავის მხრივ ხორცისმჭამელების საკვებია; გარდა ამისა, ორგანიზმების სუნთქვისათვის საჭირო ჟანგბადს გამოყოფს ფოტო-სინთეზის პროცესში
3	იმ შემთხვევაში თუ მნარმოებები (მცენარეები) გაქრებიან დედამინიდან, ხორცისმჭამელი ორგანიზმები, მხოლოდ მცირედ დაზარალდებიან	მცდარია	ხორცის მჭამელებიც დაზარალდებიან, რადგამ არ ექცებათ საკვები და სუნთქვისათვის საჭირო ჟანგბადი
4	ადამიანები, ძალლები, თევზები, ჭიები და მწერები, ყველა ერთად, ცხოველებს მიეკუთვნებიან	ჭეშმარიტია	ყველა მათგანს აქვს უჯრედების მსგავსი აგებულება, ყველა მათგანი ჰეტეროტროფია, აქტიურად გადაადგილდებიან სივრცეში
5	ორგანიზმები, რომლებსაც აქვთ სამოძრაო სტრუქტურები და აქტიურად გადაადგილდებიან სივრცეში, მიეკუთვნებიან ცხოველურ ორგანიზმებს	მცდარია	ზოგიერთ მიკროორგანიზმსაც (ბაქტერიებს, უმარტივესებს, ერთუჯრედიან წყალმცენარეებს) აქვს გარემოში გადაადგილების უნარი შოლტების, წამნამებისა და ცრუ ფეხების საშუალებით

6	გამრავლება წარმოადგენს ყველა ცოცხალი ორგანიზმის აუცილებელ თვისებას	ჭეშმარიტია	არაუჯრედულ ფორმასაც კი – ვირუსებს მასპინძლის უჯრედში აქვს გამრავლების უნარი
7	სქესობრივი გამრავლების გზით დაბადებული შთამომავალი შესაძლოა იყოს ერთ-ერთი მშობლის იდენტური	მცდარია	სქესობრივ გამრავლებაში მონაწილეობს ორი სხვადასხვა სასქესო უჯრედი – გამეტა, ხშირად ორი მშობლიური ორგანიზმი, ამიტომ შეუძლებელია რომელიმე მშობლის იდენტური შთამომავლის მიღება
8	ცხოველები მხოლოდ სქესობრივად მრავლდებიან	მცდარია	მაგალითად, ნაწლავლრუიანები უსქესოდ – დაკვირტვითაც მრავლდებიან

დამატებითი მასალა გარდატეხის ასაკთან დაკავშირებით

რით ხასიათდება ადამიანის ცხოვრებაში გარდატეხის ასაკის პერიოდი?

პუბერტატულ პერიოდს ხშირად უწოდებენ გარდატეხის ასაკს. გულისხმობენ მოზარდ ორგანიზმი მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს, რომლებიც განვითარების ერთი სტადიიდან მეორეში გადასვლასთანაა დაკავშირებული. ბავშვობიდან ზრდასრულობაში გადანაცვლება ინდივიდის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, სოციალური ტრანსფორმაციის პროცესთა ჯაჭვის წარმოადგენს.

ბიოლოგიური თვალსაზრისით, სქესობრივი მომწიფება დამოკიდებულია თავის ტვინში მიმდინარე რთულ ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებზე, რომელთა მმართველი იერარქია ჰიპოთალამუსისა და ჰიპოფიზის სტრუქტურებში მდებარეობს. მათ მიერ გამოთავისუფლებული ნივთიერებები განაპირობებს ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებათა კასკადს, რომლის წამყვანი ფაქტორია სასქესო და ზორმნების აქტივაცია და მოზარდის გონებრივი და ფიზიკური გარდაქმნა.

პუბერტატი არის სქესობრივი მომწიფების მიღწევა. მისი მაჩვენებელი გოგონებთან მენარქეა (პირველი მენსტრუაცია), ხოლო ბიჭებთან – ცოცხალი სპერმის წარმოებისა და ეაკულაციის უნარი. სიტყვა ჭუბერტას ლათინურად „თმებით დაფარულს“ ნიშნავს და იმაზე მიუთთებს, რომ ხელებსა და ფეხებზე, იღლიებსა და გენიტალურ არეებში თმის საფარი ვითარდება.

პუბერტატს წინ უსწრებს ზრდის ჰორმონების სისხლში გადასვლა. ეს გოგონებთან დაახლოებით 10 წლის ასაკში იწყება, ხოლო ბიჭებთან 12 წლის ასაკში. პუბერტატისთვის ხუთი ძირითადი ფიზიკური ცვლილება არის დამახსიათებელი:

საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის სწრაფი ზრდა, სხეულის კომპოზიციის შეცვლა და კუნთებისა და ცხიმის გადანაწილების ცვლილება, სისხლის მიმოქცევისა და სასუნთქი სისტემების გაძლიერება, რეპროდუქციული ორგანოებისა და მეორადი სქესობრივი ნიშნების მომწიფება, ნერვულ და ენდოკრინულ სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, რომლებიც კოორდინირებასა და რეგულირებას უწევენ პუბერტატულ მოვლენებს. პუბერტატს თან ახლავს ჰორმონალური ცვლილებებიც, რომლებიც სქესის ჰორმონების სიჭარებში გამოიხატება.

სქესობრივი მომწიფებიდან გამომდინარე, არსებული ფიზიკური ცვლილებები გავლენას ახდენს მოზარდის ფსიქოლოგიური განვითარების მრავალ ასპექტზე. ხშირად, მოზარდები დიდ ყურადღებას უთმობენ საკუთარ გარეგნობას, სურთ თანატოლების მხრიდან აღიარების მიღება და ა.შ.

ორგანიზმის ფიზიკური ცვლილებები

ჩვილობის ასაკის შემდეგ ეს პერიოდი უკიდურესად სწრაფი ფიზიკური ზრდით და ძლიერ გამოხატული ფიზიოლოგიური ცვლილებებით ხასიათდება, რაც 4-5 წელი გრძელდება. ამ პერიოდში

მოზარდები წელიწადში ზოგჯერ 1-14 სანტიმეტრით იზრდებიან და საგრძნობლად იმატებენ წონაში. ვიდრე სხეული ზრდასრულ ფორმებს მიაღწევს, ჯერ ფეხის ტერფები და ხელის მტევნები იზრდება, შემდეგ ხელები და ფეხები, ხოლო ტორსი ყველაზე ნება ვითარდება.

ეს გამოწვეულია ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონალური ცვლილებებით. ერთდროულად იწყება ზრდის ჰორმონის, თირიოდელი ჰორმონის და სქესობრივი ჰორმონების — გონადების ძლიერი აქტივაცია. ეს გავლენას ახდენს მოზარდის ორგანიზმის ფუნქციონირებაზე — ბავშვი უცბად იზრდება, სწრაფად მატულობს სიმაღლეში, იცვლება მისი სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის სისტემა, ბიჭებში აქტიურად გამომუშავდება ტესტოსტერონი — მამაკაცური ჰორმონი, ხოლო გოგონებში — ესტროგენი და პროგესტერონი. მოზარდის თავის ტვინის სისტემები და მათი შემადგენელი ნეირონული წრეები აქტიურად ვითარდება, განსაკუთრებით აქტიურია ჰიპოთალამუსი და ჰიპოფიზი, ტვინის ის ნაწილი, რომელიც აკონტროლებს ზრდისა და სქესობრივი ჰორმონების გააქტივებას; ეს ინვევს მეორადი სასქესო ნიშნების ალმოცენებას: ბიჭებს უბოზდებათ ხმა, ემატებათ თმიანობა, ეზრდებათ კუნთების მასა; გოგონებს ეზრდებათ მკერდი, ეწყებათ მენსტრუალური ციკლი. სქესობრივი მომწიფება 12-13 წლიდან იწყება და 16-17 წლისათვის მთავრდება. ორგანიზმის ფიზიკური ცვლილებები ძალიან სწრაფად ხდება და შეიძლება უსიამოვნო იყოს მოზარდისთვის. მას ეცვლება სხეულის ფორმები, გარეგნობა უხეშდება, სხეულ დისპროპორციული ხდება სწრაფი ზრდის გამო, იცვლება კანის ზედაპირი — ხშირია გამონაყრი.

მოზარდის თავის ტვინში რევოლუციური ცვლილებები ხდება: მატულობს თავის ტვინის თეთრი ნივთიერება, ნეირონის მორჩები აქტიურად იტოტებიან და ამავე დროს, არასაჭირო ნერვული კავშირები ქრება სინაფსური კავშირების შეკვეცის ხარჯზე. ამ პერიოდში აქტიურად ვითარდება თავის ტვინის წინა, შუბლის ნაწილი, რომელიც აკონტროლებს პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების და ქცევის კონტროლის პროცესებს. თავის ტვინის ამ წანილის განვითარება ხელს უწყობს დაგეგმვას, რისკების შეფასებას, იმპულსის კონტროლს. მოზარდის თავის ტვინის განვითარებაში 3 ნეიროტრანსმიტერი, ანუ ნეირონის ამგზნები თუ შემაკავებელი ნივთიერება მონაწილეობს; ესენია: გლუტამატი, დოფამინი და სეროტონინი. ეს ნივთიერებები ხელს უწყობენ ნერვულ სისტემაში ნერვული იმპულსის გადაცემას ან შეკავებას. კერძოდ, გლუტამატი ნეირონის ამგზნები ნივთიერებაა. გარდატეხის ასაკის პირველ პერიოდში — წინა და ადრეული პუბერტატის ასაკში იმ სინაფსური კავშირების შეკვეცა ხდება, რომლებიც გლუტამატის რეცეპტორებს მოიცავენ და ამიტომ ამ პერიოდში მოზარდი უფრო შეკავებული და მოდუნებულია, ვიდრე აგზნებული. დოფამინი სიამოვნების შეგრძნებასთან არის დაკავშირებული. მოზარდობის პერიოდში დოფამინის დონე თავის ტვინის ერთ წანილში — ლიმბურ სისტემაში — იზრდება, დოფამინის შესავალი ასევე იზრდება პრეფირონტალურ ქერქში. ლიმბური სისტემა ემოციურ რეაქციებზე აგებს პასუხს და დოფამინის გაზრდილი აქტივობა აძლიერებს სარისკო ქცევას და მობეზრება/მოწყენის ზღურბლს აქვეითებს. სეროტონინი მონაწილეობს გუნებისა და ქცევის რეგულაციაში, მისი აქტივობის გაძლიერება ლიმბურ სისტემაში შესაძლოა აძლიერებს ემოციურობას და მგრძნობიარობას დაჯილდოებისა თუ სტრესის მიმართ. სწორედ ამიტომაა დამახასიათებელი მოზარდისათვის მოჭარბებული ემოციურობა, იმპულსურობა, სიამოვნების და ახალი გამოცდილების ძიება, უგუნებობა და უხალისობა. თავის ტვინი, განსაკუთრებით კი შუბლის წილები აგრძელებს განვითარებას 20 წლამდე.

გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი ფიზიოლოგიური და ფიზიკური ნიშნები:

- ფიზიკური ზრდა სიმაღლეში;
- კუნთების მასის მატება
- მეორადი სასქესო ნიშნების განვითარება
- სქესობრივი ჰორმონების გააქტიურება
- ჰორმონალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემის აქტივობის გაძლიერება;
- თავის ტვინის სხვადასხვა წანილების მომწიფება.

შემეცნებითი უნარების განვითარება

11 წლიდან მოზარდის აზროვნება რადიკალურად იცვლება. ლოგიური ოპერაციების განვითარებით, მათი აზროვნება მოზრდილებისას ემსგავსება. ამ ასაკიდან ბავშვს უკვე თავისუფლად შეუძლია განეცნება, განზოგადება, ლოგიური მსჯელობა და დასკვნის გამოტანა, კიდევ უფრო აქტიურად ვითარდება მკვეთრი წარმოსახვის უნარი. ამასთან ერთად, მოზარდის აზროვნება არათანმიმდევრულია მისი მოჭარბებული ემოციური რეაქტიულობისა და იმპულსურობის გამო. გარდატეხის ასაკის მოზარდებს მოსწონთ კამათი — ეს მათი უფროსებთან ურთიერთობის წამყვანი სტილია, რადგან ხაზს უსვამს მათ დამოუკიდებლობას. ამის მიზეზია ის, რომ მოზარდის ლოგიური უნარები სწრაფად ვითარდება და მეორე მხრივ იზრდება მისი სკეპტიციზმი, ავტორიტეტების შემოწმების და უარყოფის ტენდენცია, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა. საკუთარი თავის შესწავლის და გაგების მოთხოვნილება წამყვანი ხდება და ამიტომ მოზარდის აზროვნება ეგოცენტრულობას უბრუნდება. მოზარდის ეგოცენტრულობა, ანუ საკუთარ თავზე ფოკუსირება განსხვავდება სკოლამდელი ასაკის ბავშვების ეგოცენტრულობისაგან. გარდატეხის ასაკის ბავშვი საკმაოდ ბევრს ფიქრობს საკუთარი თავის შესახებ, საკუთარი თავითაა დაკავებული, იქნება ეს გარეგნობა, ურთიერთობები თუ სტატუსი. ამიტომ, ამ პერიოდში, ბავშვები თვლიან, რომ მათ ყველაფერი შეუძლიათ, ყველაფერი იციან და ჭკუის სწავლება არ სჭირებათ.

გარდატეხის ასაკის შემეცნებითი უნარების დამახასიათებელი ნიშნები:

- ლოგიური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი
- ალტერნატივების დანახვისა და გაგების უნარი
- კამათის და დისკუსიის მოთხოვნილება
- ძლიერი წარმოსახვა
- ცნობისმოყვარეობა, უცნობის და ახლის გამოცდის და შემეცნების სურვილი
- საკუთარი თავის შემეცნების სურვილი და ცხოვრების საზრისის ძიება: „ვინ ვარ, რატომ ვარ?“

ფსიქო-ემოციური განვითარება

მოზარდის ემოციური სფერო და ფსიქოლოგიური მდგომარეობაც რადიკალურად იცვლება მის ფიზიოლოგიურ დ სხეულებრივ ცვლილებებთან ერთად. უფროსები გარდატეხის ასაკის ბავშვთან ურთიერთობას რთულ საქმედ მიიჩნევენ, რადგან მისი ქცევა მოულოდნელი, წინააღმდეგობრივი და იმპულსურია. მოზარდის ფსიქოემოციური სფეროს განსაკუთრებულობა სწორედ მის საპირისპირო/წინააღმდეგობრივი აზრების, გრძნობების და ქცევების თანაარსებობაშია. თვითონ მოზარდისთვისაც დისკომფორტია ასეთი წინააღმდეგობრიობა, უჭირს საკუთარი თავის გაგება, ამიტომ ხშირად უკმაყოფილოა თავის თავითაც და გარშემომყოფებითაც.

სწრაფი სხეულებრივი ცვლილებების გამო, მოზარდი დროულად ვერ ეგუება და ვერ იღებს თავის შეცვლილ გარეგნობას. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია როგორ გამოიყურება და ყველა დეტალს აქცევს ყურადღებას. გარეგნობაზე შფოთვა და საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილება მოზარდის ემოციური მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხასიათებელია. შესაბამისად, ნებისმიერი, თუმდაც უწყინარი რეპლიკა მათი გარეგნობის შესახებ, ძალიან მძიმედ აღიქმება და განიცდება.

თავისი ეგოცენტრულობის გამო, მოზარდი თვლის, რომ ის თითქოს მიკროსკოპის ქვეშაა, გარშემომყოფები მას კრიტიკულად უყურებენ და აღიქამენ, ამიტომ ხშირად თავს უხერხულად გრძნობს. მას ჰვონია, რომ ყველა მისით არის დანტერესებული. სიმორცხვე და მოუქნელობა გარდატეხის ასაკის მოზარდისთვის ხშირი მახასიათებლებია, რის დაფარვასა და კომპენსაციასაც ის სხვადასხვა, ზოგჯერ არაადეკვატური გზით ცდილობს.

მოზარდობის ხანა იმპულსური და რადიკალური ქცევით გამოირჩევა. გარდატეხის ასაკში და-მოუკიდებლობისკენ სწრაფვა და აღიარების მოთხოვნილება სარისკო ქცევების აღბათობას ზრდის.

პორმონალური ცვლილებების გამო, ბავშვის ნერვული სისტემის აგზნება-შეკავების ბალანსი ირღვევა აგზნების სასარგებლოდ. მიუხედავად ლოგიკური აზროვნების განვითარებისა, მოზარდი ხშირად ვერ აკონტროლებს მოზღვავებულ ემოციებს და ენერგიას, როგორც წესი, **ამ ასაკში ჯერ მოქმედებენ და მერე ფიქრობენ.**

გარდატეხის ასაკის ბავშვისთვის რთულია ემოციების გაგება და მართვა, ამიტომ ხშირია ემოციური აფეთქებები, სიბრაზის, მოწყინების, უხალისობის და უგუნებობის გამოვლინებები. მოზარდობის პერიოდში შფოთვა და დეპრესია შესაძლოა არ ვლინდებოდეს ტიპურად, დიდად არ ეტყობოდეს ბავშვს და ამიტომ უფროსების ყურადღების მიღმა დარჩეს. ძნელია ვითომ თავდაჯერებული, სკეპტიკურად განწყობილი და ჯიუტი მოზარდის ფასადის უკან დაინახო შფოთვა და დეპრესიული გუნება.

მოზარდობის პერიოდში ხშირია ჩაგვრელის, მოძალადის როლის მორგება, ასევე ხშირია ჩაგვრის ობიექტად, მსხვერპლად ყოფნის შემთხვევები. მშობლები ხშირად არ არიან საქმის კურსში, რა ურთიერთობებში არიან მათი შვილები ჩართული და ხშირად ყურადღების მიღმა რჩებათ მოზარდის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მისი კავშირები, სამეცნიერო წრე და ა.შ.

გარდატეხის ასაკის ფსიქო-ემოციური განვითარების დამახასიათებელი ნიშნები:

- უხერხულობის განცდა და სიმორცხვე
- საკუთარი თავით და გარშემომყოფებით უკმაყოფილება
- გრძნობებისა და აზრების ამბივალენტობა
- იმპულსურობა
- უხალისობა და უგუნებობა
- სწრაფი აგზნება და ემოციური აფეთქებები
- სტრესი

სოციალური განვითარება

მოზარდის ფსიქოლოგიურ პორტრეტში განსაკუთრებული ადგილი უკავია „მე-კონცეფციის“ (საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენა, რწმენები და საკუთარი თავის შეფასება) აქტიურ ფორმირებას და სრულიად ახალი მიმართულებით მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებას. თუ 11-12 წლამდე ბავშვისათვის მშობელი იყო მიჯაჭვულობის ობიექტი და მნიშვნელოვანი ავტორიტეტი, უკვე გარდატეხის ასაკში მოზარდისთვის მნიშვნელოვანი ხდება თანატოლების და სხვა მოზრდილების აზრი. მშობლების გავლენა მოზარდზე მცირდება, ხოლო თანატოლების ჯგუფის გავლენა კი — მნიშვნელოვნად იზრდება. მოზარდის მთავარი სოციალური ამოცანაა თავისი იდენტობის ძიება და აღმოჩენა. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვაა „ვინ ვარ მე?“. თვითშემეცნება მოზარდის ერთ-ერთი წამყვანი შემეცნებითი ინტერესია. ამიტომ მოზარდი ექსპერიმენტირებს, გამოცდის სხვადასხვა როლებს, მათ შორის ნეგატიურს და მიუღებელსაც. ამ ეტაპზე მოზარდი ან ცდისა და შეცდომის მეთოდით ეძებს საკუთარ იდენტობას, ან სხვა მნიშვნელოვანი ადამიანების გავლენით. გარდატეხის ასაკში ისე, როგორც არა-სოდეს, ბავშვს იდენტობის სრულიად განსხვავებული გამოვლინებები აქვს სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში — თანატოლებთან, ქუჩაში, სკოლაში, ოჯახში და ა.შ. ის ცდის ალტერნატიულ როლებს, ქცევებს, გარეგნობებს. მოზარდთა დიდი უმრავლესობა ახერხებს თავისი ერთიანი, ინტეგრირებული მე-კონცეფციის ჩამოყალიბებას სხვადასხვა როლების შეჯერებით და გამოცდით ღირებულებებთან, საზოგადოებაში გავრცელებულ შეხედულებებთან მიმართებაში. სამეცნიერო წრეები, მოზარდების ქუჩის დაჯგუფებები, თანატოლების ჯგუფები, განსაკუთრებით მიმზიდველია გარდატეხის ასაკის მქონე მოზარდებისათვის, რადგან ის უძლიერებს მათ მიუუთვნების და ჯგუფის მხრიდან მიმღებლობის განცდას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია „მე-კონცეფციის“ ჩამოყალიბებაში. მოზარდისთვის, დამოუკიდებლობის გრძნობასათან ერთად, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იყოს ჯგუფის წევრი და აღიარებული იყოს ჯგუფის მიერ.

გარდატეხის ასაკის სოციალური განვითარების დამახასიათებელი ნიშნები:

- დამოუკიდებლობის სურვილი

- თანატოლების მხრიდან აღიარების სურვილი
- ჯგუფთან მიკუთვნების და აღიარების მოთხოვნილება
- მშობლების ავტორიტეტის უგულებელყოფა
- „მე“-ს იდენტობის ძიება: თვითშეფასებისა და საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენების და რწმენების ჩამოყალიბება
- ადამიანებთან ურთიერთობით ექსპერიმენტირება
- ალტერნატიული როლების, იდენტობების მორგება, მათ შორის ნეგატიურის და სარისკოსი
- მნიშვნელოვანი ჯგუფის გავლენის ქვეშ ადვილად მოქცევის ტენდენცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ია კუტალაძე (რედ.) – ეფექტიანი სწავლება, გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის ლაბორატორია, 2010;
2. მარიანა ხუნძაყიშვილი, სარა ბივერი – განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018;
3. ნათა ჯანაშია, ნათელა იმედაძე, სოფიო გორგოძ – განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008;
4. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი – საკითხავი მასალა (მოდული: „აქტიური სწავლება ბიოლოგიაში“), 2017;
5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი – სწავლება და შეფასება, თბ., „საქართველოს მაცნე“, 2008;
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი – როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, 2007;
7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი – პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, 2007.
8. რა ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემები ახლავს თან გარდატეხის ასაკს – <https://www.mshoblebi.ge/janmrtheloba/aqtualuri/1669-ra-fiziologiuri-da-fsiqologiuri-problemebi-akhlav-s-than-gardekhis-asaks.html>
9. ელისაბედ კუჭავა, მარინე გელაშვილი – პუბლიტატული ასაკის თავისებურებანი, ინტერნეტ-გაზეთი mastsavlebeli.ge, 2017

ამ სახელმძღვანელოს გაყიდვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში,
გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე (+995 32) 2 200 200

დამატებითი ინფორმაცია სახელმძღვანელოს/სერიის შესახებ
იხილეთ ვებ-გვერდზე: <https://www.facebook.com/PublishingHouseklio>
<https://biologiiswigni.blogspot.com/>



9 7 8 9 9 4 1 4 8 1 4 8 2



დაფინანსებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით
უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში